

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ნატო სონღულაშვილი

ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის  
პირველ ოცწლეულში

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

თბილისი

2012

## შინაარსი

შესავალი . . . . .	4-16
თავი I. ეროვნული პრობლემის ზოგიერთი საკითხი . . . . .	..17-24
თავი II. რეგიონალური იდენტობა: ცენტრი და პერიფერია . . . . .	25-26
§1. ქალაქი . . . . .	...26-30
§2. სოფელი . . . . .	31-36
თავი III. სოციალური გარემო 1900-1921 წლებში . . . . .	37
§1. გლეხი . . . . .	37-49
§2. პროლეტარი . . . . .	49-69
§3. ჯარისკაცი . . . . .	70-84
§4. სამღვდელთა . . . . .	84-93
§5. თავადაზნაურობა . . . . .	94-103
§6. ბურჟუაზია . . . . .	...104-112
§7. ინტელიგენცია. . . . .	112-121
თავი IV. ნაციონალური ნარატივის ფორმირება და ნაციონალური სიმბოლოები . . . . .	..122
§1. ისტორიული მესხიერება და ტრადიცია. . . . .	..122-135
§2. თეატრი და მუზეუმი . . . . .	..135-141
თავი V. ქართული გარემო და ეროვნული იდენტობა . . . . .	142-144
§1. სამშობლო . . . . .	145-150
§2. ქართული ენა და განათლება . . . . .	...151-180
§3. სარწმუნოება . . . . .	180-184

§4. ქალის, დედის საკითხი . . . . .	184-189
§5. ეკონომიკა . . . . .	.189-201
თავი VI. ეროვნული თავისუფლების ფენომენი. . . . .	202-231
დასკვნა . . . . .	.232-234
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა. . . . .	235-248

## შესავალი

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დიდი ადგილი ეთმობა ეროვნული იდენტობის კვლევას. როგორც ცნობილია, აღნიშნული ფენომენის გააზრებასთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა არსებობს და თითოეულ მათგანში საკითხის გადაჭრის საკუთარი ხედვაა წარმოდგენილი. ამჟერად მათ განხილვაზე არ შევჩერდები, რადგან ბოლო პერიოდის საქართველოში საკმაოდ აქტუალური გახდა იდენტობრივი კვლევები სხვადასხვა თეორიების ფარგლებში და ქართული სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ცნობილი თეორიების ძირითად პრინციპებს (როგორცაა: ეთნოსიმბოლიზმი, მოდერნიზმი). მართალია, სადისერტაციო თემა ქართველი ერის და ეროვნული პრობლემის ანალიზს ეთმობა, მაგრამ განსაზღვრული ქრონოლოგიური მონაკვეთის არჩევიდან გამომდინარე, ანუ როდესაც ქართველი ერის ჩამოყალიბება უკვე ყველა იდენტობრივი მახასიათებლის მიხედვით დასრულებულია, მე არ შევეცდები განვსაზღვრო ქართველი ერის წარმოშობის ზუსტი პერიოდი. ჯერ ერთი, როგორც თემის სტრუქტურა მიუთითებს ეს სცილდება საკვლევ თემას და მეორეც, მიუხედავად მრავალრიცხოვანი თეორიებისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებებისა, არც დასავლურ და არც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერის ჩამოყალიბების საბოლოო განსაზღვრება. თუმცა ყურადღებას გავამახვილებ როგორ აღიქმებოდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ქართველი ერის წარმოშობის საკითხი.

როგორც უკვე აღვნიშნე, დისერტაცია ქართული, ეროვნული იდენტობის პრობლემას ეძღვნება, კერძოდ რა ცვლილება განვლო ეროვნული ცნობიერების ფორმირებამ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში და რა ფასეულობებზე დაყრდნობით მოიაზრებდა თავს ქართველი ერთობის წევრად.

მართალია, ჩემი მიზანი საზოგადოებრივი აღქმების კვლევაა და სათანადო ადგილას ვიმოწმებ თეორიული ლიტერატურიდან მნიშვნელოვან მოსაზრებებს, კერძოდ, ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენლის ენთონი სმითის, მოდერნული თეორიის – ბენედიქტ ანდერსონის. ასევე, ვითვალისწინებ გერმანელი ფილოსოფოსის გ.გ.ჟ. ჰეგელის და ფრანგი მოაზროვნის მონტესკიეს მოსაზრებებს ეროვნული თავისუფლების ფენომენის შესახებ. თუმცა არ ვეყრდნობი რომელიმე კონკრეტულ მიმდინარეობას და მხოლოდ ეპოქიდან

გამომდინარე შევეცდები აღვადგინო 1900-1921 წლების ქართული გარემო. მით უფრო, რომ ყველა თეორიის წარმომადგენელი იზიარებს იმ აზრს, რომ ნაციონალიზმის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ.

ვიდრე უშუალოდ ძირითადი საკითხის განხილვაზე გადავიდოდე საჭიროდ მიმაჩნია ერის რამდენიმე ცნობილი განსაზღვრების მოტანა. იოსებ სტალინი აღნიშნავდა: „ნაცია არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაც კულტურის ერთობა“ (274, 319). ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენელი ენთონი სმითი, კი, რომლის მოსაზრებებს ხშირად ვიმოწმებ ნაშრომში წერს: „მე ნაციას განვსაზღვრავ, როგორც ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობას, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი“ (268, 36).

ნაციონალური იდენტობის საკითხი ძირითადად ერის არსებობისთვის დამახასიათებელ საყოველთაოდ ცნობილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილება. ესენია: ენა, რელიგია, ისტორიული მემკვიდრეობა, ტრადიცია, ტერიტორია და ამასთან, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება თითოეულ მათგანს. ბუნებრივია აღნიშნულის გააზრება უნდა მოხდეს ეპოქის მოთხოვნილებიდან, სულისკვეთებიდან გამომდინარე, რადგან საუკუნეების მანძილზე საზოგადოების ცნობიერება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

1900-1921 წლები გამოირჩევა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა სირთულით და ხშირი ცვალებადობით. ამიტომ ზემოთ აღნიშნულ ეროვნულ მახასიათებლებთან ერთად ქართული, ეროვნული იდენტობის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ეპოქის და სოციალურ ფენათა ცნობიერების ცვალებადობის გათვალისწინება. საკითხის შესასწავლად პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს ეპოქის ანუ 1900-1921 წლების ძირითადი მოვლენები და მათი გავლენა საზოგადოებაზე და მეორე, საჭიროა სოციალური ფენების კლასიფიკაცია, თითოეული მათგანის ღირებულებათა გამოკვეთა და მთლიანობაში გააზრება.

ეს ისეთი საკითხებია, რომელთა შესწავლა წყაროს მხოლოდ ერთი ტიპით შეუძლებელია, საჭიროა ყველა დეტალის გათვალისწინება, კომპლექსური

ანალიზი და შემდეგ გარკვეული მოსაზრების ჩამოყალიბება. სოციოლოგის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსის მიდგომა ასეთი პრობლემისადმი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისტორიკოსის განსაზღვრება უნდა განირჩეოდეს ყველა მათგანისაგან იმით, რომ მისი მოსაზრება ფაქტებისა და წყაროთა გამოყენების მრავალფეროვნებით იყოს გამაგრებული. დავიწყოთ იმით, რომ ამგვარი საკითხებისადმი ინტერესი საუკუნების მანძილზე არსებობდა, თუმცა აღქმა და მიდგომა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესაბამისად ცვლილებას განიცდის. როგორც ცნობილია, ახალი და მთავარი ეტაპი ეროვნული საკითხის კვლევის თვალსაზრისით იწყება საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნეში აქტუალურია მონტესკიეს, რუსოს, ჰეგელის, ჰერდერის იდეები. XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ მიმართულებით გამოირჩევა „ანალების სკოლა“, როდესაც წინა პლანზე მენტალობათა კვლევა გამოდის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში აქტუალური იყო ეროვნული საკითხის ირგვლივ შექმნილი თეორიული მოსაზრებები. მაგალითად, საკმაოდ პოპულარული იყო რენანის იდეები. საინტერესო მოსაზრებები ჩამოყალიბეს სხვადასხვა თეორიების გაცნობის შედეგად ქართველმა მოღვაწეებმა: მისაკო წერეთელმა და კონსტანტინე კაპანელმა. ასე რომ, თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებას და ქართულ საზოგადოებაში მათ ცნობა-გამოყენებას მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნია.

საქართველოს ისტორიის არა ერთი პრობლემა: პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ რელიგიური სიღრმისეულად არის შესწავლილი და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევაა შექმნილი. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა იმგვარი საკითხების კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, როგორ მოიაზრებდა მთლიანობაში ქართველი დროის მსვლელობაში თავს ერთობის წევრად და რა ფასეულობათა სისტემა განსაზღვრავდა მათ ბრძოლას თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაეღაზა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, მეორე მხრივ, რაც მთავარია განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით,

ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო.

მართალია, 1900-1921 წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი, მაგრამ ჩემი მიზანია ყურადღება გაგამახვილო საზოგადოებრივ აღქმებზე, სხვადასხვა წყაროებში დაცული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე. ინტერესს იწვევს 1900-1921 წლებში განვითარებული პროცესების სირთულე, გარდაქმნები, მრავალმხრივობა, კერძოდ, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური მოვლენების ხშირი ცვალებადობა, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმოშობა, ახალ სისტემაზე გადასვლა და მათი საზოგადოებასთან დაკავშირება, მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

აქედან გამომდინარე, გამოვიყავი ორი ძირითადი პერიოდი: 1. 1900-1917 წ.წ. – როდესაც საქართველო არის რუსეთის დაქვემდებარებაში და 2. 1918-1921 წ.წ. – დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა. აქ იკვეთება შემდეგი საკითხები: 1. ერთი მხრივ, ეს არის XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილი მოვლენების იდეური გაგრძელება, როდესაც თერგდალეულების ე.წ. მემკვიდრეები ცდილობენ ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას და, რაც მთავარია, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მთავარი მიზანი ხდება გლეხის უფლებების დაცვა, მისი ფუნქციების გამოკვეთა. 2. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდებიან ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები გააჩნდათ და თითოეული მათგანი ცდილობდა სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში. 3. სრულიად განსხვავებული პერიოდი, დამოუკიდებლობის წლები, როდესაც მთლიანად იცვლება იდეოლოგია სახელმწიფოებრივი შეგნების ჩამოყალიბებისაკენ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას წინ უძღოდა სხვადასხვა მოვლენები, რომლებმაც თავისი კვალი დააჩნის საქართველოს ისტორიას. როგორც ცნობილია, საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 1918 წლამდე რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის

შედგად იმყოფებოდა იმპერიის დაქვემდებარებაში და, ბუნებრივია, იქ მიმდინარე პროცესები თავის გაველენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. მათ შორის შეიძლება ცალკე გამოიყოს შემდეგი მოვლენები: 1. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია; 2. 1907-1910 წლების რეაქციის ხანა; 3. 1914-1918 წ.წ. პირველი მსოფლიო ომი; 4. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუცია.

1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი პრობლემა მოიტანა. გარდა იმისა, რომ 117 წლის მანძილზე საქართველო რუსეთის დაქვემდებარებაში იყო, ჯერ კიდევ XV საუკუნის II ნახევარში საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად, თუ არ ჩავთვლით ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომ საჭირო იყო მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმების განხორციელება და, რაც მთავარია, საზოგადოების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა.

ჩემს მიზანს წარმოადგენს ქართული სინამდვილის შესწავლა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში, კერძოდ, რა გზა განვლო ქართველი ერის ცნობიერებამ 1900-1921 წლებში. ვფიქრობ ორი სრულიად განსხვავებული პერიოდის შედარებითი ანალიზი მრავალ პრობლემატურ და საინტერესო საკითხს მოჰყენს ნათელს.

ბუნებრივია, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემაა გამოკვლეული და მნიშვნელოვანი მონოგრაფიები თუ ცალკეული სტატიებია შექმნილი. თუმცა ქართველი ერის იდენტობრივი ანალიზი ანუ საზოგადოებრივი აღქმების წარმოჩენა საშუალებას მოგვცემს ახლებურად შევხედოთ და განსხვავებული კუთხით დავამუშავოთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენა.

დისერტაციაში მთლიანობაშია წარმოდგენილი და გაანალიზებული, ხშირ შემთხვევაში ცალკეულ საკითხებად შესწავლილი პრობლემები. ნაჩვენებია რა გზა განვლო საქართველომ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მანძილზე: რა ცვლილებები განიცადა სხვადასხვა სოციალური ფენის ცნობიერებამ, რა ფორმით იყო წარმოდგენილი ეროვნული თავისუფლების ფენომენი და როგორ ვითარდებოდა მთლიანობაში ქართველი ერი.

რაც შეეხება წყაროთა ბაზას. 1. დავამუშავე 1900-1921 წლებში გამოქვეყნებული

ყველა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთი. ეს პერიოდი გამოირჩევა პრესის მრავალრიცხოვნობით. ბეჭდურ მედიაში საუბარია ყველა სოციალური ფენის შესახებ, მაგრამ ყურადღებაშისაქცევია ის გარემოება, რომ თითოეული პერიოდული ორგანო კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეებს გამოხატავდა, რომლებიც პრესის საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი შეხედულებების რეალიზებას საზოგადოებაში. 1900-1921 წლების საქართველოში გამოდიოდა სხვადასხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთი: როგორც პოლიტიკური, მაგალითად: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-რევოლუციონური, ისე: სალიტერატურო, სამეცნიერო, იუმორისტული. თითოეული მიმართულების ორგანო ცდილობდა საკუთარი იდეების გამოკვეთას. ამიტომ ამგვარი საკითხების კვლევისას მხოლოდ ერთი პერიოდული ორგანო ვერ გამოდგება, საჭიროა კომპლექსური ანალიზი.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში პრესას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგალითად, ტიტე ართმელაძე, რომელიც ხშირად ბეჭდავდა სტატიებს თუ ბროშურებს საზოგადოებისთვის საჭირო და აუცილებელ საკითხებზე, წერდა: „პრესა ეს ისეთი რამ მანქანაა ადამიანთა განვითარების წინმსვლელობის და კეთილდღეობის საქმეში, რომელიც თავისთავად უკვლევს და უკაფავს ცხოვრებას დროთა შესაფერ გზას. ყოველ შემთხვევაში, ახალი დრო ჰქმნის ახალსავე მოთხოვნილებას. პრესა იკვლევს ამ ახალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ რამეებთან მისასვლელ გზას და ცდილობს ამ უკანასკნელზე თავისი ერის დაყენებას. მისი მიზანია არ ჩამოარჩინოს თავისი ერი სხვა ერს, ამიტომაც სადი პრესა აძლევს თავის ერს ხელში ისეთ უტყუარ იარაღს, რომლის შემწეობითაც მას ადვილად შეუძლია სძლიოს ყოველნაირ დამაბრკოლებელ ნაკლულოვანებებს და გაუსწორდეს უკვე არსებულ ცხოვრების მოთხოვნილებას“ (209, 110-111). სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას იმედოვნებდა, რომ საქართველოში პროგრესული ქვეყნების მსგავსად მაღალ დონეზე ავიდოდა ბეჭდური სიტყვა: „პრესა არის საზოგადო განვითარების უძლიერესი იარაღი. მაშასადამე, ბედ-იღბალი პრესის არის ბედ-იღბალი თვით საზოგადოების, საზოგადო სულისკვეთების. ყველგან მას დიდ ყურადღებას აქცევენ, მის გამძლავრებას ცდილობენ. ამიტომაც ყველა ერის პრესა, რომელსაც კი ვიცნობ ან გამიგონია, დულს და გადმოდის. მხოლოდ

ამ საერთო კულტურულ აღორძინებისაგან გამორიცხული ვართ, ჩვენ, სხვა ხალხთა პრესას, არც იდეური ლტოლვილებით, არც მოძრაობით, არც სიცოცხლის ნიშან-წყლით. მათ შორის ისეთი მზგავსებაა, როგორც ცოცხალსა და მკვდარს შორის“ (259, 3).

თეორიულ ლიტერატურაში ბეჭდური მედიის როლი გადამწყვეტად მიიჩნევა მოდერნული ნაციის ფორმირებაში. როგორც ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენელი ე. სმითი აღნიშნავს: „პოლიტიკური ერთობის წევრთა სამართლებრივი თანასწორობა მის მშობლიურ მიწა-წყალზე შეიგრძნობა პოპულაციისა თუ უკიდურეს შემთხვევაში, ერთობის მთავარი, ძირეული ნაწილისათვის საერთო ღირებულებებისა და ტრადიციების წყალობით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ნაციებს უნდა ჰქონდეთ საერთო კულტურისა და სამოქალაქო იდეოლოგიის, საერთო გაგებათა და მისწრაფებათა, გრძნობათა და იდეათა საზომი, რომელიც შეაკავშირებს პოპულაციას მის მიწა-წყალზე. საერთო სახალხო მას-კულტურის უზრუნველყოფა ევალება სახალხო სოციალიზაციის დაწესებულებებს, კერძოდ, საყოველთაო განათლების სისტემასა და მასმედიას“ (269, 14).

ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვისაგან განსხვავებით, მოდერნისტები ანუ ნაციების მოდერნულ დროში შექმნის თეორიის წარმომადგენლები, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და განვითარებას დიდწილად ბეჭდურ მედიას მიაწერენ. მოდერნული მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენლის ბენედიქტ ანდერსონის აზრით: „ბეჭდვითმა ენებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შეგნების განვითარებას. ეს შესაძლებელი გახდა აზრთა ურთიერთგაცვლისა და კომუნიკაციის ერთიანი სივრცის შექმნით. ბეჭდური პროდუქციისა და ქალაქის საშუალებით კი მიღწეული იქნა ურთიერთგაგება. საგამომცემლო საქმემ ენას სტაბილური და მარადიული თვისებები შესძინა. ეს თვისება დიდი ხნის მანძილზე უწყობდა ხელს წარსულის იმ იმიჯის შექმნას, რომელიც ერის სუბიექტური გაგების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია“ (2008, 73). მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბეჭდურმა მედიამ ახალი ეტაპი შექმნა ნაციათა ისტორიაში.

2. აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარები. კერძოდ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი კვინიტაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, იაკობ მანსვეტაშვილი, სამსონ

ფირცხალავა, შალვა დადიანი, გიორგი მაზნიაშვილი, მარიამ გარიყული და სხვა.

ქართული იდენტობის ჩამოყალიბება არის პროცესი, რომელიც იწყება უძველეს პერიოდში და გრძელდება დღემდე. მის შესასწავლად სხვადასხვა ტიპის წყაროთა გამოყენება არის შესაძლებელი. წყაროს ტიპის არჩევანს პირველ რიგში საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო განაპირობებს. მაგალითად, შუა საუკუნეების ქართული იდენტობის შესასწავლად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, როგორც ჰაგიოგრაფიული ძეგლები, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებზეა გათვლილი და კარგად ასახავს ეპოქის სულისკვეთებას, აგრეთვე ისტორიოგრაფიული წყაროები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს. მოდერნული პერიოდის ქართული ერთობის იდენტობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბეჭდურ მედიას, როგორც ეროვნული იდეალების შენარჩუნებასა და აღორძინებაში მოქმედ მთავარ საშუალებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მემუარები, როგორც საისტორიო წყარო, არა ერთხელ ყოფილა გამოყენებული, თუმცა იდენტობის კვლევის ისტორიისათვის მის გამოყენებას დღემდე ადგილი არ ჰქონია.

ცნობილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარები საინტერესო ფაქტებს შეიცავს ეპოქის შესახებ. მართალია, აქ ნებისმიერი მოვლენა ავტორის შეხედულებისამებრ არის შეფასებული, მაგრამ რადგანაც ჩვენი ნაშრომის მიზანი საზოგადოებრივი აღქმებია მას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

კვლევის პროცესში მემუარული ლიტერატურა, რომელიც XX საუკუნის პირველ ოცწლეულს ეხება დავეყავით ორ ნაწილად: 1. პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარები, მოგონებები. ისინი უფრო მდიდარია როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული მდგომარეობის შესახებ არსებული მონაცემებით. მემუარების ავტორებს წარმოდგენილი აქვთ თავისუფლების მოპოვების და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკუთარი ხედვები. 2. საზოგადო მოღვაწეთა მემუარები, მოგონებები, რომლებიც ძირითადად აქცენტს აკეთებენ კულტურული ღონისძიებების საჭიროებაზე და აღწერენ თავისი ეპოქის საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებას.

მემუარების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ის საკითხები, რომლებიც, იდენტობრივი პროცესების მთავარი საშუალებაა: 1. ქართული ენა. 2. სწავლა-განათლების საკითხი. 3. ისტორიული მახსოვრობა და ტრადიციები. 4. ქართული

თეატრის აღორძინება. 5. ეკონომიკური საკითხი. 6. თავისუფლების ბრძოლისკენ მოწოდება. ბუნებრივია, თითოეული საკითხი საქართველის ისტორიის ყველა ეტაპზე აქტუალური იყო, თუმცა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ეს პროცესები მიმართულია, როგორც თავისუფლების მოპოვებისთვის, ასევე სოციალურ ფენათა დაახლოება-გაერთგვაროვნებისკენ.

3. ჩემთვის აგრეთვე წყაროს წარმოადგენს ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ 1900-1921 წლებში გამოცემული წიგნები, ბროშურები, ნათარგმნი ლიტერატურა, პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები. ბუნებრივია, აქ სრულად ვერ დავასახელებ და ვერ განვიხილავ თითოეული მათგანის ნაშრომს, თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებული მასალები თანამედროვეთა მიერ არის დამუშავებული და შეფასებული, ამასთან აქცენტი გაკეთებულია ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ეპოქის გამოწვევას წარმოადგენდა. მათ შორის აღსანიშნავია: ნოე ჟორდანი, მიხაკო წერეთელი, გიორგი გვაზავა, ტიტე ართემლაძე, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ გველეხიანი, არჩილ ჯორჯაძე, ნოე რამიშვილი, ივანე მაჭავარიანი, პეტრე სურგულაძე, თედო ღლონტი, ვასილ წერეთელი, სამსონ დადიანი, ივანე გომართელი და სხვა.

წიგნებსა და ბროშურებში აღწერილია ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეები, შეხედულებები საქართველოს წარსული და თანამედროვე ისტორიის შესახებ, მათი დამოკიდებულება პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებასთან. მათში გადმოცემულია სხვადასხვა სოციალური ფენების მდგომარეობა, მათი აღქმა და ჩართულობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და ვითარება ერთი მხრივ, იმპერიის გავლენაში ყოფნისას და მეორე მხრივ, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. ნათარგმნი ლიტერატურა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვიგებთ რა საკითხები წარმოადგენდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილის ინტერესის სფეროს, რადგან ძირითადად ითარგმნებოდა ის წიგნები, რომლებშიც ასახული იყო ძირითადად სოციალური და ეკონომიკური განვითარების ასპექტები. ესენი იყო: ვ. ლენინის, გ. პლესხანოვის, პ. კროპოტკინის, ლ. მარტოვის, პ. მასლოვის კ. კაუცკის, პ. ლაფარგის, ა. ბებელის, ვილ. დრეპერის, და სხვა.

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში წარმოდგენილი იყო თითოეული მათგანის ხედვები საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სამომავლო

განვითარებაში.

4. დაბოლოს, ცხადია, ვემყარები საარქივო დოკუმენტებს, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში ასახულია ის საიდუმლო მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ იყო აღნიშნული პერიოდის საზოგადოების ფართო ფენებისთვის, განსხვავებით ზემოთ აღნიშნულ წყაროთა სისტემისაგან. ამიტომ ეს ინფორმაცია დღეისათვის ორმაგად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

დავამუშავე შემდეგ ფონდებში დაცული მასალები: 1. კავკასიის პოლიციური სამმართველოს კანცელარიის ფონდი 83, (საქმეები: №2, №3, №4, №9, №46, №48, №56). 2. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის ფონდი 153, (საქმეები: №1, №361<sup>5</sup>, №394<sup>1</sup>, №1782, №1853, №1887<sup>1</sup>, №1924<sup>1</sup>, №2029, №2179, №2306, №2309, №2323, №2343, №2858). 3. თბილისის გუბერნიის სამმართველოს უფროსის განყოფილების ფონდი 156, (საქმე: №13). 4. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის განყოფილების ფონდი 1824, (საქმეები: №7, №8, №32). 5. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფონდი 1825, (საქმეები: №17, №89). 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ერთობის“ რედაქციის ფონდი 1830, (საქმეები: №9, №21). 7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ფონდი 1833, (საქმეები: №85, №167, № 970, №971, № 1072). 8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდი 1836, (საქმეები: №12, №18, №32, №33, №77). 9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფონდი 1861, (საქმეები: №418, №533). 10. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდი 1863, (საქმეები: №13, №75, №249, №319, №782). 11. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს ფონდი 1915, (საქმე: №1436). 12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო სკოლების სამინისტროს ფონდი 1935, (საქმეები: №20, №249, №318, №325, №453, №455, №658, №1166).

5. ეროვნული პრობლემის ირგვლივ სხვადასხვა გამოკვლევები არსებობს, როგორცაა იური კაჭარავა, „ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები“ (235), გურამ ყორანაშვილი, „ეროვნული საკითხი“ (289), მისივე „ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები“ (287) და „ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები“ (288), დავით მაღაზონია, „ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის II ნახევარში“ (243). თუმცა, ქართული იდენტობის

ისტორიის კვლევას ბოლო დროს დაეთმო ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემა სათანადო სისრულით არის დღეისათვის დამუშავებული. ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ სპეციალური ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ მცირერიცხოვანია. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს და დასკვნებს გვთავაზობენ. მათგან აღსანიშნავია: მარიამ ჩხარტიშვილი, „ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში“ (295), ლელა პატარიძე, „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII საუკუნეების ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო“ (253), ზურაბ კიკნაძე, „ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები“ (237), მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია, „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში ივერია და მისი მკითხველი საქართველო“ (296), ნატო სონდულაშვილი, „ქართული ერთობა და მისი იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში (პრესის მასალების მიხედვით)“ (272). იდენტობრივ კვლევებს ასახავს აგრეთვე გიული ალასანია თვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში (მთელისა და ნაწილის ურთიერთობა) (207), „ქართველი ერის დაბადება“ (284), თინათინ ბოლქვაძის, „ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“ (220), ზაალ კიკვიძე, „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“ (236).

აღნიშნული გამოკვლევები მოწმობს იმას, რომ იდენტობრივი კვლევებისადმი ინტერესი დიდია. ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების განხილვა ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული ქართველი მეცნიერების კვლევის საგანი ხდება.

მართალია დასახელებული ნაშრომები მიუთითებს იმას, რომ მნიშვნელოვანი საკითხებია ავტორთა ყურადღების ცენტრში მოქცეული, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1900-1921 წლების შესახებ კომპლექსური გამოკვლევა არ არსებობს. დისერტაცია აღნიშნულის მცდელობას წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემს მიზანს წარმოადგენს აღვადგინო და შევაფასო ქართული გარემო 1900-1921 წლებში. აქედან გამომდინარე, ვეხები იმ საკითხებს, რომლებიც ეპოქის გამოწვევას წარმოადგენდა და ქართველი ერის ცნობიერების ფორმირებაზე ახდენდა გავლენას. დისერტაციის სტრუქტურა აღნიშნულის შესაბამისია.

დისერტაცია შედგება შესავლის, ექვსი თავის, თექვსმეტი პარაგრაფის და დასკვნისაგან.

პირველ თავში განხილულია ეროვნული პრობლემის კვლევის უმნიშვნელოვანესი საკითხი, კერძოდ, წარმოდგენილია თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ.

მეორე თავში შესწავლილი და შეფასებულია ცენტრის და პერიფერიის ანუ ქალაქის და სოფლის როლი და მნიშვნელობა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

მესამე თავში შესწავლილი და გაანალიზებულია სხვადასხვა სოციალური ფენის თუ ჯგუფის ცნობიერების განვითარება, ნაჩვენებია რა როლს თამაშობდა თითოეული მათგანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში და დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

მეოთხე თავში ნაჩვენებია ნაციონალური სიმბოლოების როლი და ისტორიული მეხსიერებისა და ტრადიციების მნიშვნელობა ქართველი ერის ცნობიერებაში.

მეხუთე თავი ასახავს ქართულ გარემოს და ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელ კრიტერიუმების მნიშვნელობას ქართული ერთობის თითოეული წევრის დაახლოება-გაერთგვაროვნებაში.

მექვსე თავში კი საუბარია ეროვნული თავისუფლების ფენომენზე, რომლის წინაპირობაა ზემოთ განხილული საკითხები.

ბოლოს წარმოადგენილია კვლევის შედეგები და დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომში ისტორიული რეპრეზენტაციისა და წყაროთმცოდნეობითი ანალიზისათვის გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდები. ნაშრომის ძირითადი ცნების – ერის – გააზრება ეფუძნება და ითვალისწინებს თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერების მიღწევებს აღნიშნული ფენომენის განსაზღვრაში.

დისერტაციის სიახლე მდგომარეობს შემდეგში: ქართული იდენტობის საკითხი შევისწავლე მთლიანად 1900-1921 წლების მაგალითზე და რაც მთავარია, ვეყრდნობი არა მხოლოდ კონკრეტულ წყაროთა ტიპს, არამედ როგორც უკვე გამოვკვეთე კომპლექსური ანალიზის შედეგადაა შესწავლილი ყველა ის პრობლემა, რომელიც ეპოქის გამოწვევას წარმოადგენდა. დისერტაციის კვლევის საგანს წარმოადგენს ქართველი ერის ცნობიერების განვითარების პროცესის

შესწავლა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. ნაშრომში სხვადასხვა ეროვნული იდენტობრივი მახასიათებლების საფუძველზე, სხვადასხვა სოციალური ფენების თუ ჯგუფების როლის შეფასების და შესწავლის ფონზე, წარმოდგენილია ქართული გარემო 1900-1921 წლებში და ნაჩვენებია აღნიშნულ ეპოქაში ეროვნული თავისუფლების ფენომენის აღქმის ევოლუცია ქართველი ერის მიერ.

## თავი I.

### ეროვნული პრობლემის ზოგიერთი საკითხი

ეროვნული საკითხი მეტად აქტუალური და პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთხელ დასმულა კითხვა ეროვნული თემის ირგვლივ და სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მითუმეტეს დღეს საკმაოდ აქტუალურია ამგვარი საკითხების კვლევა სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობებზე დაყრდნობით, საბოლოო მოსაზრება ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. და ალბათ, ვერც ამჯერად მივიღებთ დასკვნით განმარტებას, თუმცა მინდა ყურადღება გავამახვილო რამოდენიმე საკითხზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და მათი მთავარი მიზანი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ლოზუნგის: „მამული, ენა, სარწმუნოება“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ეს არის იდეა, რომელიც, ფაქტობრივად მთლიანად გასდევს XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილის, კულტურული და პოლიტიკური ელიტის ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის მოსახლეობის ფართო ფენებში და ეროვნული თავისუფლებისათვის.

დავიწყებ იმით, რომ ილიას მიერ ერთიან ლოზუნგად დამკვიდრებული „მამული, ენა, სარწმუნოება“, საუკუნეების მანძილზე ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დღის წესრიგში იდგა ყოველთვის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე მათგანი წინა პლანზე იყო წამოწეული და განმსაზღვრეად ადგილს იკავებდა.

მართალია, სადისერტაციო ნაშრომი ეხება XX საუკუნის პირველ ოცწლეულში განვითარებულ მოვლენებს, მაგრამ, პრობლემის სირთულისა და მრავალმხრივობა-მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ბუნებრივია გვერდს ვერ აგუვლი წინა საუკუნეებს. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეპოქაში განსაკუთრებულ განზოგადებას ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი რომელიმე ნიშანი იღებდა ხოლმე, მართა-

ლია, ეს ყოველივე ერთიან სისტემაში მოიაზრებოდა, მაგრამ თითოეული მათგანი საჭიროების შემთხვევაში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მთავარი სიმბოლო ხდებოდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გავრცელდა საქართველოში და შემდეგში ის გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, ქართველობა და ქრისტიანობა განუყრელი ცნებები გახდა. საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობა იყო ქართველი საზოგადოების მთავარი შემაკავშირებელი. მაშინ, როდესაც სახელმწიფო რელიგიას საფრთხე დაემუქრებოდა ხოლმე და მისი არსებობა ყოფნა-არყოფნის საკითხზე იყო დამოკიდებული, ქართველი სასულიერო წოდების მიერ განხორციელებული ქმედებები ხელს უწყობდა ქართველი ერის ცნობიერებაში მის შენარჩუნებას.

როგორც შესავალში აღვნიშნე, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ცნობიერებამ განვითარების გარკვეული გზა განვლო, ამიტომ ჩემი მიზანია ეპოქის მახასიათებლების და გამოწვევების გათვალისწინებით ამ პრობლემის შესწავლა, კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, 1900-1921 წლებში.

აღნიშნულ პერიოდში, ერთი მხრივ, რუსეთის საიმპერატორო კარის და მეორე მხრივ, მარქსისტული იდეოლოგიის გავლენით საკმაოდ აქტუალური იყო მოსაზრება, რომ ქართველობა ერად ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარში. მართალია, ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით იმის შესახებ, თუ რა ფასეულობებზე დაყრდნობით მოიაზრებდნენ თავს ქართველები ერთობის წევრად, მაგრამ იმის თქმა, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ იწყება რთული სათქმელია. ბუნებრივია, დისერტაციის სტრუქტურისა და თემატიკიდან გამომდინარე მე ვერ შევხვები და არც არის ჩემი კვლევის მიზანი შუა საუკუნეების საქართველო, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, რომ თითოეულმა იმ იდენტობრივმა მახასიათებელმა, როგორცაა: ენა, ქრისტიანობა, ტერიტორია და ა.შ. რომელთა მნიშვნელობას მოდერნული პერიოდის ქართველი ერის შესახებ შესაბამის თავებში განვიხილავ, ნამდვილად დიდი როლი ითამაშა საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ერთიანობის შეგნებაში.

პირველ რიგში ხაზი მინდა გაუუსვა იმას, რომ რუსეთის გავლენაში მყოფ საქართველოს ცხოვრებაზე თავის ასახვას პოულობდა იმპერიაში მიმდინარე მოვლენები და განსაზღვრავდა ხშირ შემთხვევაში ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართულებას და, ბუნებრივია, ეროვნულ თვითშეგნებაზეც გავლენას ახდენდა. XIX საუკუნეში რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ახალ სისტემაზე მოუწია გადასვლა, რაც ქვეყნის ცხოვრების

ყველა სფეროს შეეხო. ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ჩვენთვის აღმოჩნდა რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ მიზანმიმართული ქმედებების შედეგად კუთხურობის გაძლიერება. მართალია, მარქსისტი ისტორიკოსები წერდნენ, რომ რუსეთის მიერ გზების გაყვანამ დააკავშირა ქართველები ერთმანეთს, კაპიტალიზმმა კი უფრო მეტად შეუწყო ხელი ამ პროცესს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში განვითარებულ მოვლენებს, ეს ყველაფერი საპირისპიროს მტკიცების საშუალებას გვაძლევს. რუსეთის ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად ქართველების ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა და უკვე XIX საუკუნის II ნახევარში იღია ჭავჭავაძე წერს: „აბა დაიძახე ქართველო-თქო, თუ შავი ზღვიდამ მოყოლებული კასპის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულმა ქართლელის მეტმა შემოსედოს ვინმემ და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“ (298, 164). ეს პრობლემა მეტ სიმწვავეს იძენს როგორც XX საუკუნის I, ისე II ათწლეულში. ჟურნალ „მოგზაურში“ ვკითხულობთ: „ჩვენებურ კაცს, ვინც უნდა იყოს ის, რომ შეხვდეთ და კითხოთ, ვინა ხარო? გეტყვის თუ კახელია კახელი ვარო, თუ რაჭველია – რაჭველიო და სხვა ამგვარად. სამარცხვინოა ჩვენთვის, რომ დღემდის ვერ შეგვიგნია თუ ვინა ვართ. როდესაც ჩვენ, როგორც ერთი კაცი, ისე ყველა ვიტყვით, ჩვენ ქართველნი ვართო, მაშინ, მხოლოდ მაშინ მოგვენიჭება ჩვენ ღვთიური ძალა, მხოლოდ მაშინ იტყვის ჩვენი მტერი, რომ ჩვენც რამედ მისაჩნვეი ვართ სხვა ერთა შორის“ (184, 164-165).

1911 წელს თემი წერდა: „კითხევით პირველ შეხვედრილ მეგრელს ქართველი ხო არა ხარო? – დაუფიქრებლად გეტყვით: არა ბატონო მე მეგრელი ვარო. ასევე გეტყვით იმერელი, ასევე ფიქრობს ფშაველი. ქართლელი იმერლობას თაკილობს, კახელი კიდევ ორივეს ერთად“ (71, 1).

ბუნებრივია შუა საუკუნეების და შემდეგდროინდელი ქართული ერთობის ცნობიერება განსხვავდება ერთმანეთისგან. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით სტალინი ასეთ მოსაზრებას აყალიბებს: „ერი არის არა უბრალოდ ისტორიული კატეგორია, არამედ ისტორიული კატეგორია განსაზღვრული ეპოქისა, – აღმავალი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პროცესი ამავე დროს ადამიანთა ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება, მაგ. დასავლეთ ევროპაში. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და

სხვ. ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად წინ მიდიოდა. მაგრამ ერების წარმოშობა იქ ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ერები ამავე დროს სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთ ევროპაში საქმე ცოტა სხვა-ნაირად ვითარდებოდა. მაშინ, როდესაც დასავლეთში ერები სახელმწიფოებად განვითარდნენ, აღმოსავლეთში ჩამოყალიბდნენ სანაციონალიზმის სახელმწიფოები, რამდენიმე ეროვნებისაგან შემდგარი სახელმწიფოები. ასეთია ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი. ავსტრიაში პოლიტიკურად ყველაზე განვითარებული გერმანელები აღმოჩნდნენ და სწორედ მათ იკისრეს ავსტრიის ეროვნებათა სახელმწიფოდ გაერთიანების საქმე. უნგრეთში ყველაზე მეტად შეგუებული სახელმწიფოებრივი დარაზმულობისადმი აღმოჩნდნენ მაღიარები – უნგრეთის ეროვნებათა ბირთვი, იგივე – უნგრეთის გამაერთიანებელი. რუსეთში ეროვნებათა გამაერთიანებლის როლი იკისრეს ველიკოროსებმა, რომელთა სათავეში იდგა ისტორიულად ჩამოყალიბებული ძლიერი და დარაზმული თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია“ (276, 15). მარქსისტული წარმოდგენა ერების მიმართ ასეთია „თანამედროვე ნაცია ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოების და აღებ-მიცემობის. ფეოდალურ ხანაში თითოეული ერი დანაწილებულია რამოდენიმე ერთიმეორის მოქიშპე ნაწილებად და მაშასადამე აქ არც კი შეიძლება იყოს ერი ერთი ჭირით და ღხინით გარემოცული. ამ ხანაში ნაცია, ნაციონალური იდეაც კი არ არსებობს. მას შემდეგ რაც ერი თავს აღწევს ასეთ ყოფას და დგება სამოქალაქო განვითარების გზაზე, ის თანდათან ძლიერდება, ნაციონალურ ერთობას და ერთ პოლიტიკურ ცხოვრებას ეჩვევა და ამ გზით ხდება თანამედროვე კულტურულ ნაციად“ (258, 9). იმის საჩვენებლად თუ როგორი განსხვავება იყო შუა საუკუნეების საქართველოსა და კაპიტალიზმის პერიოდის ქართველს შორის ნათლად აჩვენებს შემდეგი ფაქტი, კერძოდ, სვანეთის ერთ-ერთი თემის ლატალის პატარა სოფლის ლაილის ეკლესიის ხატის XI საუკუნის წარწერა: წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატონიანნი, დადიანი და დიდებული და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანნი...“. როდესაც ამ წარწერას ვკითხულობთ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ეს ხომ ერთიანი საქართველოს პერიოდია და ბუნებრივია ასეთი აღქმა საზოგადოების მხრიდან? მაგრამ თუ იმ ლიგიკით ვიხელმძღვანელებთ, რომ შუა საუკუნეებში სხვადასხვა

კუთხეებს შორის კავშირი არ იყო და ყველა საკუთარი რეგიონის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და კაპიტალიზმის შემოსვლის შემდეგ უკავშირდება ერთმანეთს ცალკეული კუთხეები. მაშინ სვანეთში, მთის ნაწილში, რომელიც ყოველთვის განკერძოებით იდგა ხელისუფლებისაგან, რატომ იყო ასეთი სულისკვეთება ერთიანი საქართველოს მიმართ? ანუ ზემოთ მოტანილი მაგალითები მოწმობს, რომ ეს არის რუსეთის მიერ შექმნილი იდეოლოგია. და თუ ეს ელიტის იდეოლოგიაა და საზოგადოებაში არ იყო ასეთი აღქმა, მაშინ XIX საუკუნეშიც ინტელიგენცია ქმნის იდეოლოგიას და ნაკლებ სავარაუდოა რომ ეს იდეა ხალხში სრულად პოულობდა ასახვას. მართალია ამ დროს პრესა არსებობს, მაგრამ XIX საუკუნის II ნახევარში წერა-კითხვის დონე დაბალია საზოგადოების ფართო ფენებში. ჯერ მხოლოდ პროცესია დაწყებული საგანმანათლებლო დონის ამაღლებისთვის. გავისენოთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი სიტყვები: “ერთ-მეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი: პირველი უკეთუ ჰკითხოთ ვისმე ქართველსა, ან იმერელსა, მესხსა, ჰერ-კახსა, „რა რჯული ხარ“, წამს მოგიგებს „ქართველი“. მეორედ, არს მათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი და იგივე ფარნაოზ პირველსა მეფისაგან ქმნული და ჰკითხოს მათ წინ-თქმულთა კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის „ქართული“, რამეთუ არ იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამე არა სადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესიამონასტერთა ანუ ხატთა და ჯვართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყო სხუათა მეფეთა სახელნი თვნიერ – „ჩვენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქარლისა და აფხაზეთისამან – „რომელნი ზედმიწერილი არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“ (194, 265). აქაც შეიძლება დაისვას კითხვა, ვახუშტი ბატონიშვილი ხომ ელიტის წარმომადგენელია და შეიძლება ის ქმნის ამ იდეოლოგიას? მაგრამ ჯერ ერთი, იგი საკმაოდ აკრიტიკებს ქართულ ხასიათს და უარყოფით მხარეებსაც უსვამს ხაზს და მეორე, როგორც ვიცით შუა საუკუნეებში საზოგადოების ფართო ფენებმა არ იციან წერა-კითხვა და ვერც ვახუშტის დაწერილი ფაქტი გახდებოდა იმ პერიოდის საზოგადოების ყურადღების საგანი. XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში კი კულტურული და პოლიტიკური ელიტა ფართო ფენებისთვის ქმნის იდეოლოგიას და იღია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული იდეა ეპოქის გამომდახილია. ასე რომ იმის მტკიცება, რომ შუა საუკუნეებში არ იყო ერთიანობის აღქმა საფუძველს მოკლებულია. ყოველ შემთხვევაში ფაქტობრივი მასალის გათვალისწინების

გარეშე, რომელიც მწირია ვერ შევძლებთ მტკიცე მოსაზრების ჩამოყალიბებას.

ლენინიზმი ასაბუთებს, რომ ერები არ შეიძლება ყოფილიყო კაპიტალიზმამდე, ვთქვათ, ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ხალხები ცალკეულ სამთავროებად იყვნენ დაქუცმაცებულნი. ამ პერიოდში არ არსებობდა ეროვნული ბაზარი, გამაერთიანებელი ეკონომიკური და კულტურული ცენტრები. სტალინი აღნიშნავს თავის ნაშრომში, „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“: „ერები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ წინა კაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური ბაზრები, არ იყო არც ეკონომიკური და არც კულტურული ცენტრები, არ იყო მაშასადანე, ის ფაქტორები, რომლებიც სპობენ ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობას და ერთ ეროვნულ მთელად აკავშირებენ ამ ხალხის მანამდე გათიშულ ნაწილებს“ (276, 20). ამ მოსაზრების საპირისპიროდ, საინტერესოა შემდეგი ფაქტი. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, როდესაც ჟან შარდენმა იმოგზაურა საქართველოში, სამეგრელოს აღწერის დროს იგი აღნიშნავს, რომ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ბაზრობები სადაც იკრიბებოდა სხვადასხვა მხარის წარმომადგენლები. „14 სექტემბერი წიფურიაში სადღესასწაულო დღეა, იმართება ბაზრობა, რომელსაც სიპიასობას უწოდებენ. იგი ორშაბათიდან კვირამდე გრძელდება. ამ დღეს თავიანთ ეკლესიებში თავზე დადებული მიაქვთ წმინდა გიორგის ხატები. რადგანაც ამ დღესასწაულზე ბაზრობის გამო ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის, მათ შორის მრავალი უცხოელია, რომელთა უმეტესი ნაწილი სომეხი, ქართველი და ებრაელი ვაჭრები არიან. აქ გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს ყოველგვარი სურსათ-სანოვაგით, სამკაულებით, ქსოვილებით, რომლებიც ადგილობრივი საქონლის გვერდით იყიდება“ (195, 195). აგრეთვე მარქსისტული იდეის საწინააღმდეგოს ამტკიცებს შემდეგი დოკუმენტი. ეს არის 1819 წელს თბილისის პოლიციამისტერის იოსებ შაგუბატოვის აღწერის მონაცემები, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად აქცენტი გაკეთებულია საშინაო ბაზრის აღწერაზე. ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში კაპიტალიზმი არ არის შემოსული და რუსების შემოსვლიდან ამ მოკლე ხანში ვერც გზების გაყვანა მოესწრებოდა იმ მასშტაბით, რომ ვაჭრობას ასეთი ხასიათი მიეღო. მისი ცნობებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან ფართო სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა. ჩამონათვალის მიხედვით საქართველოს ეს ორი მხარე ერთმანეთში მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქციას ცვლიდა, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ქვეყანაში ერთიანი

შიდა ბაზრის განვითარებას. არსებული სავაჭრო ურთიერთობები აღწერილია არა ზოგადად, არამედ ჩამოთვლილია ცალკეულ რეგიონებში წარმოებული სავაჭრო პროდუქცია. (232, 3)

აღწერის მიხედვით თბილისის ბაზართან დაკავშირებული ყოფილა ყველა რეგიონი – „შიდა ქართლიდან და ანანურიდან თიფლისში ჩამოტანილი გასაყიდი საქონლის ნაცვლად ცოტა ფულს იღებენ. უფრო მეტად მიაქვთ საქონელი: ღვეკური ნაბდები, ხარები და სხვა, რაც მათთან არ არის, ან ძალიან ცუდია.

ქიზიყელი და კახელი გლეხები კი ჩამოტანილი ღვინის სანაცვლოდ ბევრ ფულს იღებენ და ამასთან მსხვილფეხა საქონლის გარდა იმავე საქონელს ყიდულობენ, რასაც ქართლები.

კეთილშობილი გვარიშვილები იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან, ასევე ალაღარები ყაზახიდან, შამშადილუსა და ბორჩალოს დისტანციებიდან ტფილისელი ვაჭრებისაგან და მედუქნეებისაგან ყიდულობენ მრავალი სახის შემოტანილ საქონელს, რომელსაც იყენებს ორივე სქესი სამოსად და სხვა“ (232, 4).

ფაქტობრივად ზემოთ მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ ქართული ერთობის წევრებს შორის კავშირი არსებობდა ყოველ ეპოქაში, თუმცა სხვადასხვა ფორმით იყო გამოხატული. ზემოთ განხილული საკითხის მართებულობას ადასტურებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის მოსაზრება: „რუსეთის მთავრობამ საქართველოს სახელი პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ლექსიკონიდან ამოშალა და მხოლოდ იმპერატორის ტიტულში და ეგზარხის წოდებაში დასტოვა. საქართველო რუსულ გუბერნიებად და მაზრებად დასჭრა, ხოლო ქართველი ერის არსებობა გააზღაპრა, ასეთი ნაცია თითქოს არ არსებობდა, მისთვის იყო ქართლები და გურულები, მეგრელები და კახელები, იმერლები და სვანები, აჭარლები და ხევსურები და ასე ბოლომდე. ამით დამპყრობელთ უნდოდათ ქართველი ერის გახრწნა და დაშლა. ამ, მიზნისათვის დიდის თავგამოდებით მუშაობდა რუსული ეკლესია და აი, მანაც უძლიერესი იერიშები საქართველოს განაპირებაზე მიიტანა“ (199, 57).

როგორც ვხედავთ, კუთხურობის გამოხატულება იყო არა მხოლოდ კაპიტალიზმის არარსებობის და უგზოობის მიზეზი, არამედ რუსეთის საიმპერატორო კარის მიზანმიმართული ანტიქართული პოლიტიკის შედეგი,

რომელიც აღორძინებას იწყებს სწორედ XIX საუკუნეში, ანუ იმ პერიოდში როდესაც კაპიტალიზმი ყალიბდება.

## თავი II.

### რეგიონალური იდენტობა: ცენტრი და პერიფერია.

ქალაქის და სოფლის ჩამოყალიბების, განვითარების და ურთიერთობის საკითხი არა ერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა და თითოეული პრობლემა სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილი. თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ქალაქის და სოფლის ისტორიის ტრადიციული ფორმით შესწავლა, არამედ მათი როლის წარმოჩენა ეროვნული სახელმწიფოს შენების, თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. დისერტაციის სტრუქტურისა და თემატიკიდან გამომდინარე, ეროვნული პრობლემის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა როგორ აღიქვამს და რა დატვირთვას ანიჭებს კულტურული და პოლიტიკური ელიტა ქალაქს და სოფელს 1900-1917 წლებში. იმ პერიოდში, როდესაც, ერთი მხრივ, განვითარების ახალ სტადიაში შედის კაპიტალისტური სისტემა და იცვლება სამეურნეო-სამრეწველო ტექნიკა, ყალიბდება ახალი სოციალური სტრუქტურა და მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა კულმინაციას აღწევს და ქართულ კულტურას, ეროვნულ ტრადიციებს და ეროვნულ ცნობიერებას გარუსების საფრთხე ემუქრება. ბუნებრივია, ჩემს მიერ განხილულ საკითხებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის და სოფლის ჩართულობის შესწავლას ამ პროცესებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა არსებობს ძველი და შუა საუკუნეების ქალაქების ისტორიის შესახებ. არაერთი ცნობილი მეცნიერი შეეხო ამ პრობლემას. ამ მხრივ აღსანიშნავია: ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, ლ. ჭილაშვილი, დ. ხახუტაიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე, მ. აფრასიძე, პ. თოფურია, რ. კლიშიაშვილი, გ. იობაშვილი, ქ. თოფურიძე, მ. სამსონაძე, ე. ორჯონიკიძე, ნ. აბესაძე, ა. ფირცხალაიშვილი, კ. კუცია, ვ. ჩაკვეტაძე, მ. ზარდალიშვილი, თ. კვიციანი და სხვა. XX საუკუნის ქალაქების შესახებ არსებული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: ა. რონდელი, დ. უკლება, შ. ჯავახიშვილი, მ. ტუხაშვილი, ჯ. მაღალურიძე, თ. ბერაძე და სხვ.

აღსანიშნავია ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომები „ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში“ (271) და „საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა ისტორია“ (270).

დასახელებულ ნაშრომებში ქალაქის და სოფლის ურთიერთობის თუ დამოუკიდებლად არსებობის და განვითარების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული. ამჯერად, ჩემს მიზანს წარმოადგენს 1900-1917 წლების ქართული გარემოს აღდგენა, რისთვისაც დისერტაციაში განხილულ საკითხებთან ერთად მთლიანი სურათის აღსადგენად და მოვლენების ურთიერთკავშირში განსახილველად: ცენტრის და პერიფერიის ანუ ქალაქის და სოფლის ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი ნიშნების გააზრებას და გამოკვეთას თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

## § 1. ქალაქი

ზოგადად, ქალაქის მნიშვნელობა მთლიანად სახელმწიფოს და კონკრეტულად სოფლის განვითარებაზე დიდია. საუკუნეების მანძილზე ქალაქმა განვითარების სხვადასხვა საფეხურები განვლო, თუმცა ფაქტი ერთია: ყველა ეპოქაში ქალაქს პოლიტიკური, და ეკონომიკური დატვირთვა გააჩნდა. შუა საუკუნეებში კი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრები სწორედ ქალაქები იყო. განსახილველ პერიოდში ქალაქის ცხოვრება ახალ განზოგადებას იძენს. გარდა იმისა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ქალაქს ახალი ეკონომიკური ფუნქცია ენიჭება, ამასთან ის ხდება კულტურული ცენტრი, პოლიტიკური და კულტურული ელიტის მთავარი დასაყრდენი საკუთარი იდეების და შეხედულებების სარეალიზაციოდ. სწორედ ქალაქიდან იწყება ეროვნული იდეების პროპაგანდა სოფლის მიმართულებით. „ქალაქს დიადი გავლენა აქვს „პროვინციის“ ცხოვრებაზე არა მარტო ეკონომიკური მხრით, არამედ იგი ღრმა დაღს აჩნევს და ასეთ თუ ისეთ მიმართულებას აძლევს, ასეთ თუ ისეთ სულს ჰბერავს სოფლის ცხოვრებას. აგრეთვე სოციალური, კულტურული და პოლიტიკური საქმე, ყოველი ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა თუ სოციალური მოძრაობა პირველად ქალაქში იჩენს ხოლმე თავს, იქ იკიდებს ფეხს და მხოლოდ შემდეგ თანდათან გადადის და ვრცელდება სოფელშიაც. რაც უფრო ცოცხლად ფეთქს

კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება თუ სოციალური მოძრაობა ქალაქში, მით უფრო მეტი სოცოცხლე ემჩნევა ცხოვრება-მოძრაობას სოფელშიაც, და პირიქით, რაც უფრო შეფერხებული და მოდუნებულია ცხოვრება-მოძრაობა ქალაქში, მით უფრო გაყინულია იგი სოფელშიაც“ (108, 2).

1900-1917 წლებში საქართველოში ქალაქებს ახალი მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭება. ის ხდება მთავარი ცენტრი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობასთან დაკავშირება და დაახლოვება. რადგანაც, ამ პერიოდში ქალაქები მთავარი სამრეწველო ცენტრები ხდებიან, აქ თავს იყრიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები, რომლებიც ახალ ცხოვრებას იწყებენ. ინტელიგენცია სწორედ მათი დახმარებით იმედოვნებს განახლებული ცხოვრების სტილის შეტანას სოფელში და მოსახლეობის გათვითცნობიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ასევე ქალაქებში იხსნება დიდი რაოდენობით სასწავლო დაწესებულებები, სადაც განათლების მიღების გარდა კულტურული ელიტა ეროვნული ცნობიერების ამაღლებას ცდილობდა ხალხში, პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილი კი, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტია, ცდილობდა სოციალიზმის განხორციელებისთვის გამოეყენებინა ეს ფაქტი. „თანამედროვე ცივილიზაციის გამომხატველი ქალაქია, იგი საზოგადოებრივ ცხოვრების ტვინი და მაჯაა. ქალაქია მბრძანებელი სოფლისა. ამისათვის არის, რომ ერი, რომელსაც სწადია იქონიოს საკუთარი ქალაქები, მეტადრე იმისთანა ქალაქი, რომელიც იქნება შემაერთებელი ცენტრი“ (192, 10). ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ახალ ეპოქაში ახალი მოთხოვნილებების და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. გაზეთი „სამშობლო“ 1916 წელს წერდა: „პოლიტიკურად ქალაქს ყოველთვის პროგრესიულ-დემოკრატიული მნიშვნელობა ჰქონია. სოფელი უფრო მცირერიცხოვანი, განმარტოებული და უძლური იყო და მაშასადამე მისი დამორჩილება და დამონება უფრო ეადვილებოდათ ხოლმე დესპოტებს. ამიტომ ძველ დროში პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლება მხოლოდ მათა სოფლებსდა შერჩენოდათ. ქალაქი კი ამ მხრით იგივე მიუვალე მთა იყო, რადგან ჯერ ერთი ხალხის სიმრავლეს შეიცავდა და მეორე, უკეთესი საომარი იარაღი და სიმაგრე მოეპოვებოდა, ვიდრე სოფელს. ამიტომ სამოქალაქო თავისუფლებათა სიმტკიცე ქალაქებში იშვა და გაიზარდა“. (118, 2).

კაპიტალისტურ წყობილებაში კი ქალაქმა სხვადასხვა ფუნქცია შეითავსა. 1. ეკონომიკური, (ეს ფუნქცია უფრო მეტად გაიზარდა) 2. კულტურული. მაგრამ,

რაც მთავარია ახალი ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაზედაც შემდეგ თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებ, განათლება და ეკონომიკის განვითარება ურთიერთდაკავშირებული აღმოჩნდა. ცოდნის გარეშე ეკონომიკის აღმავლობა შეუძლებელი გახდა. ამისთვის საჭირო იყო სკოლების დიდი რაოდენობით გახსნა, რომელთა საშუალებით სამეურნეო განათლების დონის ამაღლება უნდა მომხდარიყო. „ქალაქი უმთავრესად მრეწველობით და ვაჭრობით ცხოვრობს. ვერც მრეწველობა და ვერც ვაჭრობა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, ქალაქი ეკონომიკურ წარმატების გზას ვერ დაადგება, თუ მცხოვრებნი უვიცნი და გონებით განუვითარებელი იქნებიან. სწავლა-განათლება აუცილებელი პირობაა ხალხის ეკონომიკურ წინმსვლელობისათვის. ამიტომ ამ საქმეში ყოველი მოქალაქე დაინტერესებულია, აქ ყველას ინტერესი, განურჩევლად კლასისა და წოდებისა, შეერთებული და შეთანხმებულია“ (222, 119). თუ გადავხედავთ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში განვითარებულ მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ განათლების, სასწავლო-დაწესებულებების მნიშვნელობა უპირატესია. სწორედ მათი საშუალებით ცდილობს და ნაწილობრივ ახერხებს კიდევ კულტურული და პოლიტიკური ელიტა საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას ქვეყნის ცხოვრებაში. კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში ხელი შეუწყო ახალი ეტაპის დაწყებას ეკონომიკური, თუ კულტურული მნიშვნელობით. კაპიტალიზმმა თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ფორმების და სამრეწველო-ტექნიკური იარაღების დამკვიდრება მოითხოვა, რომლის ათვისების და გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების გარეშე საქართველო შეფერხებული გზით წავიდოდა. ეროვნულ პროგრამაში კი სამოციანელებს და მის შემდგომ თაობას ეროვნული ეკონომიკის განვითარება საქართველოს არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდათ. სწორედ ამით აიხსნება საზოგადოების წამყვანი ნაწილის თავდაუზოგავი ბრძოლა სკოლების რაოდენობის გაზრდისთვის, რომელიც გარდა ზოგადი ინტელექტის ამაღლებისა, ეკონომიკური ცოდნის მიცემასაც შეუწყობდა ხელს, რაც თავისთავად დადებითად აისახებოდა ქვეყნის მდგომარეობაზე. „სკოლა თანამედროვე განვითარების აუცილებელ იარაღად გადაიქცა, თანამედროვე კაპიტალიზმს სჭირია ხალხის მაღალი განათლება, ვინაიდან უამისოდ მსხვილი წარმოების რთული მართვა-გამგეობის აპარატი ვერ იმუშავებს. ამას საჭიროებს, როგორც ქალაქის ფაბრიკის პროლეტარი, ისე სოფლის გლეხი და სოფლის მუშა“ (114, 2).

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოს ცალკეული ქალაქების, დედაქალაქის როლის წარმოჩენას. „დედაქალაქის საკითხს ყველგან დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის. თფილისი ყოველთვის დედაქალაქი ყოფილა საქართველოსი. თფილისი საქართველოს დედაქალაქია. უთფილისოდ არ არის საქართველო. მაშასადამე უმისოდ საქართველო ვერ გაერთიანდებოდა, გაუერთიანებლად ვერ განთავისუფლდებოდა, ხოლო გაუნთავისუფლებლად იგი ვერასოდეს ვერ გაღონიერდებოდა და ამადლდებოდა კულტურულად, პოლიტიკურად და სოციალურად“ (135, 2).

როგორც დღეისათვის არსებული მასალებიდან ჩანს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა თბილისს და ქუთაისს, რომლებიც მთავარი ცენტრები იყვნენ ეროვნული იდეების ქადაგების თვალსაზრისით. ფაქტობრივად, აქ იყრიდნენ თავს კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები. სწორედ აქ ეყრებოდა საფუძველი მრავალ ორიგინალურ იდეას, რომლებიც შემდეგ საზოგადოების ფართო ფენებში პოპულობდა ასახვას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში თბილისს არ ჰქონდა ის ეროვნული და კულტურული მნიშვნელობა რაც XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა. გერონტი ქიქოძის მოგონებებში ვკითხულობთ: „თბილისს გარკვეული ეროვნული სახე არ ჰქონდა და ნაკლებ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა ახალგაზრდა ქართველ პატრიოტებისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბნებში ქართველობა უფრო დროებით შემოხიზნულს ჰგავდა, ვიდრე თბილისის მკვიდრ მოსახლეობას“ (285, 59). სტივენ ჯონსი ნაშრომში „სოციალიზმი ქართულ ფერებში“ წერს: „1905 წლამდე ეროვნული თვითშეგნება თბილისში მაცხოვრებელ თითქმის ყველა ჯგუფში საწყის საფეხურზე იმყოფებოდა. ქალაქის ასიმილირებულ ქართულ არისტოკრატიას შეეძლო რუს ჩინოვნიკებს მიმხრობოდა საკუთარი თანამემამულეების წინააღმდეგ“ (307, 212).

მოგვიანებით, თანდათან ქართული ინტელიგენტური ძალების აქტიური მოღვაწეობის, იმ ეროვნული პროგრამის შედეგად, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა საზოგადოების ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა და, ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ცალკეული ქალაქები და, მათ შორის, თბილისი იყო. გაზეთი “თანამედროვე აზრი“ 1916 წელს წერდა: „თფილისი ერთად ერთი ცენტრია, სადაც თავმოყრილია სოციალური და იდეური ცხოვრების ყველა ძაფები. ქუთაისი კი,

როგორც წვრილბურჟუაზიული და გლეხური პროვინციის დედაქალაქი, იდეურად მხოლოდ თბილისიდან იკვებება“ (63, 2). პონტოელი, იგივე ილია ჩიქოვანი კი აღნიშნავდა: „ქუთაისის საზოგადოებრიობა, მისი ინტელიგენცია თავიდანვე გამოირჩეოდა პროგრესული სულისკვეთებით. მან დროზე აუღო ალღო ხალხის კულტურულ მომსახურების საჭიროებას და შესაფერი ადგილი დაუთმო ქართველ ხალხში ჯანსაღი ნაციონალური გრძნობის გაღვივებასაც და, რაც მთავარია, მაღალი დემოკრატიული პრინციპების შთანერგვას“ (203, 5). საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც არასდროს კაპიტალიზმის ეპოქის საქართველოში ქალაქი მნიშვნელოვან დატვირთავს იძენს და, რაც მთავარია, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების თვალსაზრისით ქალაქს ახალი სიტყვა უნდა ეთქვა. ამასთან, ქალაქის მთავარ ეკონომიკურ ცენტრად გახდომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ამ მონაპოვრის შენარჩუნება და ახალი მიმართულებით აღორძინება. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. ფეოდალური სისტემის დარღვევის შემდეგ კაპიტალიზმმა საქართველოშიც შემოაღწია და სერიოზული პრობლემების მიუხედავად XX საუკუნის დასაწყისში გარკვეული წარმატებებიც განიცადა. სწორედ ამით აიხსნება ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან მუდმივი მოწოდებები საქალაქო ცხოვრების ასაღორძინებლად და ამ პროცესში სხვადასხვა სოციალური ფენის ჩართულობის გაზრდისთვის.

## §2. სოფელი

საქართველოს ისტორიიდან, ქართული ტრადიციებიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სოფელი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, საქართველო საუკუნეების მანძილზე მიწათმოქმედების ქვეყნად მიიჩნეოდა. მოდერნულ ეპოქაში ბუნებრივია აუცილებლობას წარმოადგენდა ტრადიციების შენარჩუნება და გაგრძელება. ამასთან, დროის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ახალი გამოწვევების გათვალისწინებაც საჭირო იყო.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში ინტელიგენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სოფლის აღორძინება და გლეხური მეურნეობის ახალ სტანდარტებზე გადასვლა იყო. ფეოდალის და გლეხის ურთიერთობა აგებული იყო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და გლეხი მათ უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მეორე მხრივ, ყველას გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი ფუნქცია და მორგებული და მიჩვეული იყო იმ სისტემას, რომელიც დამკვიდრებული იყო. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ შეცვალა არსებული ვითარება. ეკონომიკური ურთიერთობის შეცვლამ დიდი გარდატეხა შეიტანა გლეხის ცნობიერებაში. ფეოდალიზმის ეპოქა დასრულდა და საჭირო იყო გლეხი ჩართულიყო ახალ ცხოვრებაში. რაც არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ცვლილება განიცადა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულმა წეს-ჩვეულებებმა. გლეხი ახალი ეპოქის ახალი წევრი გახდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პრობლემა უცებ არ მოგვარებულა, პირიქით. ამდენად, 1900-1921 წლებში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მთლიანად მიმართულია ჩართოს სოფელი ეროვნულ პროცესებში და ამასთან მოხდეს შეგუება კაპიტალისტური წყობისადმი. „სოფელი ეს დედაბოძი ჩვენი ცხოვრებისა, დღემდე შეუსწავლელია. არ ვიცით, როგორ ცხოვრობს ჩვენი გლეხკაცი, რა იარაღით ებრძვის დღევანდელს უნუგეშო მდგომარეობას, რა აწუხებს, ან რის იმედით სულდგმულობს, რა დამოკიდებულება აქვს თავადაზნაურობასთან, სამღვდელოებასთან და იმ აუარებელ სახელმწიფო მოხელეებთან, რომელნიც გარს ეხვევიან, ჰნატრობენ, ჰზრუნავენ მათის ცხოვრების განკარგებისათვის და ამასთან იმათვე ნაშრომს ჰკრეფავენ სახელმწიფოს სასარგებლოდ და საერობო დაწესებულებათა შესანახად. არც ერთი მოვლენა ჩვენი სოფლის ცხოვრებისა ისე გამოკვლეული არ არის, რომ

მის შესახებ ერთი და იგივე ჭეშმარიტი აზრი იქონიოს ყველამ.“ (89, 2). სოფლის წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად გაზეთი „ივერია“ შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევდა. „რა აბრკოლებს სოფლის წარმატებას? პირველი. უმეტესი ნაწილი ჩვენი მამულებისა არ არის გამიჯნული და ამის გამო აუარებელი დავაა გამართული. მეორე. დროებითი ვაღდებულება. მესამე. არ გვაქვს გონივრული მოწყობილი სახელოსნო სახალხო სკოლები, სადაც ბავშვებს შეეძლოთ ნამდვილ პედაგოგიურს საფუძველზედ სწავლის მიღება“ (88, 2).

ამასთან, როგორც აღვნიშნე ნაშრომის შესავალ ნაწილში ეს პერიოდი მეტად რთული და მრავალმხრივია და მისი შესწავლა მხოლოდ წყაროს ერთი სახით შეუძლებელია. მართალია, ნაციონალური იდეების მატარებელი ჟურნალ-გაზეთები აქტიურად გამოხატავდნენ ხალხის პოზიციებს, მაგრამ ეროვნული იდეის გარდა სხვადასხვა საკითხებიც იყო აქტუალური. მათ შორის, როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა მიწის პრობლემა იყო მოსაგვარებელი. „ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი სოფლის ცხოვრებას და სოფლელი ხალხის მდგომარეობას, უეჭველად ეცოდინება, თუ როგორი დიდი სიმცირეა მიწისა ჩვენში. ხალხი თანდათან მრავლდება, სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადი მატულობს, კულტურული მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მიწა, რა თქმა უნდა, წინანდელი სივრცისაა და ჩვენი მეურნე ხალხი შიმშილით ამოწყდებოდა, რომ იგი ასე თუ ისე არ ახერხებდეს სოფელს გარედ რაიმე სამუშაოს შოვნას. და გარეშე შემოსავლით მიწის ნაკლებობის ცოტათი მაინც შევსებას“ (93, 1).

სწორედ ეს პრობლემები იქცა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მთავარ გამოწვევად. თუმცა მთავარი და აუცილებელი მოთხოვნილება სწავლა-განათლების გავრცელება იყო, რომლის საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო ყველა ის საკითხი, რაც ეპოქის მოთხოვნილებას წარმოადგენდა. განათლების გავრცელებას საზოგადოების ფართო ფენებში ხელი უნდა შეეწყო სამეურნეო ცოდნის ამაღლებისთვის და საბოლოო შედეგი ეკონომიკური წარმატება ყოფილიყო. საერთოდ, კი სწავლა-განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოდერნულ ეპოქაში. სკოლებს, სასწავლო დაწესებულებებს მთავარი მისია ეკისრებოდათ არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების, ასევე პოლიტიკური დონის ამაღლების და ეკონომიკური წინსვლის გადაწყვეტის საკითხში. ამ მხრივ სოფლის და ქალაქის განვითარება და ახალ დროსთან შეგუება უშუალო კავშირში იყო ზემოთ განხილულ საკითხებთან.

სოფელი XX საუკუნის დასაწყისში მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფე-

ბოდა. მართალია XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ქართული კულტურული და შემდეგში პოლიტიკური ელიტის მიერ მუდმივად კეთდებოდა აქცენტი კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელ პროცესზე გადასასვლელად. თუმცა ეს ყოველივე არც ისე ადვილად და სწრაფად გადაწყდა. განსაკუთრებით რთული მისაღები იყო კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი წესები სოფლის მოსახლეობისთვის, გლეხისთვის. მართალია, ქალაქშიც მტკივნეულად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მაგრამ სოფელთან შედარებით უფრო წინ წასული იყო. თუ საუკუნის დასაწყისში სოფლისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ახალ ეკონომიკურ სისტემასთან შეგუება, თანდათან ელიტის მოღვაწეობის შედეგად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სოფლის მაცხოვრებლებმა გააცნობიერეს ახალი ეპოქის გამოწვევები და მეტნაკლებად ცდილობდნენ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას სამეურნეო ცოდნის ამაღლებით. ამ ყოველივემ განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო. თავდაპირველად საზოგადოება გულგრილად უყურებდა როგორც განათლების მიღებას, ისე სამეურნეო ცოდნის ამაღლებას. ნელ-ნელა ეს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა და 1917 წელს გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: „ერთი გარემოებაა დიდად ყურადსაღები სოფლად. ასეა თუ ისე დღეს პოლიტიკური მუშაობაა, ხალხში პოლიტიკური შეგნება შედის, ხალხი პოლიტიკურად იღვიძებს, გამოდის სახელმწიფოებრივ სარბიელზე. მაგრამ ამასთან ერთად კიდევ უფრო გრძნობს კულტურულ-ეკონომიკური მუშაობის საჭიროებას. პოლიტიკაზე არანაკლებ სწყურია სოფლის ეკონომიკა, მეურნეობის აღორძინება, განვითარება, ცოდნის, განათლების გავრცელება, სოფელი მომწიფებულია ამისთვის, მზადაა, ელის მოუთმენლად. უამისოდ მისი მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება“ (137, 1).

ქალაქის და, განსაკუთრებით სოფლის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ მედიაში. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში საუბარია იმ პრობლემებზე, რაც აწუხებს ქალაქის და სოფლის მოსახლეობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროვინციის საკითხს, რადგან ახალი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვა სოფელმა. ამას თან ემატებოდა ადგილობრივი მოხელეების და მმართველების მიერ დაწესებული გადასახადები, რაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ისედაც გაღარიბებულ სოფელს.

ჟურნალ-გაზეთებში დიდი ინტენსივობით იბეჭდებოდა სტატიები საქართ-

ველოს სხვადასხვა სოფლების, ქალაქების შესახებ. აქ საუბარი იყო ყველა პრობლემაზე, დადებით თუ უარყოფით მხარეებზე. ეს ეხებოდა როგორც ყოფით, ისე საზოგადო პრობლემებს. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ყურადღებას იქცევდა ქალაქის და განსაკუთრებით, სოფლის მაცხოვრებლების ყველა ნიუანსი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ორგანოში იბეჭდებოდა სტატიები ამასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა აღინიშნოს გაზეთი „თანამედროვე აზრი“, რომელიც გამოდიოდა 1915-1917 წლებში ნ. უდენტის რედაქტორობით. ბუნებრივია აქ სრულიად ვერ განვიხილავთ ყველა სტატიას, თუმცა აქცენტს გავაკეთებ ძირითად პრობლემებზე და საზოგადოებისთვის საინტერესო მოვლენებზე, რომლებიც აქტუალური იყო აღნიშნულ ეპოქაში და რომელიც ნათლად გამოხატავს სოფლის მცხოვრებლების სულისკვეთებას და მოთხოვნებს. ამასთან მათ აღქმას, როგორც ეროვნული იდეისა, ასევე საზოგადოებრივი საკითხებისას. ჟურნალ-გაზეთებში ყურადღება მახვილდება საქართველოს ყველა კუთხეზე, წინა პლანზე წამოწეულია ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას. (განსხვავებულია თითოეული კუთხის მცხოვრებლების ინტერესი). მაგალითად, თუ გურიაში ხალხი განათლების მიღებისთვის განსაკუთრებით აქტიურობს, სამეგრელოში პირიქითაა. განირჩევა მთის და ბარის მდგომარეობა. გარდა ელიტის მიერ აქტუალიზებული საკითხებისა, ყურადღება მახვილდებოდა მოსახლეობის ყოფით პრობლემებზე. წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მდგომარეობა. მძიმე ვითარებაში ყოფილა ქურდობის მხრივ ზემო ქართლი. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო“ - ამბობს ქართული გონივრული ანდაზა და აი ეს ანდაზა ზედგამოჭრილია უპატრონოდ და უყურადღებოთ მიტოვებული ზემო ქართლზე, რომელიც სხვადასხვა ჯურის საეჭვო პირთა სათარეშო მოედნად გადაქცეულა. ყველა ვინც კი მოისურვებს თავისთავად შეუძლია ჩაიდინოს აქ დანაშაულობა: გაძარცვოს მცხოვრებნი, დასტყუოს ფულები, მოატყუოს და შეცდომაში შეიყვანოს გულუბრყვილო მცხოვრებნი და ყოველივე ამ საკეთილო საქმეთა შემდეგ კი უპასუხისმგებლოდ დაეკრას თავი აქაურობას“ (58, 3). ინტელიგენცია გარდა სამეურნეო ცოდნის დონის ამაღლების მოთხოვნისა, ყოველმხრივ ცდილობდა ხაზი გაესვა იმ საკითხებზე, რომლებიც სასოფლო ეკონომიკის დაქვეითებას უწყობდა ხელს. გლეხების გაღარიბების მიზეზად დღესასწაულები და ქვლეხები მიიჩნეოდა. 1914 წელს გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა: შეიძლება დღეობებს კიდევ ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ის ჩვენი

სოფელი გლეხის ოჯახის გამანადგურებელია და ბევრჯერ მის გადახდას კაცის სიცოცხლეს ეწირება. იშვიათია ისეთი სოფელი, რომელიც ერთ რომელიმე დღეს, არ დღესასწაულობდეს და მით არ ვალიანდებოდეს. ამ უსარგებლო ხარჯის გაწევა თითოეულ ოჯახს 15-30 მანეთი უჯდება. ბევრი რასაკვირველია ამ ფულს უდიერი სარგებლით სესხულობს და ბევრი ყოფილა იმისი მაგალითი, რომ დღეობის გადამხდელმა ერთი დღის დროს ტარებას ვენახ-ზვარი ანაცვალა“ (59, 3). ჩემს მიზანს არ წარმოადგენს სოფლის ცხოვრების დეტალური განხილვა, არამედ იმის გარკვევა თუ როგორ მოიაზრებს სოფელი თავს საქართველოს ნაწილად, როგორ ეგუება ახალ ეკონომიკურ წყობას და რა ცვლილებებს განიცდის მოსახლეობის ცნობიერება.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველო XX საუკუნის პირველ ოცწლეულში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან, ასევე მსოფლიოში არსებულ გარდაქმნებთან. საზღვარგარეთ განათლება მიღებული ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობს ქართული საზოგადოების ახალ სისტემაზე გადაყვანას და რაც მთავარია ხალხში თავისუფლების იდეის პროპაგანდას. ბუნებრივია ამ სფეროში არც სოფელი წარმოადგენს გამონაკლისს. პოლიტიკურ გარდაქმნებს ეკონომიკურიც თან ახლდა და ამიტომ ეს ყოველივე ურთიერთკავშირში იყო. ფეოდალიზმის გადმონაშთები ყველაზე მეტად სწორედ სოფელში არსებობდა. საჭირო იყო ამ ყოველივეს აღმოფხვრა და სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური დონის ამაღლება. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები უზრუნველყოფდნენ ეროვნული იდეების პოპულარიზაციას საზოგადოებაში. მოდერნულ ეპოქაში სამღვდელოებასთან ერთად ამ მიმართულებით მოღვაწეობა სკოლას და მასწავლებლებს დაეკისრა. სკოლები, გარდა განათლების გავრცელებისა ყველა იმ პრობლემის აქტუალიზებას ეწეოდა, რომელიც აწუხებდა საზოგადოებას. „დღევანდელი სოფელი მეტად რთული მოვლენაა. იქ ერთი მეორეზე გადახლართულია ათასნაირი ერთი მეორის საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი. იქ სწარმოებს ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. ომი, რა თქმა უნდა ერთსა და იმავე დროს კიდევაც ამწვაებს და კიდევაც ანვითარებს ამ ბრძოლას. ის საოცარი სისწრაფით აჩქარებს იმ დიფერენციაციას, რომელიც სწარმოებს თანამედროვე საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც სოფლად,

ისე ქალაქად, ე.ი. ომი აჩქარებს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებას“ (58, 2). ამ ფონზე კი სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა აღნიშნულ პერიოდში ინტელიგენციის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. სოფლის წარმატებას, მათი აზრით, თვით გლეხები შეუწყობდნენ ხელს საკუთარი ცოდნის ამადლებით სამეურნეო სფეროში.

სწავლა-განათლება და სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის განვითარება ურთიერთკავშირში იყო და აქედან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ მთავარი საკითხები, რომლის განვითარება სოფელს ესაჭიროებოდა. 1. განათლებული მოღვაწეები, რომლებიც ნაციონალური იდეების პოპულარიზებას შეძლებდნენ. მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს, ისტორიას გააცნობდნენ და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის სათანადო პირობებს შექმნიდნენ. 2. შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მეურნეები, რომლებიც შეიტანენ სოფელში ახალ სამეურნეო იარაღებს, ახალ კულტურას, დაარსებენ სპეციალურ სკოლებს, სადაც გლეხები დაეუფლებიან ტექნიკურ განათლებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფელში მოსავლიანობის გაზრდას და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ეკონომიკის აღმავლობას.

ბუნებრივია 1900-1917 წ.წ. და 1918-1921 წ.წ. მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ მხრივ გამონაკლისი არც სოფლის და ქალაქის ცხოვრებაა. ამ სრულიად განსხვავებულ ორ ეპოქაში მოვლენების განვითარება სხვადასხვა გზით მიდის და ის, რაც აქტუალური იყო 1900-1917წ.წ. სოფლისთვის, 1918-1921 წ.წ. მეორე პლანზე გადადის და ახალი გამოწვევების წინაშე დგება. სოფლის მოსახლეობის ცნობიერება ცვლილებებს ასე ადვილად ვერ ეგუება, ისევე როგორც საქართველოს ყველა მაცხოვრებელი, სოციალური ფენები. ამასთან იცვლება აღქმა სხვადასხვა მოვლენებისადმი. თუ მაგალითად, მანამდე აქტუალური იყო ქართული ენის, სწავლა-განათლების, ისტორიული წარსულის პროპაგანდა ბეჭდური მედიის საშუალებით, 1918-1921 წ.წ., ბუნებრივია ეს საკითხები თავის აქტუალობას არ კარგავს, მაგრამ წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოწყობის თემა და საზოგადოების ჩართვა სახელმწიფოს გაძლიერებაში. როგორც კულტურული და პოლიტიკური ელიტა, ასევე ხალხი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და ბეჭდურ მედიაშიც განსხვავებული მოწოდებები გაჩნდა.

### თავი III.

## სოციალური გარემო 1900-1921 წლებში

### § 1. გლეხი

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა გლეხობის, როგორც ერთ-ერთი სოციალური ფენის საკითხის შესწავლას (აღ. ბენდიანიშვილი, ილ. მირცხულავა და სხვ.), თუმცა ნაკლები აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა ცვლილებებს განიცდის მისი ღირებულებები. რამდენად აქვს განვითარებული ეროვნულობის შეგნება. როდესაც 1900-1921 წლების მოვლენებს ვაფასებთ, ვეხებით პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ეპოქის რაობა და ეპოქის გავლენა საზოგადოებაზე და პირიქით. ნაწილი ამდაგვარი ნაშრომებისა და უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია დაწერილი და ძირითადად სტატისტიკური მონაცემებია გლეხთა რაოდენობის, კატეგორიების, შემოსავლების, მათ საკუთრებაში მყოფი მიწის ფართობების და ა.შ. მაგრამ არსად არ არის საუბარი იმაზე, თუ ვინ არის გლეხი და რას წარმოადგენს იგი 1900-1921 წლების საქართველოში. ერთი შეხედვით თითქოს საკითხი მარტივია, გლეხი არის ადამიანი, რომელიც მიჯაჭვულია მიწაზე და მისი მთავარი შემოსავალი არის მისი დამუშავების შედეგად მიღებული მოსავალი. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში გლეხის ცნობიერებამ განვლო ყველაზე რთული და მრავალმხრივი გზა, ეპოქის ცვალებადი მოვლენებიდან გამომდინარე. ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თითქმის ყოველი წელი ახალი მოვლენის დასაწყისია. ამასთან ეს არის პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიათა მუდმივი ჭიდილის და სოციალური კლასების: ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ჩამოყალიბების ეპოქა. გლეხი კარგავს თავის ისტორიულ ფუნქციას, ის უნდა გარდაიქმნეს და ახალი ეპოქის შვილი გახდეს, შეძლოს კავშირის დამყარება პროლეტარიატთან, რომელზეც მუდმივად მიუთითებენ, რომ მისი „ძმა“ არის და მასთან კავშირია საჭირო. ერთი სიტყვით, ეს არის გლეხის ცნობიერების და ფუნქციების გარდაქმნის ეპოქა. გაზეთი „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“ 1905 წელს წერდა: „სიტყვით შესაძლებელია გლეხობას ბევრი ქომაგი ყავდეს,

მაგრამ საქმით მისი ერთადერთი ამხანაგი პროლეტარიატია. გლეხობას მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს და პროლეტარიატის. პროლეტარიატი დღევანდელ პირობებში არის გაყვლეფილი, გლეხიც გაყვლეფილია, გლეხობაც შრომის წარმომადგენელია. პროლეტარიატის მარჯვენაზე დამყარებულია დღევანდელი ცხოვრება, გლეხის მარჯვენა კეებას კაცობრიობას. ორივე ესენი შრომის შვილნი არიან და ამიტომ შრომის ინტერესები ორივეს ინტერესია, შრომის გაბატონება ორივე ამათთვის ერთნაირად სასარგებლოა“. (149, 1)

ის მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ბუნებრივია გარკვეულ ასახვას პოულობდა გლეხის ცნობიერებაზე და განსაზღვრავდა მის მიმართულებას. XX საუკუნის დამდეგს გლეხის აღქმა და მიდგომა სხვადასხვა საკითხებისადმი, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა რადიკალურად იცვლება, რაც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მოღვაწეობის შედეგია. ამ პერიოდისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის შედეგად გლეხები გადადიან პოლიტიკურ მოთხოვნებზე, ამასთან საზოგადოებრივი თვალსაზრისით უფრო აქტიურები ხდებიან. ისინი თამამად ითხოვენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის მომატებას და ა. შ. რაც მთავარია ის ნდობა, რაც მათ მეფის მიმართ გააჩნდათ თანდათან სუსტდება. მართალია ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეებს შორის არსებითი განსხვავებაა, მაგრამ საერთო – მეფის თვითმპყრობელობის დამხობაა. ბუნებრივია მათი ბრძოლის მეთოდები და მიდგომა განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია თავიდან ანუ მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ანტიქართულ პოზიციაზე იდგა, მაგრამ იმისთვის, რომ საკუთარი იდეოლოგია გაეგრძელებინა საზოგადოებაში და მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყოლოდა გარკვეულ დათმობაზე უნდა წასულიყო, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე მათი მთავარი დასაყრდენი ამჯერად პროლეტარის ნაცვლად გახდა გლეხი.

გლეხობის პოლიტიკური დონის ამადლებისთვის, სხვადასხვა დონისძიებებთან ერთად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა გლეხთა კავშირების დაარსება. როგორც ცნობილია, ასეთი კავშირები საკმაოდ პოპულარული იყო ევროპის მასშტაბით, ასევე რუსეთში. ამიტომ ქართული კულტურული და პო-

ლიტიკური ელიტა ბეჭდური მედიის საშუალებით საზოგადოებას მის საჭიროებაზე ამახვილებინებდა ყურადღებას. „კავშირის უმთავრესი საგანია გლეხების სიღატაკის და მონობის მოსპობა. ამ მონობისაგან განთავისუფლება შეიძლება სრულიად სოციალიზმის დამყარებით და კავშირის საქმეა მოამზადოს მიწის მუშა და გზა გაუკვალოს სოციალიზმის სამეფოსაკენ.“ (109, 1). სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეების პოპულარობას საზოგადოებაში განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მათ ყურადღება გამახვილებული ჰქონდათ ეკონომიკურ საკითხზე. საქართველოში შექმნილი მოვლენებიდან გამომდინარე კი, გლეხის უფლება-ფუნქციები შეიცვალა და გარდაიქმნა. ამიტომ მათი მთავარი მიზანი საკუთარი პრივილეგიების მოპოვება იყო. „გლეხთა კავშირმა თავის ბაირაღზე აღნიშნა მარტო ორი სიტყვა: „მიწა და თავისუფლება“. მნიშვნელობა როგორც ერთისა, ისე მეორისა ისე მშვენივრად აქვს შეგნებული გლეხ კაცს, რომ თვით შეგნებული გლეხისათვის ამის შესაგონებლად მეტია ხოლმე პროპაგანდა. მიწა იმიტომ უნდა, რომ შია, ხოლო თავისუფლება იმიტომ, რომ უამისოდ ცხოვრება შეუძლებელია“. (190, 14).

როგორც უკვე აღვნიშნე ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამებს შორის არსებითი განსხვავება იყო, რაც საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოებრივი სტატუსიდან გამომდინარეობდა. „რუსი და ქართველი გლეხი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ორივენი ერთ უღელში არიან შებმულნი, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან და ყაზახ-რუსებისაგან. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის. რუსები სკოლებში, სასამართლოში და ყველგან სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ. ქართველები კი მოვალენი არიან რუსული ენა ისწავლონ, თორემ სასამართლოში და სხვაგანაც ქართულად არავინ ილაპარაკებს. რუსის ბავშვი სკოლაში თავის სამშობლო ენაზე სწავლობს, ქართველი ბავშვი კი სამოთხე ველიწადს რუსულ ენაზე თავს იმტვრევს და იტანჯება. რუსეთში შემოდებულია ერობა, ესე იგი ხალხს ნება აქვს თვითონვე განავოს თვისი შინაური საქმეები.“ (42, 1).

გლეხის ცნობიერების განვითარებაში გამოყოფილი 4 ეტაპს: 1. ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი და სამოციანელთა მოღვაწეობის შედეგად გლეხის ეროვნული შეგნების, ეკონომიკური და ინტელექტუალური დონის ამაღლება; 2. გლეხის შეუკავშირებელი და უსისტემო ბრძოლა მებატონეების წინააღმდეგ მიწის მოსაპოვებლად; 3. სოციალურ-დემოკრატიული პარტიის

მოღვაწეობის შედეგად გლეხის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება და ჩაბმა „იმპერიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. 4. დამოუკიდებლობის წლები და გლეხის ჩართულობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების შენების პროცესში.

როგორც თავიდანვე აღვნიშნე 1900-1917 წლებში განვითარებული მოვლენები გამოირჩევა თავისი სირთულით და ბუნებრივია გლეხის მდგომარეობაც არ არის სტაბილური. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და მიმდინარეობს ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილის ბრძოლა გლეხის ეროვნული, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებისათვის. აღნიშნულს თან ერთვის და ართულებს თვითონ პოლიტიკური ელიტის განსხვავებული დამოკიდებულება გლეხისადმი. გაზეთი „მიწა“ 1907 წელს წერდა: „გლეხი არის ბურჟუა, მესაკუთრე, ამბობს სოციალ-დემოკრატი. მიწის მუშა გლეხი არაა ბურჟუა, ამბობს სოციალისტ-ფედერალისტი. გლეხი საკუთრების მოყვარეა და სოციალიზმის წინააღმდეგი, გვასწავლის სოციალ-დემოკრატი. გლეხს უყვარს მიწა და უნდა, რომ მიწა მიწის მუშების იყოს, გლეხი სოციალიზმის მომხრეა, გვასწავლის სოციალისტ-ფედერალისტი“ (110, 1). გაზეთი „გლეხის“ 1906 წლის 1 ნომერშივე გამოთქმულია მოსაზრება გლეხის შესახებ. „ვინ არის გლეხი? გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს, სისხლსა და ოფლს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მაინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა“ (41, 1).

XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა დარწმუნდა, რომ შეიარაღებული ბრძოლის ნაცვლად ახალ ტაქტიკაზე უნდა გადასულიყო, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა გამოსვლას საფუძვლად ედო არა ეროვნული, არამედ სოციალური ან ეკონომიკური მოტივი, თუ არ ჩავთვლით 1832 წლის შეთქმულებას, რომლის ორგანიზატორები და მთავარი მონაწილეები საზოგადოების განათლებული და ინტელექტუალური ნაწილი იყო. ნიკო ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ არც არაფერს ეროვნულ-განმათავისუფლებელს ეს მოძრაობები არ გულისხმობდა. ილია მირცხულავას აზრით, კი ამ აჯანყებებს თავადაზნაურობა თავის მიზნებს უმორჩილებდა და მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. 30-იანი წლებიდან, ე.ი. 1832 წლის

შეთქმულების განადგურების შემდეგ, საქართველოს გლეხთა მოძრაობა თავისი დამოუკიდებელი წოდებრივი გზით წავიდა და მიმართული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ. თუმცა გლეხთა მოძრაობა ჯერ ისევ სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მაინც დიდი როლი შეასრულა ბატონყმობის გაუქმების საქმეში (246, 104).

მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, გლეხის ღოიადობის მთავარი ობიექტი მეფე აღარ არსებობდა. გავლენას მოკლებული თავადაზნაურობა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა. გლეხობა წარმოადგენდა არაორგანიზებულ, გაუცნობიერებელ კრებულს, რომელიც ერთის მხრივ, ვერც ძველი დროის ტყვეობიდან გამოდიოდა და ვერც ახალ მოთხოვნებს ეგუებოდა. ერთი სიტყვით, სრულ გაურკვეველობაში იყო. მით უმეტეს, რომ რუსეთის შემოსვლით დაკარგეთ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სამღვდელოებას შეეზღუდა უფლებები და ის ვეღარ ასრულებდა იმ როლს იმ მასშტაბით, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა. ქართულმა ენამ დაკარგა თავისი ფუნქცია. XIX საუკუნის II ნახევრიდან ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მკვიდრდება კაპიტალისტური სისტემა, შემოდის ახალი ეკონომიკური ფორმები. გლეხის ცნობიერება ალღოს ვერ უღებს ახალ ეპოქას და ვარდება მეორე უკიდურესობაში. 1911 წლის „მოსავალში“ ვკითხულობთ: „როცა ჩვენ გლეხკაცს რაიმე რჩევას მისცემ შესახებ იმისა, ან რით მოხნას, ან როგორ მოხნას, ან რა დათესოს და სხვა, მუდამ ერთ და იგივე პასუხს გვაძლევს: ჩვენ მამაპაპასაც ბატონო, ასე უხნა-უთესიათ როგორც ჩვენა ვხნავთ და შიმშილით კი არავინ მომკვდარა შენი ჭირიმე. ასე თქმით ჰგონიათ ისეთ ჭეშმარიტებას ამბობს, რომლის წინააღმდეგ მთელი დედამიწის ზურგზე არავის აღარაფერი საბუთი არ შეუძლია წამოაყენოს. მას ფიქრადაც არ მოდის, რომ ჩვენ წინაპართა ცხოვრება ჩვენ ცხოვრებას აღარ წააგავს, რაც მათთვის შესაძლებელი იყო, რომ ის ჩვენთვის შეუძლებელი და აუტანელი გახდა“ (188, 5). ეს მხოლოდ ერთი ნიმუშია იმისა, რაც შეიძლება ითქვას, ეპოქის მთავარი პრობლემაა და თითქმის ყველა ბეჭდურ ორგანოში ამ საკითხზე მსჯელობა.

ნაციონალური იდეოლოგიის პროპაგანდის შემდეგ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური შეგნების გაღვივებისათვის იწყება ბრძოლა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს. ილია მირცხულავას აზრით, „1864-

1904 წლების საქართველოს გლეხთა მოძრაობა, რეფორმამდელი გლეხთა მოძრაობისაგან განსხვავებით, როცა გლეხობა იბრძოდა პირადი თავისუფლებისათვის, მიმართული იყო მიწის მოპოვებისაკენ. მიწისთვის ბრძოლა გლეხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გადაიქცა. 1864-1904 წლების გლეხთა მოძრაობა საქართველოში აგრარული ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობას, მაგრამ იგი უმთავრესად სტიქიურ ხასიათს ატარებდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1902-1904 წლების გლეხთა მოძრაობას დასავლეთ საქართველოში, რომელსაც სტიქიურ, არაორგანიზებულ გლეხთა მოძრაობიდან ორგანიზებული პოლიტიკური მოძრაობისაკენ გარდამავალი საფეხური იყო. ეს მოძრაობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაუკავშირა მუშათა მოძრაობას და პოლიტიკური ხასიათი მისცა მას“ (246, 145). ასე რომ, როდესაც ამგვარ მოვლენებს ვაფასებთ, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საკუთარი იდეების რეალიზებას ცდილობდა ბეჭდური მედიის საშუალებით. ამასთან, ზემოთ თქმული მოწმობს, რომ ნაციონალური იდეების აქტუალიზებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალისტურ იდეოლოგიას, რომლის განხორციელებას ესწრაფვოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ისინი ცდილობდნენ გლეხების ჩართვას ამ პროცესებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 83, საქმე №46 დაცული ინფორმაცია, რომელსაც აღწერს კავკასიის პოლიციური სამმართველოს უფროსი და დათარიღებულია 1905 წლის 3 ოქტომბრით. „ეს ახალი მოძრაობა, მიღებული ბოლო ხანებში რევოლუციური აგიტაციის შედეგად, არალეგალური ბრძოლის გამო შეცვლილი მიმართულებით, დაიწყო სენაკის მაზრის სოფელ ხორგინში და სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა მიმართულებით და სამი თვის განმავლობაში დაიკავეს მაზრის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი. გლეხთა შორის არეულობის გამავრცელებლეს ეს გამოწვევა მიყავთ უწესრიგობისკენ. ისინი წარმოადგენენ იატაკქვეშა კომიტეტების აგენტებს, უპირატესად სოფლის მასწავლებლებს, ბათუმის ქარხნის მუშებს, ყოფილ სტუდენტებს და მათ, ვისაც სწავლა სრულიად არ აქვს დასრულებული, დათხოვნილნი სხვადასხვა საშუალო სასწავლო დაწესებულებიდან არეულობაში მონაწილეობის გამო, მათში გაერთიანებული არიან გლეხები, უფრო ენერგიულები ითვისებენ რევოლუციურ იდეებს გლეხთა შორის ხელმძღვანელობისთვის“ (2, 116). რევოლუციურ აგიტატორებს შორის არიან შემდეგი პირები: „1. 8 კლასს დაუმთავრებელი,

ქუთაისის გუბერნიაში უწესრიგობაში მონაწილეობისთვის – სპირდონ კედია; 2. ზუგდიდის მაზრის სოფელ ჩაკვინჯის მცხოვრები, ყოფილი მასწავლებელი მელიტონ გობეჩია; 3. ნიქოზის სკოლის მასწავლებელი – მაქაცარია; 4. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი თავადი ლევან შენგელია; 5. ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის აგრონომიული განყოფილების მასწავლებელი – დონდუა; 7. სოფელ კახათში მცხოვრები გლეხი, ქართული გაზეთის კორესპოდენტი – პავლე აკობია. ყველა ეს პირები შემჩნეული იყვნენ პოლიტიკური ხასიათის აგიტაციურ მოღვაწეობაში“ (2, 126). ეს დოკუმენტი შეეხება გლეხთა 1904-1905 წლების გამოსვლების პერიოდს, რომლის მიზანი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გლეხების ორგანიზება და გაერთიანებაა. ასევე საინტერესოა ამავე ფონდში დაცული მონაცემები, კერძოდ საქმე №2, რომელიც გლეხთა მოძრაობებს და „გლეხთა კავშირს“ ეხება. ეს არის პოლიციის დეპარტამენტის მიმართვა გუბერნატორებისადმი: „არსებული ცნობით, იმპერიის სხვადასხვ ადგილებში წარმოშობილი აგრარული მოძრაობა წარმოადგენს უმრავლეს შემთხვევაში რევოლუციურ ნიადაგზე აღმოცენებულ სოციალისტ-რევოლუციონური პარტიის გლეხთა „კავშირის“ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წაქეზების ნიადაგზე, გამოდის პროპაგანდის და აგიტაციის ამოცანებით გლეხებს შორის, გაერთიანების სახელწოდება პროფესიონალური „გლეხთა კავშირი“, რომელიც თავისი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, რევოლუციური აგიტატორების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას სურვილით ამზადებს გლეხებში შეიარაღებულ გამოსვლას. ამ მხრივ „კავშირი“ ავრცელებს რევოლუციურ ლიტერატურას, ხელს უწყობენ სოფლის მუშების გაფიცვებს, ბოიკოტს უცხადებენ მიწათმფლობელებს“ (1, 9).

გლეხების პოლიტიკური შეგნების ამადლებისთვის დაწეებული ბრძოლის შედეგებს ნათლად აჩვენებს სცსა ფონდი 153, აღწერა 1, საქმე №1782, რომელიც ქუთაისის გუბერნიის გლეხების პოლიტიკური სანდოობის მდგომარეობას გამოხატავს. კერძოდ, სოფ. დიდი ჯიხაიში, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაშაკიძე (26 წლის, მართლმადიდებელი, უცოლო), გლეხი ამავე გუბერნიის, შორაპნის მაზრა, სოფ. მუხურა-გალაქტიონ ონისიმოვის ძე ბარბაქაძე (26 წლის, მართლმადიდებელი, უცოლო) და გლეხი, ქალაქ ქუთაისიდან გალაქტიონ გიორგის ძე გაბრიჩიძე (21 წლის, მართლმადიდებელი, უცოლო). მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ვაშაკიძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მხაზველს აქვს კავშირი შანტაჟისტ-მძარცველებთან, მისი

ბინის ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა საექვო დოკუმენტები. მისი ფარდულის კარებზე კი იყო წარწერა: „ძირს ნიკოლოზი, გაუმარჯოს კონსტიტუციურ მმართველობას“. ბარბაქაძის ბინაში აღმოჩნდა ღუმელში 30 ბროშურა ქართულ ენაზე. გაბრიჩიძეს არ დაუმტკიცდა პოლიტიკური არასანდოობა...“ (7, 1).

საინტერესოა 1904-1905 წლების მოვლენების აღწერისას როგორ აღიქვამდნენ რუსი მოხელეები ქართველების გამოსვლებს საიმპერატორო კარის წინააღმდეგ და როგორ ესახებოდათ მათი შეჩერება. „ექვგარეშეა, პირველი რომ იმერლები, მეგრელები და გურულები, მცხოვრებნი ქუთაისის გუბერნიაში, ბუნებით არიან გულადები, რაინდები, საერთოდ კი ნატურით მშვიდობისმოყვარე ხალხი, ცნობილ სიტუაციამდე (იგულისხმება 1905 წლის გამოსვლები – ნ.ს.), მეორე პოლიტიკურ ურთიერთობებში ისინი არიან კეთილსაიმედონი, ისე რომ უმაღლესი მანიფესტი, კავკასიაში და მაშასადამე ქუთაისის გუბერნიაში, როგორც მსხვილი ნაწილი კავკასიის, ითვლება გვირგვინოსანი იმპერატორის საუკეთესო მარგალიტად. რა უნდა მომხდარიყო ამ სიმპატიური ხალხის ცხოვრებაში, რომ შეცვლილიყო მათი საუკუნეობრივი მრწამსი? შეიძლება ითქვას, რომ საერთო მდგომარეობა შეიცვალა რუსეთში და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ გაცურა საერთო მდინარებიდან. მრავალჯერ არა!

მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა რუსეთში არაფერს შესამჩნევს, აღსანიშნავს უქადის ქართველ ტომებს. უფრო სარწმუნოა, რომ ყველა რეფორმებს, რომლებსაც რუსეთის ხალხის ცხოვრება უკეთესობისაკენ მიყავს, იქნებოდეს გავრცელებული იმერლებში, მეგრელებში, გურულებში, არასდროს არ იარსებებდა განსხვავება ქართველებსა და რუსებს შორის. თუ ადგილობრივი ავტორიტეტები სუფთად შეასრულებენ თავის სამსახურებრივ მოვალეობას და არ შეხედავენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისე როგორც თავის პირად მტრებს, უფრო მეტიც, მათ უნდა სჯეროდეთ, რომ თავის დროზე გაიგებენ, რომ ხალხი წინ მიდის, ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას სისხლის ღვრა არ მოყვება. პროპაგანდისტები არ წარმოადგენენ დაბრკოლებას, დაუბრკოლებლად ვრცელდება მათი ცრუ მოძღვრება ბრბოში, დაარწმუნებენ მათ იმაში, რომ გუბერნიის მიწები გლეხებისაა...“ (2, 8).

როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპყრობელობა მაქსიმალურად ცდილობდა საქართველოში საგანმანათლებლო დონის დაქვეითებას, რადგან უფიცი და გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების მართვა უფრო გაადვილებოდა. „რად სჩადიოდა ასე ძველი მთავრობა? პასუხი ნათელია: ქართულად ნასწავლი გლეხი

ქართულად აზროვნებას დაიწყებდა, მასში ქართული სული გაიდგამდა ფესვს, ის თავს ქართველად იცნობდა, თავის ჭირ-ვარამს მიხვდებოდა, მტერ-მოყვარეს გაითვალისწინებდა, მისკენ მიმართულ სიტყვა-საქციელს ასწონ-დასწონიდა და მიხვდებოდა, თუ რამდენად იყო ძველი დახავსებული რეჟიმი მისი გადაგვარების მოსურნე და რასაკვირველია საკადრის პასუხსაც გასცემდა.“ (170, 1). სწორედ ამიტომ კულტურული ელიტა აქტიურობს გლეხების საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ისტორიული წარსულის, ტრადიციების შენარჩუნების საკითხში. ამისთვის იხსნება სკოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სოფლებში, ქალაქებში. იბეჭდება და ვრცელდება დიდი რაოდენობით წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, სადაც გლეხისთვის საჭირო მოვლენებზეა საუბარი. ამის პარალელურად პოლიტიკური ელიტა პოლიტიკური შეგნების განვითარებისთვის იბრძვის. პოლიტიკური დონის ამაღლება პარტიების ნაწილს სჭირდება იმისთვის, რომ თავისუფლების ბრძოლისათვის ნიადაგი მოამზადოს, ნაწილს კი იმისთვის, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიას, გააერთიანოს და შეაკავშიროს მუშები და გლეხები და სოციალიზმის განხორციელებისათვის შექმნას პირობები. 1906 წელს გაზეთი „გლეხი“ წერდა: „გლეხი ყველაზე მეტს მუშაობს, ყველაზე უფრო გაჭირვებულია; გლეხმა უნდა მოიპოვოს მიწა და თავისუფლება, რომ თავი დააღწიოს შიმშილს და გამწარებულს ცხოვრებას. გლეხმა უნდა იბრძოდეს მიწისა და თავისუფლებისთვის. მაგრამ კმარა მიწა და თავისუფლება? გლეხი უნდა დაკმაყოფილდეს, რაკი მოიპოვებს მიწას და თავისუფლებას? ბედნიერი იქნება და სხვა არაფერი დასჭირდება? არა, ამხანაგებო! გლეხისათვის არ კმარა მარტო მიწა და თავისუფლება! აუცილებელი საჭიროა ერთი-ც და მეორეც, ხოლო ეს ვერ დაიხსნის გლეხს ყველანაირი შევიწროებისაგან და მანამდე არ ეღირსება ტკბილ და მოსვენებულს ცხოვრებას, სანამ დედამიწაზე არ დამყარდება ჭეშმარიტი ერთობა–სოციალიზმი“ (41, 1). ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა თავისებურად იბრძვის. მაგალითად, მარქსისტების აზრით „გლეხი სოციალიზმს ვერ შეიგნებს, რადგან მას კოლექტიური თავის ქალა აქვსო“. ამ იდეის მატარებელნი იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათი მთავარი დასაყრდენი პროლეტარიატი იყო. მათგან განსხვავებით სოციალისტ-ფედერალისტები გლეხის იდეალიზაციას ახდენდნენ. „ჩვენი ქვეყანა თავისი სტრუქტურით გლეხური ქვეყანაა. არც არის ახლო მომავალში იმედი გლეხობის გაქრობის, პროლეტარიზაციისა და კონცენტრაციისა. საქართველო წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ქვეყანას და პროლეტარული, ისიც შემცდარი სოციალიზმი მას არ

გეუება. და მხოლოდ ისეთი სოციალისტური მოძღვრებაა, რომელსაც აგრარიზმი ახასიათებს და რომელიც პროლეტარიატს და გლეხობას ერთმანეთს არ უპირდაპირებს“. სწორედ ამიტომ, როდესაც ამგვარ საკითხებს ვსწავლობთ ეს გარემოებებია გასათვალისწინებელი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ისტორიაში. საჭირო გახდა თავისუფალი ფენის არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით დაკმაყოფილება, არამედ მათი ჩართვა ეროვნულ-საზოგადოებრივ სფეროში. გლეხი უნდა გამხდარიყო თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ პერიოდში გლეხობის, როგორც თავისუფალი ფენის საკითხი აქტუალურია. იაკობ მანსვეტაშვილთან ვკითხულობთ: „... მდაბიო ხალხისთვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენის მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ“ (202, 78).

1918-1921 წლები, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული პერიოდია, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა, გლეხის საკითხი ისეთივე აქტუალურია და მთავარი პრობლემა ისევე მიწა და პირადი თავისუფლებაა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საციალური საკითხი თავის აქტუალობას არ კარგავს. სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში ქართული ერთობის ყველა წევრის თანაბრად ჩართვა აუცილებელი მოვლენა იყო და მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების: გლეხების, მუშების. საჭირო იყო თითოეულ მათგანს ეგრძნო სახელმწიფოს მხარდაჭერა და თავი უსაფრთხოდ და ეკონომიკურად უზრუნველყოფილად ეგრძნო. ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აღნიშნული პერიოდის თითქმის ყველა წყაროში სოციალური საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ფართო ფენების, მასის ჩართვა ეროვნული იდეის აღორძინებისთვის სირთულეს წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა და მით უმეტეს, რომ 117 წლის მანძილზე რუსულ ღირებულებებს ზიარებული ერის ქართულ, სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე გადაყვანა მარტივ საკითხს არ წარმოადგენდა. ნოე ჟორდანიას აზრით, „მთავარი იყო ხალხში არ ქონოდა

გასავალი მოსკოველთა პროპაგანდას, არ მომხდარიყო აზრთა და გზათა არე-  
დარევა, ყოფილიყო ფართე მასების მიერ გაგებული და შეგნებული ჩვენი და  
მათი წყობის და ცხოვრების (ე.ი. რუსების – ნ.ს.) წესების განსხვავება. ჩვენი  
ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას –  
გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა,  
მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა  
უადრესათ ნაციონალური რეფორმა ჩვენში“ (204, 107). საინტერესოა აღინიშნოს,  
რომ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოს ეროვნული  
საბჭო აქტიურად ცდილობდა გლეხების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ანუ იმ  
პრობლემების გადაჭრას, რაც მათ სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენ-  
და. საქართველოს ეროვნული საბჭოს მერვე კრების რეზოლუციაში აღნიშნუ-  
ლია: „ეროვნული საბჭო სცნობს: რევოლუციის გასამარჯვებლად და სოფლად  
ანარქიის მოსასპობად მთავრობამ გადასდგას ენერგიული და მტკიცე ნაბიჯები.  
დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ მიეცეს  
მშრომელ ხალხს ის ადგილმამული, რომელიც მას აღეთქვა ამიერკავკასიის  
დეკრეტით.“ (14, 116). მხოლოდ სასოფლო მეურნეობის მაღლა აწევით დავეხმარე-  
ბით ჩვენ, როგორც რესპუბლიკას, ისე მის მოქალაქეთა 90-%, ჩვენს გლეხობას  
და ღრმად ჩაუუნერგავთ მას გულში, რომ სტატისტიკა დგება არა მარტო მათზე  
გადასახადების გაწერის მიზნით, არამედ მათი შრომის მაღლა ასაწევათ, მათი  
ეკონომიური მდგომარეობის გასაძლიერებლად“ (19, 10).

1918-1921 წლებში ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო საზოგადოების  
ფართო ფენების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით გლეხების  
პოლიტიკური მოღვაწეობის გააქტიურება. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა  
კუთხეებში არსდებოდა სპეციალური ორგანიზაციები. ამ მხრივ საინტერესოა  
პროპაგანდისტ ხანიშვილის მოხსენება თბილისის სასოფლო კომისიისადმი,  
რომელიც 1919 წლის 21 აგვისტოთი თარიღდება. „დღიდგან ჩემი მუშაობისა  
ხვეის რაიონში (ყაზბეგი) მე დავაარსე ოთხი სოციალ-დემოკრატიული  
ორგანიზაცია, სახელდობრ: სნოს, გერგეთის, სიონის, ყაზბეგის. ოთხივე ორგანი-  
ზაციაში წევრები ირიცხება, ჯერჯერობით 80 კაცი. მუშაობა ოთხივე ორგანიზა-  
ციაში სწარმოებს ნორმალურათ, აქვთ თავიანთი ბეჭდები, საწევრო წიგნაკები,  
იხდიან საწევრო გადასახადებს, ახდენენ კრებებს, სისტემატიურად სხვადასხვა  
პარტიული კითხვების გადასაწყვეტად და ეჩვევიან პარტიულ საქმიანობას. მოხე-  
ვეები ძალიან თანაუგრძნობენ ჩვენს პარტიას, რომელიც სათავეში უდგა მთელ

საქართველოს. ისინი პირდაპირ აღმერთებენ ნოე ჟორდანიას, ჩხეიძეს და წერეთელს.“ (10, 45). ცალკე საკითხია, რამდენად გასაზიარებელი და მისაღებია ჩვენთვის ეს ფაქტი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სოციალ-დემოკრატიული პარტია საზოგადოების ფართო ფენებთან დაკავშირებას ესწრაფვოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიზანი მაქსიმალური სიახლოვე ჰქონოდა გლეხობასთან და ყურადღება გაემახვილებინა მათ პრობლემებზე და რაც მთავარია, მთავრობისადმი რწმენა ჩაენერგა შემთხვევითი არ ყოფილა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართულ ხელისუფლებას უფრო მეტი პრობლემა შეექმნა, მათ მუდმივი თუ აშკარა ბრძოლა უხდებოდათ საქართველოს მტრებთან, რომლებიც ცდილობდნენ იდეოლოგიური თუ პრაქტიკული მოღვაწეობით ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განეწყობათ საზოგადოების ფართო ფენები. სწორედ ამიტომ იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქართული პოლიტიკის გატარებაზე გადადის. განსაკუთრებით გლეხების მიმართ იცვლის დამოკიდებულებას, თუმცა გლეხობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა მთავრობის მიმართ. „მას შემდეგ ბევრი უბედურება მოხდა. 13 წლის განმავლობაში დროც შეიცვალა და ერთი მეორეს ვეღარა ვცნობთო. მაშინ რასაც გვასწავლიდნენ მიტინგებზე სოციალ-დემოკრატები დღეს ყველა იმის წინააღმდეგია. მაშინ გვეუბნებოდნენ: თავად-აზნაურები, მემამულეები და ძველი მთავრობა ჩამოვაგდოთო და მიწები და ტყეები მიწის მუშა გლეხებს დაგრჩებათ უსასყიდლოთო. მოხდა რევოლუცია, სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. მთავრობა და თავადაზნაურობა ჩამოვაგდეთ, მაგრამ დღეს იგივე სოციალ-დემოკრატები გვეუბნებიან: მიწები ფულით უნდა იყიდოთო. ბოლშევიკები გვეუბნებიან ბოლშევიკები უნდა გახდეთო. რადგან ბალშევიკები ღარიბ გლეხებს მიწას უსასყიდლოდ მოგცემენო. თავიდან მენშევიკებიც ასე გვეუბნებოდნენ. არ ვიცით ზოგიერთმა გლეხმა ვის უნდა მიემართოთ. ორწყალშუა ვართ. თუ ბალშევიკებს მივმართეთ, მთავრობა გვემუქრება, თუ მთავრობას მივმართეთ, ბალშევიკები წაგვახდენენ“. (16, 1).

დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გლეხების მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ნათლად აჩვენებს ფონდი 1825, საქმე №13 დაცული მონაცემები. აქ საუბარია საქართველოს ცალკეულ რეგიონებში გამოკითხვის შედეგებზე, რომელიც გლეხების საერთო განწყობილებას ასახავს. აქ საუბარია რეგიონების, სოფლების შესახებ, პარტიული მუშაობების, გლეხთა დამოკიდებულების სხვადასხვა პოლიტიკური პარტი-

ების, სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გლეხების პრობლემებზე და ა.შ. ბუნებრივია აქ ვერ მოვიტანთ ყველა დოკუმენტს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ყველა გამოკითხვაში მთავარი ადგილი სწორედ მიწის საკითხს უკავია. ფაქტობრივად ეს პრობლემები ისევ აქტუალურია.

ამდენად, 1. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიის სრულყოფილად და დეტალურად შესასწავლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების განვითარების შეფასება და მათი დამოკიდებულება ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით. 2. 1900-1921 წლების სხვადასხვა მოვლენების შესაფასებლად გასათვალისწინებელია ეპოქის გამოწვევები და საზოგადოების ცნობიერების ცვლილება. 3. ხშირ შემთხვევაში აქცენტი ან პოლიტიკურ ან ეროვნულ საკითხებზე კეთდება, სინამდვილეში კი მათი კომპლექსური ანალიზია საჭირო. 4. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გლეხის შეხედულებები, ცნობიერება განვითარების გარკვეულ გზას გადიოდა 1900-1921 წლებში, რომლის მიმართულებას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა პოლიტიკური და კულტურული ელიტა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეპოქის გამოწვევა.

## §2. პროლეტარი

საქართველოში კაპიტალიზმის შემოსვლის შემდეგ, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება ახალი სოციალური ფენა პროლეტარიატი, რომელიც ახალი ეპოქის „შვილია“ და საჭირო ხდება მისი ფუნქციების გამოკვეთა. გლეხის მსგავსად ისიც საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იწყებს ბრძოლას და ერთვება დროის საერთო მდინარებაში.

პროლეტარიატის შესახებ დისერტაციაში დასახელებულ თითქმის ყველა ტიპის წყაროშია საუბარი სხვადასხვა კუთხით. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი დადებითად აფასებს პროლეტარის როლს ისტო-

რიის მსვლელობაში, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ნაწილი კი, სოციალისტ-ფედერალისტები—უარყოფითად, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში გლეხია წამყვანი სოციალური კლასი და სწორედ მათზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ყველა ეროვნული მიზნის განხორციელება. თუმცა ერთი რამ ფაქტია, პროლეტარის თემა ხდება წამყვანი საკითხი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში პროლეტარის როლი გაზვიადებულია. ერთი მხრივ, ის წარმოჩენილია როგორც ჩაგრული ფენა, რომელიც ბურჟუაზიის მსხვერპლია და მეორე მხრივ, ყველაზე გათვითცნობიერებული სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის, რომელმაც წამყვანი როლი იტვირთა რევოლუციის მსვლელობაში.

სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს აღნიშნულ საკითხს მეცნიერებმა: გრიგოლ მარგიანი, „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წლებში“ (245), ა. ფარსადანაშვილი, „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში“ (283), ედიშერ ხოშტარია, „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში“ (301), გ. მარგიანი, „სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში“ (244), კ. დოლიძე „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხისათვის“ (229), მამია ჯიჯეიშვილი, „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში“ (304) და სხვა. არსებულ გამოკვლევებში ძირითადად აქცენტი კეთდება კაპიტალიზმის გავრცელებასა და მუშათა კლასის ბრძოლის საკითხზე საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

როგორც ცნობილია რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის II ნახევრიდან მკვიდრდება კაპიტალიზმი და ბუნებრივია საქართველოში, როგორც რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანაში გავრცელებას იწყებს ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკური ფორმების შეცვლას, არამედ მთელი რიგი გარდაქმნები გამოიწვია როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა განაპირობა. „როგორც ცნობილია, ყირიმის ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებებით

შეშინებული მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა. ამის შემდეგ ბატონყმობის ნაშთები ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ სწრაფად წავიდა კაპიტალიზმის განვითარება. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ფართოდ გაიშალა ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურების მშენებლობა. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა პროლეტარიატის რაოდენობა. 1865 წელს რუსეთში მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში და რკინიგზებზე ითვლებოდა 706 ათასი მუშა. 25 წლის შემდეგ 1890 წლისათვის, მუშათა რაოდენობამ მიაღწია 1 მილიონ 433 000, ხოლო 90-იან წლებში 2 მილიონ 792000“ (242, 6)

რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მთელი რიგი ცვლილებები მოჰყვა კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებას. „საქართველოს მუშათა კლასის ფორმირება საგლეხო რეფორმების შემდეგ პერიოდში ხდება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობისაგან იყო გამოსული, ხოლო მისი რეზერვი გაპროლეტარებული ხელოსნობა იყო. საქართველოს მუშათა კლასის რიგებს რუსეთიდან ჩამოსული მუშებიც ავსებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში 35. 402 სამრეწველო მუშა იყო. რომელთაგან ქართველები შეადგენდნენ 70%, შემდეგ მოდიოდნენ სომხები, რუსები და ა.შ.“ (230, 9).

როგორც გლეხის, ასევე პროლეტარის კულტურული და პოლიტიკური შეგნების ამაღლებისთვის ზრუნავდა ქართველი ინტელიგენცია. ამ პერიოდში მიმდინარე გარდაქმნების შედეგად, რომელიც საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო, ახალი მოთხოვნები და გამოწვევები დადგა დღის წესრიგში. ამ ცვლილებებმა არა მხოლოდ პროლეტარიატის, როგორც ახალი სოციალური ფენის წარმოშობა, არამედ მისი საშუალებით სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლა განაპირობა. როგორც უკვე აღვნიშნე წინა პარაგრაფში, XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი იდეოლოგია: ნაციონალიზმი და სოციალიზმი. ქართული პოლიტიკური ელიტა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის დამკვიდრებისთვის მთავარ წამყვან ძალად პროლეტარს მიიჩნევდა, რომელსაც გლეხობასთან კავშირის შედეგად ამ ისტორიული მისიის განხორციელება უნდა ეტვირთა. სწორედ ამიტომ ყველა მიმართულებით, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა აღნიშნული იდეების პროპაგანდა

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია ძალ-ღონეს არ იშურებდა საზოგადოების ფართო ფენებში რეალიზებისთვის. ამ მხრივ გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ბეჭდური მედია და ის პროკლამაციები, რომლებიც მთელი იმპერიის მასშტაბით ვრცელდებოდა და მათ შორის საქართველოში, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით.

სოციალ-დემოკრატიული პარტია საკუთარ თავს პროლეტარიატის ხელმძღვანელ ძალად მიიხსენებდა, რომლის მეშვეობით იმედოვნებდა სოციალიზმის განხორციელებას. „სოციალ-დემოკრატია არის პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანია დემოკრატიული წყობილების საშუალებით პროლეტარული სოციალიზმის განხორციელება, ამისთვის ის აერთებს მთელ პროლეტარიატს და მუშა ყავს თავის ფარგალში. იმხრობს ყველა იმ უკმაყოფილო კლასთ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს და ცნობენ პროლეტარიატის მეთაურობით კაპიტალიზმის დაღეწვას. სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დგება ნაციის დიდი უმრავლესობა და მით ხდება ის ნაციონალურ პარტიად“ (148, 4). სოციალ-დემოკრატები, მარქსისტული იდეოლოგიის გაველენით მთელ იმედებს სწორედ პროლეტარიატზე ამყარებდა. „ყველა იმ კლასებში, ამბობს მარქსი, რომელთაც ამჟამად უპირდაპირებენ ბურჟუაზიას, მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს ჭეშმარიტ რევოლუციონურ კლასს. დანარჩენი კლასები იღუპებიან წვრილ მრეწველობასთან ერთად: შუათანა წრეები, წვრილი მრეწველნი, ვაჭრები, ხელოსნები – ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაიცვან საკუთარი არსებობა, როგორც შუათანა კლასისა... ყველა ესენი რეაქციონერები არიან, რადგან ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას“ (140, 1). საინტერესოა როგორია პროლეტარის განსაზღვრა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში. ნოე ჟორდანიას აზრით: „პროლეტარიატი – ეს არის ის ერთადერთი კლასი, რომელიც მოკლებულია საკუთრებას და იძულებულია მხოლოდ თავის ძალღონის გაყიდვით იცხოვროს. როგორც კერძო საკუთრების განხორციელებული უარყოფა, ის პრინციპიალურად სხვაგვარაა არა მარტო შექცეულთაგან, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ყველა ნაწილებისაგანაც. მხოლოდ პროლეტარიატია პირდაპირ დამოკიდებული კაპიტალისტებისაგან, – დამოკიდებული, როგორც მათი სიმდიდრის შემქმნელი და თვითონ მუდამ გაყვლეფილი“ (257, 26).

გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1905 წელს პროლეტარს შემდგენიარად ახასიათებს: „პროლეტარი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ყოველივე საკუთრე-

ბას მოკლებულია და თავის სარჩენად იძულებულია თავისი ფიზიკური ძალ-  
ღონე ფულის პატრონს მიყიდოს, მიექირაოს და აქედან აღებული ქირით იცხოვ-  
როს. მაშასადამე მისი დამახასიათებელი თვისებებია: საკუთრების უქონლობა და  
ფიზიკური შრომა. პროლეტარტა შრომის საკუთრების მხრივ სრული თანასწორო-  
ბაა, არც ერთს ის არ მოერევა, ასეთივე თანასწორობაა შრომის მხრივ – ყველა  
ცხოვრობს შრომით, მათი ერთადერთი ძალა – შრომაა. ცხადია, პროლეტარიატ-  
ის გამარჯვება ნიშნავს ამ პრინციპების – ეკონომიური თანასწორობის  
გამარჯვებას. მასში უარყოფილია კერძო საკუთრება, ისიც უარყოფს ამას სხვებ-  
ში და ამყარებს საზოგადო საკუთრებას. მასში უარყოფილია უშრომლობა, ისიც  
უარყოფს სხვაში მუქთახორობას და ყველასათვის აწესებს შრომას, მისი  
გაბატონება შრომის გაბატონებაა, ხოლო შრომა კი ადამიანის თანდაყოლილი  
თვისებაა, მაშასადამე, პროლეტარიის გაბატონება ადამიანის, კაცობრიობის  
გაბატონებაა. ბატონობა მამულის იყო, ბატონობა მემამულის, ბატონობა  
კაპიტალის კაპიტალისტთა ბატონობაა, ბატონობა შრომის იქნება ბატონობა  
მშრომელთა ანუ ყველა ადამიანთა. აქედან აშკარაა, სოციალიზმის გამარჯვება  
შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვებით. სოციალიზმი მხოლოდ  
პროლეტარიატის ცხოვრების გამოხატულებაა, ის მხოლოდ მისი ფილოსოფიაა“  
(148, 2). ეს ლოზუნგი, თუ შეიძლება ასე ითქვას გასდევდა თან მუშათა  
მოძრაობას. აუცილებლობას წარმოადგენდა პროლეტარის მიზნების გამოკვეთა  
და ჩაბმა სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამისთვის საჭირო  
იყო სხვადასხვა ერის მუშებისთვის საერთო იდეოლოგიის შექმნა და საერთო  
მტრის ხატის დასახვა. მათ უნდა დაენახათ, რომ სხვადასხვა ერის მუშებს  
აერთიანებთ მხოლოდ ერთი სატკივარი და ერთი მიზანი: ბრძოლა  
თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ისეთი სახელმწიფოს  
შექმნა, სადაც მათი უფლებები არ იქნებოდა შელახული. 1919 წელსაც კი ასეთი  
იდეოლოგია ისევ აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული  
ცვლილებები განიცადა. „უბრალო მუშა ვარ. მიცხოვრია და ვცხოვრობ მუშათა  
წრეებში. ჩემი ბინა ფაბრიკა-ქარხნებშია, ჩემი მასწავლებელი თვით ცხოვრებაა.  
მიმუშავნია საქართველოში, კავკასიის სამრეწველო ქალაქებში, რუსეთში.  
ერთად მიწევია შრომის მძიმე უღელი სომეხს, თათარს, რუსს, ებრაელს, პოლონელ  
მუშებთან. მათთან ერთად გვიბრძოლია ჩვენი უფლებისათვის, ჩვენი დიდი  
მომავლისათვის. განვითარების ისტორიამ ჩვენში შექმნა ფსიქოლოგიურად საერ-  
თო ძმობა-ერთობის თვისებები, პროლეტარული მოძრაობის გაერთიანების აუც-

იღებლობა. ჩვენი გრძნობა, ჩვენი ბრძოლის მოთხოვნილება არის უარყოფა ეკონომიურ-პოლიტიკურ მონობისა და ეკლით მოსილ ჩვენს სავალ გზაზე წინ მივიწვევთ იქით, სადაც მოსჩანს ჩვენი საბოლოო მიზანი შრომის სამეფო“ (50, 2).

როგორც ცნობილია, 1900-1921 წლებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, სადაც აქცენტირებული იყო მათი პარტიული პროგრამები და მიზნები. როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში მუშათა საკითხი აქტუალური იყო. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ნაციონალური, ასევე სოციალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და საზოგადოებაში გავრცელებას ელიტა ხელმძღვანელობდა, მუშათა მოძრაობის დაწყებას ეპოქის გამოწვევად და გარდაუვალ მოვლენად მიიხსენებენ, რომელიც ისტორიული მსვლელობის აუცილებელი ნაწილი იყო.

როგორც რუსული, ასევე ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი მდგომარეობდა თვითმპყრობელობის დამხობაში პროლეტარიატის მეშვეობით და სოციალიზმის განხორციელებაში. აღნიშნულის მსვლელობა კი მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით ვერ წარმოედგინათ. სწორედ ამის გამოხატულება იყო ის საპროტესტო გამოსვლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც მუდმივად მიმდინარეობდა 1900-1917 წლებში და რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად ამ პრობლემის დადებითად და უარყოფითად განხილვისა, ერთი რამ ფაქტი იყო ევროპაში დაწყებული პროცესი თავის გამოხატულებას პოულობდა რუსეთში, ბუნებრივია განსხვავებული ფორმით, სახელმწიფოებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე და საქართველოში, როგორც იმპერიის დაპყრობილ ნაწილში. ეს პროცესი იწყება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეტაპობრივად განვითარებას გადის მთელი XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისიდან ახალ ფაზაში შედის, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა ზემოთ განხილული საკითხები.

განსხვავებით ევროპისაგან, ეს მოვლენები სხვადასხვაგვარად ვითარდება რუსეთში. მართალია ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის ამოცანა იდგა ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშეც დასავლეთ ევროპაში, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუცია მისგან განსხვავდებოდა გარკვეულწილად. ამასთან დაკავშირებით კ. დოლიძე წერს: „ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის ამოცანა იდგა ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშეც დასავლეთ ევროპაში. ამაში მდგო-

მარეობდა 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის მსგავსება დასავლეთის XVIII და XIX საუკუნეების ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებთან. მაგრამ ამასთან ერთად რუსეთის პირველი რევოლუცია არ იყო დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციის უბრალო განმეორება, რომლებიც მიმდინარეობდნენ კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდისა და განუვითარებელი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა პროლეტარიატი სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, როცა იგი არ გამოდიოდა დამოუკიდებლად, არ ჰყავდა საკუთარი პარტია, არამედ კუდში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიას. რუსეთის პირველ რევოლუციას, რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში მიმდინარეობდა, ახასიათებდა მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი. ამ თავისებურებებს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავდა ახალი იმპერიალისტური ეპოქა (229, 37). ბუნებრივია განსხვავებულმა ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა გარემომ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებზე. მართალია, ევროპის მსგავსად რუსეთშიც მიმდინარეობდა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება, მაგრამ განსხვავებული ფორმით. იგივე კ. დოლიძე აღნიშნავდა: „რუსეთის პირველი რევოლუციის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იყო ისიც, რომ მის ეკონომიკურ საფუძველსა და ეროვნულ თავისებურებას შეადგენდა აგრარული საკითხი, რომლის არსს წარმოადგენდა შუასაუკუნეობრიობის მოსპობა მიწათმოქმედებაში. ამ აზრით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში გლეხურიც იყო იმ როლის მიხედვით, რომელსაც ამ რევოლუციაში აგრარული საკითხი ასრულებდა. რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გლეხობამ, რომელიც აუტანელი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების გამო მძლავრ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა“ (229, 38). დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციები ხდებოდა კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების პერიოდში. ბრძოლას ფეოდალიზმის განადგურებისათვის და კაპიტალიზმის დამკვიდრებისათვის სათავეში ედგა ბურჟუაზია. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია მიმდინარეობდა სულ სხვა ვითარებაში, ახალ ეპოქაში, იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა ამ რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად, ჰეგემონად გამოვიდა არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი“ (210, 148).

როგორც ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ამჯერადაც სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ჯგუფებს საკუთარი შეხედულებები და ამოცანები გააჩნდათ რევოლუციასთან მიმართებაში, რაც განსაზღვრავდა მათი ბრძოლის ხასიათს და როლს რევოლუციაში. „დღევანდელ რევოლუციის მსვლელობას, მის

ხასიათს და შინაარსს უმთავრესად განსაზღვრავს ბრძოლა სამ მთავარ სოციალურ ძალთა: ეს ძალებია: თვითმპყრობელობა, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თითოეულ ამ ძალთაგანს თავისი განსაკუთრებული ისტორიული დანიშნულება აქვს. თვითმპყრობელობის დანიშნულებაა დაცვა წარსულის (ფეოდალიზმის), ბურჟუაზიის დანიშნულებაა დაცვა აწმყოსი (კაპიტალიზმის), პროლეტარიატის – დაცვა მომავლის(სოციალიზმის)“ (46, 1). 1917 წლის თებერვლის რევოლუციას 1905-1907 წლების რევოლუციისაგან განასხვავებდნენ შემდეგი ფაქტებით: 1. 1917 წლის რევოლუცია განხორციელდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე, რაც რევოლუციის მომხრე, თუ მოწინააღმდეგე კლასობრივი ძალების მეტი სიმწიფის განმაპირობებელი იყო. 2. 1917 წლისათვის რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს რევოლუციური გამოცდილების ვეებერთელა მარაგი გააჩნდათ. ამ ორი რევოლუციის შუალედში ბოლშევიკურმა პარტიამ გასწია დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ფართო დემოკრატიულ მასებს აეთვისებინათ პირველი რევოლუციის გაკვეთილები. (278, 256).

XX საუკუნის დასაწყისში ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. მათ საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები და გზები გააჩნიათ. „სოციალისტ-ფედერალისტების მთავარ მიზანს წარმოადგენდა – ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, სოციალური თანასწორობა, ევროპული ტიპის დემოკრატიული სოციალიზმი, ანუ კაპიტალიზმის პირობებში სოციალისტური რეფორმების თანდათანობითი განხორციელება. აგრარულ სფეროში მიწების სოციალიზაცია“. (266, 21).

„სოციალისტ-რევოლუციონერები ცდილობენ შექმნან ისეთი პარტია, რომელიც შეძლებს სამი კლასის: ინტელიგენციის, გლეხების და პროლეტარიატის ინტერესების დაცვას. მათი პროგრამა იყოფა ორ ნაწილად: პოლიტიკური და ეკონომიკური. პირველით ისინი მოითხოვენ დემოკრატიულ წყობილებას. ისინი ბურჟუაზიულ რევოლუციას ეტრფიან, სახელმწიფოს ბურჟუაზიულ ფორმას ითხოვენ და აი ამ შეხედულებას ერთიანად ეწინააღმდეგება აგრარული პროგრამა. ითხოვენ ისეთ ეკონომიურ რეფორმებს, რომელიც პირიანად არღვევს კერძო საკითხების პრინციპს, ძირს უთხრის ბურჟუაზიის ბატონობას “ (150, 2).

„სოციალ-დემოკრატია არის პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანია დემოკრატიული წყობილების საშუალებით პროლეტარული სოციალიზმის განხორციელება, ამისათვის ის აერთებს მთელ პროლეტარიატს და მუშა ყავს თავის ფარგალში. იმხრობს ყველა იმ უკმაყოფილო კლასთ, რომელნიც

ითვისებენ პროლეტარიატის მეთაურობით კაპიტალიზმის დაღეწვას. სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დგება ნაციის დიდი უმრავლესობა და მით ხდება ის ნაციონალურ პარტიად“ (148, 4).

ერთი რამ ფაქტი იყო, რომ პროლეტარიატის როლი საკმაოდ იყო წამოწეული საზოგადოებრივი გარდაქმნების პროცესში. ფართო ფენებში ამ იდეების რეალიზებას ხელს უწყობდნენ სოციალ-დემოკრატები. როგორც ვიცით, ეს პოლიტიკური პარტია მარქსისტულ იდეოლოგიაზე იყო აღმოცენებული. სწორედ მარქსმა და ენგელსმა წამოწიეს პროლეტარიატის ჰეგემონი როლი ახალ ეპოქაში, რომელიც სწორედ მათი მეშვეობით უნდა შექმნილიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატის ცნობიერებამ განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა და შემდეგში მიიღო მან ჩამოყალიბებული სახე. კარლო დოლიძე აღნიშნავს: „რუსეთში განსაკუთრებით შესამჩნევი თვისობრივი ცვლილებები ხდება გასული საუკუნის დამლევის. ამ პერიოდში მთავრდება კაპიტალიზმის გადასვლა მრეწველობაში – მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაზე, როგორც კაპიტალისტური წარმოების უფრო მაღალ საფეხურზე და სრულდება სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესი. ეს სამრეწველო პროლეტარიატი არსებითად განსხვავდება ბატონყმობის პერიოდის ფაბრიკის მუშებისა და წვრილი, კუსტარული მრეწველობის მუშებისაგან, როგორც დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში თავმოყრით, ისე თავისი საბრძოლო რევოლუციონური თვისებებით. რუსეთის ისტორიულ ასპარეზზე სამრეწველო პროლეტარიატის გამოსვლა რუსეთის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრად გადაქცევის უმნიშვნელოვანესი ობიექტური წინამძღვარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმი შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რუსეთი ეკონომიური განვითარებით მაინც ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. იგი აგრარული ქვეყანა იყო, ეკონომიურად ჩამორჩენილი, სადაც ჯერ კიდევ ჭარბობდა წვრილმესაკუთრული, ნაკლებ მწარმოებლური ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა“ (229, 9).

ამდენად „მუშათა მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა, მრეწველობის სულ ახალახალ დარგებს მოიცავდა. საწარმოებში იქმნებოდა არალეგალური წრეები, სადაც მუშები იძენდნენ პოლიტიკურ ცოდნას. პროლეტარიატის კლასობრივი, პოლიტიკური შეგნების ზრდას მოწმობს მძლავრად გაჩაღებული საგაფიცვო მოძრაობა. მე-19 საუკუნის დამლევის მუშათა მოძრაობა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. საგაფიცვო ბრძოლებსა და

მასობრივ პოლიტიკურ გამოსვლებში მუშათა კლასი იძენდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას. მუშათა მოძრაობის განვითარების ნიადაგზე რუსეთში იქმნებიან პირველი მარქსისტული ორგანიზაციები“ (229, 10). ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში ამგვარი კავშირების საჭიროება XX საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება, როდესაც მუშათა გაერთიანებულ და ორგანიზებულ მოძრაობებს ეყრება საფუძველი. 1900 წლის მაისში ჩატარდა თბილისის სტამბის მუშების გაერთიანებული კრება სადაც გადაწყდა, რომ ერთობლივად იმოქმედონ მთავრობის და მათი ბატონების წინააღმდეგ. (39, 8). აქცენტი კეთდება მუდმივად იმაზე, რომ მუშების უკიდურესი მდგომარეობის მიზეზი მთავრობაა და ბურჟუაზია. საჭიროა პროლეტარიატის ორგანიზებული გაერთიანება თვითმპყრობელობის დასამხობად. სოციალ-დემოკრატიული პარტია ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატი ყველაზე შეგნებული ფენაა, რომელიც ნათლად აცნობიერებს ყველა იმ პრობლემას, რომელსაც თვითმპყრობელობა უქმნის არა მხოლოდ მათ, არამედ მთელ საზოგადოებას, ამიტომ ისტორიული პროცესის შესაცვლელად მთავარ დასაყრდენ ძალად მუშათა კლასს მიიჩნევენ.

მართალია, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსულ ნიადაგზე იდგა და საწყის ეტაპზე უფრო მეტად იყო გამოკვეთილი მათში ანტიქართული იდეოლოგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეროვნულ განსხვავებულობას და ქართულ სინამდვილეს ისინი არ გამორიცხავდნენ. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთ ნიმუშს. „რუსეთის მუშათა მოძრაობას რომ დავაკვირდეთ, აშკარად დავრწმუნდებით, რომ მას ამჟამად მარტო ეკონომიური ან სოციალური ხასიათი არა აქვს. მუშებმა უწინარეს ყოვლისა მონარქიულ წყობილებას გამოუცხადეს ბრძოლა და ეკონომიური საბაბი დღეს მათთვის მხოლოდ საბაბია პოლიტიკურ ბრძოლის გამოცხადებისათვის და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. პროლეტარიატი უძღურია გააუმჯობესოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, თუ ამ პროლეტარიატს ბრძოლისათვის შესაფერი პოლიტიკური ნიადაგი არა აქვს საფუძვლად. პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალ დაწესებულებათა დამყარება აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის ნორმალური განვითარებისათვის. ყოველივე ეს რუსეთის მუშებმა შეიგნეს და ამიტომ მისცეს თავიანთ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი.

თუ რუსეთში მაგრეა, ჩვენმა მუშათა მოძრაობამ როგორი-ღა მიმართულება

უნდა მიიღოს? რა უნდა იყოს დაწერილი მის დროშაზე? დღემდე ჩვენებურ მუშათა მოძრაობას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც რუსეთის მოძრაობას აქვს ე.ი. ჩვენშიაც მუშებმა მონარქიას გამოუცხადეს ომი, ჩვენშიაც მუშათა პარტიამ აწინდელ რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა. ჩვენ ამ მოძრაობას სულით და გულით თანაუგრძობთ, რადგან, მართლაც და, ჩვენშიაც, როგორც მთელ რუსეთში, მონარქიული წესი არის ხალხის დამჩაგვრელი, მის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესების შემაფერხებელი. ხოლო, ჩვენის აზრით, ჩვენებურ მუშათა მოძრაობას ადგილობრივი ელფერიც უნდა ეტყობოდეს... იმგვარი ელფერი, რომელიც უნდა იყოს ნაყოფი რუსეთსა და საქართველოს შუა არსებულ ეროვნულ სხვადასხვაობისა. ქართველმა მუშა ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ორგანიზაციას. საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიად ვერ დარჩება“ (119, 5).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი იყო, რომ მუშებს გაეცნობიერებინათ მათი კავშირის აუცილებლობა საერთო მტრის, თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის არარსებობის შემთხვევაში წარუმატებლობა გარდაუვალი იქნებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მიზანი იყო სოციალიზმის განხორციელება, რომლის რეალიზატორი უნდა გამხდარიყო მუშათა კლასი, როგორც ყველაზე გაცნობიერებული სოციალური ფენა. ფაქტობრივად ეს იყო ერთგვარი იდეოლოგია, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი – სოციალ-დემოკრატიული პარტია ქმნიდა. ეს სრულიად ახალი ეპოქის შექმნას ითვალისწინებდა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 153, აღწერა 1, საქმე № 1782, დაცულია საინტერესო ცნობა მუშების ერთიანობის საჭიროების შესახებ. „ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მზემ გაანათა მშობლიური მიწა. მე ამ დროს რამოდენიმე ნაცნობთან ერთად წავედი ყანაში, სადაც მოეწყო დოღი, სადაც ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები და ვიდრე მიმდინარეობდა საკითხის განხილვა, რას ნიშნავს სიტყვა „ამხანაგი“ – ამ საკითხმა მიიღო სერიოზული მიმართულება, ყოველი გამოხატავდა თავის შეხედულებას, ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სიტყვა „ამხანაგი“ ნიშნავს ერთმანეთის მოტყუებას, ეს არის ბრმა იარაღი, სხვები ამტკიცებდნენ, რომ ამხანაგი იწოდება მაშინ, როდესაც მიდიხარ რაიმეს შესაგროვებლად. ამ სიტყვების მერე მე დავიწყე ჩემი აზრის გამოთქმა და იმის მტკიცება, რომ მე მყავს ძალიან ბევრი ამხანაგი და ჩვენ ვართ განუშორებლად. შემდეგ მოვიყვანე მაგალითი მერკვილაძის გმირობის, რომელმაც სროლის დროს

არ დატოვა ბედის ანაბარა თავისი დაჭრილი ამხანაგი და მან თავი გაწირა ამხანაგების-სათვის. დაუშვტკიცე მათ, რომ ამხანაგობა თანამედროვე დღეს უფრო შემჭიდროვდა, ვიდრე ადრე... მართალია თანამედროვე დღეს ყველგან კაპიტალისტური წყობაა და მუშები ყოველ ნაბიჯზე იჩაგრებიან, მაგრამ დადგება ისეთი დრო, როდესაც მუშები დაიწყებენ სხვა როლის თამაშს. როდესაც დადგება სოციალისტური წყობა, მაშინ ამხანაგები ითამაშებენ სხვა როლს“ (7, 32).

თუ XX საუკუნის დასაწყისში აუცილებელი იყო მოწოდება მუშის პოლიტიკური შეგნების საჭიროებისათვის, 10-იან წლებში ვითარება რადიკალურად იცვლება, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგიტაციის შედეგი იყო, ანუ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებთან XX საუკუნის 10-იანი წლებიდან პროლეტარიატის გაფიცვების წარმართველი უკვე პოლიტიკური მოტივი ხდება და რაც მთავარია ერთობლივი მოღვაწეობა. სწორედ აღნიშნულის გამოხატულებად მიიჩნევენ იმ პერიოდის ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას. გაზეთი „ერთობა“ ასეთ შეფასებას აძლევს ამ მოვლენას: „დღევანდელი საშინელი მსოფლიო ომი უპირველესად დემოკრატის-სოფლის გლეხკაცობას და ქალაქის წვრილ მესაკუთრეთ დააწვა კისერზე. მაშინ, როდესაც თითქმის მთელი სოფლის გლეხკაცობა ქალაქის ხელოსანნი და წვრილი ვაჭარნი ბრძოლის ველზე გაიხვეტნენ და ათასობით იხოცებოდნენ, ქალაქის მუშა-პროლეტარიატი ძველებურად ქარხანაში იდგა და განაგრძობდა მუშაობას. აგრეთვე ლიბერალურმა ბურჟუაზიამ თავი შეაფარა ზურგში მოქმედ სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ომის სუსხი მას არ უგრძნია. ამასთანავე ერთად ეკონომიური მდგომარეობა მუშა-პროლეტარიატისა არსებითად არ შეცვლილა. ცხოვრების გაძვირებასთან ერთად, იგი აიძულებდა ყველას ხელფასის მომატებასაც. რაც შეეხება მსხვილ ბურჟუაზიას, ის ომით პირდაპირ სარგებლობდა. არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები შემოსავლისათვის, როგორც ომიანობაა. სულ სხვა მდგომარეობაში ჩავარდა დემოკრატია. სოფლად ჯანსაღი გლეხკაცობა სულ ერთიანად ბრძოლის ველზე გაიყვანეს. დარჩნენ ბავშვები, მოხუცები და ქალები. მშრომელ მარჯვენას მოშორებული გლეხის ოჯახი სრულებით წაილეკა, აღარ დარჩა პურის მომყვანი, ვენახის გამკეთებელი, საქონლის მომვლელი, ბადის მომვლელი და სხვა... არსად იყო მშრომელი სოფლად, არ მოიპოვებოდა შრომის ნაყოფიც. ასეთსავე მდგომარეობაში იყო, თითო ოროლას გარდა, ქალაქის

ხელოსანიც, წერილი ვაჭარი და დემოკრატიული ინტელიგენცია. დაიკეტა ქარხანა, ღუქანი, მოსწყდნენ ყველანი მშობლიურ კერას და მტრის ტყვიას გულმკერდს უშვერდნენ.

უბედურება და გაჭირვება ადამიანს გონს მალე მოიყვანს, თვალებს აუხელს, ასე მოუვიდა დემოკრატიასაც. მან იგრძნო თავისი უმწეო მდგომარეობა, შეიგნო რომ მას მსოფლიო ომი უბედურების მეტს არას მოუტანს. კარგად დაინახა თუ ვინ იყო მისი მოსისხლე მტერი და გაბედულად შეუტია კიდევაც თვითმპყრობელობას, უკანასკნელიც დაემხო. მაშასადამე, მეორე რევოლუციაში გლახკაცობამ და ქალაქის დემოკრატიათ მიტომ მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომ ყველაზე უკმაყოფილონი მდგომარეობით ისინი იყვნენ“ (162, 2).

რა განაპირობებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეების აქტუალობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა. პასუხი ნათელია სოციალ-დემოკრატია საზოგადოების ფართო ფენებს პირდებოდა სრულ ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობას, თვითმპყრობელობის მარწუხებისგან განთავისუფლებას და სოციალიზმის განხორციელებას, სადაც ყველა სოციალური ფენა ხელშეუხებელი და უზრუნველყოფილი იქნებოდა.

გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ბეჭდური მედიის საშუალებით ცდილობდა საკუთარი იდეების აქტუალიზაციას საზოგადოების ფართო ფენებში, ამასთან მთავარი საშუალება იყო პროკლამაციები, სადაც ჩამოყალიბებული იყო მათი პროგრამა და ყურადღება მახვილდებოდა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც მუშები იმყოფებოდნენ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ინფორმაცია ნათლად აჩვენებს ამ პროცესს. „... თქვენ ჩუმად ხართ, თქვენ ითმენთ, თქვენ იცდით, თქვენ იმედი გაქვთ! იმედოვნებთ, რომ შესაძლებელი იქნება, კეთილი სიტყვა დაიპყრობს მსოფლიოს, რომ საბოლოოდ დატრიალდება ისტორიის ბორბალი და დადგება უკეთესი დღეები, უკეთესი სიტუაცია, წესრიგი. ეს არ იქნება თქვენს მიერ გაგზავნილი ადრესებით და პეტიციებით. რა მიიღეთ თქვენ ამით? თქვენ დაგავიწყდათ მეფის სიტყვა ლიბერალი დეპუტატების კორონაციის დროს „აზრს მოკლებულ ოცნებაზე?“ ნუთუ გადახედვა ყველა ჩვენ სასწავლო საქმეში არ არის ნათელი იმისა, რომ მთავრობის გეგმებში არ შედის არავითარი სერიოზული რეფორმა? რას ელოდებით?“ (4, 55). საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1917 წლამდე გამოსული პროკლამაციები ძირითადად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

სახელით ვრცელდებოდა და გამოდიოდა. ამავე ფონდშია დაცული შემდეგი ინფორმაცია: „მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე სასტიკად გვღვენნიან და გვითვალთვალებენ, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გვამწყვდევენ, გვასახლებენ, კატორღაში გვაგზავნიან და მით ცდილობენ ჩვენ შეშინებას და გაღაჩრებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მანიფესტანტები განდევნეს და გადაასახლეს, – მაინც თანდათან ძლიერდება შეგნება პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების სურვილისა“ (4, 83). ბუნებრივია ხშირ შემთხვევაში ეს იყო იდეოლოგია, რომელსაც ქმნიდნენ მუშების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. თუმცა XX საუკუნის დასაწყისისგან განსხვავებით შემდეგ პერიოდში უკვე აშკარად შეიმჩნევა პროლეტარიატის ორგანიზებული გამოსვლები. „მუშებმა დაიწყეს პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესება, რევოლუციური მოქმედება. საჭიროა ბრძოლა ყოველდღიური ღოზუნგით და შეგნებული მუშების წინაშე დგას კითხვა პროლეტარიატის ბრძოლის მიზანზე, ამოცანებზე და ფორმაზე. მუშა არასდროს არ გამოვა, არ გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯს წინასწარ, არ შეცვლის თავის ტაქტიკას. მუშათა კლასს სხვადასხვა ქვეყნებში აქვს თავისი მუშათა კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ფლობს კლასობრივ პოლიტიკას... უნდა ვიბრძოლოთ სამეფო ხელისუფლების დასამხობად, რადგან გვექონდეს თავისუფალი გზა ჩვენი ნამდვილი მიზნისთვის – სოციალიზმისთვის. იმისთვის, რომ მომავალ ბრძოლას ვქონდეს ძალა და გავლენა ხალხის მასაში, რომ უხელმძღვანელოთ მათ, ჩვენ გვჭირდება მაგარი და გამძლე პროლეტარიატის ორგანიზაცია“ (5, 2). თუ საწყის ეტაპზე სოციალ-დემოკრატიული პარტია მხოლოდ გაფიცვების გამოსვლის მოთხოვნით კმაყოფილდებოდა 1905 წლიდან უკვე ბრძოლის აქტიურ ეტაპზე გამოდის და პროლეტარიატს შეიარაღებული გამოსვლისაკენ მოუწოდებს. ამავედროულად, როგორც ჩანს არსებული სიტუაციით სარგებლობდნენ საეჭვო რეპუტაციის პირები და რევოლუციონერების სახელით გამოდიოდნენ და ხალხს საშინელ მდგომარეობაში აგდებდნენ. ამიტომ ყველა პროკლამაციაში, რომელიც 1905 წლიდან გამოდიოდა საზგადოებას სიფრთილისკენ მოუწოდებდნენ და ნამდვილი რევოლუციონერების დახმარებას სთხოვდნენ.

1905 წელს გამოსულ პროკლამაციებში აქცენტი კეთდებოდა ყველა სოციალური ფენის გაფიცვის საჭიროებაზე. აუცილებელ მოტივად მიიჩნევდნენ სხვადასხვა სოციალური ფენების გაერთიანებას და ორგანიზებულ გამოსვლებს მთავრობის წინააღმდეგ. „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი წინააღმდეგია, ის

მთავრობის ლაქიაა და მის ბედს გაიზიარებს. არ კმარა მარტო გაფიცვა. საჭიროა ბრძოლა თავის დასაცველად და მტრის მოსაგერიებლად. მთავრობას უნდა გაფიცვის გატეხა და ამით რევოლუციის ჩაქრობა. მაშ შეიარაღდით ყველანი, შეიარაღდით, რითაც შეგიძლიათ, მუდამ მზად იყავით ბრძოლის ველზე გამოსასვლელად. შეტაკება აუცილებელია. რეაქცია მოდის, მას ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები. მაშ რა დაგვრჩენია? იარაღით ხელში გამოვიდეთ სოციალ-დემოკრატიის პირველ მოწოდებისთანავე ადამიანობის და თავისუფლების დასაცველად.“ (8, 219).

ერთი სიტყვით მუშათა მოძრაობამ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული გარკვეული გზა განვლო. აღნიშნულ მოძრაობას ახალი მიმართულება მისცა პირველმა მსოფლიო ომმა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება 1918-1921 წლებს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ქართული დემოკრატიული ძალები მათი მოღვაწეობის პარალელურად ბოლშევიკები ცდილობდნენ საზოგადოებას ხელისუფლების არასწორ დამოკიდებულებას მუშებისადმი და თავის მხარეზე გადაიბირონ. ამისთვის ვრცელდება სხვადასხვა პროკლამაციები. „თქვენ ამხანაგო მუშებო, კმაყოფილი არა ხართ სამუშაო დროის მაქსიმუმით, თქვენ ვერ გაკმაყოფილებთ საკატორლო შრომის დაცვა! შრომის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა, თქვენ არ გაგაჩნიათ თავისუფლება კავშირისა, გაფიცვის თავისუფლება, არა გაქვთ თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა. თქვენ, ამხანაგო გლეხებო, დაკმაყოფილებული არა ხართ მიწით, ის ვერც ახლა უზრუნველყოფს თქვენს ადამიანურ არსებობას, თქვენ განწირული ხართ მუდამ შიმშილის და სიცივის მსხვერპლი იყოთ. თქვენ მოგისპეს უფლება თქვენს ჭირვარამზე ილაპარაკოთ. საკმარისია ოდნავი ეჭვი აიღონ, რომ თქვენ უარყოფით უყურებთ, სისხლით გათხუპნულ ქორდანიას და ჯალათ რამიშვილის მთავრობას, რომ თქვენ, ამხანაგო მუშებო და გლეხებო, დაგატუსაღონ, ჩაგყლაპონ ციხეში და ან გაგაძევონ თავის საბრძანებლიდან“ (22, 85). ფაქტობრივად, ყველა პროკლამაციაში საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და ამიტომ ხალხს მოუწოდებდნენ გამოსულიყვნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. მართალია ბევრი იწერებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ მუშას არ აქვს სამშობლო და სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა უნდა იბრძოდნენ ერთი მიზნისთვის და ეს – სოციალიზმის განხორციელებაა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით დღეისათვის არსებულ ისტორიულ მასალებს,

ნათლად დავინახავთ, რომ ეს საკითხი განსხვავებულად აღიქმებოდა. გაზეთი „შრომა“ 1906 წელს წერდა: „მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება მუშათა ისეთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებდეს ამა თუ იმ ერს. ისეთი განვითარებული პროლეტარიატიც კი, როგორც გერმანიაშია, პატრიოტული გრძნობებით არის გამსჭვალული. მუშა ხალხი იბრძვის თავის კლასობრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ამავე დროს არ ივიწყებს, რომ იგი ამა თუ იმ ერს ეკუთვნის, და თუ იმის ერს რაიმე ხიფათი მოეღის, იგი მზად არის იბრძოდეს ამ ერის დასაცველად. ეს ეროვნული ბრძოლა იმდენად ბუნებრივი და ძლიერია, რომ მუშა ხალხი ხშირად დაივიწყებს ხოლმე თავის კლასობრივ ანტაგონიზმს და ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლაში უერთდება მოწინააღმდეგე კლასებს“ (157, 2). გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური სპექტრი სოციალიზმის განხორციელების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას. „სოციალისტური პარტია ცდილობს სხვადასხვა ერის მუშა ხალხი შეაერთოს ერთს ძლიერ კლასობრივ არმიად: უმისოდ შეუძლებელია სოციალიზმის მოახლოება. მაგრამ იმ სახელმწიფოში, სადაც ერთი ერი გამეფებულია, ხოლო სხვები დაჩაგრული, შეუძლებელია ეს შეერთება, რადგან დაჩაგრულ ერის მუშა ხალხი ყოველთვის გრძნობს თავის ეროვნულ დაჩაგრვას, ამიტომ იმის კლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ბრძოლა უერთდება. მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ შეუერთდება მჭიდროდ სხვა ერების მუშებს, როდესაც იმისი ერი ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორც სხვა ერი“ (157, 2). გაზეთი „ზვირთი“ კი 1915 წელს აღნიშნავდა: „მუშათა კლასი თავის სამშობლოსთან მარტო გრძნობით არ არის დაკავშირებული. სამშობლოს კუთხეა, სადაც მთელი მისი სულიერი და ქონებრივი კულტურა იქმნება. მუშას ავიღებთ, თუ გლეხს – ყველა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან“ (55, 1).

თუ კარგად დავაკვირდებით არსებულ მონაცემებს, დავინახავთ, რომ პროლეტარიატის ეროვნულ გრძნობებზე საუბარი არა მხოლოდ 1918-1921 წლებშია, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე გარკვეულწილად შეცვალეს თავისი პროგრამა, არამედ მანამდეც. „ჩვენმა მუშებმა ვერ უნდა გაარჩიონ, სად იწყება სამშობლო და სად თავდება თავისი კეთილდღეობა. ჩვენ უნდა შევადუღოთ მუშა და სამშობლო, ერთ ხორცად და ერთ სულად ვაქციოთ მუშა-სამშობლო და მუშათა კეთილდღეობით ავაგოთ ჩვენი რესპუბლიკის სიმაგრენი.

ჩვენ უნდა მივცეთ მუშებს მაქსიმუმი რისი მიცემაც შეიძლება დღეინდელ პირობებში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთადერთი დამცველი ჩვენი სამშობლოსი არის მუშათა კლასი და მთელი სამშობლოც ამავე კლასს უნდა ემსახურებოდეს. მუშა და გლეხია ჩვენი ჯარი, მუშა და გლეხია ჩვენი მაჯისცემა. ჩვენი სამშობლო მუშისა და გლეხის ქვეყანაა და თუ გვინდა მუშა და გლეხი გამოვიდეს სამშობლოს სადარაჯოზე და თოხითა და წერაქვით დაიცვას ყოველი ნაჭერი მიწისა, ვიზრუნოთ მასზე“ (142, 2).

ის ფაქტი, რომ პროლეტარის ცნობიერების ეროვნულ ფორმებში მოქცევა პრიორიტეტულია, ნიშნავს იმას, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატის ინტერესი კლასობრივი იყო და მათ საწყის ეტაპზე მათი ეკონომიკური მხაგრელების წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, შემდეგში აუცილებელი იქნებოდა მუშის ეროვნული შეგნების ამაღლება, რადგან მათი გამარჯვება იქნებოდა საერთო სახალხო, რაშიც ყველა სოციალური ფენა უნდა ყოფილიყო ჩართული. ამისთვის, გარდა პოლიტიკური დონის ამაღლებისა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მუშათა კულტურული შეგნების ამაღლება. განათლებული და შეგნებული პროლეტარიატის გარეშე ეს მიზანი განუხორციელებელი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა ამოსავალი სწორედ აღნიშნულის მოწესრიგებაა. „მუშა ხალხის კულტურის სამეფოში შეყვანა, მისი გაკულტუროსნება უდიდესი ნაციონალური საქმეა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა არა მარტო კულტურული საუნჯის ქონება, არამედ მისი ხალხისთვის ხელმისაწვდომად გადაქცევა. რად გინდათ სკოლები, წიგნები, გაზეთები, თეატრები და სხვა. თუ მუშა-კაცი ამით ვერ სარგებლობს, ის სარგებლებს ამით მაშინ, როცა მას შესაფერი საშუალებაც მიეცემა. თუ კაცი დღეში 15 საათს მუშაობს და მცირე ხელფასს იღებს, ის ვერავითარი კულტურის მონაწილე ვერ გახდება. მუშის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ბადებს მის კულტურულ გაუმჯობესებასაც. თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლა არის ბრძოლა კულტურისათვის. სამუშაო დღის შემოკლება, ქირის მომატება, შრომის სამფარველო კანონმდებლობა, თავისუფალი კრებები, პროფესიონალური კავშირები, მუშათა ორგანოები და სხვა. აი, რა ქმნის ხალხის კულტურას“ (256, 180). სწორედ აღნიშნულის გამოსატყულება იყო მუშათა კლუბის შექმნა, რომელსაც საკუთარი მკვეთრად გამოსატყული მიზანი ჰქონდა. „დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათ-

ვის ორი უმნიშვნელოვანესი და პასუხსაგები საკითხთაგანია პროლეტარული მასსის კულტურული განვითარების საქმის წესიერად დაყენება. დემოკრატიული სახელმწიფო ე.ი. ხალხის სრულუფლებიანობა შეიძლება გამაგრდეს და განმტკიცდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის შეგნების ზრდა-განვითარებაზე. შეგნების ზრდაზე და საზოგადოების გათვითცნობიერებაზე ემყარება აგრეთვე საზოგადოების მომზადება სოციალიზმისათვის. გარდა ასეთი საერთო დებულებებისა კაცობრიობის მიმდინარე ცხოვრება მკაფიოდ უკარნახებს დემოკრატიის მესვეურებს მოუწოდონ ფართო მასებს ხელთ იგდონ და სოციალურად გარდაქმნან მებატონე კლასთა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა. ეს საკითხი მწვავედ არის დაყენებული დედამიწის ყველა ქვეყნებში. საქართველოს დემოკრატიისათვის, რომელიც სჭედავს ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ და დაუინებით მოითხოვს დიდ განვითარებას“ (11, 158).

1900-1917 წლების კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეოლოგია პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და მათი საზოგადოებრივ კლასად გადაქცევისთვის, არაფრით განსხვავდება 1918-1921 წლების, ანუ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ელიტის იდეებისგან. ისტორიული მოთხოვნებიდან და ეპოქის გამოწვევიდან გამომდინარე, პროლეტარიატი გახდა წამყვანი სოციალური ფენა, რომელსაც ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში გადამწყვეტი მონაწილეობა უნდა მიეღო. მართალია მუშათა კლასის მთავარი ხელმძღვანელი ძალა სოციალ-დემოკრატია რუსული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მათი იდეალი ისეთი სოციალისტური საზოგადოების შექმნა იყო, სადაც ყველა თანასწორი იქნებოდა განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია (და არა მხოლოდ აქ) არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მათი მიზანი განხორციელებულიყო, საჭირო ხდება ქართულ სინამდვილეზე მორგება, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. აქედან მოყოლებული უფრო მეტი ყურადღება ექცევა მუშების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. და რაც მთავარია ეროვნულ ენაზე არსებული ლიტერატურის გაცნობას. რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოყოლოდა როგორც ეროვნული, ასევე კლასობრივი შეგნების ამაღლება. ივანე გომართელი წერდა: „რა არის საჭირო, რომ მუშა ხალხმა კლასობრივი ბრძოლა ნაყოფიერად აწარმოვოს? უწინარეს ყოვლისა საჭიროა შეგნება. შეგნებული მუშა ხშირად კაპიტალისტის ხელში ბრმა იარაღია, რომელსაც კაპიტალისტი პროლეტარიატისავე საწინააღმდეგოდ

ხმარობს. შეუგნებელი მუშა კი მტკიცედ დგას კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მას ვერავინ მოატყუებს. ამგვარი შეგნებისათვის საჭიროა კითხვა, ცოდნა, განვითარება. რომელ ენაზე შეუძლია მუშა ხალხს ცოდნა-განვითარების შექმნა? ერთადერთი ენა მუშა ხალხისათვის, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია განვითარდეს, კლასობრივად გაიწვრთნას, არის მშობელი ენა. მშობლიურ ენაზე განვითარება, მშობლიურ ენაზე მწერლობა არავისთვის იმდენად საჭირო არ არის, რამდენადაც მუშა ხალხისთვის“ (187, 5).

1917 წელს გამოვიდა სოციალისტ-ფედერლისტური პარტიის ბროშურა სათაურით „რა ესჭიროება მუშა ხალხს?“, სადაც სხვადასხვა პრობლემასთან ერთად საუბარია მშობლიური ენის საჭიროებაზე: აქ აღნიშნულია ის უარყოფითი შედეგები, რაც მოაქვს დაპყრობილი ხალხისთვის უცხო ენაზე წარმოებულ სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო პროცედურებს. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტად იზარება მუშა ხალხი. „მუშამ არ იცის სხვა ენა, ვერ კითხულობს უცხო ენაზე გამოცემულ წიგნებსა და გაზეთებს. დაბეჩავებული და დაჩაგრულია დედაენა – მწერლობა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შეუძლიან დაეწაფოს კულტურულ ცხოვრებას, მიიღოს განათლება, განვითარება. დამჩაგრელი სახელმწიფო უარყოფს მის დედაენას, კანონები გამოცემულია მისთვის გაუგებარ ენაზე სკოლასა, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებში გაბატონებულია უცხო ენა...“ (261, 10).

ასევე მინდა ერთ საინტერესო საკითხზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც უშუალო კავშირშია ამ პარაგრაფში განხილულ საკითხებთან. გვერდს ვერ ავუვლი სტივენ ჯონსის ნაშრომს „სოციალიზმი ქართულ ფერებში“, სადაც სწორედ ჩემს მიერ განხილულ საკითხებზეა საუბარი. იგი წერს: „1905 წელს დამტკიცდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულიც იყო და ინტერნაციონალურიც. იმავედროულად, მან ეროვნული და კულტურული საკითხების ირგვლივ გააერთიანა ქართველები და შექმნა ანტი-ცარისტული ფრონტის მობილიზება, რომელშიც სომეხი ვაჭრები, ქართველი გლეხები და რუსი მუშები შედიოდნენ. სოციალ-დემოკრატია ქართველებისთვის ეროვნული კულტურისათვის ბრძოლას ნიშნავდა, ინტელიგენციისთვის – დემოკრატიისთვის, ხოლო მუშებისა და გლეხებისათვის – ეკონომიკისათვის ბრძოლას“ (307, 1). ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. მართალია, ავტორი აღნიშნულ ნაშრომში სხვადასხვა წყაროთა ბაზას იყენებს და საინტერესო დასკვნებიც გამოაქვს, მაგრამ ასეთი პრობლემის კვლევისას

კომპლექსური ანალიზია საჭირო და დასკვნების გამოტანა საფრთხილოა. 1. ჯერ ეს ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩამოყალიბდა ოფიციალურ პარტიად XX საუკუნის დასაწყისში და ჯერ კიდევ არ იყო მისი იდეოლოგია საბოლოოდ ფორმირებული და რეალიზებული საზოგადოებაში. მით უმეტეს, რომ მათი იდეა მთელი 1900-1921 წლების მანძილზე განიცდიდა ცვლილებას მოვლენების ცვალებადობიდან და ქართული სინამდვილიდან გამომდინარე. თანაც მოღვაწეობის საწყის ეტაპზე უფრო მეტად იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსული იდეების ქვეშ. აქედან გამომდინარე 1905 წელს ვერ დამტკიცდებოდა პარტიის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათი. ზემოთ მოყვანილი მასალები ამას ნათლად მოწმობს. რაც შეეხება პარტიის ეროვნულ ხასიათს, როგორც ჩვენს მოყვანილი მასალები მოწმობს მოღვაწეობის შემდეგ ეტაპზე ეროვნულ პრობლემას არ გამორიცხავდნენ. მაგრამ ეს გამომდინარეობდა, არა მხოლოდ ქართული რეალობიდან, არამედ იქიდანაც, რომ საერთოდ სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ყველგან ეროვნული საკითხი სოციალიზმის განხორციელების აუცილებელი ნაწილი გახდა. მათ შორის საქართველოშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი აზრი არსებობდა: „პროლეტარიატის გამარჯვება დაამყარებს თანასწორობას და არა ერთგვარობას, იგი არ სპობს ეროვნებას. პროლეტარებს არ აქვთ სამშობლო, მაგრამ ტყუილი იქნებოდა, რომ ვთქვათ: მათ არა აქვთ ეროვნებაო. ჩვენ ვხედავთ, რომ დაჩაგრული ერის პროლეტარიატში კლასობრივ შეგნების განვითარებასთან ერთად იღვიძებს ეროვნული თვითშეგნებაც“ (255, 4). 2. დაზუსტებას მოითხოვს რას ნიშნავს „ეროვნული და კულტურული საკითხების ირგვლივ გააერთიანა“. მანამდე არ იყვნენ ქართველები ეროვნული საკითხის ირგვლივ გაერთიანებულნი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა (რომელ მხარესაც ავტორი ფიქრობს) და არა საერთოდ აღმოცენება ეკუთვნის თერგდალეულებს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. სწორედ ილიამ ჩაუყარა საფუძველი ნაციონალური იდეოლოგიის აღორძინებას, რაც გამოიხატა პირველ რიგში საგანმანათლებლო სისტემის საშუალებით საზოგადოების კულტურული, ინტელექტუალური ცნობიერების ამაღლებით, ისტორიული მეხსიერების, ტრადიციების გაცოცხლებით. ერთი სიტყვით მოდერნული ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებით. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მიზანი, კი საზოგადოების, განსაკუთრებით მუშების და გლეხების პოლიტიკური შეგნების ამაღლება იყო.

თუ რატომ ამაზე უკვე ვისაუბრე როგორც წინა პარაგრაფში, ასევე ამ ნაწილში და ამიტომ აღარ გავიმეორებ. 3. „სოციალ-დემოკრატია ქართველებისთვის ეროვნული კულტურისათვის ბრძოლას ნიშნავდა, ინტელიგენციისთვის – დემოკრატიისთვის, ხოლო მუშებისა და გლეხებისათვის – ეკონომიკისათვის ბრძოლას“. ვერც ამ მოსაზრებას გავიზიარებ. რანაირად ნიშნავდა „ეროვნული კულტურისთვის ბრძოლას“? ცნობილი ფაქტია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მიზანი, ყოველ შემთხვევაში 1918 წლამდე, ხელისუფლებაში მოსვლამდე მუშების და გლეხების გაერთიანება და სოციალიზმის განხორციელება იყო. ქართველებში კი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებიც ერთიანდებოდნენ: სამღვდელოება, ინტელიგენცია, ბურჟუაზია, თავადაზნაურობა და სხვა, რომელთაც საკუთარი მისწრაფებები გააჩნდათ და რაც მთავარია არსებობდა სხვადასხვა პარტიები: ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვა, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გეგმებს. ინტელიგენცია, რომელშიც შედიოდა კულტურული და პოლიტიკური ელიტა, მართალია დემოკრატიულ ღირებულებებზე ოცნებობდნენ, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის იდეალი ხომ სოციალიზმი იყო. რაც შეეხება მუშებს და გლეხებს, ისინი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც იბრძოდნენ. ასე რომ ამგვარი საკითხების კვლევისას მრავალი დეტალია გასათვალისწინებელი.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული იდენტობის შესასწავლად სოციალური ფენების და, მათ შორის, პროლეტარის ცნობიერების შეფასების გარეშე წარმოუდგენელია პრობლემის სრულყოფილად შესწავლა. როგორც ვხედავთ, პროლეტარიატი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ არასწორია პროლეტარიატის მხოლოდ ერთი მიმართულებით განხილვა: მისი როლის წარმოჩენა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებში. პროლეტარი ახალი ეპოქის შვილია და რაც მთავარია, ის არა მარტო სოციალიზმის განხორციელებისთვის იბრძვის, არამედ ნაციონალური იდეების ნაკლებობასაც არ განიცდის. მას არა თუ სამშობლოს აღქმის განცდა გააჩნია, არამედ მისი შენარჩუნებისთვის იბრძვის.

### §3. ჯარისკაცი

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამხედრო ისტორიის საკითხების შესწავლას. ამ პრობლემას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა, სადაც ძირითადად აქცენტი გაკეთებულია საბრძოლო ხელოვნებაზე, ჯარის განლაგება-ჩამოყალიბების საჭიროებაზე, სხვადასხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმოებული ომების ხასიათზე და ა.შ. თუმცა აღნიშნული საკითხების შესწავლასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობისაა ჯარისკაცის ეროვნული ცნობიერების შეფასება. სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან ერთად ისტორიული მოვლენების ანალიზისთვის აუცილებლობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რა გზა განვლო ჯარისკაცის ცნობიერების განვითარებამ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე და რა როლს თამაშობდა იგი ქართული, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში 1918-1921 წლებში.

ეროვნული საკითხის სრულყოფილად შესწავლა სხვადასხვა სოციალური ფენების თუ სოციალური ჯგუფების ცნობიერების გაანალიზების გარეშე შეუძლებელია. მათ შორის მნიშვნელოვანია ჯარის და ჯარისკაცის ადგილის განსაზღვრა და შეფასება. ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი და შემადგენელი კრიტერიუმების მნიშვნელობა ქართველი ერისთვის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე სასიცოცხლო როლს თამაშობდა. როგორც ვიცით, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ცნობიერებამ განვითარების გარკვეული გზა განვლო და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ახალ ეტაპზე გადავიდა. მართალია ეროვნული იდენტობის გააზრებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს და ფაქტიურად წარმოდგენელიც კია მისი შესწავლა და წარსულის აღდგენა: ქრისტიანობის, ენის, მამულის, ისტორიული მესხიერების, ტრადიციის გარეშე და დღეისათვის არსებულ ამ სახის გამოკვლევებში აქცენტი სწორედ ამ მახასიათებლებზე კეთდება, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ პრობლემის ამომწურავად შესწავლისათვის აუცილებელია კომპლექსური ანალიზი და, მათ შორის, სოციალურ ფენათა თუ სოციალურ ჯგუფთა როლის წარმოჩენა და გათვალისწინება.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, პრობლემის შესწავლას მივყვები

ორი განსხვავებული ეპოქის 1900-1917 წლების და 1918-1921 წლების შედარებით ანალიზით. პირველ პერიოდში საქართველო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში და გარკვეული სტრუქტურები განსაკუთრებით განიცდიდნენ გარუსების პოლიტიკას. მათ ჯგუფში იყო ჯარი, რომელიც რუსეთის იმპერატორის დასაყრდენ საშუალებას წარმოადგენდა და ხშირ შემთხვევაში იყენებდა ხალხის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების, თუ სხვა შემთხვევაში. მაგრამ, ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული რუსეთში და განსაკუთრებული გამომხატველობით საქართველოში, რაც გულისხმობდა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე განსაკუთრებით დამორჩილებული ხალხების შემთხვევაში ეროვნულ გარდაქმნებს ახალი ეპოქის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

XX საუკუნის დასაწყისიდან ეს პროცესები განვითარების ახალ ფაზაში შედის, რაც გამოიხატა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებით და მათი იდეოლოგიის პროპაგანდით საზოგადოებაში. ამ მიმართულებით როგორც არაერთხელ აღვნიშნე აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო რუსეთში და ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მათი იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი იდეოლოგიის რეალიზებას ხალხში. საწყის ეტაპზე მათ საერთო ინტერესი ჰქონდათ, ორივე ქვეყნის პარტიის მიზანი იყო: მეფის თვითმპყრობელობის დამხობა, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა სოციალურ ფენას და მათ შორის ჯარისკაცს. მთელი იმპერიის მასშტაბით ვრცელდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროკლამაციები, სადაც იყო მოწოდება აღნიშნულ პროცესში ჩართულობაზე.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დროს განსაკუთრებით გააქტიურდნენ პროპაგანდისტები. ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილი ყოველ დონეს ხმარობდა ეს პერიოდი გამოეყენებინა ქართველი ერის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისთვის და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გარკვეული წინაპირობები შეექმნა, რადგან ნათელი იყო სწრაფი ქმედებებით არ იქნებოდა სასურველი შედეგი. „რუსეთის რევოლუციის მომენტის ერთ უმთავრეს მოვლენას შეადგენს ჯარის გამოღვიძება, მის გაცნობიერების გზაზე დადგომა. ყოველ დღე სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქებიდან დეპეშები გვაცნობებენ, რომ ჯარისკაცები დღეს ისე ბრმა იარაღს აღარ წარმოადგენენ მთავრობის ხელში, როგორც ეს აქამდის იყო“ (35, 2).

პოლიტიკური და კულტურული ელიტა აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ მთავრობის სიძლიერის გარანტია იყო მისი მორჩილი ჯარი, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობდა მათი ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და იმპერიის წინააღმდეგ გამოყვანას. გაზეთი „ტალღა“ 1906 წელს წერდა: „პირველი იმედი მთავრობისა არის ჯარი. თუ ჯარი ერთგული ეყოლება, მთავრობა არ შეუშინდება არავითარ რევოლუციურს მოზღვაებას, არავითარ მგზნებარე ძახილს აგიტატორებისას, ერთგული ჯარი რევოლუციას ხალხის სისხლში ჩაახშობს. მაგრამ ერთი პატარა გარემოება ავიწყდება მთავრობას: ჯარი იმავ ხალხის შვილებიდან სდგება, შეუძლებელია ხალხის მოძრაობის ტალღები ჯარსაც არ მოხვდეს და მასშიაც არ გამოიწვიოს ისეთივე ლტოლვილება, რომელიც ხალხს ადევლებს“ (151, 1). სწორედ ამაზე აკეთებდნენ აქცენტს პროკლამატორები, რომ ჯარისკაციც, მუშაც და გლეხიც ერთია. ჯარისკაცი გლეხის ან მუშის ოჯახიდან არის და ამიტომ არის მათ შორის ასეთი კავშირი და საჭიროა ორგანიზებული გაერთიანება მთავრობის წინააღმდეგ. „თქვენ, რა თქმა უნდა გეტყოდნენ, რომ ჩვენ გვსურს ჯარისკაცების სიმშვიდის დარღვევა. არ არის ეს მართალი, ძმებო, არ ირწმუნოთ ეს. ამას ლაპარაკობენ ისეთი ხალხი, რომლებიც როგორც თქვენთვის, ასევე ჩვენთვის ერთადერთი მტერია, ეს არის – მეფის მთავრობა და პოლიცია. თქვენ თვითონ განსაჯეთ: როცა არის სურვილი დატოვო საკუთარი ოჯახი და გამოხვიდე ქუჩაში, რომ გცემონ ჯოხებით, კაზაკებმა მათრახებით... საქმე იმაშია, ძმებო, რომ ჩვენი ძმების მუშების ცხოვრება ასე აღარ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ სადაც ჩვენი მუშები მოაწყოებენ გაფიცვებს, იქ უფროსის მოთხოვნით განხდებიან პოლიცია, გუბერნატორი და კაზაკები და იწყებენ ცემას, თან ამბობენ: არ გინდა მუშაობა? ჩვენ გაიძულებთ მუშაობას! კიდევ კარგია, თუ მხოლოდ ამით დამთავრდება საქმე, აქ ჩნდება ჯარისკაცების დიდი ნაწილი და ესვრის მუშებს“ (4, 127). ყველა პროკლამაციაში, რომლებიც ვრცელდებოდა ხალხში, იყო მუდმივი მოწოდება ჯარისკაცების გაერთიანებისა მთავრობის წინააღმდეგ. ფაქტიურად ეს პროცესი გრძელდება მთელი 1900-1917 წლების მანძილზე, მეტნაკლები ინტენსივობით. ამ პერიოდში ჯარისკაცთან მიმართებაში ასეთი მოსაზრება არსებობდა: „ვინ არის ქართველი ჯარისკაცი? ის რუსეთის მხედრობის ნაწილია, მხედარია, მაგრამ ის ქართველია, გუშინდელი გლეხი, სოფლის მუშა, ის წევრია იმ დიდი საზოგადოებისა, რომელსაც საქართველო ეწოდება და ამიტომაც რაც გადახდა მთელ ერს, განიცადა ქართველმა ჯარისკაცმაც, მაგრამ ქართველ

ჯარისკაცს, როგორც ქართველ მხედარს აქვს სხვა ჭრილობაც, რაც სპეციფიკურ თვისებას შეადგენს მის სამსახურისას“ (170, 1).

უფრო მრავალრიცხოვანია ინფორმაცია 1918-1921 წლებში ქართველი ჯარისკაცის შესახებ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ქართულმა, ეროვნულმა ძალებმა მთავარი აქცენტი გააკეთეს ძლიერი და ორგანიზებული ჯარის ჩამოყალიბებაზე, რომელიც არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით იქნებოდა მოწესრიგებული, არამედ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოდა ჯარისკაცის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. „ეროვნული ჯარების დაუყოვნებლივ შექმნა და მოწყობა რევოლუციის ინტერესების მიერ ნაკარნახევია. ეროვნული ჯარის არსებობა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ეს ჯარი გახდება ნამდვილ სარევოლუციო ლაშქრათ, რომელიც დაიცავს ერთის მხრით რუსეთის დიდი რევოლუციის ზოგად ინტერესებს და მეორე მხრით, ამ ინტერესებთან დაკავშირებულსა და გადაჯაჭვულს საღ ეროვნულ იდეალებს“ (170, 1).

ქართველი ჯარისკაცის და ზოგადად, ჯარის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა დაცული მემუარულ ლიტერატურაში. საკმაოდ ცნობილია გიორგი კვინიტაძის, გიორგი მაზნიაშვილის ცნობები და მათი შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. არაერთხელ ყოფილა დამოწმებული მათი მოსაზრებები სამხედრო ტაქტიკასთან თუ სამხედრო ხელოვნების შეფასებასთან დაკავშირებით. მაგრამ ასევე საინტერესოა მათი დამოკიდებულება ჯარის ეროვნულ აღქმის შეფასებისას და მათი თვალსაზრისი ჯარის შექმნასთან დაკავშირებით. გიორგი კვინიტაძე „არმიას“ ერის ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მას მიიჩნევს სარკედ, რომელშიც ერის ისტორია, თვისებებია არეკლილი. იგი წერს: „თითოეული სახელმწიფოს ცხოვრებაში შეიარაღებულ ძალებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ. კრიტიკულ, გადამწყვეტ მომენტებში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება და ქვეყნის ბედი არმიის ხელთაა. ასე იყო დღემდე და ასე იქნება მუდამ. შეიარაღებული ძალები, არმია ხალხის სულის სარკეა. ხალხი თავის შეიარაღებულ ძალებში ასახავს თავის ყველა ღირსებას, ყველა თავის ნაკლოვანებას, მთელ თავის კულტურას, მთელ თავის განვითარებას. ეს იმდენად გარდაუვალი კანონია, რომ არმია თერმომეტრივითაა – არმიის მიხედვით შეიძლება სწორი დასკვნა გამოვიტანოთ ხალხის კულტურაზე, მის სიმძლავრესა და განვითარებაზე ცხოვრების ყველა სფეროში“ (198, 20). აი, რას წერს იგი ქართველ ჯარისკაცებზე: „ქართველები უცილობლად მეომარი ხალხია, ოღონდ

ერთი თავისებურებით: მას არ გააჩნია შემტევ-დამპყრობლური ჟინი, რაც ჩვეულებრივ თან სდევს აგრესიულ ხალხებს, ქართველები არასოდეს არ იბრძოდნენ დასაპყრობად, ან ომის სიყვარულით; ისინი მხოლოდ საკუთარ სამშობლოს, ეროვნულობასა და რწმენას იცავდნენ. არასოდეს არ იწყებდნენ ომს დასაპყრობად, ამა თუ იმ რაიონს ეუფლებოდნენ მხოლოდ საკუთარი, სასიცოცხლო საზღვრების უზრუნველსაყოფად და დამარცხებულთა მიმართ ღმობიერებით გამოირჩეოდნენ“ (198, 11).

მიუხედავად ამისა, ქართველი ჯარისკაცის ცნობიერებაში გარკვეული გარდატეხა მოხდა და საწყის ეტაპზე მას უჭირდა ქართულ რეალობასთან შეგუება. აკაკი სურგულაძის აზრით: „უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მკვეთრ გარდატეხას, რომელიც რევოლუციას მოჰყვა. აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას მოკლებული ჯარისკაცთა მასები უეცრად პოლიტიკური თავისუფლების წინაშე აღმოჩნდნენ, პირველად ისტორიაში ჯარისკაცი ადამიანად იქნა აღიარებული და მას სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა“ (279, 110). მაგრამ არც ისე ადვილი იყო ეროვნული ჯარის ჩამოყალიბება, რომელსაც ნათლად ექნებოდა გაცნობიერებული ეროვნულობა და საკუთარი სამშობლოს ინტერესებს დაიცავდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნამ სხვადასხვა უარყოფითი შედეგების მოტანასთან ერთად ჯარისკაცის არაორგანიზებულობა და სამშობლოსადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებაც მოიტანა. „რუსის ჯარი საქართველოს უცქეროდა, როგორც უცხო ქვეყანას და ამიტომ არამცთუ თუ ადვილად სტოვებდა მას. ადვილადაც ანადგურებდა თუ საშუალება ნებას მისცემდა. მთელი ტრაგიზმი ჩვენი მდგომარეობისა ის არის, რომ ქართველი ჯარისკაციც ისე უცქერის საქართველოს, როგორც უცხო ქვეყანას. თვითველ ჯარისკაცს შესაძლებლად მიაჩნია დაეპატრონოს ან თავის საკუთრებად გამოაცხადოს ყველაფერი, რაც ერის საერთო შრომითაა შექმნილი და ამიტომ მთელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს“ (139, 2). აკაკი სურგულაძე წერს: „ჯარისკაცს პირველ რიგში აინტერესებდა მისთვის უსარგებლო, გამანადგურებელი ომის დამთავრება და სახლში დაბრუნება, იგი რევოლუციისგან მოელოდა ზავს, რომელიც საშუალებას მისცემდა ენახა წლობით მიტოვებული და უპატრონოდ გაპარტახებული ოჯახი. ახალი მთავრობა კი ისევ ომს განაგრძობდა. ჯარისკაცს, რომელიც ომამდე ან მემამულის უღელქვეშ გმინავდა, ან წარმოებაში კაპიტალისტის ექსპლოატაციას განიცდიდა, აინტერესებდა მიწა, რომელსაც იგი თავის სურვილისამებრ დაამუშავებდა, აინტერესებდა ექსპლოატაციის მოსპობა, ნორმა-

ლური მუშაობისა და დასვენების უფლების მოპოვება, ახალი მთავრობა კი მიწებს კვლავ მემამულეებს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტებს უნარჩუნებდა“ (279, 11). ფაქტობრივად, 1918-1921 წლებში არც ისე მარტივი ჩანდა ქართული არმიის ორგანიზება, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. რუსულმა მმართველობამ ბევრი უარყოფითი შედეგი მოიტანა საქართველოსთვის, რაც ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში გამოჩნდა. „ჯარში მეწვრილმანურ-ანარქისტულმა სულმა იჩინა თავი, როდესაც იგი ფრონტიდან შინ მორბოდა: გზაში ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა, ანადგურებდა არა მარტო მაშინ, როდესაც თვითონ სჭირდებოდა, ანადგურებდა განადგურებისათვის, უგუნურად, უაზროდ, ყველა კულტურის ნაყოფს, ანგრევდა რკინისგზას, ვაგონებს, იტაცებდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა და ყველა ამას გზაში ყიდდა“ (49, 3). გიორგი მაზნიაშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ფრონტიდან დაბრუნებულ დეზერტირებს უფრო მეტი გახრწნა შეჰქონდა ჯარისკაცებში. ესენი არამც თუ თავიანთ უფროსებს, ქალაქის მილიციასაც კი არ ემორჩილებოდნენ. ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფო ქონებიდან.“ (201, 5).

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამოსავალ მიზნად დაისახეს ქართული ჯარის გარდაქმნა, არა მხოლოდ სამხედრო-პროფესიონალური თვალსაზრისით, არამედ მათი საგანმანათლებლო და ეროვნული შეგნების ამაღლებით. მანამდე, ანუ 1918 წლამდე ქართველი ჯარისკაცისთვის ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, ისინი რუსეთის საიმპერატორო კარის უშუალო დასაყრდენს და მისი ნების შემსრულებელს წარმოადგენდნენ. ეროვნულმა მთავრობამ კი პირველ რიგში ჯარისკაცის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას მიაქცია ყურადღება. „მას (ჯარისკაცს) უნდა ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენა მაინც უცხო მხარეებზე, დიდ სახელმწიფოებზე და უფრო დაწვრილებითი ცოდნა თავისი სამშობლო მხარის გეოგრაფიისა, უნდა გაეცნოს თავისი ერის ისტორიას. უნდა იცოდეს მიმდინარე ეკონომიური და სოციალური პერსპექტივები თავისი ქვეყნისა. განსაკუთრებული გარკვევით ვაღიარებელია იცოდეს თავისი სამშობლოს სახელმწიფოებრივი წყობილება, განსხვავება სახელმწიფოს ძველ და ახალ პოლიტიკურ და სოციალურ წესწყობილებას შორის. განსაკუთრებით საინტერესოა სამშობლოს წარჩინებული პირების, ანუ თანამედროვე საქართველოს

მოღვაწეთა ღვაწლის შესწავლა, რაც ძლიერ შეუწყო ხელს პატრიოტულ გრძნობის გაღვივებას. განთქმული სამხედრო მოქმედებანი, თუგინდ პატარა მეომრებისა, განსაკუთრებით ხელს შეუწყო მხედრული თავმოყვარეობის გრძნობის გაძლიერებას, რაც აუცილებელია ყველა საქმის წარმატებისათვის და თანაც აძლიერებს თითოეულ მხედარში სამშობლოსადმი სიყვარულს“ (191, 6).

ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტას სწამდა, რომ თავისუფლებისათვის და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მას შეეძლო, ვისაც გაცნობიერებული აქვს თავისუფლების არსი, ამიტომ კულტურულ მუშაობას ჯარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ გიორგი მაზნიაშვილი ჯარში წესრიგისა და ბრძოლისუნარიანობის ამადლებას მთავარსარდლის დამსახურებად მიიჩნევდა და ამიტომ ამ ფუნქციის შესრულება საპატიო მოვალეობად და პასუხისმგებლობად მიაჩნდა. იმისთვის, რომ ჯარი იყოს ძლიერი და სამშობლოს მოყვარული, ჯარისკაცი მუდმივად ფორმაში უნდა იყოს და რაც მთავარია გააჩნდეს მაღალი კულტურული და ინტელექტუალური შეგნება.

საუკუნეების მანძილზე ძლიერი ჯარი ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერების მთავარი დასაყრდენი იყო, გამონაკლისს არ წარმოადგენდა საქართველოც. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა ქართული ჯარის ახალი ფორმით აღორძინება. ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი აცნობიერებდა რა საქართველოს წინაშე დასმულ მრავალ გადაუჭრელ საკითხს და იმ პრობლემას, რომელიც საქართველოს ყოველი მხრიდან ემუქრებოდა გადამწყვეტ პირობად მიიჩნევდა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ძლიერი ჯარის შექმნას. ამის გამოხატულება იყო პირველ რიგში ის ფაქტი, რომ აღმოფხვრილიყო დეზერტირობა და ქართველი ჯარისკაცი სამშობლოს სამსახურში ჩამდგარიყო. „საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ სცნო ჯარისკაცთა განათლება. მან დააარსა სამხედრო განათლების 2 სკოლა, რომელთა სათავეში დგანან ჩვენში კარგად ცნობილი: პოლკოვნიკი, ტიტე ართმელაძე და პედაგოგი ალექსანდრე უორჟოლიანი. თითოეულ ბრიგადას მიუჩინეს თითო ინსტრუქტორი, ხოლო რაზმებში კი თითო მასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობით გუნდის აფიცერი ჯარის კაცთ ასწავლის წერაკითხვას და ანგარიშს. რაზმის მასწავლებლები პირველ-მეორე საფეხურის სკოლებში ბაასის საშუალებით ასწავლიან ჯარისკაცთ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას და ებაახება მეცნიერების სხვა

დარგებიდანაც. თითოეულ რაზმში აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მოწყობილია თეატრი, სადაც ჯარისკაცნი სისტემატიურად აწყოვენ წარმოდგენებს და ლექციებს საგანგებოთ მოწვეული პირების დახმარებით. ნაბიჯი გადადგმულია. ჯარში ღრმად იკიდებს ფეხს კულტურა-განათლების საქმე. საჭიროა მეტი ყურადღება, მუშაობის გაასკეცება და ახლო მომავალში ჩვენი მხედრობა თავისი განვითარება-განათლებით უზრუნველყოფს ჩვენი ერის კეთილდღეობის და რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებას“ (21, 20).

მართალია თავდაპირველად ქართულ ჯარში არ იყო სასურველი მდგომარეობა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან დაულაღავე მოღვაწეობის შედეგად სიტუაცია გარკვეულწილად გამოსწორდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აქცენტი კეთდება ძირითადად იმაზე, რომ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დეზერტირობდნენ და მათში არ იყო ეროვნული შემართება. გიორგი კვინიტაძის და გიორგი მაზნიაშვილის მემუარებიდან კი ჩანს, რომ საკმაოდ უარყოფითად იყვნენ ისინი განწყობილი ხელისუფლების მიმართ, რაც მათ მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებით აიხსნება. ამიტომ ეს ცნობები მთავარ დასაყრდენად ვერ გამოდგება. საინტერესოა აგრეთვე საარქივო დოკუმენტები, სადაც სტატისტიკური ინფორმაციაა მოცემული. საჭიროა არსებული ინფორმაციის შეჯერება და კომპლექსური ანალიზი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამი წლის განმავლობაში არც ისე ადვილი იყო ზოგადად საზოგადოების, კერძოდ კი ჯარისკაცების აზროვნების სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევა. აი, რას ვკითხულობთ ფონდში 1863, საქმე №9, „როგორც მოსალოდნელი იყო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ჯარების ნაწილებში განმანათლებელ მუშაობის ხელის შეწყობას და უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სამსახური ჯარისკაცისა დიდად განსხვავდება შარშანდელ და შარშანწინდელ სამსახურზე. მასსოვს ჩვენი ათასეულის ცხოვრებიდან 1918-1919 წლები, როდესაც ჯარისკაცები იმიტომ ეწერებოდნენ ნაწილში, რომ რაც შეიძლება ბლომად და საჩქაროდ მიეღოთ ტანსაცმელი. რათა შემდეგ მეორე ნაწილში ჩაწერილიყვნენ, სადაც ასევე მოიქცეოდნენ, შემდეგ მესამეში და ასეთ ცუდლუტობით გაეწიათ სამსახური სამშობლოსათვის. მასსოვს 1918 წლის 1 აპრილი, როდესაც გამოგვიცხადეს ხვალ ბათუმში მივალთ და მოემზადეთო. მეორე დღეს ათასეულის ნახევარი შემადგენლობაც არ გამოცხადებულა დანიშნულ დროზე, მაშინ უმეტესი ნაწილი ჯარისკაცებისა თავიანთ ბინაზე

ცხოვრობდნენ და ათასეულში მხოლოდ სადილის დროს თუ მოვიდოდნენ, გავემგზავრეთ 15-მდე ჯარისკაცი და რამოდენიმე ოფიცერი. თითქმის ყოველ საღვთურზე გამოქცეული ჯარისკაცები გვხვდებოდნენ სხვადასხვა ნივთებით დაჯორგვილი. თოფებს კი არსად ტოვებდნენ, რადგან ოჯახშიც გამოადგებოდათ. სოფელ ღიხაურის რაიონში ოსმალების შემოტევის დროს ჯერ მტერი არ დაენახათ, როდესაც № რაზმის ჯარისკაცებმა დაშალეს ტყვიამფრქვევი, გაიდვეს მხარზე ცალ-ცალკე ნაწილები და გაუდგნენ გზას შინისაკენ. ყოველივე ეს ხდებოდა იმ ჯარისკაცების მონაწილეობით, რომლებიც ბევრი მათგანი დღესაც სამსახურშია. მაგრამ ასეთი საქციელის ჩადენას გულშიდაც არ გაიფიქრებენ დღეს. მაშინ არავითარ ჟურნალ-გაზეთებს სამხედრო ნაწილები მთავრობიდან არ ღებულობდნენ, არავითარი განმანათლებელი მუშაობა ნაწილებში არ წარმოებდა, ჯარისკაცს არ ესმოდა დანიშნულება თავისი თავისა და სამსახურისა, არ იცოდა თავისი სამშობლო, მისი წარსული და მომავალი და რა გასაკვირველია ძნელი იყო ლაპარაკი ასეთი ჯარის გამარჯვებისა“ (21, 90). როგორც ჩანს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ჯარისკაცების მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა. რაც პირველ რიგში მათი საგანმანათლებლო დონის ამაღლებას ითვალისწინებდა. „... ჯარისკაცებისთვის ყოველ დღე 11-დან 1 საათამდე გარდა კვირა უქმედდებისა იკითხება ლექციები. ლექციების საგნები შემდეგია: ორშაბათობით და ხუთშაბათობით – საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა, სამშაბათობით და შაბათობით – ქართული ლიტერატურა, ოთხშაბათობით – გეოგრაფია და პარასკევობით საქართველოს ისტორია.

ქართული სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობდა ყველა სამხედრო შენაერთში ერთნაირად მაღალ დონეზე ყოფილიყო კულტურული და სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა. მაგალითად საინტერესოა საისტორიო არქივში დაცული ცნობა ახალციხის სანაპირო რაზმის შესახებ. „ამ ახლო ხანებში ჩვენს რაზმს ეწვია კულტურულ-განმანათლებელი საქმეების ინსტრუქტორი კაპიტანი ალექსანდრე გორგაძე. პირველ დღიდანვე იგი შეუდგა რაზმში კულტურულ-განმანათლებელ საქმეების მოწესრიგებას, შეადგინა კულტურულ-განმანათლებელი გამგეობა, რომლის წევრებია: მაიორი ქუთელია, თავმჯდომარე, კაპიტანი მგელაძე, არჩილ ავალიშვილი და ჯარისკაცი გურგენიძე, გამგეობამ მიზნად დაისახა რაზმში გააჩადოს კულტურული მუშაობა, გააწყოს, სადაც შესაძლებელია ლექციები, საუბრები, ყურადღება მიაქციოს, რომ რაზმში

სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანება, რომელიც ეხება სავალდებულო წერა-კითხვის სწავლებას, სისრულეში იქმნას მოყვანილი“ (21, 197).

საინტერესოა ფონდი 1863, საქმე № 1072-ში დაცული ინფორმაცია, პოლკოვნიკ ტიტე ართმელაძის წერილი სამხედრო მინისტრისადმი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელია საკუთარი სამხედრო ძალის ყოლა. ამისთვის კი აუცილებლობად მიაჩნია ჯარში ისეთი პირობების შექმნა, როდესაც სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოხდა ჯარისკაცს სასახელოდაც მიაჩნდეს და სასარგებლოდაც. მისი აზრით, ჯარში სწავლა ისეთი ფორმით უნდა იყოს დაყენებული, რომ ჯარისკაცს საშუალება მიეცეს მსახურების დროს სამშობლოს წინაშეც მოიხადოს მოვალეობა და ცოდნა-განათლებაც შეიძინოს. ამისთვის იქმნება სპეციალური განყოფილებები, რომლებსაც აღნიშნული პრობლემის მოწესრიგება ევალებათ. 1. საგუნდო სკოლა. „საგუნდო სკოლების ტექნიკურად მოწყობა ევალებათ ათასეულების უფროსებს. მათვე ევალებათ თვალყურის დევნება, რათა მათდამი რწმუნებული ათასეულის გუნდებში არ დარჩეს წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი ჯარისკაცი. საგუნდო სკოლებში ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს აფიცრების ათასეულში მყოფ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. 2. საათასეულო სკოლა. ეს სკოლა წარმოადგენს მეორე საფეხურს. აქ სწავლება სწარმოებს საუბრის საშუალებით და შეუძლია განვითარების მიღება როგორც წერა-კითხვის მცოდნეს და არა მცოდნეს, ისე სამ-ოთხ კლას გათავებულ ჯარისკაცებსაც. საათასეულო სკოლა პირდაპირ დამატება იქნება ჯარისკაცთა უნივერსიტეტისა. ქართული სიტყვიერებიდან და საქართველოს გეოგრაფია-ისტორიიდან ყოველივე ის, რაც ლექციის სახით იქნება წაკითხული ჯარისკაცთა უნივერსიტეტში, წინდაწინვე ახსნილ-განმარტებულ იქნება საათასეულო სკოლაში, ან და იმავე ჯარისკაცთა უნივერსიტეტის აუდიტორიაში – მასწავლებლის მიერ საუბრის საშუალებით. ასეთივე იქნება ამ სკოლის როლი ყველა სხვა დარგებშიაც“ (23, 19). 3. ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. აქ მთავარია ლექტორმა ზუსტად საჭირო ინფორმაცია მიანიჭოს ჯარისკაცს და მისთვის გასაგებ ენაზე ისაუბროს. ლექციის წაკითხვისას ლექტორის მიზანი უნდა იყოს, ერთის მხრივ ჯარისკაცთა ზნეობრივ-გონებრივი განვითარება და საზოგადოდ მათი მსოფლმხედველობის გაფართოვება, მეორეს მხრით მოვალეობათა შეგნების შეტანა. და რაც ყველაზე მთავარია ორგანიზებული ჯარის

ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. ჯარისკაცთა უნივერსიტეტში მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს შემდგენაირად: I ცალკე კითხვები თანამედროვე ცხოვრებიდან:

1. საერთაშორისო ომი და მისი გამომწვევი მიზეზები.
2. რუსეთის რევოლუცია, მისი მიზეზები ეკონომიკური და ნაციონალური.
3. რევოლუციის ორი პერიოდი: დროებითი მთავრობა და ოქტომბრის გადატრიალება.
4. ბოლშევიკთა გადატრიალების მიზეზები და შედეგები.
5. რუსეთის დარღვევა, ჯარების მიერ ფრონტის დატოვება და ამიერკავკასიის ტრაგედია.
6. ამიერკავკასიის სეიმი და მისი უილაჯობის მიზეზები.
7. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა.
8. ისტორიული ფაქტები ამ საკითხისა. ძველი საქართველოს უკანასკნელი დღეები /ირაკლი მეორე/.
9. საქართველოს რუსეთთან შეერთება, ამის მიზეზები.
10. რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევა.
11. საქართველოს მდგომარეობა-რუსეთის მფარველობის ქვეშ-მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.
12. რუსეთის ჯარის მიერ კავკასიის ფრონტის დატოვების ისტორიული მნიშვნელობა.
13. ორი გზა: რუსეთი და ჩვენ.
14. დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რესპუბლიკა.
15. ჩვენი ერის სახელმწიფოებრივი მუშაობა: დამფუძნებელი კრების მუშაობა.
16. ძირითადი კანონები და ადგილობრივი თვითმმართველობანი.
17. აგრარული საკითხი: შესაძლებელი ფორმები მისი გადაწყვეტისა.
18. დაწვრილებითი ახსნა ჩვენში არსებული აგრარული პოლიტიკისა. კერძო საკუთრების და გამოყოფის პრინციპი.
19. ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა.
20. ქაღალდის ფული და მისი კურსის დაცემის მიზეზი. სიძვირე სურსათის და საქონლის ნაკლებობა.
21. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი. რა შედეგები მოჰყვება მათ გამოყენებას.

22. ვერსალის კონფერენცია, ზავი და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.
23. რამ შეუწყო ხელი ჩვენს ევროპის მიერ ცნობას.
24. დროებითი ხასიათი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური კრიზისისა.
25. აგრონომიიდან.
26. მედიცინიდან.
27. კოპერაციიდან. (23, 22).

ცალკე მეცნიერებათა დარგიდან.

ა) შოთა რუსთაველი

1. ვეფხვისტყაოსანის მოკლე შინაარსი ზეპირ-მოყოლით, 2. პირველი და მეორე თავის – თვით ლექტორისაგან წაკითხვა სანუმიშოდ, 3. რამოდენიმე სენტენცია ზეპირად.

ბ)ნ. ბარათაშვილი

1. „ბედი ქართლისა“. /შინაარსიდან საგულისხმო ადგილების განმარტება/.

გ) რ. ერისთავი

1. ლექსი გლეხის ცხოვრებიდან. /ბერუას ჩივილი, სესიას მოთქმა და სხვა...
2. ასპინძის ომი. /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

დ)ი. ჭავჭავაძე

1. დიმიტრი თავდადებული, კაკო ყაჩაღი, კაცია ადამიანი და გლახის ნაამბობი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

ე)ა. წერეთელი

2. ალექსი, 2. ბაგრატ დიდი, 3. თორნიკე ერისთავი, 4. ნათელა, 5. ნაცარქექია და 6. კიკოლას ნაამბობი. /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

ვ) ა. ყაზბეგი

3. ელგუჯა, 2. ელისო, 3. მოძღვარი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

ზ) ევ. ნინოშვილი

1. მოსე მწერალი, 2. პალიასტომის ტბა, 3. განკარგულება, 4. გოგია უიშვილი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

თ) გ. წერეთელი

2. კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

საქართველოს გეოგრაფია

1. ცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი.
2. მზე, მთვარე და ვარსკვლავები.
3. ღრუბელი, წვიმა, სეტყვა, თოვლი, ქარი და ცისარტყელა.
4. სითბო დედამიწის გულში, მიწისძვრა.
5. დედამიწის სახე და მისი ტრიალი დერძის გარშემო.
6. საქართველოს საზღვრები, მდინარეები, მთები და ჰავა.
7. ქართლი /ფიზიკური და კინოგრაფიული მიმოხილვა/.
8. კახეთი.
9. დასავლეთ საქართველო: ა) იმერეთი, ბ) სამეგრელო, გ) გურია, დ) სვანეთი, ე) აჭარა.
10. აფხაზეთი.
11. მეზობელი ხალხების (სახელმწიფოების) სომხეთის, ადერბეიჯანის, ოსმალეთის, რუსეთის მოკლე მიმოხილვა /შედარებით საქართველოსთან/.
12. მოკლე გეოგრაფიული, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ცნობები ევროპის და ამერიკის განათლებულ ხალხთა ცხოვრებიდან.

ისტორია.

1. თამარ მეფე.
2. საქართველოს დანაწილება სამეფოებად და სამთავროებად.
3. შაჰ აბაზის დამოკიდებულება საქართველოსთან.
4. გიორგი სააკაძის თავგადასავალი.
5. ერეკლე მეფე.
6. რუსეთთან ხელშეკრულების ისტორია /ამერეთში და იმერეთის სამთავროებში/.
7. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა /მთიულეთი, იმერეთი, თავადაზნაურთა შეთქმულება 1830 წლებისა/.

საუბრის სახით.

1. საიდან წარმოსდგა ჯარი, რა არის დისციპლინა. დისციპლინა, როგორც აუცილებელი პირობა ჯარის არსებობისა.
2. ჯარი და ხალხი, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება.
3. ჯარში მტკიცე დისციპლინის არსებობა თვით ჯარისკაცების ინტერესს შეადგენს.
4. როგორი მნიშვნელობა აქვს მტრის ბანაკში შიშის გრძნობის აღძვრას გამარჯვების მოპოვების საქმეში.
5. მტრის ბანაკში შიშის გამოსაწვევად როგორი იერიშით წასვლია საჭირო მტერზედ.
6. მოგერიების დროს როგორი მოქმედებაა საჭირო – მოიერიშე ჯარში შიშის გრძნობის მნიშვნელობა. მდებარეობასთან შეგუების და ბარში სწრაფად გაშლის მნიშვნელობა ბრძოლის დროს.
7. წეს-რიგისა და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნების მნიშვნელობა უკან დახევის დროს. უწესრიგოდ უკან დახევის გამანადგურებელი შედეგი.
8. იერიშის შემდეგ სწრაფად წესრიგის აღდგენისა და მტრისთვის დაშენის მნიშვნელობა გამარჯვების შენარჩუნების საქმეში.

9. რა მნიშვნელობა აქვს განკარგულების სწრაფად და სისწორით შესრულებას თვით ჯარისკაცთა სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში და სხვა.... მთავარი ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ართმელაძე. (23, 23).

მოყვანილი მასალა მოწმობს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მცდელობებს გაეძლიერებინა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთავარ დასაყრდენად ექცია ქართული ჯარი. მიუხედავად მრავალი პრობლემური და წინააღმდეგობებით აღსავსე კითხვებისა, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს და სავსებით მართებულად, აღნიშნული საკითხი შესაფასებლად პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში არც ისე ადვილი იყო ცენტრალიზებული და ეროვნული გრძნობით აღსავსე ჯარის ჩამოყალიბება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა და რაზედაც უკვე ვისაუბრეთ.

ამდენად, ვფიქრობ ზემოთ განხილული მონაცემები მოგვცემს საშუალებას განსხვავებული კუთხით მივუდგეთ ქართველი ჯარისკაცის შეფასებას 1900-1921 წლების საქართველოს ისტორიაში.

#### **§4. სამღვდელოება**

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და ქრისტიანობის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა შექმნილი. ამ საკითხის კვლევამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართველ სამეცნიერო საზოგადოებას მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობა მიეცა. დღეისათვის არსებულ გამოკვლევებში ქრისტიანობის და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის არაერთი პრობლემატური საკითხია სათანადოდ გაშუქებული და შესწავლილი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს.

არავისთვის უცნობი არ არის ის ფაქტი, რომ ქართული სასულიერო წოდების წარმომადგენლები ქართველი ერის გამაერთიანებელ როლს თამაშობდნენ, ხოლო ქრისტიანობა და ქართველობა კი განუყოფელი ცნებები იყო ყოველი ქართველისთვის. ქართულ სამეცნიერო და, არა მხოლოდ, ლიტერატურაში ეს ეხება უშუალოდ ეკლესიის ისტორიის განხილვას თუ არა, სადაც ქართველ ერზეა საუბარი ქარისტიანობის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფაქტორის აღნიშვნა გარდაუვალია.

ქართველებსა და ეკლესიას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა საუკუნეების მანძილზე, თუმცა ეს ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ავტოკეფალიადაკარგული ეკლესია პარალიზებული აღმოჩნდა. რუსეთის საიმპერატორო კარინათლად აცნობიერებდა იმ უდიდესი სულიერი კავშირის მნიშვნელობას, რაც მრევლსა და სასულიერო წოდებას შორის იყო, ამიტომ მან მიზნად სწორედ მათი განცალკევება და დაპირისპირება დაისახა. მიუხედავად სამღვდელოების მცდელობისა შეენარჩუნებინა საკუთარი უფლებები და საზოგადოებასთან კავშირი, რუსი ეგზარქოსების დროს საიმპერატორო კარის ღონისძიებების შედეგად ამ პრობლემამ მთელი სიმწვავეით იჩინა თავი 1900-1917 წლებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ ისტორიოგრაფიაში სამღვდელოების როლის შეფასებას დიდი ადგილი უკავია, მაგრამ არსად არ გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს სამღვდელოება 1900-1921 წლებში და რა განაპირობებდა იმ ცვალებად და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან მათი მისამართით. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ სხვადასხვა ისტორიული მოვლენების შეფასებისას მეცნიერები არ მაღავენ თავიანთ დადებით თუ უარყოფით დამოკიდებულებას პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეების მიმართ, ბუნებრივია არგუმენტირებული მსჯელობიდან გამომდინარე, ისინი არც მეფეების, ცნობილი სარდლების, მწერლების, მეცნიერების და ა.შ. კრიტიკას ერიდებიან საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ სულ სხვა ვითარებაა სამღვდელოების მოღვაწეობის შეფასებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით რთული შესაფასებელია 1900-1917 წლები. ნაწილი მეცნიერებისა აქცენტს აკეთებს სამღვდელოების ბრძოლაზე და მოღვაწეობაზე, რომლებმაც არა მარტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის, არამედ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას მიუძღვნეს და შესწირეს თავი, რომლებიც ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების

შენარჩუნებისთვის თავს არ ზოგავდნენ. მეორე, მცირე ნაწილი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მათი კრიტიკით შემოიფარგლება, თუმცა არგუმენტების გარეშე. ისინი არასწორად მიიჩნევენ „სამღვდელოების გარუსებას და ხალხთან კავშირის გაწყვეტას“, რის დასასაბუთებლადაც ან საერთოდ არ მოაქვთ არგუმენტები, ან მოყავთ ციტატები სხვადასხვა ბეჭდური მედიიდან და სწორედ ამაში ცდებიან, თუ რატომ ამას მოგახსენებთ. 1. როგორც ცნობილია, ბეჭდური ორგანოები გამოხატავდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესებს, რომლებიც საკუთარი იდეების რეალიზებას საზოგადოებაში პრესის მეშვეობით ცდილობდნენ. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც, ბუნებრივია, გასაგები მიზეზების გამო უარყოფითად შეაფასებდნენ სამღვდელოებას. (სოციალ-დემოკრატია მარქსისტული იდეოლოგიის პარტია იყო). შეიძლება გაჩნდეს კითხვა, სხვა პოლიტიკური პარტიების ორგანოებშიც ხომ იყო სამღვდელოების კრიტიკა? დიახ, მართალია, მაგრამ ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში ყურადღებას ამახვილებდნენ ერის არსებობის ყველა აუცილებელ საკითხზე და ამით ცდილობდნენ არსებული ვითარების გამოსწორებას. ილია ჭავჭავაძე სწორედ, ქართველთა უარყოფითი მხარეების აღმოფხვრას ასევე კრიტიკით ცდილობდა.

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“ (299, 120).

იდეალურად აწყობილი საზოგადოება, სისტემა არც არსებულა და არც არსებობს, ამიტომ ყველა ერთნაირად ორგანიზებული ვერ იქნება. თანაც აკრიტიკებდნენ ყველას: გლეხს, მუშას, სტუდენტს, თავადაზნაურობას, ინტელიგენციას, – ეს უკანასკნელი კი თავად ქმნიდა ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიას, მაგრამ არც ერთმანეთის კრიტიკას ერიდებოდნენ, ამით მიუთითებდნენ იმაზე, რომ მანკიერი მხარეები უნდა აღმოფხვრილიყო. 2. ყველა ეპოქაში, დამპყრობლის შემოჭრის შემთხვევაში, როდესაც საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე იდგა, სწორედ ელიტის წარმომადგენლებს უწევდათ პირველ რიგში პრობლემის გაანალიზება და მთელი დარტყმაც სწორედ მათზე მიდიოდა. მაგალითად, ისლამის მიღებას ჯერ მეფეებს მოსთხოვდნენ ხოლმე, რომ ხალხისთვის „მაგალითი“ მიეცათ. ასე მოხდა რუსეთის შემოსვლის დროსაც,

მათ დარტყმა იქით მიმართეს, ვისი იმედიც ყველაზე მეტად ჰქონდა საზოგადოებას. 3. ის, რომ სამღვდელოებასა და ხალხს შორის კავშირი გაწყდა და იგი ვეღარ ასრულებდა იმ როლს იმ მასშტაბით, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მათი ქმედებების“ გამო დაეკარგა ხალხს რწმენა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო სულ სხვა რამ და ეს პირველ რიგში ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობდა. რუსეთის თვითმპყრობელობამ ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე ჩამოართვა მიწები ეკლესიას და ფაქტიურად შემოსავლის გარეშე დატოვა. მათი ძირითადი სარჩენი საშუალება იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ფართო ფენები. რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, ანუ მთავარი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა და არა იმაში, რომ სამღვდელოება „გარუსდა“. ამიტომ შესუსტდა ის კავშირი ხალხთან, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა. გაჭირვებული ხალხი ვერ ინახავდა სამღვდელოებას და მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა. ეს იყო სწორედ რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება, სხვა მრავალთა შორის. „ხალხის გულგრილობა ეკლესიისადმი ეკონომიკურ საკითხში მდგომარეობს. როგორც ვიცით, ეკლესია მთელი თავისი შემადგენლობით, ხალხს აწევს კისერზე, მან უნდა შეინახოს ეკლესია და არჩინოს სამღვდელოება. ამ ნიადაგზე ხშირად აღიძვრის უთანხმოება ხალხსა და ეკლესიის წარმომადგენელთა შორის. ბრძოლა არსებობისათვის მთელი თავისი სისასტიკით არის გამეფებული ჩვენს დროში. ხალხს კი თავის გამოკვებაც უძნელდება. არამც თუ სხვის შენახვა. ამ მიზეზით ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს ხარჯებს და შორდება ეკლესიას“ (169, 3).

საინტერესოა კალისტრატე ცინცაძის მოგონება სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ. „ჩემი მღვდლობის პირველსავე დღეებში შევამჩნიე, რომ თბილისის სამღვდელოება გათიშულად ცხოვრობდა. მღვდლები ერთმანეთს ან საკეთილმოწესო ოლქის ოფიციალურ კრებებზე ხვდებოდნენ (წელიწადში ორჯერ) ან ტაძარში სამეუფეო პარაკლისებზე, ან აღდგომასა და შობას ეგზარქოსის მილოცვისას, ან ქელებში – შეძლებულ პირთა ოჯახებში. არც ერთ ამ შეხვედრაზე არ შეიძლებოდა გვესაუბრა მღვდელმსახურებაზე, მქადაგებლობაზე, სასკოლო საქმის გაძღოლაზე და სხვა. ამიტომ ახალგაზრდა მღვდლების (თოთიბაძის, გამდლიშვილის, მაჭავარიანის და სხვათა) ინიციატივით გადაწყდა, შექმნილიყო სრულიად ლეგალური დაწესებულება – „თბილისის

სამღვდელოების ურთიერთდახმარების საღარო“, რომელიც მღვდლებს შესაძლებლობას შეუქმნიდა, ერთად შეკრებილიყვნენ და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გამოცდილება და ცოდნა მღვდელმსახურების საკითხებთან დაკავშირებით. შეიმუშავეს „საღაროს“ წესდება და დასამტკიცებლად მიართვეს ეგზარქოს ვლადიმერს, რომელმაც ცოტა იყოყმანა, მაგრამ მაინც დაამტკიცა“ (206, 44).

თუ როგორი ძალით მიმდინარეობდა გარუსების პროცესი ამას ნათლად აჩვენებს კალისტრატე ცინცაძის კიდევ ერთი მოგონება. იგი წერს: „მეუფეს (იგულისხმება პალატი რავეი – ნ.ს.) სამრევლო სკოლებში მისვლა უყვარდა. იქ ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა. მეუფემ მასწავლებლს ჰკითხა: რას ასწავლითო? მასწავლებელმა მოახსენა, საქართველოს გეოგრაფიასო. რომელი საქართველოსას, თუ გნებავთ, თქვათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისასო? მასწავლებელი აირია, ეგზარქოსმა კი მე შემომხედა, გამოხედვაში საყვედური თუ კითხვა უკრთოდა. – მეუფეო, – მივუგე მე, – არა თბილისისა და გუბერნიისას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსიც თქვენ ბრძანდებით“ (206, 46).

XX საუკუნის დასაწყისიდან სამღვდელოება განსაკუთრებით გააქტიურდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ავტოკეფალისტთა მოძრაობა. საინტერესოა ისიც, რომ თვით სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან სამღვდელოების იმ ნაწილის კრიტიკას, რომლებსაც პასიურად მიიჩნევენ, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რაც ყველაზე მთავარია, რომ ეს მხოლოდ მათი ბრალი არ არის. 1906 წელს ჯვარი ვაზისა წერდა: „საქართველოს სამღვდელოება უწინ სწორედ საერთო გაჭირვებაში იჩენდა ხოლმე დიადს უნარს და მტრისაგან წელში მოხრილ ერს, საერთო მოქმედებისთვის ფეხზე დააყენებდა. თუ წარსულ საუკუნეში (XIX საუკუნეში – ნ.ს.). ჩვენმა სამღვდელოებამ ვერ შეძლო გაჭირვებაში თავისი უნარი გამოეჩინა, ეს მარტო მათი ბრალი არ არის“ (193, 7). სამღვდელოების ამ მდგომარეობაში ჩაგდება რუსული პოლიტიკის წარმოებამ განაპირობა. ეს მდგომარეობა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის კავშირის გაწყვეტასა და ერთმანეთზე გადაკიდებაში. „... თავადაზნაურობაც დაეცა, გაღარიბდა, დაკარგა თავისი გავლენა. ბატონყმობის გადავარდნამდე მამაშვილურად მცხოვრებნი თავადაზნაურნი და გლეხები შემდეგ ერთმანეთის მტრებად გადააქცია, ახალმა წეს-წყობილებამ ერთმანეთის მოქიშპეებად გარდაქმნა და სამღვდელოებას მხარი აუკრეს ერთმაც და მეორემაც. თავადაზნაურობა დაიტვირთა დიდის ხარჯებით, გადასახადით. უცხო ცხოვრებამ გლეხებივით

ხარჯები გაუორკეცა და სამამულ-დედულო საქმეები აეწეწა და თავში საცემი გაუხდა... ამისთანა უბედურებაში სამღვდელოებამ დაკარგა სასოება უკეთესის მერმისისა. იმედი გადაუწყდა და ღმერთს მიანდო თავისი უსამართლოდ განადგურების სამართალი. ნურავინ ვიტყვით, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება სრულიად გაშორდა ეკლესიასა და სამღვდელოებას. ქართველი ერი უწინაც და ეხლაც ღრმად მორწმუნეა, თავის დღეში ურწმუნობას არ შეუშფოთებია მისი გული“ (193, 11).

გარუსება ყველა სოციალურ ფენას და ეს პირველ რიგში ქართული ენის უფლებების შეკვეციდან და რუსულის გაბატონებიდან გამომდინარეობდა. გაზეთი „სიტყვა“ 1906 წელს ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებასთან დაკავშირებით წერდა: „სამღვდელოებამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი სასწავლებლის ტიპის შესახებ და რა ენაზე უნდა ისწავლებოდეს საგნები... სწავლება დედაენაზე უნდა მოეწყოს, ეს ცხადია ყველასთვის, რა მიმართულებისაც უნდა იყოს კაცი, მით უმეტეს სოფლის მღვდლისთვის, რომელსაც სადა აქვს იმდენი შეძლება, რომ ბავშვს რუსული ისე შეასწავლოს, რომ გაუჭირვებლად შეაძლებინოს რუსულათ საგნების სწავლა, ხშირად რუსის ბავშვებთან? ჩვენ გვინდა განათლება და ამის მიღება მხოლოდ დედაენაზე შეიძლება“ (147, 10).

1906 წელს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „სიტყვა“, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და სამღვდელოების ინტერესებს იცავდა. პირველივე ნომერში რედაქტორმა გამოხატა სასულიერო გაზეთის არსებობის საჭიროება. „თანამედროვე ცხოვრება ითხოვს ყოველ ინდივიდუუმის და მით უმეტეს საზოგადოებრივ ჯგუფებისაგან გამოააშკარაონ თავისი ვინაობა, შეხედულება და რწმენა საზოგადოებრივ სხვადასხვა საჭირობოტო მოვლენათა შესახებ. სამღვდელოებასაც არ შეუძლია ყური მოიყრუოს და ხმა არ ამოიღოს, ეს მისი დამამცირებელი იქნება. მაგრამ აზრების თავისუფლათ გამოსათქმელად საჭიროა საკუთარი დამოუკიდებელი ორგანო. პირველ ყოვლისა მიზანი ამისთანა ორგანოსი არის შეიტანოს საღი შეხედულებები თვით სამღვდელოების ფართო წრეებში თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-საეკლესიო კითხვებზე. ბევრნაირი მიმართულება და პარტიები გაჩნდნენ, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ჩვენც არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ამ აზრთა სხვადასხვანაირ დინებას. სამღვდელოებაში და მის შეგნებულ ნაწილის მეოხებით ხალხში მტკიცე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აზრების გავრცელება – აი

მიზანი ამ ორგანოსი. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს სამღვდელთაში, დაწყებული აფხაზეთიდან საინგილომდე, საკმარისათ მოიძებნება გონებრივი ძალები, რომ შეიძლონ ნაყოფიერათ ემსახურონ ამ გამოთქმულ აზრს“ (147, 1). გაზეთის მიზანია სამღვდელთაშის შეცდომების კრიტიკა და მათი შემდგომი გამოსწორებისაკენ მოწოდება. ყველაზე საინტერესოა ის, რომ თვით სასულიერო ფენის ინტერესების დამცველი გაზეთი არ ერიდება მათვე კრიტიკას. „ჩვენი ეკლესიის დაცემა ბევრით, რასაკვირველია, ჩვენი ბრალიც არის: ჩვენ არ ვვარგოდით, მუდამ სხვის შემეყურე, ხმის ამოუღებელი ვიყავით. ეს კიდევ რა? საქვეყნოთ ვიძახოდით, ეგ ზარქოსებმა გაგვანათლეს, გაგვაბედნიერეს, აგვატყავესო. ჩვენ, უბედურებს – თუ პროტესტის გამოცხადება არ შეგვეძლო, ხმა მაინც გაგვეკმიდა სულ. მაგრამ ჩინი, ორდენები, გენერლობა იყო ჩვენი ტრფობის საგანი. ამნაირი მაღალი საგნები გვაიძულებდა ბედნიერად გვეღიარებინა თავი ჩვენი უფროსების წინაშე“ (147, 11).

1912 წელს გაზეთი „შინაური საქმეები“ წერდა: „ასი წლის ტყვეობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას: დასცა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში, ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ძველი ქრისტიანული ჩვეულებანი, გააბინძურა სამღვდელთა, მოსპო ცოცხალი მეტყველება ტაძრებში, არარად აქცია სამშობლო საღვთისმეტყველო მეცნიერება, გააცამტვერა შესანიშნავი ნაშთი ძველი ქრისტიანული დიდებისა“ (156, 11).

ივანე გომართელის აზრით, საქართველოს გასანთავისუფლებლად და მართლმადიდებელი ეკლესიის გასაძლიერებლად სამღვდელთაშის და ხალხის კავშირია საჭირო. „სამღვდელთაშის განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა... სამღვდელთაშის საკითხი მთელი ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდელთაშის აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა“ (168, 2).

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული სამღვდელთაშის მოძრაობა გარკვეულწილად შეაფერხა რეაქციის ხანამ, თუმცა 10-იანი წლებიდან უკვე ახალი ეტაპი იწყება, რამაც გამოკვეთილი ხასიათი პირველი მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგ განვითარებული მოვლენების პერიოდში მიიღო. მღვდელი პარმენ ყიფშიძე 1916 წელს გაზეთ „სამშობლოში“ წერდა: „სამღვდელთაშის დაცემის მიზეზი ორგანოა: გარეგანი და შინაგანი. პირველი დროთა ვითარებისა და ეხლანდელი წეს-წყობილებაზე გავლენით დაბადებულია, მეორე

კი ჩვენშივე იმყოფება და ამისთვის, ჩვენ იმდენად ვართ დამნაშავე, რამდენადაც ჩვენის გულგრილობით და დაუდევრობით ხელს ვუწყობთ ჩვენს სულიერ დაცემას“ (117, 2).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის ებრძოდა და იბრძვის ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის. ეს პროცესი არ შეწყვეტილა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პერიოდშიც. გავისხენოთ ანტონ II-ის თავდაუზოგავი მცდელობები ეკლესიის უფლებების შენარჩუნებისთვის, თუმცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის გაუქმებას ვერ ასცდა. ერთია, როდესაც უფლებებს ზღუდავ და მეორე, როდესაც მოსახლეობის გარუსებისათვის ყველა პირობას ქმნი. რუსეთის საიმპერატორო კარი ქართველების გადაგვარებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ უსპობდა ყველა იმ ეროვნულ სიმბოლოს თუ საშუალებას ქართულ საზოგადოებას, რომელიც მათი შეკავშირების აუცილებელი პირობა იყო. მიუხედავად რუსეთის და საქართველოს მართლმადიდებლობისა, საიმპერატორო კარმა გააუქმა არა მხოლოდ ეკლესიის ავტოკეფალია, არამედ მთლიანად შეუზღუდა ეფლებები სამღვდელოებას, ესეც არ იკმარა და მრევლთან კავშირის გასაწყვეტად ყოველგვარი პირობა შექმნა: პირველი საფრთხე კი წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე შემოტანით გამოიხატა. „საქართველოს ეკლესიას და მის სამღვდელოებას მათი მასაზრდოებელი მამულები ხელიდან გამოაცალეს, ეროვნული სამღვდელოება აღარ გვყავს, ეროვნული სკოლა არა გვაქვს, კათედრიდან მშობლიური მზრუნველობით გამთბარი მამა-შვილური სიტყვა აღარ ისმის, ჩვენი ეროვნული გალობა ერთ წერტილზე გაიყინა, ჩვენი ეკლესიები დაცარიელდა, ჩვენი სასულიერო ლიტერატურა გაქრა და ეკლესიაში წიგნებიც კი არ მოგვეპოვება და, ასე გასინჯეთ დედა-ენაზე მეტრიკული წიგნების წარმოების ნებაც კი მოგვესპო. ერთი სიტყვით, ჩვენი ეროვნული სული დაიხშო და მისი მათბუნებელი და გამაღვიგებელი საშუალებები მოისპო, აღმოიფხვრა. ჩვენი ერი სხვა ერს შეურიეს, ჩვენი ეკლესია სხვის ეკლესიას და მათ შორის დღეს არავითარ განსხვავებას არ ხედავენ და არც არის. ასეთი ეროვნული ასიმილაცია ხდება ჩვენ თვალწინ მართლმადიდებლობის საშუალებით დღეს ჩვენში და ისიც თითქოს თავისთავად, ბუნებრივად“ (116, 3).

1915-1916 წლიდან სამღვდელოება ახალი ძალით გამოდის ავტოკეფალიის მოთხოვნისთვის და ქართული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნებისთვის.

აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო ერთი მხრივ, პირველმა მსოფლიო ომმა და მეორე მხრივ, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. „ქუთაისში მომხდარ იმერეთის ეპარქიის სამღვდლო კრებებზე გამოტანილი რეზოლუციები ეჭვს გარეშეა კარგ შთაბეჭდილებას დატოვებს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც ეროვნულ სახის შერჩენითა და ეროვნული მთლიანობის დაცვით გულწრფელადაა დაინტერესებული. ჩვენი სამღვდლოების შედარებით დემოკრატიულმა ნაწილმა ხსენებულ კრებებზე ნათლად დაამტკიცა, რომ ბევრ ქართველ მღვდელში ქართული სული მეუფებს და გარდა პირადი ბედნიერებისა საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვის უნარსაც არ არის მოკლებული. დავიწყოთ იქიდან, რომ სამღვდლოებამ თითქმის ერთხმად სცნო საჭიროდ საერო სასწავლებელი, სადაც სწავლება ყველა საგნისა ქართულ ენაზე იწარმოებს. განა საეჭვოა კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენი ეროვნული სახის გადამახინჯებას უპირველეს ყოვლისა ენის გადაგვარება გამოიწვევს, თუ დროზე არ ვიღონეთ რამე? და რა უნდა იღონოს ქართველმა ხალხმა გადაგვარების წინააღმდეგ თუ არა სასწავლებლების გახსნა და მისი საშუალებით ხალხში დედა-ენაზე სწავლა-განათლების გაგრძელება. იმერეთის სამღვდლოება ჩასწავლა ყველა ამას და წარმოიდგინეთ ისე შორს წავიდა ამ მხრივ, რომ თავის ვიწრო წოდებრივ ან პროფესიონალურ რაობას გვერდი აუხვია და საზოგადოების ფართო წრეთა გასათვითცნობიერებლად საერო სასწავლებელი ირჩია. ჩვენი სამღვდლოების გამოფხიზლების და საერო საქმეებით დაინტერესების ნიშნად უნდა ჩაითვალოს ყველა ის დადგენილება, რომელიც ხსენებულ კრებებზე იყო გამოტანილი და მათ შორის ახლად დაარსებულ სემინარიაში ქართული ენის შემოდების შესახებ გამოთქმული სურვილიც“ (145, 2).

ქართველი სამღვდლოების აქტიურობას ეროვნული ცნობიერების ბრძოლისთვის აფერხებდა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობა, არამედ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეებს ითვალისწინებდა. მათი იდეალი კი სოციალიზმის დამკვიდრება იყო, სადაც რელიგიის ადგილი არ იყო. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეებმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა რელიგიის მიმართ მათი დამოკიდებულება უცვლელი დარჩა. „თუ დაუახლოვდებით ხალხს, კარგად გავეცნობით მის აზრს, შეხედულებას და სულიერ მისწრაფებას, დავრწმუნდებით, რომ ის გულგრილობას იჩენს

სარწმუნოებისა და ეკლესიური საკითხებისადმი. ეკლესიის მართვა-გამგეობის ფორმის შეცვლამ დემოკრატიულ ნიადაგზე, რაც მოახდინა საეკლესიო კრებამ 1917წ. ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ზემოთქმული მოვლენის გამოსასწორებლად. ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, რა არის მიზეზი ამ მოვლენისა, რითი აიხსნება ის. დროებით და გარდამავალ მიზეზებს, გარდა უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხალხის სულიერ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ეკლესიის მოძღვრება და წყობილება. ხალხის გონება გაიზარდა, განვითარდა და გაასწრო როგორც დაძველებულ გარეგან ფორმებს ეკლესიის წყობილებისა ის გაიმსჭვალა სოციალისტურ მოძღვრებით“ (143, 2).

ბუნებრივია ასეთი დამოკიდებულება ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან კიდევ უფრო ართულებდა ქართველი სამღვდელოების ბრძოლას მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღსადგენად. ამ პრობლემამ კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

„რუსეთის დიდმა რევოლუციამ შეარყია ძველი წონასწორობა საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ჩვენი ცხოვრება შეაყენა კლასთა სრული ჩამოყალიბების გზაზე. სამღვდელოებაც, ყველაზე უფრო დაშორებული ცხოვრების მოქმედ ელემენტთაგან და ყველაზე უფრო დაზარალებული, ვერ ასცდა საერთო მიმდინარეობას და თუმცა დაგვიანებულად ისიც შეუდგა თავის ცხოვრების ჩამოყალიბებას. ძღვევამოსილმა ახალმა ცხოვრებამ მას აუშალა საკუთარი ბუდე და აიძულა მოენახა ახალი კუნჭული ახალ სოციალურ შენობაში. მის წინ აღიმართა დილემა: ახალი თუ ძველი, სინათლე და სოცოცხლე, თუ სიბნელე და სიკვდილი. პირველ ხანებში, სანამ იგი თავის თავს მოეგებოდა, ანგარიშს მისცემდა, თითქოს აყვა სახალხო მოძრაობას და ავტოკეფალური ეკლესიის პლატფორმის ნიადაგზე – გადადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. მოსალოდნელი იყო, რომ ეს მოძრაობა უფრო გაღრმავდებოდა და ანტიკეფალურ გარეგნობას, – ახალი შინაარსი დაავიკინებდა. პირველი საეკლესიო კრება, 1917 წელში, ამ მხრივ პირველი ცდა იყო ახალი შინაარსის გამოძებნისა...“ (11, 74).

ზემოთ განხილულმა ფაქტობრივმა მასალამ ნათლად აჩვენა ის პრობლემები, რაც ქართველი სამღვდელოების წინაშე არსებობდა. როგორც ვხედავთ, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღდგენისათვის მიმდინარეობდა ორ

ფრონტზე: რუსეთის საიმპერატორო კარის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ.

## §5. თავადაზნაურობა

XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილი მოვლენების შედეგად XX საუკუნის დასაწყისს საქართველო სხვადასხვა სიახლესთან ერთად ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის წარმოშობით შეხვდა. ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა საზოგადოების სოციალური შემადგენლობის გარკვეული ცვლილებები განაპირობა. ამ ფონზე ინტერესმოკლესული არ უნდა იყოს თავადაზნაურთა ცნობიერების და ფუნქციების ცვლილების შეფასება და გათვალისწინება. მით უფრო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ქრონოლოგიური პერიოდის ფარგლებში, აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები არ გვხვდება. ძირითადად აქცენტი კეთდება XIX საუკუნეზე. მართალია, 1900-1917 წლებში თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და ძლიერ კრებულს, თუმცა ბეჭდურ მედიაში დაცული ინფორმაცია მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

თავადაზნაურობა ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი სოციალური ფენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე პრივილეგირებულ და შეძლებულ კლასს წარმოადგენდა. მათი უფლებები იმდენად დიდი იყო, რომ არა თუ დიდი პატივით სარგებლობდა სამეფო კარზე, არამედ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურ, თუ სამხედრო საკითხების გადაწყვეტისას მეფე მათზე იყო დამოკიდებული. ფაქტობრივად თავადაზნაურობა მონარქიული სახელმწიფოს არსებობის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კვალი“ 1906 წელს წერდა: „მეცხრამეტე საუკუნეს თავადაზნაურობა სრულებით სხვა გულით დაუხვდა, წარსულის გამოთხოვებამ მას საშინლათ დაწვა გული, რადგანაც წარსულის ბევრი რამ გაყვა ისეთი, რისი მაგიერიც აწმყოს არაფერი მოუტანია. ამის უკეთ გასათვალისწინებლად საჭიროა გავიხსენოთ, როგორი იყო თავადის მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნემდინ, როგორ შეიცვალა ის მეცხრამეტე საუკუნეში. წინეთ მას გარშემო ეხვია ურიცხვი ყმები, რომელთა სულისა და ხორცის ერთადერთი პატრონი თვითონ ის – თავადი იყო, ყველა ვინც მას გარშემო ეხვია, მას თვალწარბში შეჩერებოდა და მისი ყოველგვარი

უინის ასასრულებლად ყველა გამზადებული იყო. ერთადერთი მოსამართლე თავის სოფელში ის იყო და იქ ყველას ბედ-იღბალს მხოლოდ ის ატარებდა. თუ სამშობლოს მტერი შემოესეოდა, მეფე მას თხოვდა, შენი კაცებით მომეშველეო, ის მეფის მარჯვენა ხელი იყო, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ის მონაწილეობას იღებდა, სასახლის კარი მისთვის მუდამ ღია იყო, – მეფის სახელში ის თითქმის მეფის ტოლად გრძნობდა თავს, თავის სახელში – განუსაზღვრელ ბატონად. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან თავადის ამგვარი მდგომარეობა სრულებით შეიცვალა. სამშობლოს მართვა-გამგეობაში მას ყოველგვარი მნიშვნელობა ჩამოართვეს, მეფე და მისი სასახლე მას ახლოსაც არავინ დაანახვია; თავადის თავისუფალ მოქმედებას ყოველმხრივ ფრთები შეეკვეცა. ყოველივე ამან ის არა თუ ქონებრივად დააქვეითა, თავის შინაყმათა თვალშიც კი სახელი გაუტეხა. თავადობამ იწყო წარსულის გლოვა, მოინდომა მისი დაბრუნება, მაგრამ ცდამ ამოდ ჩაუარა. ის იძულებული გახდა თავის ხვედრს შერიგებოდა და ერთმა ნაწილმა ღვინოში და ქორ-მეძებრობაში პოვა თავისი იდეალი, მეორემ კალამი აიღო ხელში და წარსულის გლოვაში მოიპოვა სულის სიმშვიდე, მესამეს სამხედრო სამსახურმა დაავიწყებია ძველი დიდება“ (102, 793).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებით, თავადაზნაურობა ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო უფლებააყრილი ფენა აღმოჩნდა. მან დაკარგა არა მხოლოდ მამულები და გავლენა, არამედ XIX საუკუნის საქართველოსთვის ის სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. ჰენრი კუპრაშვილი წერს: რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველი თავადებისა და აზნაურების (სამეფო, სათავადო, საეკლესიო) მრავალსაუკუნოვანმა საგვარეულო წყობამ რღვევა იწყო. რუსეთის მთავრობამ რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან ქართული წყობილების სოციალური უნიფიკაციის მიზნით ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. 1803 წელს, რუსეთის გუბერნიების თავადაზნაურთა ორგანიზაციების მსგავსად, თბილისში დაარსდა ქართველ თავადაზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია – თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო სათანადო დებულებით. დეპუტატთა საკრებულო ირჩევდა სამაზრო და საგუბერნიო თავადაზნაურთა წინამძღოლებს (მარშლებს). რუსეთის მთავრობის შემდეგი ღონისძიება იყო ვასალურ-სენიორული დამოკიდებულების მოსპობა საქართველოში და რუს თავადებთან ქართველი თავადების უფლებრივი გათანაბრება. ამასთან, ქართველ თავადებს მემკვიდრეობითი ფეოდალური თანამდებობები და საგადასახადო იმუნიტეტი მოუსპო, 1833 წლის კანონით სათავადო

აზნაურები გაათავისუფლეს თავადებისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან, რის შედეგად ხდებოდა მათი ქონებრივი გამიჯვნაც. 1838 წლის კანონით კი თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში არჩევნებისას და თანამდებობების დაკავებისას უფლებრივი განსხვავება თავადებსა და მათ ყოფილ სათავადო აზნაურებს შორის მოისპო, მოხდა მათი უფლებრივი ნიველირება“ (238, 131-32).

თავადაზნაურთა ფენა თანდათან პარალიზებული გახდა. ჯერ ერთი, ეს გამოწვეული იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად და მეორეც, XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებით, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებით.

თუ XIX საუკუნის I ნახევარში თავადაზნაურობა აქტიურობით გამოირჩეოდა და მონარქიული სამეფოს აღდგენისათვის იბრძოდა, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებთან ერთად. შემდეგში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ალექსანდრე ბენდიანიშვილის აზრით, „თავადების უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ მათ დაკარგეს პოლიტიკური გავლენა, მემკვიდრეობით სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობანი, რითაც საფუძველი გამოეცალა სათავადოთა სისტემას. სათავადოს შიგნით შეიკვეცა აზნაურის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია, მას ჩამოერთვა თავადის კარის თანამდებობანი, მოურავობა, მდივნობა, ბოქაულთუხუცესობა, გლეხთა ზედამხედველის მოვალეობა. ქართველი მოხელის ადგილი ცენტრშიც და პერიფერიებშიც რუსმა მოხელემ დაიკავა. ამას კი ვერ შეეგუა ქართველი თავადაზნაურობა და თავის პროტესტს შეთქმულება-აჯანყებით გამოსატავდა“ (212, 31).

XIX საუკუნის II ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ცხოვრებაში. თავადაზნაურობა მიხვდა, რომ საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დგებოდა, სადაც მისი ისტორიული როლი საჭირო აღარ იქნებოდა. სწორედ ამის გამოსატულებას წარმოადგენდა თავადების პოლიტიკური ხასიათის გამოსვლების ჯერ შემცირება და შემდეგ შეწყვეტა. ალექსანდრე ბენდიანიშვილი წერდა: „XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველი თავადაზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთიან წოდებასა და კლასს, უკვე მომხდარი იყო მისი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია. ამ დროს ძირძველი თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობის 4%-ს შეადგენდა. მაგრამ ნახევარს დაკარგული ჰქონდა ეკონომიკური შეძლება და პოლიტიკური წონა. მეწარმე თავადაზნაურთა გამრავლება, რენტისა და კრედიტის კაპიტალისტური ფორმების დანერგვა არსებითად ცვლიდა ძველ წოდებას. მიმდინა-

რეობდა ფეოდალური საკუთრებისა და მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუცია. თავადაზნაურთა ერთი ნაწილი კაპიტალისტური საზოგადოების მიწათმფლობელთა კლასს ქმნიდა, საერთოდ, მიწათმფლობელი თავადაზნაურობა ორმაგი ბუნების იყო, – ფეოდალური წოდებისა და კაპიტალისტური კლასის ნიშნებს აერთიანებდა. იყენებდა, როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმებს“ (212, 185).

თავადაზნაურთა უფლებების შეკვეცას განაპირობებდა საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება მათდამი. ეს განსაკუთრებით იგრძნობა XIX საუკუნის II ნახევრიდან. საზოგადოების ფართო ფენებისთვის, გლეხებისთვის თავადები მათ მოწინააღმდეგე კლასად აღიქმებოდა. აღნიშნულ პერიოდში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა გლეხების საზოგადოებასთან დაკავშირებას და ახალი სახელმწიფოს შენებისთვის მოღვაწეობას და ბრძოლას იწყებს. „სულ სხვაგვარ ნიშნებსა და მიმართულებას გვიჩვენებს დღევანდელი ცხოვრება. დღეს აღარ არსებობს ძველი ბატონყმობა და მოსპობილია ადამიანის პირადი უთავისუფლებობა. გართულებულია ცხოვრება და ხალხის საზოგადოებრივ კლასებად დანაწილება. თავადაზნაურობას დღეს აღარ აქვს ძველებური სოციალ-ეკონომიკური უპირატესობა, რადგან თვით მამული აღარ არის ერთადერთი სახსარი ეკონომიურის ძალისა და საზოგადოებრივის დაწინაურებისა. ცხოვრების ახალს ვითარებაში კაცს მამულის გარედაც შეუძლია შეიძინოს ქონება და, რახან შთამომავლობას წინანდებურად დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, შეუძლია აგრეთვე საზოგადოებაშიც მოიპოვოს ძალა და დაწინაურება. რამდენადაც ეს „შეუძლია“ სინამდვილე ხდება, რამდენადაც ძველებური წოდებანი ერთმანეთში ითქვიფებიან და ახალი, ქონებისა და არა შთამომავლობის საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი კლასები ვითარდებიან, იმდენადვე ჩვენს ცხოვრებას უფრო დემოკრატიული ელფერი ედება და ჩვენი ერი წარმატებისა და აღორძინების გზაზე დგება“ (175, 73). ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი ნათლად აცნობიერებდა ახალი დროის მოთხოვნებს და ეკონომიკურ თუ სოციალურ გამოწვევებს, რომელთა გადალახვის გარეშე სახელმწიფოებრივი აზროვნების და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის პირობის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. „სწრაფ წარმატების გზაზე მხოლოდ ის ერი სდგას, რომელშიც გაზრდილია შრომის საზოგადოებრივი განაწილება, განვითარებულია გაცვლა-გამოცვლა და აღორძინებულია ვაჭრობა-მრეწველობა. რამდენადაც ასეთი ვითარება ამა თუ იმ

ერში ფეხს იკიდებს, იმდენადვე თავადაზნაურობას ეკარგება ეკონომიური უპირატესობა, ხოლო სხვადასხვა წოდებათაგან შემდგარ ბურჟუაზიას ემატება ძალა და ემჩნევა დაწინაურება. ეს დაწინაურება სჩანს საზოგადოდ ყველაფერში და იგი უნდა ჩნდეს, კერძოდ სწავლა-განათლების საქმეშიც. რა თქმა უნდა სწავლის შესაძენად საჭიროა ნივთიერი შეძლება და ამიტომ სწავლა-განათლება იმ წოდებასა და კლასში უფრო გავრცელდება, რომელიც ეკონომიურად წამოწეულია და აქვს საჭირო საშუალება. არა თავადაზნაურ მოსწავლეთა რიცხვის გამრავლება სასწავლებლებში მომასწავებელია იმისი, რომ ჩვენი ცხოვრებაც მოქალაქობრივობის გზაზეა დამდგარი და თანდათან ვითარდება“ (175, 73).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთლიანად შეიცვალა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მხარეები. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, ქართველობა გარუსების საფრთხის წინაშე დადგა, რომლის არსებით მახასიათებლებს წარმოადგენდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ქართული ენის უფლებების შეზღუდვა.

იმ მოლოდინის გაუმართლებლობის შემდეგ, რაც რუსების შემოსვლას მოყვა საქართველოში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იწყებენ შეიარაღებულ თუ საპროტესტო ხასიათის გამოსვლებს რუსეთის საიმპერატორო კარის წინააღმდეგ. თავადაზნაურობის უკმაყოფილების მიზეზი მათი ფუნქციების და უფლებების შეზღუდვაში და ხშირ შემთხვევაში გაუქმებაში მდგომარეობდა. იმედი იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საშინაო ვითარებაში არ ჩაერეოდა არ გამართლდა. ამიტომ საწყის ეტაპზე გამოსატული რადიკალური ფორმები აღნიშნულის დასტური იყო.

XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსეთში ახალი ეტაპი იწყება, რაც ბატონყმობის გაუქმებით გამოიხატა. ბუნებრივია ამ ფაქტმა თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოშიც. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალისტური სისტემის შემოსვლა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას და ეს პროცესი როგორც ცნობილია ბევრად ადრე დაიწყო ევროპაში. ასევე რუსეთში ეს გარდაუვალი იყო. ერთის მხრივ, XIX საუკუნის I ნახევრაში შეიარაღებული აჯანყებების დამარცხებამ და მეორეს მხრივ, იმ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი დაარწმუნა

ბრძოლის ახალი მეთოდის შემუშავებაში. ერთ-ერთი საკითხი კი თავადაზნაურთა ახალი ცხოვრების წესზე გადაყვანა იყო. სამოციანელები ნათლად აცნობიერებდნენ ეპოქის იმ გამოწვევას, რომელშიც მთელი ევროპა იყო ჩართული და ცდილობდნენ ახალი დროისთვის ფეხი აეწყოთ, ქართულ სინამდვილეზე მოერგოთ და ეს ყველაფერი საქართველოს აღორძინებისათვის გამოეყენებინათ. თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო შეგუებოდა საკუთარი პრივილეგიების დაკარგვას და „დაქვეითების გზას დაადგა“, მეორე ნაწილი ე.წ. ღარიბი თავადაზნაურობა შეეცადა საზოგადოებასთან კავშირში ყოფილიყო და საკუთარი თავისთვის თვითონ შეექმნა პირობები.

XX საუკუნის დასაწყისიდან თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და ძლიერ კრებულს. ამასთან პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა მათი ბრძოლისუნარიანობა დასცა, თანაც ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილი უკვე ახალი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა, სადაც თავადაზნაურობას ძველი ადგილი აღარ ექნებოდა. ამიტომ ის იძულებული ხდება ნაწილობრივ შეეგუოს ეპოქის მოთხოვნებს და აღარ მიმართოს გამოსატვის რადიკალურ ფორმებს. 1908 წელს გაზეთი „ცისკარი“ წერდა: „მართალია, ეს მიზეზი მუშაობს რუსეთის თავადაზნაურობაშიც, მაგრამ გაცილებით უფრო ნელა, ვინემ ჩვენში. იქ მრავალი მემამულე შეეწყო მამულის შოვნას. აგრეთვე იქ სამსახურით ივსებენ იმას, რასაც მამული აკლებს. ცნობილია, რომ მთელი მაღალი ბიუროკრატია მემამულეებისაგან შესდგება. ჩვენებური მემამულე კი სწრაფად ვალიანდება, საკუთრება ეყიდება და ასე ეკონომიურათ მამულს დიდათ აღარ აფასებს, მისთვის სიცოცხლეს აღარ სწირავს. თუ შერჩა მამული, ხომ კარგი, თუ არა და სულ ერთია – მაინც ბანკს დარჩება. ასე იქნება თუ ისე, მამული მაინც ჩამოერთმევა. ამიტომ ისინი მრავალ ალაგას გლეხებს უთმობენ და ბრძოლას შერიგებას რჩეობენ“ (163, 1).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი თავადაზნაურობასთან მიმართებაში გაზეთ „ცისკარის“ მიხედვით ასეთი იყო: „საქართველოს ნაწილთა პირველი ნაციონალური მოძრაობა იყო მოძრაობა თავადაზნაურობის ძველი წყობილების შესარჩენად. გლეხობა აქ იღებდა მონაწილეობას სწორედ წინააღმდეგი მიზნით – ბატონყმობის უღლის შესამსუბუქებლად. ე.ი. აქ ფეოდალები ებრძოდნენ რუსებს, ხოლო გლეხები ფეოდალებს და რამოდენიმეთ სამღვდელეობასაც. აი ჩვენი ნაციონალიზმის ტრაგიზმი. რატომ ასე უნდა მომხდარიყო? ცხადია რატომ. თავადაზნაურობის ნაციონალური დროშა იყო

დროშა ფეოდალთა გაძლიერების, გლეხობის დაჯახების, ახალი ცხოვრების უარყოფის, ძველი ურთიერთობის აღდგენის – ერთი სიტყვით ეს დროშა არ იყო ხალხის დროშა. თავადაზნაურობის ნაციონალური ინტერესი არ შეიცავდა ნაციის ინტერესებს.“ (164, 1). ივერია კი შემდეგნაირად აღიქვამს ამ საკითხს: „... ვინ იყო, ან რა ძალა იყო, ის ძალა, რომლითაც საქართველოს განცალკევებულნი ჯგუფნი შეერთდებოდნენ ხოლმე და მედგრად ებრძოდნენ საქართველოს გარეშე მტერს? მაშ ვინ დაიცვა საქართველოს ტერიტორია, ენა, სარწმუნოება? ვინ შექმნა საქართველოს თავისებური კულტურა, ლიტერატურა? ამის პასუხს ყველა შესძლებს, თუ-კი განგებ არ დაიბრმავებს თვალებს, არ დაიყრუებს ყურებს და სიმართლეს არ უღალატებს. ეს ძალთა-ძალა იყო თავადაზნაურობა. საქართველოში თავადაზნაურობა რომ არ ყოფილიყო, დღემდე არც არავითარი ეროვნული კულტურა, ლიტერატურა, ხასიათი არ იქნებოდა და მთელი ჩვენი ხალხი წარმოადგენდა მარტო ჯგუფს, რომელსაც ერთად არავინ ჩათვლიდა“ (91, 1). 1900 წლიდან ბეჭდურ მედიაში თავადაზნაურობის აშკარა კრიტიკა იწყება. ფაქტობრივად, ეს წოდება საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ წარმოადგენს ავტორიტეტულ ძალას. ქართველი ერის გაძლიერების და განვითარების პროცესში თავადაზნაურობის როლი უარყოფილია. „ჩვენ არ შეგვიძლია თავადაზნაურობისაგან მოველოდეთ ერის აღორძინებას. თავადაზნაურობა არის წოდება შექმნილი წარსული ცხოვრების მიერ, მისი არსებობის აზრი წარსულშია, მისი ნიადაგი წარსული წეს-წყობილების ნაყოფია. თავადაზნაურობა, როგორც წოდება გვიანდერძა წარსულმა. მაგრამ იგი არსებობს დღეს, დღევანდელს ცხოვრების პირობებში რომელნიც გაჩნდნენ წოდებანი და წოდებრივი განწყობილება. თავადაზნაურობას – წოდებას არ ძალუძს დაიმორჩილოს ახალი ცხოვრების პირობები, პირიქით, თვითონ ემორჩილება ახალ ცხოვრებას და ნელ-ნელა ხშირად შეუვნებლად, იღებს მის ელფერს და ითვისებს მის ხასიათს“ (167, 2). მუდმივად კეთდება აქცენტი იმაზე, რომ თავადაზნაურობა ვერ ერკვევა საზოგადოებრივ პრობლემებში, რაც ქმნის ბარიერს მოსახლეობის ფართო ფენებთან ურთიერთობებში. „ქართველი თავადაზნაურობის მოღვაწეობას თან სდევს ერთი თვალსაჩინო ნაკლი, რომელიც ფრიად დამახასიათებელია მისი, როგორც წოდებისა: პოლიტიკური გამოურკვეველობა და ამ გამოურკვეველობასთან დაკავშირებული იდეური გამოურკვეველობა და დაქსაქსულობა. ქართველ თავადაზნაურობას ნათლად არა აქვს შეგნებული, რა მიზეზები იწვევს ქართველი ხალხის ეროვნულ

დეზორგანიზაციას და რა ზომების მიღებაა საჭირო ამ დეზორგანიზაციის მოსასპობად“ (136, 2). მარიამ გარიყული შემდეგნაირად ახასიათებდა თავადაზნაურობას: „თავადაზნაურთა უმეტესობა უსაქმურობაში ატარებდა დროს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ნიდაგი მომცდარი ჰქონდათ ფეხქვეშ, სამხედრო ასპარეზზე გმირობას და სამშობლოსათვის თავდადებას მათ აღარავინ სთხოვდა. სამეურნეო შრომაც არ შედიოდა მათ დღიურში, სწავლა-განათლებას აგრერიგად არ ეტანებოდნენ. მათი უმეტესობისათვის მიზანი გიმნაზიის პირველი, მეორე და მესამე კლასი – კურსის დამთავრება იყო. ზოგი მათგანი აქამდისაც ვერ მიატანდა. რა უნდა გაეკეთებინა ამ უსაქმოდ დარჩენულ ახალგაზრდობას? დღეს შენთან, ხვალ იმასთან, ზევ დუქანში. ლოთობა, ჩხუბი და დავიდარაბა“ (196, 207). თავადაზნაურობა მალე მიხვდა, რომ თანამედროვე საზოგადოების ნაწილი ვერ გახდებოდა, თუ დროს ფეხს არ აუწყობდა... მესამოცე წლებამდე ცხოვრება იყო მარტივი და მდორე, მწერლობა ერთფეროვანი, მხოლოდ ერთი კლასის – თავადობის სიმპატია-იდუალების გამომხატველი. რადგანაც სამხედრო სამსახურმა და ჩინოვნიკობამ შემოდგა ჩვენში ფეხი და ორივეს დიდი მოტრფიალენი გამოუჩნდნენ ჩვენს თავადობაში, სწავლა-განათლება ნელ-ნელა აღორძინდა და თბილისში სასწავლებელიც კი დაარსა მთავრობამ კეთილშობილთათვის. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, რომელსაც მაშინდელ დროსთან შედარებით რიგიანი განათლება მიეღო, ნელ-ნელა უკუაგდო პირადი ცხოვრების ვიწრო ფარგლები და გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, მისმა მოღვაწეობამ ჩვენს ცხოვრებას სული შთაბერა და საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც თითქმის სრულებით აღარ არსებობდა, ორმოცდაათ წლებში ნელ-ნელა აღორძინდა, მაგრამ ცხოვრების ამოძრავება შუაგულიდან, თვით ხალხიდან, კი არ დაიწყო, არამედ ზედაპირიდან – თავადაზნაურობიდან“ (102, 793). ზემოთ განხილული საკითხები, კერძოდ, საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნისთვის ბრძოლა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან მოწმობს იმას, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენდა კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ სისტემაზე გადასვლა. ამ პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ისეთი ქართული, ეროვნული პოლიტიკის მაწარმოებელი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც კი, როგორც იყო: ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური პარტია და ზოგადად, ეროვნული მიმართულების მოღვაწეები, საჭიროდ თვლიდა ახალი ეკონომიკური

ფორმების ქართულ სინამდვილეში დანერგვას და თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი სამრეწველო სტრუქტურის გამოყენებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის დასაწყისში თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა ძლიერ სოციალურ ფენას. მათი დიდი ნაწილი უკვე ასიმილაციას განიცდიდა საზოგადოების ფართო ფენებთან. ფაქტობრივად იმ მცირე ნაწილის გარდა, რომლებიც რუსეთის იმპერატორის „ერთგულებაზე დებდნენ ფიცს“ და მისი მეშვეობით ცდილობდნენ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებას და არა გავლენის, რადგანაც ამ პერიოდში თავადაზნაურობას უკვე არ გააჩნდა გავლენა საზოგადოებაზე. ქართველი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილის მცდელობისდა მიუხედავად, თავადაზნაურობისთვის შეეგნებინებინა ახალი ეპოქის მოთხოვნა და ის გარდაქმნები, რაც კაპიტალიზმმა მოიტანა უშედეგო აღმოჩნდა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ რუსეთისთვის და მის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოსთვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ იგი მთელი თანამედროვე ეპოქის რეალობა და ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ფეოდალიზმი დასრულდა და მისი არსებობა მხოლოდ უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და მისი საბოლოო წარმომადგენლები თავადაზნაურთა ის მცირე ნაწილი იყო, რომელიც დროის გამოწვევას ვერ ეგუებოდა. პრაქტიკულად ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი დარწმუნებული იყო არსებული სინამდვილის გარდაუვალობაში და ცდილობდა არსებული ვითარება საქართველოს საკეთილდღოდ გამოეყენებინა.

1900-1917 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც პირველ რიგში კულტურით, განათლებით ბრძოლას გულისხმობდა, არამედ ქართველი საზოგადოების ძველ და ახალი თაობის წარმომადგენლებს შორისაც. თავადაზნაურობა კი იმ წოდებას ეკუთვნოდა, რომელიც წარსულს აიდევალბდა და ძველი დროის დაბრუნება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა. ახალი თაობა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ქართველი მოღვაწეების ის ბირთვი, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს სამოციანელებისგან ახალი საქართველოს მშენებლობის დევიზი, მთლიანად მიმართული იყვნენ შეექმნათ თანამედროვე ტიპის სახელმწიფო, სადაც ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი იქნებოდა ეკონომიკურად და სოციალურად თავისუფალი და რაც მთავარია იცხოვრებდა დამოუკიდებელ საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, მათ დემოკრატიული ქვეყნის აშენება დაისახეს მიზნად და მონარქიული წყობა უკვე მიუღებელი იყო არა მარტო მათთვის, არამედ მრავალი ქართველისთვის. როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა მთელი ამ წლების მანძილზე და თუ თავიდან რუსული იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, შემდეგ და განსაკუთრებით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოების ფართო ფენების გულისმომგებების მიზნით თავიანთი სახელმწიფოებრივი პროგრამა უფრო ეროვნული გახადეს. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ხალხში ნდობის მოპოვება და ყველა იმ პრობლემის მოწესრიგება, რაც საზოგადოების სატკივარი იყო. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებლობას წარმოადგენდა დაბალი ფენების ორგანიზება და დამოუკიდებელი საქართველოს უპირატესობის დანახვება. გაზეთი ერთობა 1920 წელს წერდა: „დღეს ჩვენი ცხოვრება დაინგრა და ჩვენი სამშობლო ჩვენი ხალხის ხელშია. მთელი მშრომელი ხალხი, ვინც კი საქართველოს მიწაზე ცხოვრობს, დღეს საქართველოს გამგე და პატრონია. გუშინ თქვენ იყავით სხვის ხელში შემყურენი, დღეს კი ხართ თავისუფალი მოქალაქენი და უთქვენოდ, თქვენ დაუკითხავად, თუ თქვენი სურვილი, ნება და დასტური არ იქნა, ისე ჩვენს ქვეყანაში არაფერი გაკეთდება. უწინ ჩვენში ყველაფერი კეთდებოდა მემამულეებისათვის, მდიდრებისათვის და ყოველივე ამას აკეთებდა მათი მთავრობა. დღეიდან კი ჩვენში ყოველისფერი გაკეთდება თქვენთვის, მშრომელი ხალხისთვის და ამას აკეთებს თქვენი მთავრობა“.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაწყებული თავადაზნაურთა უფლებების შეზღუდვის პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობდა მთელი XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისიდან ახალ სტადიაზე გადავიდა. აღნიშნული პროცესების განვითარებას თავადაზნაურობის საწინააღმდეგოდ ხელი შეუწყო კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში. თავადაზნაურობა 1900-1917 წლებში უკვე აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში გააჩნდა. ახალმა ეკონომიკურმა წყობამ გარკვეული გარდაქმნები განაპირობა და მოდერნული ეპოქისთვის ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენა მთლიანად მიუღებელი აღმოჩნდა.

ბუნებრივია, განხილული საკითხები პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია,

თუმცა, ვფიქრობთ წარმოდგენილმა მასალამ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

## §6. ბურჟუაზია

კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური კლასების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში კაპიტალიზმი მოგვიანებით, კერძოდ, XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყებს დამკვიდრებას, რასაც არაერთგვაროვანი რეაქციით ეგებება საქართველოს მოსახლეობა.

საერთოდ, ნებისმიერ გარდაქმნას, ეს იქნება კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური საზოგადოების ყველა ფენა განსხვავებულად იღებს. ნაწილს უჭირს მასთან შეგუება, ნაწილი კი დადებითად ხვდება და საკუთარი ინტერესების დაცვისთვის ბრძოლას აგრძელებს. ბატონყმობის გაუქმებას და კაპიტალისტური სისტემის შემოსვლას არც საქართველოს სინამდვილისთვის ჩაუვლია უპრობლემოდ. და ეს გასაგებიც იყო. გარდა იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად მის დაქვემდებარებაში შესვლით შეხვდა და ჯერ კიდევ ვერ

გამოსულიყო ქართველობა საიმპერატორო კარის რუსიფიკატორული ქმედებების უკიდურესი ფორმების გააზრებიდან, რაც ეროვნული სიმბოლოების: საკუთარი ტერიტორიის, ქართული ენის, ქრისტიანობის დაკარგვა-გაუქმებაში გამოიხატებოდა, რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან შეცვლას იწყებს ფეოდალურ სისტემაზე აგებული მოდელი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგება. რაც მთავარია, ეს ფაქტი მოდიოდა უკვე არა რუსეთიდან, არამედ ევროპიდან და მის წინაშე უძლური იყო თვით რუსეთიც.

ბატონყმობის გაუქმების პერიოდს დაემთხვა საქართველოში სამოციანელების ანუ თერგდალეულების სამოდგაწყო ასპარეზზე გამოსვლა, რომელთა მთავარი მიზნის განხორციელების ფონზე საერთო, ქართული ეროვნული სივრცის შექმნა, საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლება და დამოუკიდებლობის ბრძოლაში ყველა სოციალური ფენის ჩართვა იყო, და რაც მთავარია ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები უმტკივნეულოდ მომხდარიყო ქართველი ერის ყველა წარმომადგენლისათვის და განსაკუთრებით გლეხების, რომლებიც ცხოვრების ახალ, განსხვავებულ სისტემაზე უნდა გადასულიყვნენ და ეპოქის გამოწვევებს შეგუებოდნენ.

ფეოდალიზმის პერიოდის ურთიერთობა აგებული იყო ბატონსა და გლეხს შორის, კაპიტალიზმის დროს კი – ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ყალიბდება კავშირი. კაპიტალიზმმა განაპირობა არა მხოლოდ ახალი სოციალური კლასების ჩამოყალიბება, არამედ ეკონომიკური ფორმებისაც. ბურჟუაზია კაპიტალისტური ეპოქის განუყრელი ნაწილი გახდა. „დღევანდელ საზოგადოებაში უმთავრესად ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე კლასი იბრძვის, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, მუშათა კლასი. ბურჟუაზიის გარშემო იყრის თავს ყველა ბურჟუაზიული ფრაქციები: ისინი ერთდებიან და საერთო იერიში მიაქვთ მუშათა კლასზე, მუშათა კლასი სდგას მარტო, როგორც ერთადერთი დამცველი ყოველგვარ დაჩაგრვისაგან, დამონებისაგან. ამიტომ ის ებრძვის არა მარტო ბიუროკრატს, რომელიც საყოველთაო სულთამხუთავად გამხდარა, არამედ მთელ ბურჟუაზიულ წყობილებას, რომელიც დაქირავებულთა გაყვლეფით ცხოვრობს და სუქდება“ (120, 3).

კაპიტალიზმის დამკვიდრების და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებასთან ერთად იბადება ახალი “გადატაკებული“ და “უპოვარი“ ფენა პროლეტარიატი და ამასთან ჩნდება ამ უკანასკნელის „ინტერესების დამცველი“ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც უპირისპირდება ბურჟუაზიულ წყობას და

სოციალიზმის განხორციელებისთვის იწყებს მოღვაწეობას. ასე რომ, ბურჟუაზიას პროლეტარიატთან ჭიდილში უხდება არსებობა. 1905 წელს ჟურნალი „მოგზაური“ წერდა: „სხვადასხვა ერის ბურჟუაზია არაფრით განსხვავდება ერთი მეორისაგან, განსხვავება შეიძლება ისეთ წვრილმან რამეებში იყოს, რასაც სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და როცა თქვენ ერთი ერის ბურჟუაზიას ახასიათებთ, ამით რამდენიმეთ ახასიათებთ სხვა ერის ბურჟუაზიასაც. ბურჟუაზიის ბუნება, მისი აღორძინება და ზრდა-განვითარება დაახლოვებით ყველგან ერთნაირად, ერთნაირი საშუალებებით, ერთნაირი გზით ხდება. ეს საშუალება, ეს გზა მშრომელი ხალხის გაყვლეფაა, პროლეტარიატის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამონებაა. მაგრამ ბურჟუაზიის აღორძინებასთან ერთად, მეტი თუ ნაკლები სიჩქარით, ხდება პროლეტარიატის, როგორც ცალკე საზოგადოებრივი კლასის გამოღვიძება, მისი კლასობრივი შეგნების განვითარება“ (186, 1). მართალია, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის დიდმა ნაწილმა გააცნობიერა ახალი ეკონომიკური სისტემის ფეხის აწეობის საჭიროება და ქართული სინამდვილისათვის მორგება, მაგრამ ბურჟუაზიის არსებობა მათთვის მიუღებელი იყო იმდენად, რამდენადაც ფართო მასების უკიდურესი მდგომარეობა საგანგაშო ხდებოდა. „ქართველი ბურჟუაზიის განვითარება პროგრესულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეებრძოლება შინაურ ფეოდალურ-პატრიარქალურ ურთიერთობას და მის ნანგრევებზე ააშენებს ახალ წყობილებას. მეორე მხრივ, იმავე ბურჟუაზიის განვითარება რეგრესულია იმდენად, რამდენადაც ის იმორჩილებს „მშრომელ ხალხს“ და მისი ოფლით თვითონ ბატონდება“ (101, 60).

საქართველოსთვის ბურჟუაზია მიუღებელი იყო იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა არაქართველებისაგან შედგებოდა. თუმცა ისიც ფაქტი იყო, რომ ქართველი ბურჟუაზიული ელემენტების ჩამოყალიბება ვერ განხორციელდა ნაციონალური გზით. შუა საუკუნეების საქართველოში შექმნილი ვითარება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართველი ვაჭრები გაძლიერებულიყვნენ. მუდმივ ომში მყოფი ქართველობა ვერ ახერხებდა ვაჭრობაში ჩართულობას და თავის მხრივ ფეოდალსაც არ აწეობდა, ამიტომ საქართველოში ყოველთვის უცხო ერის წარმომადგენლების კომპეტენცია იყო ვაჭრობა. ასეთივე სიტუაციას ვხედავთ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ბურჟუაზია ძირითადად არაქართველებისაგან შედგებოდა, მხოლოდ უმცირესობა იყო ქართველი. ეს ფაქტი ბუნებრივია უარყოფითად აისახებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. ეს

გარემოება ბურჟუაზიის მიმართ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებდა. მით უფრო, რომ იგი თვითმპყრობელობის მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა. როგორც ცნობილია, 1900-1917 წლების საქართველოში მუშების საკითხი ფართო განხილვის საგანი ხდება, რომლის იდეოლოგს წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მათი მიზანი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად პროლეტარიატის ბურჟუაზიის მისამართით გამოსვლაც იყო. საკუთარი იდეების რეალიზებას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ხასიათის ჟურნალ-გაზეთების და პროკლამაციების მეშვეობით ცდილობდნენ. პროლეტარიატის ინტერესების დამცველი გაზეთი „მუშა“ წერდა: „ვინ არის ბურჟუაზია? ვინ და ჩვენი – პროლეტარიატის მტერი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, ის ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მყველფელი ექსპლუატატორია. მისი წარმოების წესი მისი კერძო საკუთრების და მწარმოებლის ჩვენი შიმშილის, სიღატაკის გამაძლიერებელია. რისთვის იბრძვის ბურჟუაზია? ის იბრძვის სოციალური საყველფე სისტემის გასაუმჯობესებლად. ამისთვის, რომ თავისი მყველფელობის და ცარცვის სისტემა გაემაგრებინა და ხანგრძლივი გაეხადა იმან რევოლუციებიც კი მოახდინა ხან თავისი ხან სხვისი მკლავით, ხან ზევიდან ხან ქვევიდან მოტყუებით... ბურჟუაზია და სახელმწიფო ჩვენ მონობაზე დამყარებულ თავისი თავისუფლებისათვის იბრძვის. ის ჩვენი მტერია. ჩვენ კი როგორც მთელი კაცობრიობის სიმდიდრის, კულტურის, ცივილიზაციის მწარმოებელნი ვიბრძვით მთელი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ჩვენი განთავისუფლება მთელი ქვეყნის, კაცობრიობის განთავისუფლება იქნება“ (113, 1).

კაპიტალისტურმა წყობამ ძირეულად შეცვალა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხი და რაც მთავარია—იდეოლოგიაც. “ახალი კვალი“ 1915 წელს წერს: „კაპიტალისტურ დროში ომის უმთავრესი მიზეზია არა სარწმუნოებრივი ან ნაციონალური განსხვავება, არამედ ეკონომიური შეჯიბრება, რომლისკენაც სხვადასხვა ქვეყნის შეძლებული კლასები თვით წარმოებისთვის მიყავს. ერთის მხრით, თუ კაპიტალიზმი შრომის ბრძოლის ველზე ყოველთვის მსხვერპლად იწირავს მუშების ჯანღონეს და სიცოცხლეს, მეორე მხრით, ის სინოდის შეუწუხებლად ღვრის მათ სისხლს, როცა ახალი მოგების გულისათვის ბაზრების დასაპყრობად მიიღტვის“ (32, 2). კაპიტალიზმის დროს ბურჟუაზია ცვლის ფეოდალს. საზოგადოების ფართო ფენები მოდერნულ პერიოდში ეპოქისათვის შესაფერისი და დამახასიათებელი ძლიერი სოციალური

ფენის ბურჟუაზიის გავლენაში და დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. ფაქტობრივად ბატონყმობის გაუქმებამ ახალი არაფერი მოიტანა უმრავლესობისთვის, იმ გაგებით, რომ ისინი ფეოდალის ნაცვლად, რომელიც შუა საუკუნეებში წამყვანი ძალა და სამეფო კარის ძირითადი დასაყრდენი იყო, ის კი თავის მხრივ ამ პრივილეგიით ხშირ შემთხვევაში გადამეტებულად სარგებლობდა, გაჩნდა ბურჟუაზია, თვითმპყრობელობის მთავარი საყრდენი. ეს უკანასკნელი კი მთლიანად მიმართული იყო საკუთარი უფლებების გაზრდისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებისაკენ. საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარიდან გაჩნდა ახალი სოციალური ფენა - ბურჟუაზია, რომელიც ძირითადად ეთნიკური არაქართველებით იყო წარმოდგენილი, რომელთაც თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა. ბურჟუაზიას ზოგიერთი პოლიტიკური პარტია სერიოზულ ეროვნულ ძალად არ აღიქვამდა და ძირითადად მისი კრიტიკით შემოიფარგლებოდა. სოციალისტ-ფედერალისტები ბურჟუაზიას შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „ეროვნებას იცავს იგი არა სამართლიანობისათვის არამედ საბაზრო ინტერესებისათვის. სიმართლე არ აღაპარაკებს, საქვეყნო და სახალხო საქმე არ უწევს გულს, როდესაც გამოდის და ხმამაღლა ყვირის: თავგამოდებით უნდა ვემსახუროთ ეროვნულ იდეასო! თუ ბურჟუაზია დაჩაგრული, დამონებული არ არის თვითონ, ძალმომრეობას ხმარობს და იბრძვის თავის ეროვნული ძალების გასაფართოვებლად, ე. ი. თავის მრეწველობისათვის მეტის და მეტის ასპარეზის მოსაპოვებლად. თუ ბურჟუაზია დაჩაგრულია, იბრძვის დამჩაგრელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომ მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფალი ასპარეზი თავის მრეწველობისათვის. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის. მაგრამ ეს თავისუფლება ესმის თავისებურად და მზად არის ამ ეროვნული თავისუფლებისა და იდეებისათვის დაჩაგროს, შეავიწროვოს და გაანადგუროს სხვა ყველა ეროვნება. ბურჟუაზიას არ ესმის ეროვნული თავისუფლება, როგორც თანაბრად საჭირო ყველასათვის. ბურჟუაზიას უნდა ეროვნული თავისუფლება მხოლოდ თავისთვის, როგორც იარაღი სხვის დასაჩაგრავად და დასამონებლად (273, 5). საერთოდ, სხვადასხვა სოციალური ფენების კრიტიკა აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელია. თითქმის ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთში ვხვდებით არსებული ვითარების პირისპირ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების ინერტულობის კრიტიკას. უარყოფითი მხარეების წარმოჩენით ქართველი ინტელიგენცია ცდილობს

ადმოფხვრას ის მახასიათებლები, რომლებიც მათი აზრით, ეროვნული იდეის განვითარების შეფერხებას უწყობს ხელს. მართალია, სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მედიას საკუთარი მიზანი გააჩნდა, ამა თუ იმ პარტიის ინტერესებს გამოხატავდა და საჭიროებისადა მიხედვით მოწინააღმდეგეთა ინტერესების გაბათილებას და მათი გეგმების წამოწევას ცდილობდა, ამიტომ სწორედ იმ სოციალურ ფენაზე აკეთებდა აქცენტს, რომელიც მათი დასაყრდენი იყო, მაგრამ მიზანი საერთო იყო: დამოუკიდებლობის აღდგენა. და ამ მიზნამდე მისასვლელი გზები იყო განსხვავებული.

ბურჟუაზიის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გამომდინარეობდა არა მარტო იქიდან, რომ ისინი და განსაკუთრებით მსხვილი ბურჟუაზია არაქართველებით იყო წარმოდგენილი, არამედ იქიდანაც, რომ ის თვითმპყრობელობის მთავარი დასაყრდენი იყო. იმ ფონზე, როდესაც საქართველოში არაეროვნული ძალები საკმაოდ მრავლად იყვნენ და ამასთან რუსეთის ხელისუფლების და ჩვენს ქვეყანაში მყოფი მათი მოხელეების პოლიტიკა მთლიანად ანტიქართული იყო, ბუნებრივია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელსაც საკმაოდ დიდი ფინანსური ძალა გააჩნდა ასევე გულგრილი იყო ქართველი ერისადმი. ქართველი საზოგადოების ძირითადი დასაყრდენი წერილი ბურჟუაზია იყო. ისევე როგორც ყველა განხილულმა სოციალურმა ფენამ, ბურჟუაზიამაც თავისი ცნობიერების განვითარების გარკვეული ეტაპი განვლო. მართალია, პირველმა მსოფლიო ომმა ბურჟუაზიის ინტერესების დაკმაყოფილებას დიდად შეუწყობ ხელი, მაგრამ 1917 წლიდან შექმნილი მოვლენები თავის ასახვას პოულობს მათ ცხოვრებაზეც. გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა: „ბურჟუაზია ისტორიულად ორ ცეცხლშია იმყოფება. ის მომხრეა პოლიტიკური თავისუფლების დამყარების და ბატონყმური ნაშთების მოსპობის, მაგრამ ამავე დროს ის უფროსის დემოკრატიის ამოძრავებს. მუშათა კლასი მის სოციალურ ბატონობას ემუქრება. ამიტომაც არის ბურჟუაზია მეფესთან მორიგებას არჩევს. და მასთან ძალაუფლების განაწილებას ესარჩლება“ (48, 3).

ბურჟუაზია, როგორც ახალი ეპოქის, კაპიტალისტური წყობის პროდუქტი, მიმართული იყო ბატონყმობის ნაშთების მოსპობისკენ. მათი მთავარი მიზანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაფართოება და ახალი ბაზრების დაპყრობა და ძლიერი სავაჭრო ობიექტების გაჩენა იყო. პირველმა მსოფლიო ომმა ბურჟუაზიას საშუალება მისცა ამ გეგმის რეალიზაციისთვის.

„ერთობა“ წერდა: „ბურჟუაზიის ეროვნული იდეა გამოიხატება გაბატონებულ კლასად გახდომის მისწრაფებაში. ასეთ კლასად შეუძლია მას იყოს მხოლოდ საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში. ვინაიდან ბურჟუაზიის ეროვნული მისწრაფება გამოიხატება საკუთარი ბაზრის გაფართოებაში, საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში, ამიტომ მას ესაჭიროება ძლიერი მთავრობა, რომელსაც შეეძლება საკუთარი სახელმწიფო საზღვრების გაფართოება და სხვა სახელმწიფოთა ბაზრებზე ბატონობა. ბურჟუაზია მთელ თავის სოციალური არსებით აგრესიული ხასიათისაა. ამაში განსხვავება არ არის პატარა და დიდი ერის ბურჟუაზიას შორის. პატარა ბელგია ისეთსავე პოლიტიკას აწარმოებდა აფრიკაში, როგორც ინგლისი. მათი დამოკიდებულება ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთნაირი აგრესიული იყო, ბურჟუაზია ცდილობს გაბატონებულ კლასათ გახდომას და ვინაიდან სხვის სახელმწიფოში ის ამის შესაძლებლობას ვერ ხედავს ყოველ ღონეს ხმარობს თავის საკუთარ სახელმწიფოს შესაქმნელად“. (48, 3).

იგივე „ერთობა“ წერს: „ახალი ეკონომიკური მოძრაობის მატარებელი ერში ბურჟუაზიაა. ბურჟუაზიის მისწრაფებაა რაც შეეძლება გააფართოვოს წარმოება და გახდეს გაბატონებულ კლასად. გაბატონებულ კლასად ყოფნა მას შეუძლია არა მარტო ეკონომიურად, არამედ ის უნდა იყოს აგრეთვე გაბატონებული პოლიტიკურადაც. ყოველი კლასი ითვლება გაბატონებულად იმდენად, რამდენადაც ის მომზადებულია პოლიტიკურად, ვინაიდან მის ხელში პოლიტიკური უფლება ის საშუალებაა, რომლითაც ის სხვა კლასებზე ბატონობს ეკონომიურად. როდესაც დამონებული ერის ბურჟუაზია მიისწრაფვის გახდეს თავის ქვეყნის პოლიტიკური საქმეების ბატონ-პატრონი, იმას ამ დროს შეტაკება უხდება გაბატონებულ ერის ბურჟუაზიასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონია. სწორედ აქედან წარმოსდგება ინტერესთა წინააღმდეგობა გაბატონებულ და დამონებულ ერთა ბურჟუაზიას შორის. დამონებული ერის ბურჟუაზია ატყობს რა, რომ მას არ ძალუძს წაართვას გაბატონებული ერის ბურჟუაზიას ძალა, ის ცდილობს თავისი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, სადაც ის იქნება ბატონ-პატრონი. მისი მუშაობა ამ გზით წარმოებს. არსდება ეროვნული პარტიები, გამოაქვთ ეროვნული პროგრამა და აფრიალებენ ეროვნულ დროშას. რამდენად ერი ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ ამ ახალი ცხოვრების გზაზე, იმდენად ვითარდება და ღრმავდება ეროვნული მოძრაობა, რომელიც ბოლოს პოლიტიკურ მოძრაობად

ხდება“ (48, 3).

როგორც აღვნიშნე, მსხვილი ბურჟუაზია არაქართველებისაგან შედგებოდა და მათ ქართული, ეროვნული ეკონომიკის განვითარება ნაკლებად აინტერესებდათ. ეროვნული იდეების მატარებელი იყო წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ქართველებით იყო წარმოდგენილი. წვრილი ბურჟუაზია პოლიტიკური და კულტურული ელიტის დასაყრდენი იყო, რომლის მეშვეობითაც ფიქრობდნენ ეროვნული გეგმების განხორციელებას. „ეს ორგვარი კაპიტალი, ნაციონალური და უცხო თამაშობს ორ სხვადასხვა სოციალურ როლს საქართველოში. პირველი, წვრილი ბურჟუაზიული, საერთო, საყოველთაო მოვლენაა და ახასიათებს ქართველი ერის მოქალაქეობრიობას. მეორე, მსხვილბურჟუაზიული, გამონაკლისია, აქა-იქ შემოჭრილია და ახასიათებს ქართველ მუშა-ხალხის კლასიურ მდგომარეობას. მაგრამ, რადგანაც ერის ეკონომიური საქმიანობის მეთაური და სამოქალაქო კულტურის მეთაური წვრილი ბურჟუაზიაა, ამიტომ უცხო კაპიტალის სოციალური გავლენა განახევრებულია, პროლეტარიატი იმყოფება წვრილი ბურჟუაზიის კულტურის გავლენის ქვეშ. თავის იდეალად დასახული აქვს არა კლასიური ბრძოლით თავის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ წვრილ ბურჟუაზიად გადაქცევა, ე.ი. მუშა ხალხი იკვებება წვრილ ბურჟუაზიულ იდეალებით და სხვილი კაპიტალის რევოლუციურ მნიშვნელობას წვრილთან შედარებით სრულიად არ სცნობს“ (62, 1). 1912 წელს „კლდე“ წერდა: „სულ სხვაა ქართველი ვაჭარი, რომელიც გამოდის მისთვის ახალ სარბიელზედ. მისთვის ვაჭრობა ცარიელი მოგება არ არის. მის ვაჭრობას ეროვნული ფუნქცია აქვს და თუ ერთის მხრივ ის ასრულებს ეროვნულ ფუნქციას, ის ჰქმნის არა მარტო თავის სიმდიდრეს, ეროვნულ სიმდიდრესაც. ყოველად წარმოდგენელია ქართველი ვაჭარი პოლიტიკურის ინდიფერენტიზმით იყოს შეპყრობილი. მისი ბედი გადაბმულია მისი ქვეყნის ბედთან და მაშასადამე იგი ეცდება ჩაებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არ დაერიდება ქვეყნის მიწა-წყალზედ პიონერად გამოვიდეს ისეთ საქმეში, რომელიც გაამდიდრებს არა მარტო მას, არამედ მთელ კუთხესაც წინ წასწევს. ცარიელ მოგებას მის ანგარიშში ზედ დაერთობა უზრუნველყოფაც მთელი ერისა, რომელიც დიდს ეკონომიურ ცხოვრებაში საურთიერთო თავმდაბლობის როლს ასრულებს და ამრიგად იგი გახდება ჭეშმარიტი ფაქტორი ეროვნული ცხოვრებისა“ (174, 1). სოციალ-დემოკრატების აზრით, ბურჟუაზია კი არ უნდა მოისპოს, მისი არსებობა დღესაც საჭიროაო. ამ დებულების უფრო დრმა სიმართლე ხშირად შემდეგს აზრში

ინტეგრაცია ხოლმე: საქართველო კაპიტალიზმის განვითარებით კი არ იტანჯება, პირიქით საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებლობაა ჩვენი ჩამორჩენილობის მიზეზი“ (141, 1). „ბურჟუაზია ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ეროვნული იდეა გამოიყენოს პროლეტარიატის წინააღმდეგ. იგი, ებღაუჭება რა ეროვნულ იდეას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო „ეროვნულ“ ინტერესებზე ლაპარაკობს და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები „წმინდა ეროვნულ“ ინტერესებს უნდა დაუმორჩილოს. გასაგებია, რომ ამით ბურჟუაზია ლამობს ჩამოაცილოს პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის საარსებო ამოცანას. იმისათვის, რომ თავის კლასობრივ ინტერესებს ემსახუროს ბურჟუაზია მზადაა თავი გამოაცხადოს „სოციალისტად“, ან კიდევ „სოციალისტ-ნაციონალისტად“ და ამ ტიტულით აკეთოს თავისი საქმე“ (210, 45).

როგორც ყველა სოციალური ფენის თუ ჯგუფის, ისე ბურჟუაზიის როლის, უფლებების და ფუნქციის მიმართაც არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობდა. თუმცა, ერთი რამ ფაქტი იყო, ბურჟუაზია 1900-1921 წლების საქართველოს სოციალური გარემოს შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც საკუთარი მიზანი და ისტორიული დანიშნულება გააჩნდა. ამიტომ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მოვლენების შეფასება აღნიშნული საკითხის განხილვის გარეშე წარმოადგენელია.

## §7. ინტელიგენცია

1900-1921 წლების საქართველოში ქართველი საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ინტელიგენციამ. თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი: კულტურული და პოლიტიკური ელიტა. დისერტაციაში ვიყენებ ორივე ცნებას, რადგან ვფიქრობ, რომ მათ შორის აზრობრივი კავშირი არსებობს. რაც შეეხება დასათაურებას ინტელიგენცია, გამომდინარე იქიდან, რომ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სიტყვა „ინტელიგენცია“, ამ მოტივით უცვლელად დავტოვე. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ეტაპზე ინტელიგენციის შემადგენელ ნაწილად აღიქმებოდნენ: პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მოსწავლეები, სტუდენტები. აქედან გამომდინარე მათი მოღვაწეობის გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმე.

როგორც უკვე აღვნიშნე, თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში ინტელიგენციის როლი საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევა და სწორედ ის მიიჩნევა ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების გაძლიერებისა და საზოგადოების ფართო ფენების ეროვნული ცნობიერების ამაღლების შემომქმედად. მისი როლი, აგრეთვე გადამწყვეტი იყო XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ზემოთ აღნიშნული ორივე ტერმინი გამოიყენება, საბოლოო ჩამოყალიბებული განსაზღვრება თუ ვინ არის ინტელიგენცია არ არსებობს. ამჯერად მე არ შევეცდები ამის განსაზღვრას, რადგანაც ეს სცილდება ჩემი კვლევის სფეროს, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ 1900-1921 წლების მედიასა თუ ლიტერატურაში გავრცელებული და მიღებული ტერმინი ინტელიგენცია იყო და რადგანაც ჩემი მიზანი აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენების შეფასებაა გამოვიყენებ ინტელიგენციის იმ შინაარსობრივ მხარეს, რაც გავრცელებული იყო სწორედ ამ ეპოქაში.

საერთოდ, როდესაც XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართველ ინტელიგენციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სოციალური ჯგუფის შემადგენელ ნაწილად არ მოვიანბროთ მხოლოდ კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელიც წამყვანი ძალა იყო და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდევ ქართველი ერის ცხოვრების მიმართულებას.

ამ პერიოდის ინტელიგენცია შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები: მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მსახიობები. და 2. ქალაქის და სოფლის ინტელიგენცია: მასწავლებლები, ექიმები, სტუდენტები, მოსწავლეები. ყველა ესენი თავისებური გზით საზოგადოებასთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ. არჩილ ჯორჯაძე ინტელიგენციას საზოგადოების გარდამქმნელის როლს ანიჭებდა და მასში

ხედავდა წამყვან ძალას ქვეყნის წინსვლის გზაზე. იგი ასევე საუბრობს ქართველი და ევროპელი ინტელიგენციის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე. „რა მიზეზია, რომ ევროპაში და ჩვენში ერთ და იგივე ეპოქაში ინტელიგენციას სრულებით განსხვავებული მიზნები ჰქონდათ? ამის მიზეზი ერთადერთია. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ევროპიელ დიდ ერთა ინტელიგენციის ცდა და ნატვრა იყო გაუმჯობესება უკვე არსებულ მრავალშტოიან ნაციონალურ ცხოვრებისა და დემოკრატიულ დაწესებულებათა საშუალებით ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორობის დაფუძნება მოქალაქეთა შორის. ჩვენში ქართველ ერის პოლიტიკურ ცხოვრების ძირითად ცვლილებათა გამო ყოველი გონებაგახსნილ ქართველის მოვალეობა იყო – შეექმნა, გამოერკვია და გაემტკიცებინა ის ახალი საქართველოს ვინაობა და პიროვნება, ურომლოდაც არამც თუ წარმატება, არამედ მისი არსებობაც შეუძლებელი იყო. ჩვენს ძველ მოღვაწეების დაფასებაში ეს ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში“ (280, 31). ნოე ჟორდანიას ინტელიგენცია მიაჩნდა ხალხისადმი დაპირისპირებულ და მისდამი მტრულად განწყობილ ძალათ. მისი აზრით, „ინტელიგენცია აბნელებს და ბურჟუაზიაში ხვევს იმ არსებულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილად არსებობს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ შესულა მთელ თავის ძალაში, ამით ის წინ ეღობება ცხოვრების წინმსვლელობას. ინტელიგენცია თავის უნებურად რეაქციულ როლს თამაშობს“ (280, 36).

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება დაეთმო ინტელიგენციის საკითხის შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია: ერასტი ახოზაძე, „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში“ (211), აკაკი სურგულაძე, „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900-1921)“ (280) „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (278), ვ. ონიანი „რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს“ (251). ერასტი ახოზაძის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ საქართველოს ბოლშევიკების შეურიგებელ ბრძოლაზე. ონიანის ნაშრომი ნაკლები მასალით წარმოგვიდგენს ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობას. მეტი ინფორმაციის შემცველია აკაკი სურგულაძის ნაშრომები. მისი აზრით: „რევოლუციამდელ საქართველოს ინტელიგენცია ძირითადად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იყო სოციალური წარმომავლობითაც (წვრილ მწარმოებელთა, ვაჭართა, სასულიერო პირთა და გლეხთა შვილები) და

განწყობილებითაც წერილბურჟუაზიულ-რადიკალური იყო. იგი სისხლხორცეუ-ად იყო დაკავშირებული ეროვნულ ყოფასთან და მისი ყველაზე ჯანსაღი ტრადიციების აღორძინებისათვის იბრძოდა... ეს ინტელიგენცია თავისი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზას ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამხობაში ხედავდა“ (278, 21-22).

ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირი იყო ქართველი ინტელიგენციის კრიტიკა არაქართული, არაეროვნული მოღვაწეობის გამო. ქართველი საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ „გადაგვარებული“ და „გარუსებული“ ინტელიგენცია ვერ ასრულებდა იმ მისიას, რაც დრომ და ისტორიამ დააკისრა. „არსად, არც ერთ ერში, ინტელიგენცია ისეთ უმოქმედობას არ იჩენს, როგორც ჩვენში. არსად ისე მოწყვეტილი არ არის იგი მშობელ ხალხს, როგორც ჩვენში. აიღეთ რომელი კულტურული ერი გენებოთ, თუ ის გაევროპიელების გზას დასდგომია და დააკვირდით მის ცხოვრებას. თქვენ ეჭვს გარეშეა, ნახავთ, რომ იქ ინტელიგენცია სათავეში უდგას რა მშობელი ქვეყნის კულტურულ წინმსვლელობას, მთელი თავისი ძალ-ღონით მსურვალე მონაწილეობას იღებს პრაქტიკულ საზოგადო საქმეებში. სოფლად და ქალაქად ყოველგვარ კულტურულ დაწესებულების დაარსებასა და წარმოებას ის კისრულობს. იგი კვალდაკვალ მისდევს ხალხის ეკონომიურ და გონებრივ განვითარებას. აარსებს ხალხისავე დახმარებით დროისა და გარემოების შესაფერ კულტურულ დაწესებულებებს, ენერგიულად და ნათლად აწარმოებს ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს, რითაც საუკეთესო მომავლისაკენ მიუძღვის ქვეყანას, ნათელ სხივსა ჰყენს ის მშრომელთა და დაბეჩავებულთა მიმე ცხოვრებას. ეს ხდება, როგორც დამოუკიდებელ, ისე ჩვენსავით დაბეჩავებულ ერებში, მიუხედავად კლასობრივ წინააღმდეგობის გაღრმავებისა“ (37, 1). გაზეთი „მნათობი“ კი 1911 წელს ინტელიგენციას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ქართველი ინტელიგენცია იმ თავითვე იგივე უმაღლესი წოდება იყო, ის სულ ერთიანად შესდგებოდა უმაღლესი წოდების შვილებისაგან და გასაკვირველი არ არის თუ იმასაც მამაპაპათა „ჩინოვნიკური“ სული ღრმად ჰქონდათ გამჯდარი ძვალსა და რბილში. მაგრამ წოდებრივ შემადგენლობას რომ თავი დავანებოთ, ეს ინტელიგენცია თავისი მისწრაფება-იდეალებით იმ თავიდანვე თავადაზნაურული იყო და დღესაც ასეთი დარჩა“ (111, 3).

ქართველი ინტელიგენციის დანიშნულებად მიიჩნეოდა ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და მათი ინტერესების დაცვა. რუსეთის

თვითმპყრობელობის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად გამოწვეული პრობლემები, რაც ეროვნული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გამოიხატებოდა, ბუნებრივია, ქართველი ერის ცნობიერების და ცხოვრების წესის შეცვლას განაპირობებდა. ინტელიგენცია კი, საზოგადოების ყველაზე განათლებულ და გათვითცნობიერებულ ნაწილად მიიხსენიდა და არც თუ უსაფუძვლოდ, ამიტომ მათ მოვალეობას შეადგენდა ქართველი ერის ინტერესების დაცვა. აკაკი სურგულაძის აზრით: „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ-კულტურული საქმიანობა, რომელიც ხალხის განათლებას, მისი ეროვნული მეობის დაცვას, თვითშეგნების გაღვივებას, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას ემსახურებოდა“ (280, 128).

როგორც უკვე აღვნიშნე, ინტელიგენციის წრეში სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, ამიტომ თითოეული მათგანი პირველ რიგში, საკუთარი პარტიის და ინტერესების დაცვას ესწრაფვოდა და მათი შეხედულებებიდან და მრწამსიდან გამომდინარე ცდილობდა საკუთარი იდეოლოგიის რეალიზებას საზოგადოებაში. ამიტომ „ივერია“ ინტელიგენტს შემდეგ მოვალეობას აკისრებს: „ყველა ერის ინტელიგენტობის აუცილებელ და უთუო მოთხოვნილებას შეადგენს, რომ მას გარკვეული ჰქონდეს და იცოდეს თავისი ერის წარსული ცხოვრება, რომ მას გაგებულ ჰქონდეს ის მისწრაფება და იდეები, რაც მას ასულდგმულებდა და ერად ხდიდა, რომ მას შესწავლილი ჰქონდეს ერის თანამედროვე ვითარება, მისი გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური მდგომარეობა... აქვთ თუ არა ქართველ ინტელიგენტებს აუცილებელი თვისება ინტელიგენტობისა? გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ არა და არა!“ (85, 3). ინტელიგენციის როლი და მოვალეობა ქართველი ერის თვითშეგნების ამაღლება და ქართული საქმის კეთება იყო, რადგანაც სწორედ ის წარმოადგენდა საზოგადოების განათლებულ და გათვითცნობიერებულ ნაწილს, რომელიც ნათლად ხედავდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გადარჩენის საჭიროებას. ამის ნაცვლად კი საწინააღმდეგო ვითარება იყო: „საკუთარ ისტორიულ ხანაში ინტელიგენცია ბრძოლის უნარს კარგავს და დედაქალაქის დაწესებულებებს აფარებს თავს. სრულიად საქართველოს ინტელიგენცია ამჟამად თბილისში ზის. სხვა კუთხეები საქართველოსი მარტო მოხელეთ, კომისრებსა, ერობის მოღვაწეთ და მილიციის უფროსებს დარჩენიათ. დღეს ჩვენი ინტელიგენცია დაეშვა ამ მიმართულებით, საიდანაც მას აღმართი წინააღმდეგობა არ მოჰხვდება. ინტელიგენცია

გაპასიურდა, ყველა თბილისში და პროვინციებში არავენ. აი, დღევანდელი დევიზი ინტელიგენციისა“. (33, 4)

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან, პირველი მსოფლიო ომის წინა და მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ელიტა, რომელიც საქართველოს განთავისუფლების სახელით გამოდის. საერთოდ, კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიზანი ერთი იყო: ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა ამ მიზნამდე სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ. კულტურული ელიტა, რომელსაც მწერლები, მეცნიერები და მსახიობები შეადგენდნენ სოციალური ფენების საგანმანათლებლო და ეროვნული შეგნების ამაღლებას ცდილობდა. პოლიტიკური ელიტა უფრო მეტი რადიკალური ხასიათის ნაბიჯებით გამოირჩეოდა და საქართველოს სახელის საზღვარგარეთ გატანას და ევროპის დახმარებით რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას ცდილობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯერ კიდევ 1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლა და საერთაშორისო საზოგადოებასთან მიმართვა აღედგინა და დაეცვა რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის პრინციპები. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი გადამწყვეტ მოთხოვნებს არ აყენებს და მხოლოდ ავტონომიით კმაყოფილდება. აღსანიშნავია 1913 წელს ჟენევაში ქართველთა ჯგუფის მიერ „თავისუფალი საქართველოს“ დაარსება, 1914 წელს ჟენევაშივე ჩამოყალიბებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. 1916 წელს მიხაკო წერეთლის გამოსვლა მცირერიცხოვან ერთა II კონგრესზე ქალაქ ლოზანაში. მისი მოხსენების თემა იყო „ქართველი ერის უფლებანი“, სადაც მოუწოდა ყველას დახმარებოდნენ ქართველ ერს რუსეთის მიერ დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენაში.

გაზეთი „ახალი საქართველო“ 1919 წელს წერდა: „საქართველოს სინამდვილემ მშობლიური ინტელიგენცია ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარა. ქართველი ინტელიგენცია ამ სიტყვის ჭეშმარიტი აღქმით თვითმპყრობელ რუსეთის საქართველოში ბარბაროსობის და ძალმომრეობის პროტესტი იყო. ჩვენი ინტელგენცია ეროვნულ-რევოლუციური ცეცხლით იყო ანთებული. ინტელიგენტ-ტერორისტების სახეები და ციმბირში დაჭლექებული ფილტვები მოწმობენ, რომ ქართველი ინტელიგენცია მუდამ აქტიური იყო, ყოველთვის ომობდა, მუდამ აქტიური იყო“ (33, 4).

ქართველი სტუდენტების და მოსწავლეების როლი გაშუქებულია ნაშრომებში: გურამ შენგელია „ასე ირიჟრაჟა... საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში“ (290), „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917)“ (291), ვ. ონიანი „დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (251) და სხვა. აქ ძირითადად აქცენტი კეთდება სტუდენტების რევოლუციურ მოღვაწეობაზე და იმ როლზე, რაც ითამაშეს 1905-1907 და 1917 წლების რევოლუციებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში არსებობდა ორი იდეოლოგია: ნაციონალიზმი და სოციალიზმი. თითოეულ იდეათა შემოქმედებს და რეალიზატორებს განსხვავებული გზით ესახებოდათ ბრძოლა. ზემოთ დასახელებული მონოგრაფიები ძირითადად საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, მიუხედავად მათი დიდი მეცნიერული ღირებულებისა, რაც გამოიხატება საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტების სააშკარაოზე გამოტანით და შეფასებით აქ მხოლოდ მოსწავლეების და სტუდენტების ერთი ნაწილის ერთი მხარეა შესწავლილი – რევოლუციური მოღვაწეობა. როგორც ვიცით, სოციალ-დემოკრატიული პარტია აარსებდა ორგანიზაციებს სტუდენტების და მოსწავლეების რევოლუციური იდეებით აღზრდის მიზნით და ის ფაქტი, რომ 1905-1907 წ.წ. და 1917 წლის რევოლუციებში მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა სტუდენტები, მოსწავლეები აღნიშნულის გამოხატულება იყო. ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ლენინის ლოზუნგით, რომ საზოგადოების ყველა ფენა და მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობა განეწყოთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და არსებული უკმაყოფილება, რომელიც გამომდინარეობდა ძირითადად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან პოლიტიკური ხასიათი მიეცათ. ვ. ონიანი აღნიშნავს: „მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისა და მათში სოციალ-დემოკრატიული იდეების შეტანის მიზნით, რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა ახალგაზრდობის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა უფროსი კლასის მოწაფეებს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ამ ორგანიზაციამ მგზნებარე რევოლუციური მუშაობა გაშალა მოსწავლე ახალგაზრდობაში. თბილისის კომიტეტის მითითებით ახალგაზრდობის ორგანიზაციამ 1902 წელს გამოსცა რამდენიმე ნაბეჭდი ბიულეტენი. მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობა

დღითიდღე ძლიერდებოდა. მან მასობრივი ხასიათი მიიღო ქუთაისის კომიტეტის ხელმძღვანელობით 1904 წელს ქუთაისში მოეწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის მასობრივი დემონსტრაცია მეფის მთავრობის წინააღმდეგ“ (251, 50). ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის რეფორმები საზოგადოების უფლებების გაზრდისათვის და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის, როგორც უკვე აღვნიშნე სამოციანელები ამასთან ერთად ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამენ.

სწორედ აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული საკმაოდ აქტიურდება საზოგადოების წამყვანი ნაწილი ქართველი სტუდენტების დასახმარებლად, რომლებიც განათლებას საქართველოს ფარგლებს გარეთ რუსეთში იღებდნენ. ქართული კულტურული ელიტა იმედოვნებდა, რომ განათლებამიღებული ქართველები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ახალი ძალებით შეუდგებოდნენ სამშობლოს ინტერესების დასაცავად მოღვაწეობას და რუსეთში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას საკუთარი ქვეყნის აღორძინებას მოახმარდნენ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ჩამოყალიბდა „თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება“, რომლის მიზანი ღარიბი სტუდენტების დახმარება იყო. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც სხვადასხვა ცნობილ საქმიანობასთან ერთად ქართველი სტუდენტების დახმარებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამგვარი ღონისძიებები ქართველი საზოგადოების მხრიდან მხოლოდ ერთჯერადი არ ყოფილა და მთელი XIX საუკუნის II ნახევარში მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ მიმართულებით მოღვაწეობის გაძლიერებას. ამ საკითხს ნათლად ასახავს ირ. ტატიშვილის და თ. დეკანოსიძის ნაშრომი „მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა“ (282).

XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლას, რომელთა გარკვეული ნაწილი პოლიტიკური, ნაწილი კი კულტურული ელიტის წარმომადგენელი გახდა. სამსონ ფირცხალავა იგონებს თავის მემუარებში ქართველი სტუდენტების რუსეთში ცხოვრების შესახებ. „დიდი ხნით და ამბით ვემზადებოდით ქართველი სტუდენტები ყოველწლიური ქართული „საღამო-

ბალის“ მოსაწყობად. იგი იყო არათუ მატერიალური სახსრის მომცემი, არამედ ქართული კულტურის პროპაგანდის საშუალებაც. ყველა ზომას ვხმარობდით რომ იგი რაც შეიძლება შინაარსიანი და საინტერესო გამოსულიყო. და, მართლაც, ჩვენი „სადამო“ დიდ საზოგადოებას იზიდავდა, საქართველოშიც გუგზავნიდით წარჩინებულ პირებს საპატიო ბილეთებს, რასაკვირველია, ისინი ვერ გვესწრებოდნენ, მაგრამ დახმარებას გვიგზავნიდნენ. „სადამოს“ პროგრამაში აუცილებლად შედიოდა ქართული სიმღერები, ქართული ცეკვა და ცოცხალი სურათები, ქართული ლიტერატურიდან და ცხოვრებიდან“ (205,26).

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ მედიაში ინტენსიური ხდება სტუდენტების და მოსწავლეების მდგომარეობასთან და მათი ეროვნული შეგნების ამადლებასთან დაკავშირებით პუბლიკაციების ბეჭდვა, რაც ერთ მიზანს: მათი როლის და ფუნქციების გამოკვეთას ემსახურებოდა მოდერნულ პერიოდში. XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული პროცესი, 90-იან წლებში გარკვეულ ცვლილებას განიცდის, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, გლეხობის და მეორე მხრივ, ახალი სოციალური ფენის პროლეტარიატის ინტერესების დაცვასთან. XIX საუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება მთლიანად რუსეთში და ბუნებრივია ეს თავისებურ გამოძახილს პოულობს საქართველოშიც. ამ გაველენის შედეგად ქართულმა ეროვნულმა იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა, მართალია გრძელდება ილიას მიერ ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მიზანმიმართული განხორციელება, მაგრამ აქ ეროვნული შეგნების გაძლიერებასთან ერთად, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აქტიურობასთან დაკავშირებით, ამ ცვლილების გათვალისწინებაც საჭირო იყო.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქართველი საზოგადოება ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას. გაზეთი „ივერია“ წერდა: „წელს პეტერბურგის ქართველობას დიდი გამოფხიზლება ეტყობა: სტუდენტების სადამომ ჩინებულად ჩაიარა, სხვა წარსულ წლებზედ მეტი წმინდა შემოსავალი დარჩათ მოსწავლეებს. შესდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც დიდი ხალისით სწავლობს ქართულ ისტორიას და ლიტერატურას. ახალგაზრდა, ჩვენი პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი უკითხავს მათ ყოველ კვირას ლექციებს კერძო ბინაზედ, მსმენელნი გულ-მოდგინეთ ემზადებიან ამ ლექციებისთვის, სწერენ რეფერატებს და ჩვენთვის უჩვეულო თავ-გამოდებით ეპყრობიან ამ საქმეს. ამას გარდა, არსდება აქ რამოდენიმე ახალგაზრდებისაგან ინტელიგენტ ქართველთა მუდმივი წრე, რომელსაც აზრად

აქვს, შეიძლებისდაგვარად ქართულ მორიგ კითხვისათვის სატახტო ქალაქშივე ზრუნვა. ამ აზრით დაწყებულია უკვე მოლაპარაკება ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებთან, რომ სხვადასხვა საჭიროებათა შესახებ შეიძლებოდეს აზრის გამოთქმა პერიოდულად რუსულ პრესაში. ერთი სიტყვით, ქართველი საზოგადოება ფხიზლდება აქ. ვინატროთ, რომ დიდხანს გაჰყოლოდეს მას ეს განწყობილება და „ჩვენებურად“, ჩვეულებრივად არ დაევიწყებინოს საქები და სასურველი აზრები“ (92, 3).

1920 წელს „ქართველი სტუდენტი“ წერს: „ქართველი სტუდენტობა ყოველთვის იყო გამსჭვალული ერისადმი სიყვარულის უწმინდეს გრძნობით. დროის ხანგრძლივობამ და უკიდურესმა დენამ უცხო მხარეში ვერ ჩაჰკლა ის დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ცეცხლებრივის გზებით ღვივოდა მის გულში, სამშობლოს უკიდურეს გასაჭირის და საშინელ მოვალეობის ღრმა შეგნებით დაღვა ერის თავისუფლების მოწინავე სადარაჯოზე და თავგანწირვით იბრძოდა სახელოვნად“ (153, 2).

ამრიგად, განხილული ფაქტობრივი მონაცემები ცხადყოფს ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას საქართველოს ინტერესების დაცვისათვის. ბუნებრივია, ასეთი ფართო მასშტაბის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ერთ პარაგრაფში რთულია, თუმცა გამომდინარე დისერტაციის მიზნიდან, რომ აღვადგინო და შევაფასო XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული გარემო მხოლოდ აღნიშნული საკითხის გაშუქებით შემოვიფარგლე.

## თავი IV.

### ნაციონალური ნარატივის ფორმირება და ნაციონალური სიმბოლოები (1900-1917).

#### §1. ისტორიული მესხიერება და ტრადიცია

როგორც უკვე აღვნიშნე, 1900-1921 წ.წ. მეტად რთული პერიოდია. ქართულ სინამდვილეში კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება ახალი გარდაქმნები არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს არის ორი სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის: ნაციონალიზმის და სოციალიზმის პროპაგანდის პერიოდი. ნაციონალიზმის და სოციალიზმის იდეოლოგიები ცდილობენ ყველა სოციალური ფენის ფასეულობათა გაერთგვაროვნებას, განსხვავება იმაშია, რომ სოციალიზმი მიზნად ისახავს საერთო მშრომელთა სახელმწიფოს შექმნას, ნაციონალიზმი – კი სახელმწიფოებრივი და ეროვნული შეგნების ამადლებით თავისუფლების ბრძოლის მოწოდებას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის აქტიურობისა, საქართველოში ნაციონალისტური იდეოლოგია წამყვანი იყო, მით უმეტეს, რომ როგორც ცნობილია, თვითონ სოციალ-დემოკრატები ნაწილობრივ ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მთავარი აქცენტი კეთდება ისეთ იდენტობრივ მახასიათებლებზე, როგორიცაა ისტორიული მახსოვრობა, ტრადიცია, თეატრი, მუზეუმი.

ისტორიული წარსულის და ტრადიციების როლზე საუბარი მედიის საშუალებით ეპოქის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო. აღნიშნულ იდეათა მნიშვნელობა ქართველი ერის ცნობიერებაში ყოველთვის დიდი იყო და საუკუნეების მანძილზე ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისთვის შექმნილ იდეოლოგიაში სწორედ წარსულის მახსოვრობას ეკავა დიდი ადგილი. 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „მოგონება იმ ტანჯვა-წამებისა, რომელიც ხალხს გამოუვლია მთელი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში, სურვილი მასთან ერთად წამებისა, გათვალისწინება და დაფასება მისი წარსულის გონებრივ და ზნეობრივ ნამოქმედარისა, შესწავლა ისტორიული ნაწარმოებისა, – აი რა შეადგენს აუცილებელ შინაარსს ეროვნებისას, აი რა კქმნის მას! ამისთვის იმ ხალხს, რომელსაც თავისი წარსული ისტორიული

ცხოვრება დაიწყო და მამა-პაპათა ღვაწლსა და ნამოქმედარს არ იგონებს, ერი არ ეწოდება. ის მხოლოდ ინდივიდუუმთა უბრალო კრებულია, ბრბოა. ასეთ ხალხს მომავალიც ვერ გაუღიძვებს, ის მას ვერ გაახარებს. მას მომავალში სხვა ძლიერ ერების მორჩილება მოელის (85, 1). საკუთარი ქვეყნის ისტორიის, ტრადიციების, ეროვნული იდეალების გამგრძელებელი და დამცველი ერი შეძლებს დროის მსვლელობაში საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და განვითარებას“ (87, 1). მართალია, დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებები ჩამოყალიბებულია წაყაროთა სხვადასხვა ტიპის შესწავლის საერთო ანალიზის საფუძველზე, მაგრამ ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადად დავეყრდნობი ბეჭდური მედიის მონაცემებს, რომელიც ამ მხრივ მთავარ როლს თამაშობდა.

საუკუნეების მანძილზე ქართულმა ერთობამ კონსოლიდაციის ფორმირების სხვადასხვა ფაზა გაიარა. XIX საუკუნის II ნახევარში კი განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მიმდინარე მოვლენები სწორედ ამ ეპოქის იდეური გაგრძელებაა. როგორც ცნობილია, ქართული ჩვენ-ჯგუფის წევრები ერთობად თავს მოიაზრებდნენ ისეთ ფასეულობებზე დაყრდნობით როგორცაა ქართული ენა, რელიგია და მეფობის ინსტიტუტი. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ მთავარი ძალა მიმართა ქართული ერთობის არსებობის ტრადიციული ელემენტების: მეფობის ინსტიტუტის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და ქართული ენის გაუქმება-შესუსტებისაკენ.

XIX საუკუნის I ნახევარში ანტირუსული აჯანყებების წარუმატებლად დასრულების შედეგად, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა დარწმუნდა იმ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის უპერსპექტივობაში და აქედან გამომდინარე XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. ადრინდელი სტიქიური შეიარაღებული წინააღმდეგობები ადგილს უთმობს იდეოლოგიურ ბრძოლას, სათანადო შეგნების გაღვივებას მოსახლეობაში, რასაც მთელი ქართველი საზოგადოება უნდა შეემზადებინა კოლონიური უღლის მოსაშორებლად (243). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგები შემდეგ მიზნებს ისახავდნენ: 1. ავტონომიის ფორმით რუსეთის ქვეშევრდომობაში გაერთიანებას; 2. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საგლეხო რეფორმისა და ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ გაჩნდა მეტ-ნაკლებად თავისუფალი სოციალური ფენა.

საუკუნეების განმავლობაში გლეხის ფეოდალურ სისტემაზე მორგებული ცნობიერება ახალი სისტემის პირისპირ აღმოჩნდა. ამიტომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის საზრუნავი ხდება იურიდიულად თავისუფალი ფენის საზოგადოებასთან ინტეგრაცია; 3. ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და საქართველოს ისტორიის პროპაგანდა-აქტუალიზაცია.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ახალი სოციალური სტრუქტურა. ქართული საზოგადოება გარდამავალ ხასიათს ატარებდა და ბატონყმური სისტემის ნაშთების ლიკვიდაციიდან კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. საზოგადოების გამრავალფეროვნებასთან ერთად სხვადასხვაგვარი გახდა საზოგადოების შემადგენელი სოციალური ფენების, ჯგუფებისა თუ კლასების ინტერესებიც. ყველა მათგანს საკუთარი მისწრაფებები გააჩნდა და ცდილობდა ისინი სხვადასხვა გზით დაეკმაყოფილებინა (265, 9) ასეთ ვითარებაში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ორმაგად საპასუხისმგებლო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საჭირო იყო სწორად შემუშავებული და წარმართული ეროვნული პროგრამა, რომელსაც ერთობის წევრების ჰომოგენიზაციისთვის უნდა შეეწყო ხელი და მომავალში მათი კონსოლიდაცია უზრუნველყო. ეს პირველ რიგში კულტურის ერთობით უნდა გამოხატულიყო. საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა განცდა იმისა, რომ „ქართველი ერი ერთია: კახელი, იმერელი, ქართლელი, ფშავ-ხევსური, მთიული, ჯავახელი, იმერელი, აჭარელი, მეგრელი, გურული და სვანი, ყველა ქართველია, ყველას უდის ქართული სისხლი, ყველა ლაპარაკობს ქართულ ენაზე, ყველას ერთად გამოუვლია წარსულ საუკუნეებში ერთი და იგივე სიხარული და უბედურება. დღეს ყველა ერთ ტაფაში იწვის და ყველას უღვივის ან უნდა უღვივოდეს ერთნაირი მისწრაფება—კულტურული თავისუფლება“ (96, 2). ერთადერთი, რაც ანაწილებს ქართველებს ერთმანეთისგან მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები და გეოგრაფიული სახელწოდებებია. სინამდვილეში კი საქართველო ერთიანი ქვეყანაა და ის მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილებაა. ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილი კარგად აცნობიერებდა კულტურის ერთობის აუცილებლობას, საზღვრების მოსპობას, არა მარტო ცალკეულ კუთხეებს, არამედ სოციალურ კლასებს შორის და საერთო, ეროვნული იდეოლოგიის ირგვლივ გაერთიანებას. „სამშობლოს სიყვარული არ შეადგენს ერთი რომელიმე კლასის მონოპოლიას, ის არის

საერთო გრძნობა და, როგორც ასეთი დგას კლასობრივ პსიქოლოგიაზე მადლა. რა იდეალების მომხრეც უნდა იყოს განსაზღვრული სოციალური კლასი, რა გამწვავებული ფორმაც უნდა ჰქონდეს მიღებული კლასობრივ განხეთქილებას, საერთო ეროვნული ინტერესები მაინც რეალური ფაქტია, რომლის უარისყოფა მხოლოდ ძალად დაბრმავების მომასწავებელია. ეს საერთო ნიადაგი ადვილად დასანახია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერს გარეშე მტრისგან განსაცდელი მოელის და როდესაც მთელი ერი ერთდება ეროვნულ ინდივიდუალობის დასაცავად. ასეთი მომენტი იწვევს ეროვნულ ერთუზიანობას და ეროვნულ ძალთა გაერთიანებას. ასეთ დროს კლასობრივი წინააღმდეგობა კარგავს გამწვავებულ ფორმას, ის დროებით ქრება და ერი მთელ თავის ძალდონით საერთო მტრის წინააღმდეგ მიდის იერიშით. (94, 2).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან ამგვარი მოწოდებები შემთხვევითი არ ყოფილა. ისტორიის განვითარების აღნიშნულ მონაკვეთში ქართულ საზოგადოებას ეროვნული შეგნების ამადლება ნამდვილად ესაჭიროებოდა. სწორედ ამიტომ არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, არც ერთი ეროვნული დაწესებულება, სადაც ამ პრობლემაზე არ იქნებოდა საუბარი. გიორგი გავაზავას აზრით, „პირველი მოთხოვნა ერის აღსადგენად არის მისი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება. თუ ცალკე პირი ვერა გრძნობს, რომ იგი ნაწილია ერისა, რომ მისი ბედნიერება დამოკიდებულია, თუ მატერიალურად რა, სულიერად მაინც მთელი ერის ბედნიერებაზე, რა თქმა უნდა ყოველი ეროვნული ხასიათის შრომაც შეუძლებელია“ (224, 10).

რუსული გავლენის შედეგად ეროვნული ცნობიერების შესუსტებას თან დაერთო მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები, რაც ბატონყმობის გაუქმებას, გლეხობის, როგორც ახალი თავისუფალი ფენის სტატუსით გაჩენას, კაპიტალიზმის დამკვიდრებას და პროლეტარიატის ჩამოყალიბებას, რევოლუციების მრავალრიცხოვნობას და განსხვავებული იდეოლოგიების არსებობას უკავშირდება. ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩენილი გაუთვითცნობიერებელი საზოგადოება არც ერთმანეთს ინდობდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად გაუთავებელ შიდა დაპირისპირებას ახმარდნენ დროსა და ენერგიას. ამასთან დაკავშირებით 1876 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ქართველებს რომ საღი ეროვნული შეგნება ჰქონდეთ, მტკიცედ იდგნენ იმ რწმენაზე, რომ ეროვნების გარეშე მიუწვდომელია კულტურა, მაშინ შექმნიდნენ ისეთ სულიერ ეროვნულ წრეს,

რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა გარეგან ბოროტებას, ეროვნული ვინაობა არ დაიხაგრებოდა ისე სასტიკად და შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების წარმოშობა და განვითარება, მიუხედავად გარეგანი დაბრკოლებისა. ამის ნაცვლად, ოჯახში, საზოგადოებაში, კერძობაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მისწრაფებას ეროვნული წრის მოსპობისადმი. გარეშეების დევნილს ჩვენ თვითონ არა ნაკლებ ვდევნით და ვაძლიერებთ იმ პირობებს, რომლებიც უარყოფენ ჩვენს არსებობას“ (45, 1).

სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ნაციონალიზმის იდეოლოგები ეროვნული მახასიათებლების წინა პლანზე წამოწევას და პროპაგანდას. ისტორიული მახსოვრობა და ტრადიცია კოლექტიური კულტურული იდენტობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. XX საუკუნის I ოცწლეულში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მთლიანად ორიენტირებულია ქართული ენისა და წარსულის მახსოვრობის და ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცებაზე. ეს პროცესი თავისი არსით, როგორც ჩანს, უნივერსალურია. ამას კარგად აჩვენებს თეორიული ლიტერატურა: „სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი ადგილი, სადაც „ჩვენი“ ბრძენი წინაპრები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ღოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყოველივე ამის გამო მშობლიური მიწა უნიკალური ხდება, მისი მდინარეები, სანაპიროები, ტბები, მთები და ქალაქები „საკრალურ“ მნიშვნელობას იძენს“ (269, 11. 12).

მიუხედავად იმისა, რომ 1901 წლიდან იწყება ახალი საუკუნე, რომლისთვისაც დამახასიათებელია პოლიტიკურ მოვლენათა ხშირი ცვალებადობა, იდეური თვალსაზრისით 1900-1917 წლები, 1864 წლიდან შექმნილი მოვლენების გაგრძელებას წარმოადგენს. ამ კონტექსტში 1864-1917 წლები ერთ პერიოდად შეიძლება განვიხილოთ. ეპოქის სირთულიდან და დროის ხანგრძლივობიდან გამომდინარე საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ამჯერად განვიხილავთ 1900-1917 წლებს.

აღნიშნული პერიოდის ქართული ერთობის იდენტობის შესწავლაში პრესის მონაცემები დიდ ინფორმაციას შეიცავს და პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ჟურნალ-გაზეთებში მოცემულია ცალკეული რაიონების ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული დახასიათებები. სისტემატურად იბეჭდებოდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სტატიები, დიდი ყურადღება ეთმობოდა მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეთა, წმინდათა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვას.

გამოქვეყნებულია, აგრეთვე, ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, იბეჭდებოდა ლექსები, მოთხრობები, პიესები. ისტორიული წარსულის გახსენება-პროპაგანდასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიული ცნობების გაშუქებას, რაც ქართული ერთობის წევრებს შორის საერთო ქართული სივრცის შექმნისა და განცდისაკენ იყო მიმართული. თითქმის ყველა პუბლიკაციაში აღნიშნულ პრობლემებზე იყო საუბარი.

პუბლიცისტები აცნობიერებდნენ რა ეპოქის მოთხოვნილებებს წარსულის მახსოვრობისა და კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდასთან ერთად არც თანამედროვე მოთხოვნებს ტოვებდნენ უყურადღებოდ. ჟურნალ „მოგზაურის“ აზრით წარსულის შესწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ნაყოფიერი, როცა საზოგადოება არსებულ სინამდვილეს აწმყოს შეუფარდებდა და ნათლად გააცნობიერებდა წინაპართა სამშობლოს წინაშე გაწეულ ღვაწლს. რაც მთავარია, თანამედროვე ქართველიც განაგრძობდა იმ გზას, რომელსაც გადიოდა არსებობის მანძილზე ქართველი ერის ყოველი წევრი. (176, 4).

ნაციონალური იდენტობა, ერთი მხრივ, გულისხმობს „ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის ისეთი კავშირების არსებობას, როგორცაა საერთო წარსული, მითები და ტრადიციები. ისტორიული მახსოვრობა, რომელიც კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერია, ინახავს გარდაცვლილ წევრთა სახელებს, უფრო ზუსტად კი, სახეებს. “სიმბოლოები, გამოგონილი ისტორიები ისევე მოქმედებენ, როგორც რეალური. ანუ გამოწვევნიც არსებობის თვალსაზრისით რეალურია. ის იკავებს ნიშას, რომელსაც კოლექტიურ მეხსიერებაში შეესაბამება უჯრედი „წინაპარი“. როგორც მართებულად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ეთნიკური ერთობები მნემონიკური კოლექტივებია. მათი არსებობა სწორედ მახსოვრობით არის განსაზღვრული. რამდენად ძლიერია ეს მახსოვრობა, რამდენად ღრმაა იგი, იმდენად დიდია მოლოდინი იმისა, რომ ეთნიკ თავს შეინარჩუნებს და მეტიც, შეიძლება მითების გადატანას მოდერნულ იდეოლოგიაში (295, 30).

სწორედ ამიტომ ისტორიული წარსულის გაცნობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. „საქართველოს კულტურული ისტორიის შესწავლა – ეს არის შესწავლა და გაცნობა ქართველი ხალხისა ყოველს მხრით: სწავლა მისი ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებათა, კანონებისა, დაწესებულებათა. ეს არის გათვალ-

ისწინება მისი როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკურის ცხოვრებისა. ეს არის შესწავლა ქართველი ერის კულტურული მოძრაობისა როგორც წარსულის, ისე თანამედროვისა, აწმყოსი, რომლის შედეგად ადგილი ხდება მომავლის გათვალისწინება (177, 68).

ისტორიული წარსულის ცოდნა ყველა ერისთვის აუცილებელი და საჭიროა. მაგრამ ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაპყრობილი ერის ცნობიერებაში. წარსული უბრალო ისტორიული ფაქტები კი აღარ არის, არამედ თითოეული მოვლენა საკრალურ დატვირთვას იძენს და ხშირ შემთხვევაში ერის გამაერთიანებელი ძალა ხდება. „გარკვეულ ტერიტორიასთან ან მისსავე ფარგლებში რომელიმე ადგილთან მიმართებას შეიძლება ჰქონდეს მითიური და სუბიექტური ხასიათი. სწორედ ეს კავშირები და ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი განკარგვა. ეს ის ადგილია, რომელსაც მივეკუთვნებით. ხშირად ეს არის საკრალური მიწა, ჩვენს მამა-პაპათა, რჯულმდებელთა, მეფეთა, ბრძენკაცთა, პოეტთა და მღვდელმსახურთა მიწა და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთვნით მას, როგორც ის ჩვენ ვეკუთვნის. გარდა ამისა, სამშობლოს საკრალური ცენტრი თავს უყრის ეთნის წევრებს“ (269, 29). აქედან გამომდინარე ქართული კულტურული ელიტის მთავარი ორიენტირი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში ქართული ნაციონალური ტრადიციების და იმ ისტორიული პირების წინა პლანზე წამოწევა ხდება, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას თავი შესწირეს. რადგანაც ისტორია დიდ პიროვნებას უყურებს არა როგორც უბრალო ინდივიდს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ძალას, რომელსაც თავის მოქმედებაში ისტორიულ მოძრაობას განასახიერებს. გმირული წარსული, სახელოვანი ადამიანები არის ის ძალა, რომლის საფუძველზე ეროვნული იდეა ყალიბდება, საერთო დიდება წარსულში, საერთო ნება აწმყოში.

ნაციონალიზმის იდეოლოგიებისათვის საერთოს წარმოადგენს წარსულის იდეალიზაცია. ყურადღების გამახვილება ერთობის წარსულის „ოქროს ხანაზე“ დიდ სოციალურ მნიშვნელობას იძენს. ამით ხაზი ესმება ერთობის განგრძობადობას. აგრეთვე, ისახება სასურველი საერთო მომავლის პერსპექტივაც. როგორც მართებულად მიუთითებენ, ნაციონალიზმის იდეოლოგია, ერთდროულად მოიაზრებს სამივე დროს: აწმყოს, რომელიც მოსაწონი არ არის („არ გვწყალობს“), წარსულს, რომელიც დიდებული იყო და მომავალს,

რომელიც იმედია, რომ კარგი იქნება, რახან ერთობის ცხოვრებაში იყო პერიოდი, რომლის დროსაც მან გამოავლინა თავისი დიდებულება და სიცოცხლისუნარიანობა. არსებითად მომავლის დასაფუძვლებას ემსახურება კონცეპტი „ოქროს ხანა“ და, ამდენად, იგი, აგრეთვე ნაციონალური კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს (296, 30). „დახასიათება რომელსამე ისტორიული პირისა ანუ ამბისა, სრულის სიმართლით და შარავანდედით, ჩვენ მიგვაჩნია უკეთეს საშუალებად საზოგადოებისა და ხალხის კეთილშობილურის აზრებით, მისწრაფებით და ხასიათებით გასამჭკვალებლად და აღსაზრდელად. დვაწლთ და მოქმედებით ფარნავაზისას, მირიანისას, ვახტანგ გორგასლისას, გიორგებისას, ბაგრატებისას, დავით აღმაშენებლისას, თამარისას; ათონის წმინდა მამათას, რუსთაველისას და სხვათა მათ მსგავსთა, გამოთქმულია ისტორიულს წერილებსა თუ პოემებსა და მოთხრობებში დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვთ“ (176, 8). როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე XX საუკუნის ოცწლეული პრესის მრავალრიცხოვნობით და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სოციალური და ეკონომიკური საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენენ და თითქმის ყველა ჟურნალსა თუ გაზეთში ამაზეა საუბარი, არსებობდა ნაციონალური მიმართულების ორგანოები, რომლებიც მთლიანად მიმართული იყო ქართველთა შორის ეროვნული ცნობიერების ამაღლებისკენ. მათ შორის აღსანიშნავია გაზეთები: „ივერია“, „თემი“, „საქართველო“, „სამშობლო“, „იმერეთი“, ჟურნალი „მოგზაური“ (1900-1904წ.წ.). გაზეთ „თემის“ 144-ე ნომერში ვკითხულობთ: „ისტორიულმა მსვლელობამ დაგვიმტკიცა, რომ ეს პატარა საქართველო ყოველგვარ გასაჭირს და განსაცდელს გაუძღვება და მართლაც ის ერი, რომელმაც წარმოშობა: რუსთაველი, მთაწმინდელები, გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე და სხვა მათი მსგავსი, განა სასიკვდილოა?“ (118, 3).

ეპოქის არსიდან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ ბეჭდური მედია საერთო ნაციონალური იდეების პროპაგანდას ეწეოდა, ასევე აქცენტირებული იყო „უბრალო ხალხის“ თვითშეგნების განმტკიცებაზე, რადგან მომხდარიყო ერთობის წევრებს შორის დაახლოება და საერთო საქმის პროცესში ყველა სოციალური ფენის თანაბარი ძალებით ჩართვა. საქართველოს ისტორიაში ცნობილი პიროვნებების, წმინდანების თუ სხვათა დვაწლის გაშუქებას ეროვნული გრძნობის ამაღლების დატვირთვა გააჩნდა. შემთხვევითი არ იყო,

რომ გამორჩეული მეფეების ისტორიის და მოღვაწეობის გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა პრესის ფურცლებზე, კულტურული და პოლიტიკური ელიტის მთავარი მიზანი წარსულის დეტალური გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში ამ გამოცდილების თანამედროვეობაში გადმოტანა და რეალიზება იყო საჭირო. ამასთან ისეთი გმირების ხელახლა აღზრდა, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას თავი შესწირეს. „უბრალო ხალხმაც უნდა იკითხოს ისტორია. იგი შეარიგებს მას არსებულ წესთა უსრულობას, ვითარცა ჩვეულებრივ მოვლენასთან ყველა საუკუნეებში, ანუგეშებს სამეფო უბედურებაში, უმტკიცებს რა რომ უწინაც ყოფილა ასეთი ამბები და უფრო უსაშინლესებიც და სამეფო კი მაინც არ დარღვეულა. ბევრი საშინელი წამი უნახავს ჩვენს ხალხსა და ერსა, სუსტი ადამიანი სუსტი ხალხი მაშინვე შეპრიგებია მტერსა და დაუთმია მისთვის თავისი ალაში – ასე არ იქცეოდა ქართველი: იგი გმირულად უმკლავდებოდა მტერს და ხშირად სძლეოდა კიდევაც მას“ (176, 10). ეს მოწოდებები იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება გარკვეულწილად გადაღლილი და უიმედო იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლებით. XIX საუკუნის I ნახევარში არსებული შემართება ნაკლებად ჩანს XIX საუკუნის II ნახევარში. სოციალური ხასიათის გარდაქმნებმა კი ახალი სატკივარი და პრობლემა გაუჩინა არა მხოლოდ საზოგადოების წამყვან ნაწილს, არამედ თითოეულ ქართველს.

საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის აზრით, გმირული ამბების გახსენებასთან ერთად წარსულში ჩადენილ შეცდომებსაც ახსენებს საზოგადოებას. ეს ყოველივე კი მომავალში სწორი მოქმედების საშუალებას მისცემს ქვეყანას და რაც მთავარია, დაანახევებს იმას, რომ წარსულშიც ყოფილა ძნელბედობის დრო, მაგრამ ერთიანობას, ბრძოლის ეინს და სამშობლოს სიყვარულს ქართველობა მტრის წინააღმდეგ დაურაზმავს და სწორედ მათი დამსახურებაა საქართველოს არსებობა. „მართალია ბევრ წინააღმდეგ ფაქტებსაც წარმოგვიდგენს ჩვენი წარსული და აწინდელი ცხოვრება, ბევრს მაგალითებს ვხედავთ მათში ძმისას და ქვეყნის დაღატისას, საკუთარის ხელით ყელის გამოჭრისას, სულ უბრალო საქმის გაუგებრობასა, თითქმის ველურობასა, მაგრამ არც ამათი შესწავლაა ურიგო და უმნიშვნელო: იგინი გვამცნევენ ჩვენს ნაკლსა და მანკსა, გვძენენ სიბრძნესა და გამოცდილებას, განავითარებენ ჩვენს მოქალაქურს ხასიათსა და მოქმედების უნარსა“ (176, 4). საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გადარჩენა,

მათი აზრით, მხოლოდ წარსულის ცოდნით იყო შესაძლებელი. რადგანაც ინდივიდი, რომელიც კარგავს მახსოვრობას, კარგავს თავის ვინაობას. ვინაობის საწინააღმდეგოდ, ისტორია არის ყოველთვის რეკონსტრუქცია. წარსულის მახსოვრობის გარეშე კი ისტორია არ იქნება რეკონსტრუირებული. „ვერაფერი ვერ დაიხსნის ერს გადაშენებისაგან, თუ ჩვენის არაფერი გაგვეგება, თუ არ ვეცდებით სამშობლოსადმი წმინდა სიყვარულს, სამშობლოს საკეთილდღეოდ მარად და ყოველთვის უანგაროდ მოქმედებას და თავდადების დანერგვასა... ეს კი შეიძლება მხოლოდ გამუდმებულს და შეუყენებლის სწავლით მშობლიურისა ყოველთა წვლილთა, რაიცა მარად ცენტრი უნდა იყოს ყოველის სწავლისა“ (176, 4).

შემთხვევითი არ იყო, რომ ბეჭდური მედიის მთავარი მიზანი წარსულის მახსოვრობის ცოდნის გაძლიერება და პროპაგანდა იყო, რადგან საერთო ისტორიული წარსული ერთობის წევრების კონსოლიდაციის აუცილებელი წინაპირობაა: „როგორ უნდა იყოს შობილი აწმყო წარსულისაგან, აი რა უნდა გვასწავლოს სამშობლოს წარსულის ზედმიწევნით შესწავლამ და გამოკვლევამ.“ (176, 198). მიუხედავად იმისა, რომ წარსულის ცოდნას, ჟურნალ „მოგზაურის“ პუბლიცისტების აზრით, ყველა საჭიროდ არ თვლიდა, ისინი მაინც არწმუნებდნენ საზოგადოებას მის აუცილებლობაში: „ზრუნვა და ცხოვრება მარტო აწმყოსა და მომავლისათვის, ყოველს უკუხედავ წარსულ ქვიშაზე აშენებული სახლია. თუ გვინდა, რომ სახლი მტკიცე და შეურყეველი იდგეს, მისთვის აუცილებლად საჭიროა მტკიცე და შეურყეველი საძირკველი. ასევეა აწმყო და მომავალი, თუ გვინდა, რომ იგი მტკიცე და შეურყეველი იყოს, აუცილებლად საჭიროა, მათაც უეჭველად მტკიცე საძირკველი ჰქონდეთ. ხოლო ეს საძირკველი წარსულის ზედმიწევნით გაცნობა შესწავლაა“ (177, 198). პოლიტიკური ცენზურის მიუხედავად, ქართველი ინტელიგენცია ბეჭდური მედიის საშუალებით ისტორიული წარსულის, ტრადიციების და ზოგადად საქართველოს ისტორიის პროპაგანდით ყველა ქართველს თანამედროვე ეპოქაშიც კონსოლიდაციისკენ მოუწოდებდა.

ე. სმითის მიხედვით, ნაცია ადამიანთა ისეთი ერთობაა, რომლის საფუძველსაც კოლექტიური კულტურული იდენტობა წარმოადგენს: “როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ამგვარ იდენტობებს განსაზღვრავს მოცემული ერთობის ანუ კოლექტივის კულტურა. ნაციისათვის დამახასიათებელია კულტურის განსაკუთრებული ტიპი – საჯარო კულტურა ანუ კულტურა,

რომლის უმაღლესი გამოვლინებანი თანაბრად ხელმისაწვდომია მოცემული ერთობის ყველა წევრისათვის. ეთნოსიმბოლიზმის უმთავრესი მიღწევა ნაციებისა და ნაციონალიზმის ურთიერთდაკავშირებული ფენომენების გააზრებაში ისაა, რომ ამ მიდგომამ დაგვანახა: ნაცია, უპირველეს ყოვლისა კულტურის ფორმაა. შესაბამისად, ნაციონალიზმის იდეოლოგიის კულტურული ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია. ნაციონალისტის თვალთახედვით ხომ ნაცია ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთობა და თავდადებით იღვწიან ნაციონალური კულტურის მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის” (294, 225).

ნაციონალური იდეოლოგია ხელს უწყობს ერთობის წევრების საერთო ნაციონალური ფსიქოლოგიის განმტკიცებას, ამიტომ კულტურული ელიტის მთავარი ორიენტირი ყოველთვის, ყველა ეპოქაში წარსულის ფასეულობების პროპაგანდაა ერის მომავლის არსებობისათვის. მოდერნულ ეპოქაში ამ ფუნქციას ასრულებს ბეჭდური მედია. ის ფაქტი, რომ მოდერნული ნაციის არსებობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბეჭდური მედია დღეს უკვე აღარავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. XX საუკუნის პირველ ოცწლეულშიც გაცნობიერებული ჰქონდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მისი საჭიროება. ფაქტობრივად აღნიშნულ ეპოქაში მთავარი საკონტაქტო საშუალება ხალხთან სწორედ მედია იყო. ამიტომაც სწორედ აქ ჩნდება მოწოდებები სამშობლოს შესახებ. „ყოველ ადამიანს, რაგინდ უმეცარი იყოს იგი, შეუგნებლად მაინც უყვარს თავის ერი და სამშობლო. მაგრამ ეს არ კმარა! საჭიროა ადამიანს შეგნებულად უყვარდეს ისინი, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მას კარგად აქვს გაცნობიერებული თავის წარსული და აწმყო. ასეთი ადამიანი ფხიზლად უყურებს თავის ერის ისტორიის მსვლელობას, ის ნამდვილი მოქალაქეა და მამულიშვილი, ის აქტიური მოქმედი პირია. სამშობლოს შეგნებული სიყვარულით გაუღვთილია მთელი მისი არსება. ასეთი სიყვარული დიდებული მოძრავი ძალაა, ეს ადამიანის მოქმედი დინამოა. ამ სიყვარულის გზით ის ჰქმნის საერო მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ავითარებს ენას, ის ჰქმნის ჭეშმარიტ ერის კულტურას, მის ბრწყინვალე მომავალს (72 2).

ეურნალ-გაზეთის პუბლიცისტები წარსულის ცოდნის აუცილებლობას ძლიერი ქვეყნის შექმნას და უკეთესი მომავლის აშენებას უკავშირებდნენ: „ყოველ განათლებულ ქვეყანაში და ყოველ განათლებულ ადამიანისათვის წარსულის გაცნობა სავალდებულოდ ითვლება – იგი შეუძლებლად ხდის

ერთხელ ჩადენილ შეცდომების გამეორებას და შემდეგში სამოქმედო გზასაც გვინათებს, წარსულის გაცნობა გვაჩვენებს აწმყოში კარგსა და ავის გარჩევას და წარსულს პატივისცემაზე ზრდის მომავალ ბედნიერებას და გამარჯვების იმედებს. იქ, სადაც ეს წარსულის პატივისცემა არ არის, სადაც ყოველი თაობა ახლად იწყებს საქმეს და წარსული გამოცდილებით სარგებლობას არ ეტანება – იქ წინსვლა და განვითარება საეჭვო არის და დამარცხება – აუცილებელი“ (70, 1).

ნებისმიერი ერისთვის საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესწავლას „თემი“ ერის არსებობის პირობად მიიჩნევს: „საჭიროა ადამიანისათვის საკუთარი ერის წარსულის შესწავლა. ყოველი ადამიანი დაკავშირებულია თავის ერთან და სამშობლოსთან სულიერად და ფიზიკურად. ის არის ერის უჯრედი, მას აკავშირებს ერთიანი დედა-ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ხელოვნებანი, ალლო და მისწრაფებანი, საზოგადოთ ის ხორციელი და სულიერი ინდივიდუალობა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ერს და მის შვილებს. ამ რიგათ, ერი დედაა ადამიანის და როგორც მშობელი, აჩენს და ჰკვებავს მის არსებაში თავის კარგსა თუ ცუდ თვისებას. ამიტომ თუ სურს ადამიანს შეისწავლოს თავისი თავი, თავის ფიზიკა და ფსიქიკა, უწინარეს ყოვლისა მან უნდა შეისწავლოს კარგად თავისი ერი, მისი აწმყო და წარსული“ (72, 2).

ისტორიული წარსულის გაცნობით გაზეთი ცდილობს დაარწმუნოს ერთობის წევრები, რომ საქართველოს როგორც ქვეყნის არსებობა საუკუნეების მანძილზე ქართველთა ბრძოლის შედეგია და ამ მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება: „მრავალ საუკუნეთა ქარიშხალმა გრიგალივით გადაიარა ჩვენს თავზე, თუმცა ხალხის ჯანი ვერ გასტეხა. საქართველოში სულიერად განმტკიცებული გახლდათ რწმენა, ჩვენი ხატი და წინაპართა თაყვანისცემა. ძველ წესთა და ადათ-რწმენის შერყვნა და გათახსირება არავითარ სასიხარულო მოვლენას არ შეადგენს და მით უმეტეს წინსვლას. ინგრედონენ სახელმწიფოები, ისტორიულ სარბიელზე მრავალმა ერმა განუტევა სული და უკვალოდ ჩაიფერფლა თავის ნაშენთა ნანგრევებში. ივერია კი არ გაჰქრა, სულ იმ რწმენის, ჩვეულების ძალით. ყველა ადამიანის მოვალეობაა დაიცვას თავის ინდივიდუალობა, ასე ირჯებიან ყველა ერები“ (70, 2). იმისთვის, რომ საზოგადოება იყოს ერთიანი და იბრძოდეს სამშობლოს თავისუფლებისთვის საჭიროა ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი როლი ერის არსებობის ისტორიაში, საფუძვლიანად იცნობდეს ქვეყნის ისტორიას, ტრადიციას და ამ

ყოველივესადმი გააჩნდეს სიყვარული. ქართული ინტელიგენციის მთავარი მიზანი ამ გრძნობის გაღვივება იყო. „სამშობლოს სიყვარული ერთი ძირითადი გრძნობათაგანია ადამიანის ბუნებაში, ვინაც სამშობლოს სიყვარულს ატარებს გულში, მას უყვარს დედა-ენა, სამშობლო მხარე, დიდი პატივისცემა აქვს მას სამშობლო გმირებისა, მწერლებისა. სამშობლოს სიყვარული რწმენად ექცევა კაცს და ეს რწმენა მის მოქმედებას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს. ცხადია, სამშობლოს სიყვარული აცხოველებს ადამიანს, უნერგავს მას ენერგიას, ბადებს მასში იდეალისადმი მისწრაფებას, იწვევს მას საგმირო საქმეებისაკენ“ (97, 2). ის ფაქტი, რომ ხშირად კეთდება აქცენტი ისტორიულ პირებზე, მათ დამსახურებაზე ერის არსებობის შენარჩუნებაში, ქართულ წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციაზე და იმ ძირითად ეროვნულ მახასიათებლებზე, როორცაა ენა, სარწმუნოება მიანიშნებს მათ დიდ როლს ქართული ცნობიერების ისტორიაში. „ქართული გაზეთის“ ერთ-ერთი სტატიის „ქართველების ეროვნული მდგომარეობა“, ავტორი სვამს კითხვას „რა იყო მიზეზი, რომ ერთმა მუჭა ქართველმა ხალხმა ორი ათასი წლის გაჭირვებასა და მტერთაგან მუსვრას დაუძლო და თავისი ეროვნება დღემდის მოიტანა?“ – და თვითონვე პასუხობს – „ერთი უმთავრესი მიზეზი, სხვა ბევრ მიზეზთა შორის არის ის ძალა, რომელსაც სახელად ეწოდება ეროვნული სული. ამ სულის კონკრეტული გამომხატველობა არის ენა, ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებული წესი აზროვნებისა, ლიტერატურა, ხელოვნება...“ (154, 5).

ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ პრესის საშუალებით ეროვნული მახასიათებლების პროპაგანდა ერთ მიზანს ემსახურებოდა ქართველთა ერთიანობას. „ყველა, ვისაც ქართველი ერის კულტურული აღორძინება სურს, უნდა ეცადოს მოისპოს სამუდამოდ ყველაფერი, რაც აცალკევებს ერთმანეთში ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და ამერეთს, გურიასა და სამეგრელოს, აჭარასა და სვანეთს. ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით უნდა იყოს გამსჭვალული ყველა ქართველი საქართველოს კიდით კიდემდე. ამ საერთო გრძნობების გასაღვიძებლად და გასამაგრებლად აუცილებლად საჭიროა საერთო ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა შექმნა, რომ ყველა კუთხის ქართველი ამ დაწესებულებებში ერთმანეთს ხვდებოდეს და საერთო მოქმედებას ეწვეოდეს. საჭიროა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა შეთანხმებით იწყებდეს სხვადასხვა საქმეს. თბილისის ქართული გიმნაზია, ქუთაისის გიმნაზიასთან ერთად და შეთანხმებით ეწეოდეს თავის დიად საქვეყნო საქმეს, თბილისის ქართული

გაზეთები ქუთაისის ქართულ გაზეთებთან საქმეს იჭერდნენ და ყოველი თბილისისაკენ მცხოვრები ქართველი თავის მოვალეობად სთვლიდნენ ქუთაისისაკენ ქართულ-ეროვნული და საზოგადო ცხოვრების მაჯისცემას თვალყური ადევნოს ისე, როგორც ქუთაისის ყოველი ქართველის თვალი თბილისისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ყველამ ერთმანეთის ჭირი და ვარამი თანასწორად იცოდეს, რომ ამ ჭირსა და ვარამს ყველა თანასწორად გრძნობდეს და თავის საკუთარ ჭირად და ვარამად მიიჩნევდეს“ (160, 2).

## §2. თეატრი და მუზეუმი

XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში ისტორიული წარსულის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პროპაგანდასთან ერთად აქტუალური ხდება ე. წ. ნაციონალური სიმბოლოები, ნაციონალური იდეალები, რომელიც პირველად მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა დასავლეთ ევროპაში (268, 36).

„ნაციონალური სიმბოლოები, წეს-ჩვეულებები და ცერემონიები ნაციონალიზმის ყველაზე მძლავრი ასპექტებია. მათში ხორცშესხმულია ნაციონალიზმის ძირითადი იდეები. მათი მეშვეობით ეს იდეები ნათელი და ხელმისაწვდომი ხდება ნაციის ყველა წევრისათვის. ამ გასაგები და ადვილადმისაწვდომი ენით გადმოცემული აბსტრაქტული იდეოლოგიის დოქტრინა მყისიერ და ძლიერ ემოციურ გამოძახილს ჰპოვებს საზოგადოების ყველა ფენაში“ (269, 96).

შემთხვევითი არ არის, რომ ევროპაში განათლებამიღებული ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ქართული ერთობის წევრებს შორის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ნაციონალური სიმბოლოების მეშვეობითაც შეეცადნენ. XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ბეჭდური მედიის საშუალებით აქტიური აგიტაცია იწყება. 1912 წელს გაზეთი „თემი“ წერდა: „რა რიგათ შეუძლია ადამიანს შეისწავლოს თავის ერის აწმყო და წარსული? ამის შესწავლა შეიძლება არა მარტო ისტორიული წიგნებით,

მატიანეებით, მემუარებით, ისტორიულ პირთა ბიოგრაფიებით, ერის მწერლობის, ხელოვნების და ზეპირ თქმულების გაცნობით, ისტორიულ ნაშთთა ნახვით, ერის ეთნოგრაფიული შესწავლით, არამედ მოგზაურობით, ისტორიულ პირთა და მოვლენების იუბილეებით“. დროა მივაპყროთ გულისყური ჩვენს დიდებულ წარსულს და აღვნიშნოთ იგი შესაფერ ძეგლებით და იუბილეებით. ისტორიული პირის იუბილე არის ისტორიული ბურუსიდან ისტორიული პირის გამოყვანა. ამ რიგათ გაშუქებული მოვლენა ღრმა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და მათ ფსიხიკაზე თაობიდან თაობამდე გადადის“ (72, 2).

ისტორიული წარსულის შენარჩუნებასა და დაცვაში ისტორიულ პირთა იუბილეებსა და დღესასწაულებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღნიშნული პრობლემის მოგვარება კი, ქართველ ერს საშუალებას მისცემდა ღირსეულად მდგარიყო კულტურულ ერთა რიგებში. „ყველა განათლებულ ქვეყნებში უკვე საანბანო ჭეშმარიტებააა ცნობილი, რომ ყოველი ერის აწმყო დამყარებელია მის წარსულზე. ამ ორივეზე კი მისი მომავალი. ამიტომ თუ გვსურს კარგად გავეცნოთ ჩვენს აწმყოს, უნდა შევისწავლოთ კარგად ქართველი ერის წარსული. ამ ცოდნით (იუბილეებით, ცერემონიებით – ნ.ს.) კი ჩვენ ადვილათ გავითვალისწინებთ ერის მომავალს, აღარ აგვებნევა გზა-კვალი ისტორიულ სროლაში და აღარ მოგვივა ის დიდი შეცდომანი, რაც გვემართება ხოლმე ხშირად, დროა ქართველებმაც შევიგნოთ ეს დიადი ცნება და მით ამოვუდგეთ გვერდში სხვა კულტურულ ერებს“ (72, 2).

აღნიშნულ პროცესებთან ერთად XX საუკუნის 10-იან წლებში ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც ინტელიგენციის საფიქრალს წარმოადგენდა, მუზეუმის გახსნა იყო: „განვიზრახეთ ეროვნულ სიძველეთ მოუყაროთ თავი. ჩვენის ხელოვნების, მწიგნობრობის, სახელმწიფო წეს-წყობილების და საერთოდ მთელის ჩვენის ისტორიის და კულტურის ნაშთები ხელიდან გვეცლება. თუ ჩვენის დაუდევრობით, თუ უამთა ვითარებისა, მტაცებლობის და სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო. დაუყოვნებლივ საჭიროა ერთი საშვილიშვილო ტაძრის აგება, მუზეუმის სახით, რომელშიც ის მაინც დავიცვათ, რაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია ეროვნული სიმდიდრიდან“ (68, 2). ერთ-ერთ ნაციონალურ სიმბოლოდ მოიაზრებოდა მუზეუმი, რომელსაც ქართული ერთობის ცნობიერების შენარჩუნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მუზეუმი იქნებოდა ის ადგილი, სადაც თავს მოუყრიდნენ და წარმოადგენდნენ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელ ცოცხალ ექსპონატებს. მათი ნახვის

საშუალება ექნებოდა ყველა ქართველს, განურჩევლად იმისა ეცოდინებოდა თუ არა მას წერა-კითხვა. ნებისმიერი ქართველი ცოცხლად ნახავდა ყველა იმ ნივთს, რომელიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპს ასახავდა „უმთავრესი ყურადღება ქართველი საზოგადოებისა უნდა იყოს მიქცეული თბილისში ქართული ეროვნული მუზეუმის შენობის აგებაზე. აქ უნდა შეგროვდეს ქართული ეროვნების დამახასიათებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, რომ ყოველ ქართველს შეეძლოს თავისი თავი გაიცნოს და უცხოელსაც გააცნოს“ (68, 2).

XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში მუზეუმს მხოლოდ წარსულის ამსახველი ნივთების შეკრების დატვირთვა და ქართველი და უცხოელი საზოგადოების წინაშე პოპულარიზაციის დატვირთვა არ გააჩნდა. ნაციონალური კონსოლიდაციის აღნიშნულ ეტაპზე მუზეუმს ისტორიული მემსიერების შენარჩუნებაში უნდა შეეწყო ხელი და მომავალი თაობებისთვის შეენახა ეროვნული საგანძური. „მუზეუმის მნიშვნელობა ის იქნება, რომ ყოველ მკვლევარს საშუალება მიეცემა ერთ ადგილას ხელში იქონიოს სხვადასხვა სიძველე და ყოველი მნახველისთვის თვალსაჩინო იქნება – რა იყო ჩვენი წარსული. მუზეუმში მოთავსებული ძველი ნივთების გარდა ისტორიული წარსულისა, ცხადად დაგვიხატავს თვალწინ წასულ კულტურას, ხელოვნებას, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას და სხვა დარგს ადამიანის შრომისას. დიდი მნიშვნელობა ისიცაა, რომ ათასი საინტერესო ძველი ნივთი დაბნეულია ხალხში, ზოგან შერჩევით შენახულია, ზოგან სამახსოვრო ნივთად გადაქცეულია, მეცნიერული მოსაზრებით კი არავენ ეფერება. ასე რომ, დღეს თუ ხვალ ეს ნივთები მოუვლელობით გაფუჭდება, დაიკარგება და სულ მოისპობა და მეცნიერის თვალს ვერც კი ნახავს. ამიტომ მათი ერთ ადგილას თავის მოყრა და სიფრთხილით დაცვა ყოველგვარი მოსასპობი პირობისაგან – მხოლოდ მუზეუმის აგების და მოწყობის საშუალებით შეიძლება. ამგვარად, მუზეუმი ერთგვარი განძი იქნება თანამედროვე ცხოვრებაში და საუკეთესო საშუალებაა წარსულის გამოსაკვლევად“ (98, 3).

გარდა იმისა, რომ ინტელიგენციის ღონისძიებებს ეროვნული დატვირთვა გააჩნდა და საერთო ნაციონალური ცნობიერების განმტკიცებას ისახავდა ქართული ერთობის წევრებს შორის, ყოველივე ზემოაღნიშნულის პოლიტიკური მოტივიც ედო საფუძვლად. საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდით ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალსაუკუნოვანი

სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების პოპულარიზაციით საზღვარგარეთ და, მათ შორის, რუსეთის პირისპირ, საკუთარი სახელმწიფოებრივი მოთხოვნების ლეგიტიმაციას ახდენდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა იდეოლოგიურ გავლენას ახდენს ერთობის წევრებზე და მათში საერთო ნაციონალურ ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას. მუზეუმი კი საშუალებას მისცემდა ქართველებს „ენახათ და შეეგრძნოთ წარსულის დიდების თვალნათლივი მაჩვენებელი: ქართული კულტურა, გაეცნობიერებინათ ის ფაქტი, რომ მათ საერთო, საამაყო წარსული აქვთ. ნოე ქორდანი ალნიშნავდა: „ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის-თავს ერთ ერად, ჭირში და ღხინში განუყრელია, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე“-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. იქ, სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნება არსებობს, იქ მხოლოდ ადამიანთა გუნდია, ეთნოგრაფიული კრებულია“ (204, 13).

ეროვნული აქტივობის ალნიშნულ ეტაპზე წარსულის აქტუალიზებას ბეჭდურ მედიასთან ერთად ეწეოდა ქართული თეატრი. როგორც საგაზეთო პუბლიკაციებიდან ჩანს, თეატრი დიდ როლს თამაშობდა ქართულ საზოგადოებაში. ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში და რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ანტირუსული სულისკვეთებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა. ამ კულტურულ დაწესებულებებს ყველაზე ახლო კავშირი ჰქონდა ხალხთან, ამიტომ შეეძლო დიდი ემოციური ზემოქმედების მოხდენა ადამიანზე, მათში ეროვნული გრძნობების გაღვივება და საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნება (218, 336). სწორედ ამან განაპირობა ქართული თეატრის სიცოცხლისუნარიანობა, რაც პირველ რიგში გამოწვეული იყო იმით, რომ იგი რეალურად ასახავდა ქართულ სინამდვილეს, მისი ეროვნული თვითმყოფადობის სარკეს წარმოადგენდა. თეატრის სცენაზე იდგმებოდა ისტორიული ხასიათის სპექტაკლები, ცოცხლდებოდნენ ისტორიული პირების სახეები, რასაც მოსახლეობის დაბალი ფენების ცნობიერებაზე პატრიოტიზმის აღორძინების ზეგავლენა ჰქონდა (278, 96).

საზოგადოდ თეატრი ყველა ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს

ასრულებდა და ასრულებს, მაგრამ ქართველობისთვის მას მრავალი დატვირთვა გააჩნდა. გარდა იმისა, რომ თეატრი კულტურის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობს, საქართველოში ისტორიული მეხსიერების და ქართული ენის მოქალაქეობრივი მნიშვნელობის შენარჩუნება მისი დანიშნულება იყო. ისეთ მგდომარეობაში მყოფი ერისთვის, როგორშიც ქართველობა იყო თეატრს წამყვანი ფუნქცია გააჩნდა. ეს იყო ერთადერთი დაწესებულება, სადაც ქართულ ენაზე საქართველოს ისტორია და კულტურა ახალ განზოგადებას იძენდა. „თეატრი თვითონ ფაქტორია ხალხის კულტურული გაწვრთნის და გაშალაშინების საქმეში. აქტიური მომქმედია შეგნებული საზოგადოებრივი ცხოვრების დუდილის, ხელის შეწყობის საერთო სოციალური სიფხიზლის და განახლების. თუ საზოგადოდ თეატრის როლი ყველგან დიდმნიშვნელოვანი და ყოველმხრივად საგულისხმიეროა. ჩვენი ერის ცხოვრებაში მას კიდევ სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ასრულება აქვს დაკისრებული ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისაგან. იგი აღმძვრელია საზოგადოებაში ესთეთიურ მოთხოვნილებების და გრძნობების, გამაფაქიზებელია საზოგადოებრივი ზნეობის, შეუდარებელი მასწავლებელია საერთო აკარგიანობის, მაგრამ ჩვენში ის ამავე დროს დიდი სკოლაა დევნილი დედა-ენის დაცვის, განვითარების და გავრცელების“ (160, 1).

თეატრის ფაქტორის ასეთი პოპულარიზება გამომდინარეობდა იქიდანაც, რომ დაბალი სოციალური ფენების განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლების საკითხში მისი როლი გადამწყვეტი იყო. მაშინ როდესაც, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და თითქმის ყველა ორგანოში რუსული ენა იყო მომქმედი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები მაქსიმალურად ცდილობდნენ, თეატრის საშუალებით, მოსახლეობის დაბალი ფენებისთვის შეექმნათ ყველანაირი პირობა ქართულ ენაზე გაეცნოთ საკუთარი ქვეყნის ისტორია და კულტურა. „თეატრია ეროვნული სიმდიდრის საუნჯე, თეატრია სურათი ნამდვილი ცხოვრებისა: იქ, როგორც სარკეში, აღბეჭდილია სახე ჩვენი ცხოვრებისა, თეატრის წარმატება და გამშვენიერება ერთსა და იმავე დროს ხელის შეწყობაა საზოგადოების აღზრდისა და ეროვნული თვითცნობიერების განვითარებისა“ (105, 1).

მართალია, პრესაში თეატრს ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ ეს პირველ რიგში მისი ნაკლის აღმოსაფხვრელად იყო მიმართული. მთავარი მოთხოვნა იყო: ეროვნული თემატიკის წინა პლანზე წამოწევასთან ერთად, „ევროპული“ მხარეც

გაეთვალისწინებინათ. „ქართული თეატრისათვის საჭიროა ძველი გზის უარყოფა და ასე ვთქვათ „გავეროპიელება“. ე.ი. საჭიროა თეატრმა დაანახვოს და აგემოს საზოგადოებას თანამედროვე კულტურის ნაყოფი და ნამოდგაწარი სასცენო ხელოვნებაში. საჭიროა განვითარებული და ინტელიგენტური ძალების გამოსვლა ამ ასპარეზზე, რომელნიც მიზნად დაისახავენ სწორედ თეატრის განახლებას“ (158, 1). ბათუმის გაზეთი კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილობაზე თეატრთან მიმართებაში. „არც ერთ ჩვენი ქვეყნის კუთხეში არ არის მოკლებული ქართველობა ქართულ წარმოდგენებს ისე, როგორც ბათუმში. ჩვენ ვიცით, რომ სადაც კი ცხოვრობს თუ გინდ იმის მესამედი ქართველობა, რამდენიც ბათუმში, თითქმის ყველგან არსებობს ან დრამატიული საზოგადოებები ან თავიანთი დასი ან სცენისმოყვარეთა ჯგუფები. გარდა თბილისისა და ქუთაისისა, დრამატიული საზოგადოებები არსებობს ჭიათურაში, სოხუმში, ბაქოში, ხონში, ფოთში და სხვა. ამ ქალაქებში სისტემატურად ყოველთვის იმართება. ამათ გარდა არ არის საქართველოს არც ერთი მივარდნილი დაბა-სოფელიც კი, რომ დროგამოშვებით მაინც ქართული წარმოდგენები არ იმართებოდეს. მხოლოდ მთელ გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმი“ (36, 2).

შალვა დადიანი თავის მემუარებში იხსენებს: „ქუთაისის ქართული თეატრი, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ერთგვარად ემსახურებოდა ქართული ინტელიგენციის აზროვნების გაღრმავებასა და სიფაქიზეს. მაშინ ქუთაისი, მეტწილად, წარმოადგენდა მოვაჭრე ხალხის და დაწესებულების მოსამსახურეთა ღიანგს, მათში ერის აგრეთვე მოქეიფე თავადაზნაურთა წრე და ძალიან მცირე ნაწილი ინტელიგენციისა. ასე რომ ქუთაისის თეატრის შემადგენლობა თავის აზროვნებით მაინც ოაზისს წარმოადგენდა, მაგრამ ძალიან გაბედულს სიტყვებს და იდეათა აღიარებას მოისმენდით“ (197, 6).

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა გართობა-სანახაობებმა გარკვეული ფორმირება განიცადა და XX საუკუნის 10-იან წლებში თეატრმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო და ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა. ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი, ქართველი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი მემუარებში წერს: „XX საუკუნის 10-იან წლებში ქართული თეატრი უკვე დიდი და ძლიერი დარგია ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისა. ჩვენ უკვე რამდენიმე ძლიერი დასი გვყავს თბილისში და ქუთაისში, ბევრი პროფესიონალი არტისტი და რეჟისორი.

გარდა ამისა, გაძლიერდა და გაუმჯობესდა სახალხო თეატრის საქმე არა მარტო თბილისში, არამედ ქუთაისშიც და ზოგიერთ დაბა-ქალაქშიც“ (200, 249).

გაზეთი „თემი“ აქტიურად არის დაკავებული ქართული თეატრის საქმიანობის გაშუქებით მთელი საქართველოს მასშტაბით, იმ როლის წარმოჩენით, რაც თეატრის არსებობას ჰქონდა ქართველთა კონსოლიდაციაში: „თეატრი იქ, სადაც ერი თავის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პირობების მხრივ მეტად შევიწროვებული და შებორკილია, იქ თეატრი დიდ ეროვნულ-კულტურულ ძალას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ელოლიაგება ქართულ თეატრს ქართველი ხალხის ყველა შეგნებული ელემენტი, მუშა იქნება იგი თუ საქმის მიმცემი“ (68, 1). ქართული კულტურული ელიტა აცნობიერებდა რა კონსოლიდაციის აუცილებლობას, ერთობის წევრების დაახლოვებაში თეატრს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა: „თეატრის საშუალებით შესაძლებელი ხდება ჩვენთვის საჯარო საუბარი სამშობლო ენაზე ხალხთან. საჭიროა ეს საშუალება მიზნის დაცვაში გამოვიყენოთ“ (67, 2). აღნიშნული პრობლემის აქტუალობას მოწმობს თეატრის საკითხისადმი მიძღვნილი 30-მდე სტატია გაზეთ „თემში“, სადაც დეტალურად იყო გაშუქებული თეატრის საქმიანობა.

ერთ ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრება, ურთიერთშორის მტკიცე ეკონომიკური, კულტურული კავშირი, ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობა და ბოლოს, ყველა ამ ურთიერთობის საშუალებად ერთი საერთო ენის გამოყენება ბუნებრივად აყალიბებს ფსიქიკური წყობის ერთობას, რაც კულტურის ერთობით ვლინდება. ქართული პრესა, ქართული თეატრი, ქართული სკოლა ის მძლავრი იარაღი იყო, რომლითაც მტკიცდებოდა ქართველთა ფსიქიკური წყობის ერთობა, რაც თავს იჩენდა კულტურის ერთობით (235, 25).

ამდენად, ბეჭდურ მედიაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული ერთობის წევრებს შორის საერთო ნაციონალური ცნობიერების აღდგენა-შენარჩუნებაში წარსულის მახსოვრობას, ტრადიციებს, ნაციონალურ სიმბოლოებს ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა.

## თავი V.

### ქართული გარემო და ეროვნული იდენტობა

საქართველოს ისტორიის შეფასების და ანალიზის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აღქმების როლი. აღნიშნული პრობლემის შესასწავლად სერიოზული წყაროთა ბაზა არსებობს ბეჭდური მედიის სახით. მოდერნულ ეპოქაში ბეჭდურმა მედიამ დიდი როლი ითამაშა ქართული, ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბეჭდური მედიის საშუალებით ნაციონალური იდეების აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა. ბეჭდური მედიის არსებობა გათვლილი იყო არა მარტო ელიტაზე, არამედ საზოგადოების ფართო ფენებზე, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ყველა სოციალური ჯგუფის, ყველა წევრის საერთო, ეროვნული მოძრაობის პროცესში ჩართვა. ყველა სახელმწიფოში, ყველა ეპოქაში არსებობს სხვადასხვა სოციალური ფენები, სოციალური ჯგუფები, რომელთაც მათთვის გასაგებ ენაზე სჭირდებათ საუბარი.

საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა ქართული, ეროვნული ღირებულებების ერთობის წევრებს შორის პროპაგანდას. ამ მოღვაწეობაში ყველა დაწესებულება თუ ორგანიზაცია იყო ჩართული, თუმცა წამყვანი პოზიცია პრესას ეკავა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები. ბეჭდური მედიის თითქმის ყველა ნომერში აქცენტი კეთდებოდა ეროვნულ მახასიათებლებზე. გაზეთმა „ივერია“, თავიდანვე გამოკვეთა თავისი მიმართულება. აქ ჩამოყალიბებულია ის იდეები, რომელთაც ეროვნული დატვირთვა გააჩნდა. პირველ ადგილზე დაყენებულია სამშობლო. „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო. მიწა-წყალი მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იგი იპყრობს გვამთა მამა-პაპასათა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობას. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადგს არსებობისა, არამედ მოსწყდება იმ დიდებულ ისტორიულს სულს, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“ (83, 1). თითოეულ სტატიას, თითოეულ სიტყვას გააჩნდა გარკვეული დატვირთვა, როგორც ეროვნული, აგრეთვე პოლიტიკური. შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ ადგილზე სამშობლო,

ტერიტორიაა დაყენებული. საჭირო იყო სახელმწიფოებადაკარგული ქართველი ერის ცნობიერებაში დამოუკიდებელი მიწა-წყლის, საკუთარი სამშობლოს ქონის აუცილებლობის დამტკიცება. სამშობლოს შემდეგ მეორე ეროვნულ სიმბოლოდ „ივერია“ მიიჩნევს ქართულ ენას, რომელიც ერის არსებობის აუცილებელი ნიშანია. ქართულ ენას საუკუნეების მანძილზე დიდი დატვირთვა გააჩნდა, თუმცა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როდესაც მას განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ სისტემატიურად იბეჭდებოდა პრესაში ქართული ენის დანიშნულების შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს არც „ივერია“ წარმოადგენდა. „მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინმსვლელობაც მოსპობილია, თუ ენა უკანუკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალ-ღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება“ (83, 1).

მესამე „ბურჯად“ მიჩნეულია სკოლა. „მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლესობათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამადლებულა ზნეობით, აღვისილა დოვლათით. სკოლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო გლეხთათვის, არამედ კეთილშობილ წოდებისათვისაც, რადგანაც ჩვენში წვრილმანი აზნაურობა მრავალრიცხოვანია და იგი თავის შვილებს სახალხო სკოლებში ზრდის“ (84, 1).

საინტერესოა, რომ მესამე ადგილზე სკოლა, სწავლა-განათლებაა დაყენებული. რაც შემდეგი გარემოებით არის განპირობებული: 1. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იწყება ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა შეიარაღებული ბრძოლის ნაცვლად, მტკიცედ შემუშავებული ეროვნული იდეოლოგიის საშუალებით საზოგადოების ცნობიერების გაერთგვაროვნებას. 2. საზოგადოების ყველა წევრის თანასწორად ჩართვა განმათავისუფლებელი მოღვაწეობის პროცესში. 3. სკოლას, სწავლას განათლების გარდა, აღნიშნულ ეპოქაში ეროვნული ფუნქციაც მიენიჭა. სკოლის საშუალებით, ეროვნული ისტორიის ცოდნით უნდა მომხდარიყო საზოგადოების განათლების, ნაციონალური ცნობიერების დონის ამაღლება.

მეოთხე ადგილზეა დაყენებული ქრისტიანობა, რომელმაც პუბლიცისტების აზრით მას შემდეგ რაც საქართველოში გავრცელდა და გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად ქართველი ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ქართველობა და ქრისტიანობა საუკუნეების მანძილზე ერთიან კონტექსტში მოიაზრებოდა. „მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ ადასრულებდა თავისს მაღალს დანიშნულებას. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შექმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მსურველე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც კი გახადა ასპარეზად სახარების ძლევაშოსილი ქადაგებისა. ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, კეთილისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა“ (84, 2).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოთ აღნიშნულ ეროვნულ მახასიათებლებზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება და შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, ყველა ნაშრომში პირდაპირ თუ ირიბად ამ ეროვნული მახასიათებლების მნიშვნელობაზეა საუბარი. თუმცა, ამჯერად ჩემი განხილვის საგანს წარმოადგენს თითოეული ეროვნული მახასიათებლის ერთიან კონტექსტში შეფასება ქართველი ერის გაერთიანება-გაერთგვაროვნების პროცესში.

## § 1. სამშობლო

ნებისმიერი ერის არსებობის ისტორიაში ტერიტორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მყარი ერთობისთვის აუცილებელია ერის გარკვეულ საზღვრებში მოქცევა, რომელზედაც საუკუნეების მანძილზე ხალხის ერთობა განიცდის განვითარებას, უყალიბდება ერთიანი ზნე-ჩვეულება, მენტალიტეტი, იქმნება ეროვნულ ღირებულებათა თავისებური სისტემა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან მუდმივად კეთდებოდა აქცენტი საკუთარი ტერიტორიის, საზღვრების საჭიროებაზე და ქართველების ერთიანობაზე. გაზეთ „ივერიის“ მიერ შემუშავებული იდეაც ამ მოსაზრების საჯაროდ რეალიზაციაა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სხვადასხვა საუკუნეში, აქტიური პროპაგანდის საგანი ხდება ის ეროვნული ფასეულობები, რომელთა შენარჩუნება ერის გადარჩენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. მაგალითად, შუა საუკუნეების საქართველოში, სპარსელების, არაბების, ოსმალების, შემოსევის პერიოდში მთავარი საფრთხე ქრისტიანობას და ტერიტორიის დაკარგვას ემუქრებოდა, სწორედ ამიტომ ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში ძირითადი აქცენტი მათ შენარჩუნებაზე კეთდებოდა. ჰაგიოგრაფიული ძეგლები კი სპეციალურად ქრისტიანობის საკრალიზაციის და ლეგიტიმაციის დაცვას ემსახურებოდა. განსახილველ პერიოდში, ანუ 1900-1921 წლებში, მართალია, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები თავის აქტუალობას არ კარგავს, მაგრამ მთავარი პროპაგანდის ობიექტი ქართული ენა, საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროება და სოციალური ფენების საერთო მიზნით გამსჭვალვა და გაერთოგაროვნებაა. ამიტომ ძირითადი ყურადღება, განსხვავებით სარწმუნოებისაგან, სწორედ მათ ეთმობა.

ქართულ საზოგადოებაში „მიწა-წყლის“ მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა. „მიწა-წყლის მნიშვნელობა ერისათვის ყველას ერთნაირად როდი ჰქონდა დაფასებული. თუ სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულება ტერიტორიის საკითხში ორ ელემენტს, ორ დიდ ფაქტორს – ეროვნულსა და ეკონომიურს – ხედავდა და ამტკიცებდა რომ მიწა ქართველ მშრომელ ხალხს, ხოლო ტერიტორია ეროვნებასაო, დასელები და თავადაზნაურობა მიწის საკითხში მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდა – ეკონომიურს. მუშათა კლასი თავის სამშობლოსთან მარტო გრძნობით არ არის დაკავშირებული. სამშობლო ის

კუთხეა, სადაც მთელი მისი სულიერი და ქონებრივი კულტურა იქმნება. მუშას ავიღებთ, თუ გლესს – ყველა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან. სამშობლო მიწა-წყალზე უხდება გლესკაცს მეურნეობის გაუმჯობესება“ (55, 1).

ერის კონსოლიდაციისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოების ერთობა, ანუ საერთო მისწრაფებით გამსჭვალვა, რათა უფრო ნათლად გააცნობიეროს საკუთარი მამულის, სამშობლოს როლი ერის არსებობაში. „სამშობლოს დამკარგავი ერი ვერ დაიცავს თავის არსებობას და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინცდამაინც ყოველად უბედური იქნება. იგი დაემსგავსება ბოგანო მხენელ-მთესველს, რომელსაც საკუთარი კერა არ გააჩნია. იგი ილაწლაწებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, ყველგან იგი იქნება უცხო, ყველგან მოძულეებული სტუმარი, ყველასაგან დაბრიყვებული ღობე, რომელსაც თელავს ყოველი გამვლელ-გამომვლელი. აი რისთვის საჭიროა, უკიდურესად საჭირო რომ ქართველობამ სავსებით შეირჩინოს თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩააგდოს“ (83, 1). ის ფაქტი, რომ ყველა სოციალური ფენა, თუ სოციალური ჯგუფი განსხვავებულად აღიქვამს სამშობლოს და საერთო აზრი არ არსებობს ბუნებრივია ართულებს ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისთვის. ამიტომ საჭიროება მოითხოვდა ყველა სოციალური ფენა მთლიანობაში ერთი მიზნის – დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ წასულიყო. „მამული როდია მარტო ნიადაგის სივრცე მეტად თუ ნაკლებად დიდი, რომლის გამოხატულებას რუკაზედ ვხედავთ. მამული წარმოადგენს დაწესებულებათა, ჩვეულებათა, ზნეთა ერთობლიობას. იგია ადამიანთა ამხანაგობა, რომელიც სხვა ამხანაგობათა გვერდით თავის ღირსების, პოლიტიკური გავლენის, სჯულიერების ძალის ხვედრს მოითხოვს. იგი მდგომარეობს, რაც ყველამ ადრიდგანვე უნდა ვისწავლოთ, სიყვარულში, მოვლაში, დაცვაში“ (224, 39).

ერთობის შეკავშირების და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა ერთიანი სივრცე, რომელიც ერის თოთოეული წევრის გაერთიანება უფრო მეტად უწყობს ხელს. მართალია, არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც, მაგრამ საქართველოს ისტორიის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე სამშობლოს იდეას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნაციონალური იდეოლოგიის შემქმნელი ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მუდმივად აკეთებდა აქცენტს სამშობლოს დაცვა-შენარჩუნებაზე. ამასთან

დაკავშირებით ხშირი იყო მოწოდებები ბეჭდური მედიის საშუალებით. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ 1913 წელს წერდა: „... გამოაცალეთ ქართველ ერს ტერიტორია და ის უკვე მოსპობილია. შეიძლება თქვენ მიპასუხოთ, აი არსებობენ უტერიტორიო ერებიო და დაასახელოთ ებრაელები და სომხები“ – და სტატიის ავტორი თვითონვე პასუხობს – „მართალია, ეს ერები არსებობენ, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას. გაბნეული მთელ დედამიწის ზურგზე, ისინი ყველგან უცხონი არიან და ვერსად თავისი ეროვნული შემოქმედება ვერ გაუშლიათ. მასთან მათ დღემდის რასაც მიაღწიეს, ეს იმიტომ რომ ისტორიულ მსვლელობაში ისინი ისეთ პირობებში მოხვდნენ, რომ ყოველი ხალხი მათ მტრულად ეპყრობოდა, ყოველ ხალხს ისინი ეჯავრებოდა. სიძულვილი კი ამ შემთხვევაში იყო საოცარი ჯავშანი, რომელიც ამ ერებს იცავდა სხვა ერთა შორის არევისაგან. მაგრამ რამდენადაც სხვა ერები მათ ურიგდებიან, რამდენადაც ისპობა მათდამი სიძულვილი და ისინი სრულ უფლება-მოვალეობით უსწორდებიან, იმდენად ისინი ერებიან ამ ერებში, ზოგი სულ კარგავს თავის ეროვნულ სახეს, და სავსებით უერთდება უცხო ერს, ზოგს კი რჩება მხოლოდ სარწმუნოებრივი თავისებურობა“ (57, 1).

ნაციონალური იდეის აღქმა და განვითარება სხვადასხვა ეპოქაში გარკვეულ ცვლილებას განიცდის და დროის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ყურადღება ექცევა იმ ეროვნულ სიმბოლოს, რომლის შენარჩუნებას ერის არსებობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. როგორც უკვე აღვნიშნე, 1900-1921 წლებში აღნიშნული პრობლემისადმი საზოგადოების აღქმა ეტაპობრივ ცვლილებას განიცდის, 1900-1917 წლების იდეოლოგია ერთგვარი წინაპირობაა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შექმნილი მოვლენების. საზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ დროს ეროვნული საკითხისადმი და კონკრეტულად, სამშობლოს იდეისადმი განსხვავებული მოსაზრებები არსებობს კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაში, რაც თავის ასახვას პოულობდა საზოგადოების ფართო ფენებშიც. სწორედ ამიტომ ეროვნული ძალების მიერ შემუშავებული პროგრამა მთლიანად იყო მიმართული სოციალური ფენების იმ ნაწილზე, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა საკუთარი ადგილის და როლის გაცნობიერება ქართველი ერის ნაწილად. ამიტომ სახელმწიფოებრიობადაკარგული ერის ცხოვრებაში საზოგადოების წამყვანი ნაწილი ბრძოლის ახალ გზას ადგება, რასაც საბოლოო ჯამში დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოყოლოდა, რომლის მონაწილე უნდა ყოფილიყო ქართული ერთობის ყველა წევრი.

გარდა იმ ეროვნული იდეოლოგიისა, რომლის განხორციელება სხვადასხვა იდეებთან ჭიდილის პირისპირ მიმდინარეობდა, მაგალითად, როგორც იყო სოციალიზმი, აღნიშნული პერიოდი გამოირჩევა იმით, რომ ჩვენს სინამდვილეში მკვიდრდება ეროვნული პრობლემის კვლევის თეორიული მიდგომა, რომლის მთავარ ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ მიხაკო წერეთელი. ასევე, აღსანიშნავია არჩილ ჯორჯაძის შემოქმედება, რომელთა მოსაზრებებს ხშირად ვიმოწმებ. ცალკე უნდა აღინიშნოს კონსტანტინე კაპანელი, რომელმაც ეროვნული პრობლემის კვლევის საკითხში, საქართველოში პირველად შემოიტანა გეოგრაფიული გარემოს როლი და ამ ფაქტორის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა საკუთარი მოსაზრებები.

სამშობლოს საკითხი სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს განსხვავებულად ესახებოდათ. საინტერესოა გიორგი პლესხანოვის მოსაზრება: „სამშობლო ისტორიული კატეგორიაა, ე.ი. წარმავალი თავისი არსებით. ტომის იდეამ ადგილი დაუთმო სამშობლოს იდეას, სამშობლოს ფარგალი ჯერ საქალაქო თემის საზღვრებს არა სცილდებოდა, მერე ეროვნულ საზღვრებამდე გადაიწია. ეხლა სამშობლოს იდეაც უკან უნდა ჩამოდგეს კაცობრიობის იდეის წინაშე, რომელიც ბევრად უფრო ფართოა სამშობლოს იდეაზე, – ამის თავდებია იგივე ძალა, რომლის მეოხებითაც წარმოიშვა, რომლის ზეგავლენითაც იცვლებოდა პატრიოტული იდეა; ძალა ეკონომიური განვითარებისა. ყოველთვის, როდესაც ერთი ქვეყნის ინტერესები მეორე ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, სამშობლოს იდეა მხურვალე სოლიდარობის გრძნობით აერთებს ამ ქვეყნების ხალხს“ (254, 23). გაზეთი „იმერეთი“ კი შემდეგნაირ აზრს აყალიბებს: „სამშობლოს სიყვარული ერთი ძირითადი გრძნობათაგანია ადამიანის ბუნებაში, ვინაც სამშობლოს სიყვარულს ატარებს გულში, მას უყვარს დედა-ენა, სამშობლო მხარე, თავისი ერი, მისი წარსული და მომავალი, დიდი პატივისცემა აქვს მას სამშობლო გმირებისა, მწერლებისა. სამშობლოს სიყვარული რწმენად ექცევა კაცს და ეს რწმენა მის მოქმედებას განმსაზღვრულ მიმართულებას აძლევს. სამშობლოს სიყვარული აცხოველებს ადამიანს, უნერგავს მას ენერგიას, ბადებს მასში იდეალისადმი მისწრაფებას, იწვევს საგმირო საქმეებისაკენ“ (97, 2).

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული მთელი ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიზანი მდგომარეობდა ილიას მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც

გარკვეულ ცვლილებას და განახლებას განიცდიდა ეტაპობრივად ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე. აღნიშნული მიზანი კი ქართული ერთობის წევრების ეროვნულ სივრცეში მობილიზება, სამშობლოს როლის გააზრება და მისი თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ჩაბმა იყო. ის ფაქტი, რომ საქართველოში სამშობლოს შესახებ ხშირი განმარტება-მოწოდებები ისმის, მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოება ამის საჭიროებას განიცდიდა. „ბათუმის გაზეთი“ 1914 წელს წერდა: „ტერიტორია მრავალ გვარად შეიძლება განვიხილოთ და განვსაზღვროთ. მარა დღევანდელ კამათში ჩვენ უმთავრესად გვინტერესებს მისი ორი მხარე: ტერიტორია, როგორც მიწის, უკეთ აგრარული და ეკონომიური კითხვა და ტერიტორია, როგორც ეროვნული, პოლიტიკური და უფლებრივი კითხვა. პირველს სჭრის დემოკრატიული წყობილება, აგრარული გადატრიალება და სხვა ნაწილობრივი ზომები კერძო და საზოგადო თაოსნობისა, ხოლო მეორეს ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის აღიარება და ავტონომია“ (38, 1).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება იმასაც მიუთითებს, რომ არსებობს ჭიდილი, რომელიც მიმდინარეობდა საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე და მთლიანად აღებული სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერებაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ორ მიმართულებაზე კეთდება აქცენტი ტერიტორია, როგორც გარკვეულ საზღვრებში მოქცეული კატეგორია და სამშობლო, როგორც არსებულ ტერიტორიაზე დასახლებული ერის გამაერთიანებელი და ნაციონალურ ფასეულობათა ჩამომყალიბებელი ფაქტორი. 1919 წელს გაზეთი „ერთობა“ ქართველების სამშობლოსადმი დამოკიდებულებას შემდეგნაირად აყალიბებს:

„ხშირად გაგიგონიათ სიტყვა სამშობლო და ახლა მინდა გკითხოთ: იცით კარგად, რა არის აი თუნდაც ჩვენი სამშობლო?

– შე დალოცვილო, თუ ეგეც აღარ ვიცი, მაშ რაღა მცოდნია, სადაც დავიბადე, ჩემი სამშობლო ის არის.

– ჩემი სამშობლო, შენი ჭირიმე, ჩემი სოფელია—აქამშობა დედამა და აქვე მოგკვდები.

– მე რომ მკითხო, ასე ვფიქრობ, რომ ჩემი სამშობლო ჩემი კარმიდამოა, ჩემი ყანა და ვენახი, ის მაჭმევს პურს და ჩემი მშობელიც ის არის, დედაც და ყველაფერი.

– ჩემი სამშობლო მთელი საქართველოა.

აი რამდენი პასუხი მესმის თქვენგან და მართალი და ჭკუმატი კი მხოლოდ უკანასკნელია.

მართლაც და ჩვენი სამშობლო მთელი საქართველოა, სადაც ქართველი ხალხი ცხოვრობს და ქართული ღაპარაკი, ქართული ენაა ყველასთვის საერთო. (52, 3). ეს იმას მიუთითებს, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ბრძოლა რუსუფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისთვის შედეგიანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან კიდევ ერთ საინტერესო ცნობას. „1918 წლის 25 მაისს, ხაშურთან ახლომდებარე სოფელ აძვისში ერთი უბრალო ქართველი გლეხიკაცი, დავით კაპანაძე გარდაიცვალა. 26 მაისს საქართველოში ისტორიული კვირადღე გათენდა – გამოცხადდა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ისტორიამ შემოინახა საოცარი საფლავის ქვა, რომლითაც შეიღებმა არა მარტო საკუთარი მამის – დავით კაპანაძის სახელი უკვდავყვეს, არამედ იმ თაობების ქართველთა გულისთქმაც გააცხადეს, სამშობლოს ბედნიერებისათვის რომ იბრძოდნენ, მაგრამ ამ სანუკვარ დღეს ვერ მოესწრნენ. აი, რა წერია საფლავის ქვაზე: „მონობაში ტანჯულო, დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა – საქართველო განთავისუფლდა! 1918 წლის 26 მაისი“. (302, 5). ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ სამშობლოს თემა მეტად აქტუალური იყო XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში. მოტანილი არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ინფორმაცია დასტურია ქართველი ერის მისწრაფებისა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი არც ისე მარტივი გადასატრეელია. ალბათ ამიტომაც არის, რომ განსხვავებული მოსაზრებებია 1900-1921 წლების საქართველოში სამშობლოს აღქმასთან დაკავშირებით და ხშირ შემთხვევაში კამათის საგანი ხდება სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების დამოკიდებულების საკითხი სამშობლოსთან მიმართებაში. ვფიქრობ, არსებული მასალა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

## § 2. ქართული ენა და განათლება

ნაციონალური კონსოლიდაციის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ერთობის წევრების საერთო ნაციონალური იდეით გამსჭვალვა და მის საფუძველზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალიზაცია. პოლიტიკური სისუსტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში ქართული ენა და რელიგია, კერძოდ საქართველოს ეკლესია გამაერთიანებელ როლს თამაშობდა. პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად, ყველა ქართულ სამეფო-სამთავროში ქართულმა ენამ შეინარჩუნა ერთიანობა. ეკლესიურმა ერთიანობამ მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქა პოლიტიკური დაშლილობების უარყოფითი შედეგები (227, 5).

XIX საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა ქართულ ენასა და მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა, რაც მათი რუსიფიკაციით გამოიხატა.

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმებს, რაც გამოწვეული იყო გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებით, მოჰყვა რეფორმები განათლების დარგშიც, მართალია, თვითმპყრობელობა იძულებული იყო გაეხსნა სკოლები, გაეზარდა მათი რიცხვი, მიეცა ცოდნის ერთგვარი მინიმუმი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც აუცილებელი იყო გაბატონებული ფენებისათვის, მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. გარდა ამისა, სკოლას რუსეთის ხელისუფლება თვლიდა თავისი პოლიტიკის გატარებისა და არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების იარაღად. სკოლას ის აკისრებდა პოლიტიკურ ამოცანებს, რომელსაც უნდა აღეზარდა თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი და ერთგული ადამიანები, გაერუსებინა არარუსი მოსახლეობა, ეწარმოებინა ბრძოლა რევოლუციური იდეების წინააღმდეგ. შესაბამისად, სახალხო განათლების ორგანოებს უფრო პოლიტიკური ფუნქცია ეკისრებოდა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო (267, 22).

საქართველოში საგანმანათლებლო ცენტრები ყოველთვის ეროვნულ იდეალებზე აღზრდას ითვალისწინებდა. საუკუნეების მანძილზე ამ პროცესს სათავეში ედგა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კი საქართველოს ეკლესიამ ეს ფუნქციები დაკარგა და პარალიზებული გახდა. ეს პროცესი ბუნებრივია უარყოფითად აისახა ქვეყნის

კულტურულ თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე: „სკოლებში დედა-ენის შესუსტებამ გონებრივ დაჩლუნგებასთან ერთად უკვე დასცა და გაათახსირა ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა, სჯული, გრძობა. ის სარწმუნოება, რომელიც ასე დიდმნიშვნელოვანია – როგორც კერძოდ ჩვენთვის, ისე მთელი ქვეყნებისათვისაც კი. დიახ, სკოლაში დედა-ენის შესუსტებას უღვეს ამ არასასურველ მოვლენაში წილი“ (183, 47).

XIX საუკუნის II ნახევრიდან თავისუფლების მიზნით ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის, რაც ნაციონალური კონსოლიდაციის განმტკიცებას გულისხმობდა ახალი მეთოდებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაცია იყო. მაგრამ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ანგარიშს უწევდა არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს და ძალაუნებურად კვეცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ შექმნილ სიტუაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მასში შემავალი ერების ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად მოწყობას. ავტონომიური საქართველო მათი აზრით წარმატებით განავითარებდა ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას და საპატიო ადგილს დაიკავებდა ფედერაციული რუსეთისა და მსოფლიოს ერთა რიგებში (216).

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ეპოქაში – ეს იყო მასების უწიგნურობის მოსპობა და ფართო ფენების განთლება (293). ჯერ კიდევ 1876 წელს გაზეთი „დროება“ წერს: „გავიდა ის დრო, როდესაც ყოველ ქართველის ვალი იმაში მდგომარეობდა, რომ ხმლით ხელში დაეცვა თავისი საყვარელი მამული აუარებელი და მძვინვარე მტრებისგან. გავიდა ის დრო, როდესაც ქართველს არ შეეძლო, დროთა ვითარების გამო, გაეხსნა თვით ბუნებისგან მიღებული ნიჭი, ეზრუნა ახალი რუსთველების დაბადებისათვის. პირიქით, დადგა დრო, როცა ყველა ქართველის ვალია, რომ რბილში და ხორცში გამჯდარი ქართველის სიყვარულით, შეუდგეს მამა-პაპების სისხლით მორწყული მამულის განათლების, მისი შვილების სულიერი და ფიზიკური ძალების გახსნას“ (43 1). მოდერნულ

ეპოქაში ეს ფუნქცია სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად აიღო თავის თავზე ბეჭდურმა მედიამ. თითოეული საკითხი ქართული ენა, საგანმანათლებლო სისტემა, არა ერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი და მათ შორის ბეჭდური მედიის საშუალებით. ჩემი მიზანია დისერტაციის ამ თავში ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე თითოეული ატრიბუტი ერთიან კონტექსტში განვიხილო.

ენობრივ პოლიტიკას საქართველოში უბეჭდესი ტრადიციები აქვს. ქართული ენის სახელმწიფოებრივი ძლიერება საქართველოს სამეფოს მესვეურთა მიერ მუდმივად იყო მისი მაკონტროლებელი როლი ქართველურ სივრცეში სხვადასხვა დიალექტებთან მიმართებაში. ამის შედეგი იყო, რომ უცხო სახელმწიფოთა ექსპანსიის ვითარებაშიც კი ქართული ენა მთელი ქართველური სამყაროს სამწიგნობრო და ეკლესიის ენად რჩებოდა (281, 25). ამასთან ქართული ენა საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის მაკონტროლებელ ფუნქციას ასრულებდა.

ქართული ენისათვის ბრძოლა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითად საკითხს. ქართული ენის, მისი სწავლებისა და არსწავლების, სასწავლებელში მისი მდგომარეობის საკითხი სრულიად გასცდა, განსაკუთრებით აღებულ პერიოდში პედაგოგიური კამათის სფეროს და ერისათვის სასიცოცხლო საკითხად იქცა (223, 17).

ჯერ კიდევ 1873 წლის დადგენილებით ქართული ენა ამოღებულ იქნა სასწავლებლების ოფიციალურ საგანთა შემადგენლობიდან და მის სწავლებას მიეცა სრულიად კერძო ხასიათი. 1874 წლიდან კი—სასწავლებელთა კურსიდან, მისი შესწავლა შეეძლოთ მსურველებს საგნის მასწავლებლებისათვის გარკვეული საფასურის გადახდის პირობით.

ეს პრობლემა ასევე არსებობდა XX საუკუნის დასაწყისში. ფაქტობრივად ქართველი ერის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანძილზე ქართული ენის საკითხი არ მოსცილებია.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართული ენის უფლებების შეკვეცა შემთხვევითი არ ყოფილა. რადგან „უმთავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი. ეს აუცილებელი

პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და მასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროის და ყველა დროის პედაგოგიისა“ (171, 9).

როგორც ცნობილია, ეროვნულ მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ენას უკავია. ქართველი ერის ცხოვრებაში ქართული ენა ყოველთვის გამაერთიანებელ როლს ასრულებდა. „ეროვნულ ფაქტორთა შორის ყველაზედ უფრო დასანახავი, ხელშესახები, მტკიცე მაინც-ენაა. ისე მარტივად, აშკარად, რელიეფურად, ყველასათვის გასაგებად და საგრძნობელად არაფერი არ გამოხატავს ეროვნულ თავისებურებას და განსხვავებას, როგორც ენა. ისტორიულის წარსულის, ერთს ჩვეულებებს, ერთს სარწმუნოებას ხალხი ვერ გრძნობს როგორც საერთო ენას“ (166, 1). „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „ენა არის ყველაზედ უფრო გამომსახველი და ცხადი სახე ერისა. როგორც ვთქვით, ენა ძლიერ მტკიცეა. შეიძლება ერთი „ისტორიული ბედი“ მეორეთი შეიცვალოს, ერთი მეორეს შეებრძოლოს, ერთმა ერმა მონინდომოს მეორეს მოსპობა, ამ შემთხვევაში მეტს ცხოველმყოფელობას იჩენს ენა. იგი დიდს წინააღმდეგობას უწევს გადაგვარებას და თუმცა ენის დაკარგვის შემდეგაც შეიძლება არ მოისპოს ეროვნობა, მაგრამ საზოგადოდ კი, როდესაც ერს ეკარგება ენა, მისი არსებობა დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი, ისეთს განსაცდელში, რომელიც მას სრულს მოსპობას უქადის. განსაკუთრებით უბრალო ხალხისთვის „მისიანია“ მხოლოდ ის, ვინც მის ენაზედ ლაპარაკობს და ენასთან მისთვის იკარგება ეროვნული თავისებურება“ (247, 126).

ამ პერიოდში სკოლას ეკისრება ეროვნული ფუნქცია, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო საერთო ნაციონალური ცნობიერების ფორმირება. „როგორც ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, ისე ნივთიერი კეთილდღეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ხალხის ბრბოს განათლებას, რაც დაფუძნებულია განათლების საშუალებებზე, აქ ერთდებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. განათლება ამალღებს ხალხის ძალას და ამრავლებს სიმდიდრეს. ბრბოს უვიცობა არის ხალხის უბედურება, რაც ავად ცხადდება კერძო პირის, საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ მხარეებზე. გონებრივი სახელმწიფოებრივი აღზრდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი პირველდაწყებითი სწავლა-განათლება წარმოადგენენ ქვეყნის იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერ და გონებრივ კეთილდღეობას“ (182, 662). ყველა ნაციონალურ საკითხთა შორის, უეჭველია, საკითხები

ეროვნული სკოლისა, ენისა და კულტურის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის საკითხებია, ვინაიდან ეროვნული აღზრდა-განათლება, ენა, კულტურა, – ეს ისეთი ფაქტორებია ერის ცხოვრებაში, რომლებიც ხშირად აკავშირებენ ერის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რომელიც აძლევს ერს უფლებას თვითარსებობისას (250, 2).

ამისათვის საჭირო იყო ყველა სოციალური ფენის დაახლოება და გაერთიანება ერთი საერთო საქმისათვის. „დროა შევიგნოთ, რომ ცალკე გაწევა ჩვენი ერის წოდებათა: გლეხთა, თავადაზნაურთა, ვაჭართა, სამხედროთა და სხვათა ხერხ არ დაგვაყრის და ამიტომ დროც არის დაუყოვნებლად შევუდგეთ ერის ერთიანობის ამ ძირისმომთხრელი მიზეზების ფრთების შეკვეცას“ (მოგზაური 1904გ: 167). საზოგადოების სხვადასხვა ფენათა და წოდებათა დაახლოება, ჟურნალის პუბლიცისტების აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა „როცა ჩვენ სამეურნეო საქმეს ჩვენის ბნელით მოცულის გლეხის დახმარებით ვაწარმოებთ, როცა მას ჩვენ ჰუმანურად ხელს გავუწვდით და გვერდში ამოვიყენებთ იმ საქმეში, რომელიც მას მთელი ათასი წლებით აქვს შეწვენეული, როცა მას გვერდით დავისვამთ და მასთან ერთად დავლევთ ჩაის“ (179, 9).

სოციალურ ფენათა დაახლოება უშუალოდ იყო დაკავშირებული საერთო ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბებასთან. სოლიდარობის განცდა ერთობის წევრებს შორის ერთი მიზნისათვის ბრძოლას გააადვილებდა: „უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე, რათა ჩვენი ყოველი საზოგადო მოქმედება იმ მხრით იყოს ერთ სულ და ერთ ხორც“ (182, 795).

ბეჭდურ მედიაში სოციალური საკითხებისადმი ინტერესი შემთხვევითი არ იყო, რაც შემდეგი გარემოებებით აიხსნება: 1. 1864 წლიდან ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილი ახალი თავისუფალი ფენის ერთობის წევრებს შორის დაახლოება უნდა მომხდარიყო. 2. საერთო ნაციონალური ინტერესების გარეშე თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოუდგენელი იქნებოდა და სოციალურ ფენათა ჰომოგენიზაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე 10-იან წლებში პრობლემა აქტუალობას არ კარგავს. „თემში“ ვკითხულობთ: „აღვიძრავთ საკითხებს თუ უკვე აღძრულს შევეხებით, მხოლოდ ერის კეთილდღეობას მივიღებთ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მშრომელი ხალხის

მდგომარეობას გაგიოვალისწინებთ. ის მიგვაჩნია ჩვენი ერის კულტურულად განახლების საფუძვლად, მასზე ვამყარებთ ჩვენ იმედებს, ჩვენს მომავალს. მასში უნდა გაგავრცელოთ სწავლა-განათლება. შევათვისებინოთ კულტურული საშუალებანი მძიმე ეკონომიკურ პირობებთან ბრძოლაში და საზოგადოდ შევუწყოთ ხელი მის წინსვლას და გონებრივ აყვავებას“ (64, 1).

განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწევა უკავშირდება ეპოქის მოთხოვნილებას. გარდა იმისა, რომ ქართველი ნაციონალისტების მიზანი იყო წიგნიერი თაობის აღზრდა, ეს ისტორიული აუცილებლობიდანაც გამომდინარეობდა. XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის პირველი ოცწლეული არის დრო, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იწყება ახალი გარდაქმნები როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც. განათლებულ საზოგადოების საჭიროება ახალმა პოლიტიკურმა წყობამაც მოითხოვა. განსხვავებით ძველი პერიოდისგან, როდესაც მსოფლიო მხოლოდ ომებით იყო დაკავებული და ამასთან მიწაზე მიმაგრებულ გლეხს არც დრო და არც საშუალება არ ჰქონდა განათლების მიღების, კაპიტალისტურმა წყობამ მთლიანად შეცვალა არსებული სიტუაცია. თუ ძველ დროში მხოლოდ ქალებმა იცოდნენ ძირითადად წერა-კითხვა, მოდერნულ ეპოქაში ეს ყველასთვის სავალდებულო გახდა. ამასთან სქესთა განურჩევლად ყველას ერთად უნდა ესწავლა. ეს პროცესი სოციალური უთანასწორობის მოსპობისკენაც იყო მიმართული. „ბავშვობაში სწავლის დროს ერთად ყოფნა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შვილებში განავითარებს ისეთ სულიერ და ზნეობრივ ჩვეულებებს, რომელიც შემდეგ, როცა ისინი ცხოვრებაში გამოვლენ, ბევრის მხრით სასარგებლო და გამოსადეგი იქმნება. ეს გარემოება ხელს შეუწყობს წოდებრივ ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას“ (95, 1). სკოლამ სრულიად უნდა მოსპოს თავის კედლებში წოდებრივი განსხვავება. შეძლებითი უთანასწორობა კიდევ უფრო საგრძნობელია დღეს. სკოლა არ უნდა უწყობდეს ხელს შეძლებულთა ეგოიზმის განვითარებას. არ უნდა ზრდიდეს მათში რაიმე თავისებურ ეგოიზმს, რომელიც შეძლებულს აგრძნობინებს თავის ვითომდა უპირატესობას. ამიტომ დაწყებითი სკოლა ყველასათვის საერთო უნდა იყოს, რომ ღარიბ მუშის შვილი და მილიონერისა თანასწორნი იყვნენ აღზრდის წინაშე. ეს შეამცირებს განკერძოებას, ორივე მხარეს შეაჩვევს ერთმანეთის მეტის პატივისცემას“ (233, 18). საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სივრცის შექმნა უნდა მომხდარიყო ქართულ ენაზე წარმოებული სასწავლო-

საგანმანათლებლო სისტემით: „სამშობლო ენა იგივე სისხლი და ხორცია ადამიანისა და მაშასადამე მისი განუვითარებლობა დაჰბადავს მსგავსსავე ფიზიკურ განუვითარებლობას, რასაც მოჰყვება ყოველმხრივი გონებრივი და ზნეობრივი დაცემა და გადაგვარება სამშობლო ენის უარის-მყოფელის ერისა. იგი უნდა იყოს საფუძველი და საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სწავლა-აღზრდა ადამიანისა. ყოველი სწავლა-აღზრდის მიღება ყოველი ადამიანისათვის სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს“ (180, 499).

ქართული ენის და განათლების ერთიან კონტექსტში განხილვა შემთხვევითი არ ყოფილა. ახალ ეპოქაში ტრადიციულ ეროვნულ მახასიათებლებს დაემატა განათლების საკითხი, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ქართული ენის, ტრადიციების, ისტორიული წარსულის შენარჩუნება და ამასთან საზოგადოების სამეურნეო-სამრეწველო დონის ამაღლება. რუსეთის ხელისუფლება კი ყოველ დონეს ხმარობდა ქართული ენის უფლება და ფუნქცია შეკვეცილი ყოფილიყო. 1909 წლის გაზეთ „ამირანში“ ვკითხულობთ: „ბიუროკრატის მიერ სამშობლო ენა სისტემატიურად იდევენბოდა სკოლებიდან. ამან კი დიდი ვნება მოუტანა არა რუსებს. ავიდოთ, მაგალითად, ქართული სკოლები, ან უფრო სწორედ ქართველებისთვის დაარსებული რუსული სკოლები... იმ გარემოებამ, რომ სასწავლებელში რუსულ ენაზე იყო სწავლება და არა სამშობლო ენაზე, ფაქტიურად სკოლის მნიშვნელობა სრულიად გააქარწყლა ჩვენში, სასწავლებლები ვერც ცოდნას აძლევდნენ ხალხს და რუსულ ენასაც ზედმიწევნით ვერ ასწავლიდნენ. ასე რომ, მოსწავლე სასწავლებლიდან სრულიად არაფრის მცოდნე გამოდიოდა. მაგრამ მარტო ეს ვნება არ მოგვიტანა იმ გარემოებამ, რომ სწავლება ქართველებისათვის უცხო ენაზე სწარმოებდა. რუსული სკოლა აშორებდა ქართველ ხალხს ქართულ კულტურას და საზოგადოებრიობას“ (30, 1).

ქართული ენის სტანდარტიზაციას პუბლიცისტების აზრით ხელს შეუწყობდა ეროვნული სკოლა, სადაც განათლებას ქართულ ენაზე მიიღებდნენ: „ისეთი სკოლა, სადაც ყმაწვილები დედა-ენის საშუალებით გაიცნობენ და შეითვისებენ მეცნიერებას, ხელოვნებასა და საზოგადოდ კაცობრიობის სულის მისწრაფებასა, განამტკიცებს ჩვენში საღ, სისტემატურ აღზრდას ჩვენი ყმაწვილთაობისას და მის ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. დიდებულია შედეგი ეროვნული სკოლისა ერებად დაყოფილ კაცობრიობისათვის. ეროვნული სკოლა ისევე შეერგება ყმაწვილს, როგორც დედის ძუძუს წოვა. ერი,

ენა და ეროვნული სკოლა ერთსულოვანი ბუნებრივი პრინციპია. ამას უნდა აღვიარებდეთ ჩვენს რწმენად, ჩვენს აღთქმად“ (180, 500).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის აქტიური ბრძოლა საზოგადოების წიგნიერებისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილების შედეგად მოხდა ღირებულებების გარკვეული გადაფასება და მასების განათლების პრობლემა ყველა ქვეყანაში მთელი სიმწვავეით დაისვა და, ბუნებრივია, ევროპულ იდეებს ზიარებული ქართული ინტელიგენცია ცდილობს საქართველოში ახალი სისტემის დანერგვას; და მეორე, ქართული ერთობისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო საერთო ცნობიერების ფარგლებში ქვეყნის აღორძინებისთვის მოქმედება, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი შემდგომში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. „ძირითად საკითხს შეადგენს სახალხო განათლება და საზოგადოებრივი აღზრდა. კეთილი ზნე-ჩვეულებების დანერგვა, ამალეობა განათლებით ბრბოსი, მიწოდება მისთვის განახლებული და განმავითარებელი გასართობების, გაღვიძება ხალხის სულიერი ინტერესებისა, ბრძოლა მის სიბნელისა და უფიცობის წინააღმდეგ – აი რას უნდა ვესწრაფოდეთ სხვა ზომებთან, საშუალებებთან ერთად, თუ გულწრფელად გესურს ხალხისათვის კეთილი, თუ გვინდა მათ ნამდვილად დავეხმაროთ“ (180, 549).

სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხით დაინტერესება გამოწვეული იყო იმითაც, რომ რუსეთის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ქართველების გარუსების სფეროში სწორედ სკოლები იყო. სამსონ ფირცხალავა იგონებს თავის მემუარებში: „... გვიკრძალავდნენ ჩვენი თავისთვის ქართველები გვეწოდებინა. აი, ამის ერთი მაგალითი: მეექვსე კლასში ერთი მოწაფე რუსული ენის მასწავლებელს პუშკინის „პოლტავას“ შინაარსს უყვებოდა და იქ, სადაც ამბავია რუსების და შეეციელების ომის, იმის მაგიერ, რომ ეთქვა როგორც ავტორს აქვს, „ჩვენ“ (ე.ი. რუსის ჯარი), მოწაფემ თქვა „რუსები“, მასწავლებელმა მაშინვე შეაჩერა და ჰკითხა: რატომ „რუსებს“ ამბობ და არა „ჩვენ“? მოწაფემ მიუგო: მე ხომ რუსი არა ვარ და როგორ უნდა ვთქვა „ჩვენ“. „როგორ თუ რუსი არა ხარ!“ – შეუყვირა მასწავლებელმა, პედაგოგიურ საბჭოში დააბეზლა და მოწაფე რამდენიმე საათით კარცერში ჩასვეს“ (205, 18).

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „კავკასიის სასწავლო ოლქის ობერ-პროკურორმა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას ინახულა ბათუმის

ერთ-ერთი სასწავლებელი, სადაც 8 წლის ყმაწვილს მიმართა : „შენ ვინ ხარ ?“ ქართველი – სთქვა პასუხად ბავშვმა. – ქართველი კი არა, რუსი ხარ. – სთქვი, რუსი ვართქო! ბავშვი გაშტერდა და სდუმდა. რევიზორმა იფიქრა აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო. გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, ანჯღრევდა და გაჯავრებთ გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წაიღულღულა: რუსი ვარ...“ (222, 23).

XX საუკუნის I ოცწლეულის ბეჭდურ მედიაში აქტუალურია ეროვნული სკოლების მოწყობა სტანდარტიზებულ სისტემაზე, რომელთაც საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქციის შესრულება ეკისრებოდათ. ჟურნალი „მოგზაური“ (1901-1904) ერთ-ერთი პირველია ინიციატივის გამოჩენის სფეროში. ჟურნალში ვკითხულობთ: „ჩვენი სკოლები დღეს უფრო ცოდნის გამავრცელებლები არიან, ვიდრე აღზრდისა. დღევანდელი სკოლა მთელს თავისს უნარს და ძალას იმას ანდომებს, რომ მოსწავლემ ოღონდ კი კარგად ისწავლოს, კარგად შეითვისოს ის აუარებელი ცოდნა, რომლის მესაკუთრეა დღევანდელი სწავლა-მეცნიერება და მას მერე თუნდაც ქვა-ქვაზედაც ნუღარ იქნება. რა ემართება ამ დროს თვით ადამიანს, მის გონებრივს და ზნეობრივს ძალებს, ვითარცა იგი თუ ილახება, ამას დღევანდელი სკოლა სრულადაც არაფერს დაგიდევს“ (178, 699).

არასწორ სასწავლო სისტემას ემატებოდა სკოლებში რუსული ენის მომძლავრება, რაც უარყოფითად მოქმედებდა სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაზე და ეროვნულ ფორმას აკარგვინებდა: „მთელი და ერთადერთი მიზეზი სახალხო სკოლის ასეთი უნუგეშო მდგომარეობისა იყო და დღესაც არის არა რაციონალურად, არა პედაგოგიურად მოწყობა სწავლების საქმისა ჩვენს სახალხო სკოლებში, ერთადერთი მიზეზი ჩვენის სახალხო სკოლის უნაყოფობისა იყო და არის ის, რომ მთელი სწავლება ამ სკოლებში მიმართულია ბავშვებისთვის უცნობ რუსულ და არა მშობლიურ, ქართულ ენაზე“ (180, 503).

ამასთან ერთად ჟურნალი სწორედ დადგენილი პროგრამის აუცილებლობასაც ასაბუთებდა, რომლის მეშვეობით მოსწავლეები შეითვისებდნენ როგორც საჭირო ცოდნას, ასევე მოახდენდნენ მის რეალიზაციას ქვეყნის საკეთილდღეოდ: „ნუ სტანჯავთ მოსწავლეებს შეუძლებლის შესწავლით, რომ ამით იგინი, ვითომც ერთი ათად უფრო ჭკვიან-გონიერნი გამოიყვანოთ. ყველა ეს იმდენად ასწავლეთ მათ, ვის რამდენად და რის შესწავლაც შეუძლიან

და უმთავრესად კი ამ ცოდნის გამოყენება ასწავლეთ, წესიერი ცხოვრებისათვის ოჯახსა და საზოგადოებაში, ხალხში. მაშინ შეძლებთ ნამდვილი ადამიანების, მამულიშვილების აღზრდას“ (178, 699).

ჟურნალ „მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემი“ ქართული ენის საკითხს, როგორც კონსოლიდაციის აუცილებელ ელემენტს დიდ ადგილს უთმობს. ბეჭდური მედიის ინტერესი ქართული ენისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. რადგან ადამიანთა ნებისმიერი ისტორიულად ცნობილი გაერთიანების საფუძველი ენაა, რომელიც რაც უნდა შორეულ წარსულს მივმართოთ, ყოველთვის წინამავალ ეპოქის მემკვიდრედ გვეკვლინება. ყველა საზოგადოება ენას ცნობდა და ცნობს წინა თაობათაგან მიღებულ პროდუქტად (219, 10). სწორედ ამან განაპირობა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ღონისძიებები ქართული ენის შენარჩუნებისათვის, რაც შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: 1. ჟურნალ-გაზეთების გამოცემა ქართულ ენაზე. 2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება 1879 წელს. 3. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით სკოლების გახსნა მთელი საქართველოს მასშტაბით. 4. ქართული თეატრის ჩამოყალიბება.

„თემის“ პუბლიცისტები გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ქართული ენის მდგომარეობაზე ამახვილებენ ყურადღებას: „არ ვფიქრობ ჩვენს წარსულში მოიძებნოს იმისთანა დრო, როცა ისე შევიწროებულიყოს და შებღალულიყოს ქართული ენა, როგორც ახლა. შევიწროება, აბუჩად აგდება ჩვენი ენისა შინაურ და გარეშეთაგან სავალალოა დღეს ჩვენს ცხოვრებაში. ის გარემოება, რომ ჩვენს ენას არა აქვს რიგიანი ყურადღება მიქცეული სასწავლებელში, რომ ეს ენა არ არის სავალდებულო საგნად ცნობილი და რომ ამის გამო, ქართულ ენას „სხვათა შორის“ მისჩერებია ქართველი მოწაფე და ქართველი მშობელი, აი, სწორედ ეს გარემოება აფერხებს, ხელს უშლის ჩვენი ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის საქმეს“ (81, 2).

ქართული ენის დავიწყება კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში საკუთარი ქვეყნის ისტორიის არცოდნას, ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას: „ის ენა, რომელზედაც ბავშვობის ხანაში, მშობელი დედა გვიმღეროდა ტკბილ იავნანას, გვინერგავდა სპეტაკ სიყვარულს სამშობლოსადმი, წარსულის ღრმა პატივისცემას, ის ენა, რომელზედაც დედა მოგვითხრობდა საქართველოს თავგადასავალს, ბედ-იღბალს, წარსულს და მთელ მის ისტორიას, დღეს ის დავიწყებია ქართულ მოწაფეს და გადაგვარების გზას დამდგარა“ (81, 3).

ქართული ენის ფუნქციონირების დაკარგვა უარყოფითად აისახა ქართული ერთობის ცნობიერებაზე. „სკოლაში გონების განვითარებისათვის, ეჭვგარეშეა უნდა იყოს გამეფებული ეროვნული ენა, დედა-ენა. ამას მოითხოვს ბუნებრიობა, საღი აზროვნება და სამართლიანობა. უამისოდ ერი მოკლებული იქნება სულიერ საზრდოს, უამისოდ ერის წინმსვლელობა შეფერხდება ცხოვრებაში, უამისოდ ერის ყმაწვილთაობა უგზოუკვლოდ დაიწყებს ხეტიალს. უამისოდ ერის ცხოვრება შებორკილ იქნება“ (81, 1).

გაზეთის პუბლიცისტები ქართულ ენაზე საგანმანათლებლო პროცესის აუცილებლობის დასაბუთებას ცდილობდნენ. „მკვიდრ ნიადაგზე აგებული პირველდაწყებითი აღზრდა უძლიერესი და უდიდესი ფაქტორია ქვეყნის წარმატების საქმეში, ეს ახლა უკვე ყველა შეგნებულ კაცს ესმის, რომ ახალთაობის საღ აღზრდაზე უნდა იყოს დამყარებული ჩვენი ქვეყნის მომავალი და ამიტომ უმთავრესად აქეთ უნდა იყოს მოპყრობილი მშობლების და საზოგადოების ყურადღება. როგორც კერძო პირთა და მშობლების, ისე მთელი საზოგადოების იმედები, ერის იდეალების განხორციელება, ახალთაობის საღს გონებრივ და ზნეობრივ აღზრდაზე უნდა იყოს დამყარებული, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ინტერესების განვითარება“ (72, 3). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებულ სწავლა-განათლების პროცესს, არამედ სკოლებში არსებული ბიუროკრატიული სულის აღმოფხვრას.

საგანმანათლებლო საკითხებზე გვხვდება ინფორმაცია ნებისმიერი სახის წყაროში. რადგან ეს იყო ეპოქის მთავარი მოთხოვნა და გამოწვევა. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას სკოლების დიდი რაოდენობით გახსნის აუცილებლობაში. „ეროვნული სკოლა ეს ის მოედანია, სადაც ერის გრძნობამ და გონებამ პირველი ფესი უნდა აიდგას; ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს მასაზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ გამოჭრილია ერის შინაურ ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ ცხოვრებაზედ. და მართლაც სკოლა მსაზრდოებელია ერისა, მაგრამ სკოლასაც გარჩევა აქვს: მახინჯ სკოლის შემწეობით შეიძლება ადამიანის სრული გადაგვარება, მის პიროვნების დაჩაგვრა. მისი უნარიანობის ჩაკვლა. სკოლის დახმარებით ძალიან ადვილია მონების გაზრდა. სწორედ ამისთანა მისიას კისრულობდნენ ჩვენებური ძველი მთავრობის სკოლები, რომელთა უპირველესი

მიზანი მოზარდ თაობისათვის გონების ახსნა და განვითარება კი არ იყო, არამედ სხვადასხვა მოზარდ თაობის გადაგვარება და მათთვის საჭირო ბიუროკრატ მოხელეების აღზრდა“ (106, 13).

დისერტაციის პირველ თავში უკვე აღვნიშნე, რომ ეს პერიოდი ნაციონალიზმის და სოციალიზმის ქადაგების დროა და ამიტომ განსხვავებული იდეები არსებობდა. ყველა მიმდინარეობა, თუ ორგანო საკუთარი იდეოლოგიის მოხვევას ცდილობდა ხალხზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც სკოლა იყო. რამდენადაც ეროვნულ მოღვაწეებს სკოლის საშუალებით ნაციონალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო იდეების ქადაგება სურდათ, იმდენად რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მიზნების გახორციელებისთვის იყენებდა. მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში ყველა სოციალური ფენის ჩართვა გახდა საჭირო დღის წესრიგში დადგა საზოგადოების ერთიან იდეაზე შეკავშირება. ეს ფუნქცია სკოლას უნდა შეესრულებინა. „ერთადერთი საშუალება სახელმწიფოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის სწავლა-განათლებაა. დემოკრატიული სახელმწიფო ვერ უშველის საქმეს, თუ ხალხი, მასსა მოკლებულია თვითშეგნებას, გათვითცნობიერებას“ (135, 3).

გარდა იმისა, რომ ქართული ინტელიგენცია დაინტერესებული იყო სკოლების გახსნით, რომლის საშუალებით უნდა მომხდარიყო ეროვნული ცნობიერების ამაღლება და განათლების დონის აწევა, ამასთან რუსეთის ხელისუფლება ასევე დაინტერესებული იყო სკოლების გახსნით, რომლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქართველების გარუსება. 1901-1902 სასწავლო წელს თბილისის გუბერნიაში სულ 197 დაწყებითი სახალხო სკოლა ირიცხებოდა, ქუთაისის გუბერნიაში კი—223. სულ ორივე გუბერნიაში 420 დაწყებითი სასწავლებელი არსებობდა, მაშინ, როდესაც სასკოლო ასაკის ბავშვთა 67% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი. 1904 წელს 543-ის ნაცვლად, ერთი წლის შემდეგ პირველდაწყებითი სახალხო სკოლების რიცხვი 513-მდე შემცირდა, ხოლო 1906 წელს ეს რაოდენობა 491-დემდე დავიდა. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ 59 სასწავლებელი დახურა. საქალაქო და სასოფლო ერთკლასიანი და ორკლასიანი სკოლების ქსელი საქართველოში 1907-1908 წ.წ. რეაქციის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა.

1913 წლისთვის სახელმწიფოს გამგებლობაში საქართველოში იყო ვაჟთა და ქაღთა 23 გიმნაზია, 4 პროგიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 2

სამასწავლებლო ინსტიტუტი, 25 სამოქალაქო და უმაღლეს დაწვებითი სასწავლებელი და რამდენიმე სკოლა. 1908-1912 წ.წ. განმავლობაში „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს“ საქართველოში არც ერთი საშუალო სკოლა არ დაუარსებია, მაშინ როდესაც მოსახლეობის ინიციატივით, ადგილობრივი სახსრებით გახსნილ იქნა თბილისის მე-6 და ფორის ვაჟთა გიმნაზიები. ახალციხის, ხონის, ბათუმის და ხაშურის პროგიმნაზიები. (263, 26).

საგანმანათლებლო საკითხმა განვითარების სხვადასხვა საფეხურები განვლო. თუ საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა სწავლა-განათლების ქართულ ენაზე აკრძალვას. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ სიტუაცია არსებითად შეიცვალა.

სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი საგანმანათლებლო რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც ხორციელდებოდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ჯერ კიდევ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოში. ამ პროცესებმა საინტერესო განვითარება კპოვა შემდგომ პერიოდში. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე. როგორც ცნობილია, ეროვნული ინატრპარტიული საბჭო შეიკრიბა 1917 წლის 19 ნოემბერს და 20 ნოემბერს კი დაისვა საკითხი სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ჯერ კიდევ 1917 წლის ივლისში, საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოითხოვდა საერთო, უფასო, მშობლიურ ენაზე ყველასათვის სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას (16 წლამდე), მოსწავლეთათვის უფასო სასწავლო ნივთების, ტანისამოსის, სადილის და სხვ. მიცემას, სკოლისგარეშე და სასკოლო ასაკამდე სწავლა-განათლების მოწოდებას, უფასო კლუბების, კურსების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, ექსკურსიების ორგანიზაციას, საბავშვო სახლების, ბაღების და სხვა (250, 146).

1917 წლის სექტემბერში ეს მოვლენა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. უურნალ „განათლების“ 1917 წლის №6-7 ვკითხულობთ: „გამოქვეყნდა კავკასიის დროებითის საგანგებო კომიტეტის დებულება სკოლების ნაციონალიზაციის ანუ

გაეროვნების შესახებ. ამ დებულებით წრეულ საშუალო სასწავლებლებისათვის სავალდებულოა ნაციონალიზაციის მოხდენა საანბანო და პირველ მოსამზადებელ კლასში, ხოლო სხვა კლასებში კი მისი მოხდენა დამოკიდებულია საპედაგოგიო საბჭოს აზრზე. თუ საბჭო დაინახავს მოსახერხებლად სხვა კლასებშიც შემოდებულ იქნას სწავლა სამშობლო ენაზე, მას ეძლევა უფლება ამ კლასებშიც განახორციელოს ნაციონალიზაცია.“ (172, 4).

აღნიშნულის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ დოკუმენტს: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე № 20. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1917 წლის 5 სექტემბრით. „კავკასიის სასწავლო ოკრუგის მითითებით საბჭო ვარაუდობს სასწავლო წლის დაწყებისას მოახდინოს დამწყები და მოსამზადებელი კლასების ნაციონალიზაცია საშუალო სასკოლო დაწესებულებებში. რაც შეეხება კლასებს, მათი ნაციონალიზაცია არ მოხდება სასწავლო წლის დაწყების დროს, საბჭო დადგენილებით გააცნობს მათ გაძლიერებულ და სავალდებულო სწავლების ნაციონალურ საგნებს. ნაციონალურ საგნებად შეიძლება გავიგოთ: მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია. 1917-1918 სასწავლო წელს საოლქო კომისარიატმა დაადგინა გაკვეთილების შემდეგი რიცხვი ნაციონალური საგნებიდან: მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში – 5 საათი, 1, 2, 3, 4 კლასებში 4 საათი, დანარჩენ უფროს კლასებში 3 საათი კვირაში“ (24, 17).

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მასწავლებლების შერჩევის საკითხი. რაც შემდეგნაირად იქნა გადაჭრილი.

1. პირი, უმაღლესი განათლებით მიღებული იქნება საშუალო და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საბჭოს შეფასებით და გადაწყვეტილებით.

2. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქნება დამტკიცებული გიმნაზიების 1-4 კლასების ხელმძღვანელები, რეალური სასწავლებლების და დაწყებითი სასწავლებლის პირი, რომელსაც აქვს დასრულებული ის საშუალო სასწავლო დაწესებულება, რომლებიც იღებენ სპეციალურ განათლებას ნაციონალურ საგნებთან შესაბამისობაში. ასეთ სასწავლო დაწესებულებებად კომისარიატი თვლის: ა) ქართული ნაციონალური საგნებისთვის: ქართული გიმნაზია – თბილისის და ქუთაისის, მართლმადიდებლური სასულიერო

სემინარია – თბილისის და ქუთაისის, ეპარქიალური სასწავლებელი – თბილისის და ქუთაისის გუბერნიის, თბილისის ქალთა სამასწავლებლო სემინარია „განათლება“. ბ) სომხური ნაციონალური საგნებისათვის ყველა სომხური საშუალო სასწავლო დაწესებულება. გ) თურქული ნაციონალური საგნებისათვის: ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულება თურქული ენის ხელმძღვანელობით და მედრესე.

3. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ წინა პარაგრაფში მითითებული ცენზი, კომისარიატის კანონის და სასწავლო ოკრუგის მითითების შესაბამისად დაიკავებენ შტატს (24, 18).

ცალკე პუნქტად იყო განსაზღვრული ნაციონალური საგნები.

საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში კავკასიაში ნაციონალური საგნების სწავლებაზე.

1. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებელში მიმდინარეობს სწავლება ნაციონალური საგნებით.

2. ნაციონალური საგნებიდან იგულისხმება მშობლიური ენა მის ლიტერატურულ ფორმებში, ნაციონალური ლიტერატურა და მისი ისტორია, ნაციის ისტორია, ნაციონალური გეოგრაფია და მუსულმანებისთვის შარიათი.

3. ნაციონალური საგნების სწავლება წარმოებს სასწავლო პროგრამის მიხედვით, დამტკიცებული ნაციონალური-სასწავლო კომისარების მიერ, ნაციონალური საბჭოს თანხმობით.

4. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში დაფუძნდება ნაციონალური საგნების მასწავლებლის საშტატო თანამდებობა კავკასიის ხალხში.

5. კავკასიის სასწავლო ოკრუგის გადაწყვეტილებით კომისარიატი განსაზღვრავს მოსწავლეებისათვის რომელი ნაციაა და ნაციონალური საგნების მასწავლებლების რამდენი საშტატო ერთეული შეიძლება იყოს დაწესებული ყოველ სასწავლო დაწესებულებაში. (24, 20).

ბუნებრივია ეს პროცესი ასევე გრძელდება დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში და განვითარების ახალ ფაზაში შედის. გარდა იმისა, რომ სკოლები იხსნება მოსწავლეებისთვის, ასევე არსებობს საპედაგოგიო მოსამზადებელი

კურსები, სადაც მასწავლებლები ეუფლებიან ეროვნულ საგნებს. „დასავლეთ საქართველოში საშუალო სკოლათა მასწავლებლების კავშირის გამგეობამ გახსნა ქალაქ ქუთაისში მიმდინარე წლის 17 ივნისიდან საზაფხულო კურსები საშუალო და დაბალი სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად – ქართულ ენაში, სიტყვიერებაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში. კურსები განზრახულია 150 მსმენელისათვის, აქედან 121 – უკვე ქუთაისში იმყოფება და ლექციებს ისმენს. კურსების შენახვა ორი თვის განმავლობაში ჯდება ოცდაათი ათას ორასი მანეთი (30. 200 მან.) (27, 1). „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოთხი პედაგოგიური სასწავლებელია: თბილისის საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. ამ სასწავლებელთა მიზანია – სახელმწიფოსათვის სახალხო მასწავლებელთა მომზადება (24, 4). სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის საკითხში განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურობდა ერობა. 1920 წლის მონაცემებით „ერობას აქვს 74 სკოლა, მათ შორის სამი უმაღლეს დაწვებითი. ამ 74 სკოლიდან 9 პირველდაწვებითი სკოლა არ მოქმედებს. მასწავლებელთა რიცხვი უდრის 102 კაცს, ხოლო მოწაფეთა რიცხვი 3942 ბავშვი“ (12, 5).

ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილი აცნობიერებდა იმას, რომ სწავლა-განათლების საკითხს საქართველოსთვის ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ერობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც. „ძველი რუსეთის თვითმპყრობელობის დროს სკოლებს გარეგნულად მაინც ყურადღებას აქცევდნენ. ჰსენიდნენ სკოლებს, ამუშავებდნენ სკოლათა ქსელს, აშენებდნენ სოფლის საზოგადოებათ სკოლებისათვის შენობას და სხვა. 1914 წელს მაზრაში 54 სკოლა იყო, მასწავლებელთა რიცხვი -74, მოწაფეთ – 3182. ერთი სკოლა მოდიოდა 1810 მცხოვრებზე /მცხოვრებლები მაზრაში დაახლოებით ითვლებოდნენ 9777 77 სული/, 163 ბავშვზე /სასკოლო ასაკის ბავშვები ითვლებოდნენ 8786/ და 74 კვადრატულ ვერსზე /მაზრის სივრცე უდრის 400, 408 კვ. ვერსს/. სოფლების ერთ მესამედში იყო სკოლები დაარსებული. /მაზრაში სულ 152 მოზრდილი სოფელია/. ერთი მოწაფე მოდიოდა 31 მცხოვრებზე და 2, 75 სასკოლო ასაკის ბავშვზე. ასე რომ სასკოლო ასაკის ბავშვების 36% სწავლობდა, დანარჩენი კი 64% სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. ამნაირად რაღაც კეთდებოდა ძველ დროშიაც ხალხის გასანათლებლად, მაგრამ ეს მარტო პირველ შეხედვით. სკოლა არ ემსახურებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას: ეს, ერთი მხრივ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის იარაღი იყო ქართველი

ერის გასარუსებლად და მეორე მხრივ – ერთგულ მოხელე-ჩინოვნითა კადრის მოსამზადებლად. ამ ორი მიზნის გარშემო ტრიალებდა უმთავრესად ჩვენში სწავლა-განათლების საქმე. სამშობლო ენა, როგორც ცალკე საგანიც კი განდევნილი იყო სკოლებიდან, პედაგოგიური პრინციპები დავიწყებული. სკოლაში, ცოცხალი, შრომის პრინციპებზე დამყარებული სწავლის მაგიერ, ცხოვრებიდან დაშორებული წიგნობრივი, სხოლასტიკური სწავლა იყო გამეფებული. სკოლების ტიპიც სხვადასხვანაირი იყო. 54 სკოლიდან 18 ე.წ. სამრევლო სკოლა იყო, დანარჩენი – სამინისტრო. პირველში თუ საღმრთო სჯული და ღოცვები სჭარბობდა, მეორეში ბავშვებს მეფის თვითმპყრობელობისადმი სიყვარულს უნერგავდნენ. სამრევლო სკოლები ყოველმხრივ უარესად იყვნენ მოწყობილი, ვიდრე სამინისტრო სკოლები.“ (17, 16). ბუნებრივია ასეთ მდგომარეობაში არსებული სკოლები ვერ აძლევდნენ მოსწავლეებს სათანადო განათლებას. ამიტომ განათლების მხრივ საგანგაშო მდგომარეობა იყო. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი ახალი ეტაპი დაიწყო, რაც მთლიანად ითვალისწინებდა სკოლების მდგომარეობის და განათლების სისტემის გაუმჯობესებას.

როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, განათლების სამინისტროსთან ერთად ამ კუთხით აქტიურად მოღვაწეობდა ერობა. „საანგარიშო წლის ბოლოს 1920 წლის 1 ივლისს ასეთი სურათია: მაზრაში სულ შტატით ითვლება 74 სკოლა და მათ რიცხვში სამი უმაღლესი დაწყებითი და 103 მასწავლებელი, მოწაფეთა რიცხვი უდრის 3942, სასკოლო ასაკის ბავშვი 9300 იქმნება, მაზრის მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით 103000 უდრის. ამნაირად ერთი სასწავლებელი მოდის 1365 მცხოვრებზე, 125 სასკოლო ჰასაკის ბავშვზე 53 მოწაფე. ერთი მოწაფე მოდის მცხოვრებთა 25 სულზე და 2, 3 სასკოლო ჰასაკის ბავშვზე; 43% სასკოლო ბავშვებისა სწავლობდნენ, დანარჩენი 57% სკოლის გარეშე რჩება. მაზრაში 152 მოზრდილი სოფელია, სადაც სკოლები უნდა გაიხსნას. ამ ადგილების ორ მესამედში სკოლები დაარსებულია.“ (17, 18).

1918 წლის 13 სექტემბრის განათლების სამინისტროს მონაცემებით „სახალხო განათლება საქართველოს ყველა ნაწილებში ერთნაირად არ არის გავრცელებული. ამ მხრივ დასავლეთი საქართველო შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება. ამიტომ ამ ხანად მთავრობის განსაკუთრებული

ყურადღება აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ თბილისის გუბერნიას უნდა მიექცეს. აქ ორგვარი დაბალი სასწავლებელი არსებობს: პირველდაწყებითი და უმაღლესდაწყებითი. ორისავე ტიპის სკოლების რიცხვი მეტად მცირეა. განსაკუთრებით უმაღლეს პირველდაწყებითია. ამის გამო პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი, უმეტეს შემთხვევაში, ან სრულიად ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას, ან და იძულებულნი არიან ფრიად დიდი შრომა და ენერჯია დახარჯონ, რომ საწადელს მიაღწიონ და სადმე უმაღლესდაწყებით სასწავლებელში შევიდნენ, მაგალითად: თბილისის მაზრაში 60 პირველდაწყებითი, 1 და 2 კლასიანი სასწავლებელია და არც ერთი უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი არ მოიპოვება, გარდა თვით ქალაქ თბილისისა, გორის მაზრაში 117 პირველდაწყებითი სასწავლებელია და მხოლოდ ერთი მთავრობის უმაღლესდაწყებითი; დუშეთის მაზრაში 32 პირველდაწყებითი სასწავლებელია და არც ერთი უმაღლესი საფეხურისა, გარდა ქალაქ დუშეთში არსებული უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლისა, რომელიც საზოგადოების ხარჯით ინახება.“ (17, 48).

სასწავლო დაწესებულებების გახსნა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის გაზრდა ბუნებრივია ემსახურებოდა ერთ მიზანს საზოგადოების საგანმანათლებლო დონის და ეროვნული შეგნების ამაღლებას. იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს მართალია არსებობდა სკოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ განათლების მიღებას ართულებდა რუსულ ენაზე წარმართული სასწავლო პროცესი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ხელისუფლებამ განაგრძო ჯერ კიდევ 1917 წლის თებრევლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ აღებული კურსი და სკოლების ნაციონალიზაციის პროცესი დააჩქარა, რაც პირველ რიგში გამოიხატა ქართული ენის უფლებების გაზრდით, რასაც ართულებდა მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა. ამაზე ქვევით ვისაუბრებ, თუმცა მანამდე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ საინტერესო დოკუმენტზე, სადაც ქართული ენის შესახებაა საუბარი. „ქართული ენისა და სიტყვიერების პროგრამა საშუალო სკოლისათვის.

უმცროსი განყოფილება:

1. უმცროსი განყოფილებაში შესვლის დროს მოწაფემ უნდა იცოდეს გარკვეული წერა-კითხვა.

2. ორი წლის განმავლობაში მან უნდა შეითვისოს თავისუფალი და შეგნებული კითხვა, აგრეთვე წაკითხულის გადმოცემა თავისი სიტყვით.
3. ცოდნა ზეპირად და შეგნებით საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელოდან.
4. სიტყვიერად გადმოცემა თავის შთაბეჭდილებათა-ნახულისა და გამოგონილისა.
5. წერა მოკლე ფრაზებისა და წიგნიდან გადმოწერა, ან წაკითხული სტატიების შინაარსის წერილობითი გადმოცემა, აგრეთვე თავისუფლად წერა მოკლედ საკუთარ შთაბეჭდილებათა.

უფროსი განყოფილება:

1. თავისუფალი, შეგნებული კითხვა და წაკითხულის გადმოცემა ლიტერატურულის ენით.
2. ზეპირად ცოდნა, საჭირო განმარტების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნებიდან.
3. თავისუფლად აღწერა საგნებისა და სურათებისა, აგრეთვე გადმოცემა საკუთარ შთაბეჭდილებათა-ნახულისა და გაგონილისა.
4. წერითი სავარჯიშოები: საგნებისა და სურათების აღწერა, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა წერით, საკუთარ შთაბეჭდილებათა მოკლედ გადმოცემა, აგრეთვე ნახულ-გაგონილისა და შემთხვევებისა საკუთარის ცხოვრებიდან.
5. ამავე განყოფილებაში მასწავლებელმა მოწაფეებს უნდა გადასცეს ცოცხალის საუბარით პირველდაწყებითი ცნობანი გეოგრაფიიდან საზოგადოდ და სამშობლო ქვეყნის აღწერილობითიდან კერძოდ, დაახლოებით შემდეგის გეგმით: საკლასო ოთახის მოწყობილობა და მისი გეგმა, მთელი სასწავლებლისა და მისი კარმიდამოს გეგმა და მოკლედ აღწერა და გეგმა იმ ქალაქის ან დაბისა, სადაც სასწავლებელია, მახლობელი მთა და მთის ნაწილები, მახლობელი მდინარე და მდინარის ნაწილები, ქვეყნის კუთხეები; საქართველოს ის კუთხე, სადაც სკოლა იმყოფება; საქართველო და მისი მთავარი ნაწილები, მთები და მდინარეები, აგრეთვე ქალაქები და შესანიშნავი ადგილები, საზოგადო ცნობანი კავკასიაზე. (29, 4-5).

ამას გარდა გაწერილი იყო სასწავლო პროგრამა, რომელიც ისწავლებოდა 1-8 კლასებში. ბუნებრივია აქ სრულად ვერ მოვიყვან პროგრამას, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებებიც ისწავლებოდა სკოლებში. ესენია: იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, რაფიელ ერისთავი, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური, შიო არაგვისპირელი და სხვა.

ის ფაქტი, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა ხელისუფლების მიერ გატარებული კანონების განხორციელებას ართულებდა. ასეთივე დამოკიდებულება იყო ქართული ენის საკითხთან. „სამინისტრომ მოახდინა ანკეტა, გამოსარკვევად იმისა, სურთ თუ არა ქართველ მშობელთ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ, დასტოვონ თავისი შვილები მთავრობის იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლება მოწაფეთა დედა ენაზე იქმნება და დღემდე მიღებულის ცნობებიდან სჩანს, რომ თითქმის არც ერთის არა ქართველ მშობელს არ სურს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა /ქვეშევრდომობა/ და ამავე დროს კი ყველა დაუინებით მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ გაუხსნას მათ სრულუფლებიანი სკოლები სახელმწიფო ხარჯით“ (27, 8). „განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ ქართული ენა სავალდებულო უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა სკოლაში, მაგრამ ვინაიდან არა ქართველ მოწაფეთ ქართული სრულიად არ იციან და ზოგის მათგანის ჩვენში ყოფნას დროებითი ხასიათი აქვს, შეუძლებელი იქმნებოდა სახელმწიფო ენის შემოღება დაუყონებლივ ყველა კლასში. ჯერ-ჯერობით მოსახერხებელი იქნება მხოლოდ პირველ ოთხ კლასში სავალდებულოდ, ზევით კლასებში კი მსურველთათვის.“ (27, 52).

საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა კითხვარი და დაგზავნა ცალკეულ მხარეებში იმის გასაგებად, თუ როგორი მდგომარეობა იყო ქართულ ენასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ უმრავლეს რეგიონში საქმის წარმოებაში რუსული ენა იყო გაბატონებული, რაც ართულებდა პრობლემის მოგვარებას. (15). სკოლების გახსნასთან ერთად დიდი ადგილი ეკავა უნივერსიტეტის საკითხს. ამასთან დაკავშირებით არაერთ ნაშრომში ყოფილა ყურადღება გამახვილებული. ამჯერად ჩემი მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის წარმოჩენა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საკითხში. ამიტომ უნივერსიტეტის როლსაც ამ კუთხით შევეხები. თავიდანვე

მინდა ხაზი გავუსვა იმ მიმე ვითარებას, რომელშიც უნივერსიტეტი იმყოფებოდა. „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავიდანვე ცდილობდა მკვიდრი საძირკველი ჩაჰყოდა ამ დიდ სამეცნიერო დაწესებულებას. საქმის კარგად მოსაწყობად საბჭომ დაინახა პირადი შედგენილობის გადიდება. პროფესორთა რიცხვის გადიდება განსაკუთრებით სტუდენტთა რიცხვის ერთი-ორად გადიდებით აიხსნება, რომელთა რიცხვი ამჟამად ორი ათასამდე აღწევს. მათ ხელმძღვანელობს 27 პროფესორი... მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი კრიზისს განიცდიდა მატერიალური მხრივ, ის მაინც ცდილობდა ბიბლიოთეკისათვის აუცილებელი წიგნები შეეძინა. რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის შემდეგ პროფესორთა საბჭო ცდილობდა წიგნები ჩვენი საზღვრებიდან არ გასულიყო. მართლაც მაშინ უნივერსიტეტმა ბევრი წიგნები გადაარჩინა და შეინახა. ძველი გამოცემებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია, აკლია მხოლოდ ახალი გამოცემები, ურომლისოდ უნივერსიტეტს არსებობა არ შეუძლია. დღემდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავისთვის დახარჯულია 18. 880. 994 მან; შემოწირულება 20. 304. 6000 მან. სულ უნივერსიტეტის წიგნთსაცავში მოიპოვება დაახლოებით 42. 868. 430 მან. ღირებულების წიგნები. (13, 16).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ემატებოდა კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო სკოლებში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებთან. განსხვავებით სოფლის სკოლებისგან, სადაც გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ამ მხრივ, ქალაქის სასწავლო დაწესებულებები გამოირჩეოდა ეროვნულ უმცირესობათა სიმრავლით. ეს პრობლემა ასევე არსებობდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წინაშე სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტა დადგა დღის წესრიგში. 1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი პრობლემა მოიტანა. ეს დაკავშირებული იყო, როგორც ეროვნული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნება-აღორძინებასთან, ასევე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ხასიათის რეფორმებთან, რომლებიც საბოლოო ჯამში ქართული საზოგადოების ცნობიერების ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევას ითვალისწინებდა. სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდაქმნებთან და ღონისძიებებთან ერთად მოსაგვარებელი იყო

ყველა ის პრობლემა, რომელიც რუსული მმართველობის გადმონაშთს წარმოადგენდა. ეს პირველ რიგში ეხებოდა განათლების სისტემას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმართვა. ამასთან გასათვალისწინებელი იყო მოსწავლეების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია ამ პერიოდში საქართველოს სკოლებში, განსაკუთრებით თბილისის სკოლებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავლად სწავლობდნენ. თბილისის ვაჟთა გიმნაზიებში, მაგალითად, ითვლებოდა 1736 ქართველი. 1624 რუსი და 1477 სომეხი მოსწავლე. სხვა ეროვნებათა რიცხვი მცირე იყო. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებია ქართული, სომხური და რუსული გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული – რუსულ-სომხური გიმნაზია. ასეთივე რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებში.

1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქალთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი და 4 საოსტატო სემინარია, 3 რეალური და 3 კომერციული სასწავლებელი. ასევე სახალხო განათლების უწყებაში არსებულ საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წლის სტატისტიკური ცნობის მიხედვით საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქალთა კერძო გიმნაზიები – 26, რეალური სასწავლებელი – 3, საკომერციო სასწავლებელი – 2, საბუღალტრო კურსები – 8. დაწყებითი, დაბალი და მაღალი ტიპის სკოლები სწავლა-განათლების საერთო სისტემაში შედიოდნენ, მაგრამ ცალკე აღირიცხებოდნენ. 1919 წელს მთელ საქართველოში მოქმედებდა 1860 პირველდაწყებითი სკოლა, საიდანაც მხოლოდ 120 იყო არაქართული (217, 262).

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და ბუნებრივია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს პირველ რიგში

გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას.

ამ მიმართულებით მოღვაწეობას ართულებდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სკოლების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ჩამოსახლებას შეუწყო ხელი, რამაც მთელი სიმწვავეთ თავი იჩინა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1918 წლის მონაცემებით ზოგიერთ სკოლებში ქართველებს არაქართველები სჭარბობდნენ.

განათლების სისტემის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივის ფონდი 1935, საქმე № 249

ქალთა ეროვნული შემადგენლობა სახაზინო გიმნაზიებში: „ქართველნი-972, სომხები-1555, თათრები-47, რუსები-2065, ურიები-209, გერმანელი-55, პოლონელები-117, გამოურკვეველი-72. კერძო გიმნაზიები: ქართველი-560, სომხები-131, თათრები-2, რუსები-62, გამოურკვეველნი-122 გერმანელი-1, პოლონელი-1.

ვაჟთა სახაზინო გიმნაზიები: ქართველნი-687, სომხები-1313, თათრები-72, რუსები-950, ურიები-176, გერმანელი-28, პოლონელი-26, გამოურკვეველნი-69. კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446, ბერძნები-76, ურიები-257, პოლონელი-26, სპარსნი-2, უკრაინელები-2, გამოურკვეველნი-85, ინგლისელი-1, აისორნი-1.

ვაჟთა კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446, ბერძნები-76, ურიები-257, გერმანელი-28, პოლონელი-26, სპარსნი-2, უკრაინელი-2, გამოურკვეველნი-85, აისორნი-1, ინგლისელი-1.

კადეტთა კორპუსი და ორი კომერციული და რეალური სასწავლებლები: ქართველნი-462, სომხები-805, თათრები-70, რუსები-771, ბერძნები-9, ურიები-52, გერმანელი-54, პოლონელი-71, ოსები-1, ქართველი ისრაელი-4, გამოურკვეველნი-38“ (25. 1, 2).

ცალკეა გამოყოფილი კერძო გიმნაზიების მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში.

6. ქართული საქალბო გიმნაზია – 309 – ქართველი.
7. ბეროზაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი – ქართველნი – 50, სომხები – 12, რუსები – 14.
8. ბილანაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი – ქართველნი – 180.
9. მაშენკოსი და ტიხომიროვის გიმნაზია, ქართველნი – 15, სომხები – 28, რუსები – 48, თათრები – 2, პოლონელნი – 1, გერმანელები – 1, ურიები – 1.
10. გრიაზნოვის გიმნაზია სქესთა განურჩეველი, ქართველები – 6.
11. გიმნაზია ლისიციანის სქესთა განურჩეველი, სომხები – 91“ (25, 11).

ვაჟ მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა რეალურ, კომერციულ და კადეტთა კორპუსისა.

1. კადეტთა კორპუსი: ქართველნი – 66, სომხები – 26, თათრები – 14, რუსები – 273, ოსები – 1, ინგილოელნი – 4, პოლონელნი – 12, გერმანელნი – 9, გამოურკვეველნი – 3.
2. კომერციული I: ქართველნი – 84, სომხები – 453, თათრები – 33, რუსები – 78, პოლონელნი – 13, გერმანელნი – 18, ურიები – 21, გამოურკვეველნი – 16.
3. კომერციული II: ქართველნი – 132, სომხები – 138, თათრები – 13, პოლონელნი – 6, გერმანელნი – 2, ურიები – 14, ბერძნები – 9.
4. რეალური: ქართველნი – 180, სომხები – 138, თათრები – 10, რუსები – 40, პოლონელნი – 40, გერმანელნი – 25, ურიები – 17, გამოურკვეველნი – 19“ (25, 19).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთარობის დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა „სქესთა განურჩეველი სასწავლებლების დაარსებაზე.“ ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საქმე № 249. „მოსწავლეთა რიცხვი ნაძალადევის 8 კლასიანი, კლასიკური ქალ-ვაჟთა კერძო ელენე ბილანაშვილის გიმნაზიისა.

3 კლასი: ქალები – 30, ვაჟები – 6

2 კლასი: ქალები – 35, ვაჟები – 16

1 კლასი: ქალები – 27, ვაჟები – 13

1 კლასი (პარალელური) ქალები – 32, კაცები – 14

უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 24, ვაჟები – 32

უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 35, ვაჟები – 21

უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (ქართული) – ქალები – 27, ვაჟები – 23

უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (რუსული) – ქალები – 22, ვაჟები – 27

საანბანო განყოფილებები:

1. საანბანო ქართული: ქალი – 20, ვაჟი – 10

2. საანბანო რუსული: სულ 12 ქალი, 13 ვაჟი

მთელ სასწავლებელში ირიცხება 473 მოსწავლე: ქართველნი – 325, რუსი – 103, სომეხი – 24, ოსები – 12, აისორნი – 6, ბერძენი – 2, ებრაელი – 1“ (25, 2. 20).

ვაჟთა კერძო გიმნაზია, მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში, 1918 წელი, 17 ივლისი.

1. ვაჟთა ქართული გიმნაზია: ქართველნი – 796

2. ვაჟთა სასულიერო გიმნაზია: ქართველნი – 245.

3. ბილანიშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი: ქართველი – 90, გამოურკვეველნი – 60

4. ბეროზაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი

5. ქალ მასწავლებელთა გიმნაზია: ქართველნი – 74, სომეხები – 33, რუსები – 18, გამოურკვეველნი – 8

6. გიმნაზია ტრაფიმენკოსი: ქართველნი – 25, სომხები – 16, რუსები – 25, ურიები – 10, გერმანელნი – 8, პოლონელნი – 1, სპარსელი – 1, ბერძენი – 1
7. გრიაზნოვის გიმნაზია: ქართველნი – 5
8. ახალი სკოლის გიმნაზია: ქართველნი – 5, სომხები – 97, რუსები – 5, ურიები – 2, პოლონელი – 1, თათრები – 5
9. ლევანდოვსკის გიმნაზია: ქართველნი – 63, სომხები – 119, რუსები – 119, ურიები – 10, გერმანელნი – 5, პოლონელნი – 7, თათრები – 4
10. მე-2 სახალხო გიმნაზია: ქართველი – 7, სომხები – 5, რუსები – 9
11. გიმნაზია მეორე მასწავლებელთა ჯგუფისა: ქართველნი – 6, სომხები – 38, რუსები – 37, ურიები – 6, პოლონელნი – 2, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 5
12. თევზაძის გიმნაზია: ქართველნი – 21, სომხები – 8, რუსები – 30, ურიები – 7
13. პუშკინის სახალხო გიმნაზია: ქართველნი – 89, სომხები – 248, რუსები – 69, ურიები – 5, გერმანელნი – 4, პოლონელნი – 2, ბერძენი – 6, თათრები – 6, ქართველი ურიები – 35
14. მასწავლებელთა ჯგუფის გიმნაზია: ქართველნი – 14, სომხები – 21, რუსები – 13, ურიები – 6, გერმანელნი – 2, პოლონელი – 6, თათრები – 2
15. რეალური სასწავლებელი პირაგოვისა: ქართველნი – 5, სომხები – 4, რუსები – 17, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 1
16. მასწავლებელთა ამხანაგობის გიმნაზია: ქართველი – 14, სომხები – 17, რუსები – 33, თათრები – 2, გამოურკვეველნი – 2
17. ტერ-სტეპანოვის გიმნაზია: ქართველნი – 3, სომეხი – 15, ურიები – 2
18. ებრაელთა გიმნაზია: ქართველი – 9, სომხები – 52, რუსები – 19, ურიები – 207, გერმანელი – 4, პოლონელნი – 3, თათრები – 2, უკრაინელნი – 2
19. ბერძენთა გიმნაზია: ბერძენი – 75
20. სომეხთა გიმნაზია ლისიციანისა: ქართველნი – 1, სომეხი – 232, რუსი – 9, გერმანელნი – 2, პოლონელნი – 2“ (26, 22).

რაც შეეხება საქართველოს ცალკეული რეგიონების სკოლებში მოწაფეთა ეროვნულ შემადგენლობას, თბილისთან შედარებით ქართველები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. 1919 წლის მონაცემებით მდგომარეობა შემდეგია:

„ფოთის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-280, სომხები-1, რუსები-53, სხვა ეროვნებები-47.

ფოთის ქალთა გიმნაზია: ქართველები-271, რუსები-4.

თელავის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-279, რუსები-5, სხვა ეროვნებები-2.

თელავის წმინდა ნინოს გიმნაზია: ქართველი-321, სხვა ეროვნებები-2.

გორის ქალთა გიმნაზია: ქართველები-209, რუსები-1, სხვა ეროვნებები-8.

გორის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-224, სომეხი-78, რუსები-46, სხვა ეროვნებები-20.

ზესტაფონის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-299, სხვა ეროვნებები-2.

ზესტაფონის ქალთა გიმნაზია: ქართველები-258, სხვა ეროვნებები-1“ (28, 1).

როგორც მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისის სკოლებში საკმაოდ მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების მთავარი მიზანს წარმოადგენდა რესპუბლიკის ყველა სკოლაში ქართველი მოსწავლეების რიცხვის გაზრდა. აღნიშნულის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას წარმოადგენდა ქართულ ენაზე წარმოებული სწავლა-განათლების შემოღება.

ეროვნულ უმცირესობათა მრავალრიცხოვნობამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა ქართულ ენაზე წარმოებული სასწავლო სისტემის ჩამოყალიბებისათვის. „განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სასწავლო გეგმა საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის და უკვე სათანადო განკარგულებაც მოახდინა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. დარჩა გაურკვეველი მხოლოდ საკითხი სახელმწიფო ენის სწავლებისა არა ქართველთათვის. განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ ქართული ენა სავალდებულო უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა სკოლაში, მაგრამ ვინაიდან არა ქართველ მოწაფეთ ქართული არ იციან და ზოგი მათგანის ჩვენში ყოფნას დროებითი ხასიათი აქვს, შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ენის შემოღება დაუყოვნებლივ ყველა კლასში. ჯერჯერობით მოსახერხებელი იქნება მხოლოდ პირველ ოთხ კლასში სავალდებულოდ, ზევით კლასებში კი მსურველთათვის. რაც შეეხება

საქართველოს ისტორიას, იგიც სავალდებულო უნდა იყოს არა ქართველთათვის, მაგრამ ვინაიდან მოწაფეთ ჯერჯერობით ქართული არ იციან, მისი სწავლება დროებით უნდა მოეწყოს რუსულად.“ (27, 52).

„არაქართულ სკოლებში სწავლა მოწაფეთა სამშობლო ენაზე წარმოებს. პირველდაწყებით სკოლაში სახელმწიფო /ქართული/ ენა არაა სავალდებულო და არც ასწავლიან, თუ თვით მშობლები და მოწაფენი არ მოისურვებენ. ასეა საქმე დაყენებული მაგალითად, დიდი დურნუკის სკოლაში, სადაც სწავლა სომხურ ენაზე სწარმოებს. მაგრამ არის ისეთი სოფლები /შინდისი, კუმისი/, სადაც სომხები ქართველებიდან გრიგორიანობით გამოირჩევიან. სამშობლო ენა ქართულია, ზნე-ჩვეულება ქართული და სხვა. (17, 16). გარდა ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და კერძოდ პარლამენტმა „არ დაივიწყა არც ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და რამდენადაც კი შესაძლებელია ეს, უზრუნველყო მათი ინტერესებიც. ამიტომ ჩვენი კანონით მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ ქადაგების მიცემა და თარგმანების უფასოთ მიღება შეიძლება ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ეროვნული უმცირესობა შეადგენს მცხოვრებთა ცოტათ თუ ბევრად საგრძნობ ნაწილს, ხოლო იქ, სადაც ქართულის არა მცოდნენი უმრავლესობას შეადგენენ, საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენასთან ერთად უმრავლესობის ენაზეც“ (51, 1).

ცალკე მინდა შევეხო საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო და პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებიც საკმაო მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა XX საუკუნის დასაწყისში. მათი მთავარი მიზანი იყო საზოგადოების ფართო ფენების განათლების ამაღლება. „1910 წლის 11 მარტის მონაცემებით გატყობინებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ რაიონში დაკვირვების შედეგად (ბათუმის და ფოთის გარდა) მოქმედებს საგანმანათლებლო და პროფესიული ორგანიზაციები.

1. ქალაქი სოხუმი – საგანმანათლებლო საზოგადოებები:
  - ა) საქართველოს მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ თბილისის საზოგადოება, თავმჯდომარე: მარია ანჩაბაძე.
  - ბ) აბხაზებს შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება, ამ საზოგადოების სათავეში დგას სოხუმის ქალაქის თავის მეუღლე გრაფინია ელენა სოლოგუბი.

ვ) სოხუმის მშობლიური უნივერსიტეტის საზოგადოება, თავმჯდომარე ევგენია სიმონოვა.

დ) სოხუმის ბერძნული საზოგადოება. თავმჯდომარე – გიორგი ზაგრაფოპული.

2. პროფესიული:

ა) სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, თავმჯდომარე, ბოტანიკური და სახაზინო ბაღის გამოცდილი მოღვაწე ვასილ მარკოვიჩი.

ბ) სოხუმის ამხანაგობა, თავმჯდომარე გოლაშევსკი.

3. ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო საზოგადოებები:

ა) ქუთაისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი.

ბ) ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, თავმჯდომარე მოსე ქიქოძე.

4. პროფესიონალური:

ა) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება „კოლხიდა“, თავმჯდომარე იოსებ ქუთათელაძე

ბ) ქუთაისის ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოება, თავმჯდომარე სახალხო სასწავლებლის დირექტორი სემენოვი.

ვ) არალეგალური ორგანიზაცია ქუთაისში, ხელმძღვანელები კობერიძე და დემურია.

5. ყვირილა საგანმანათლებლო

ა) ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაზმაძე

ბ) „ჭიათურის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება“, თავმჯდომარე ივანე აბაშიძე.

6. ჭიათურა-პროფესიონალური

ა) „წვრილ მეწარმეთა ასოციაციის ბიურო“, თავმჯდომარე ალექსანდრე გამრეკელი. (6, 131).

ბათუმის ოლქში არის შემდეგი ლეგალური პროფესიული და საგანმანათლებლო საზოგადოებები:

1. ბათუმის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება.

2. კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილება.
3. ბათუმის ელინური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება.
4. სომხურ-კათოლიკური საგანმანათლებლო საზოგადოება.
5. ბათუმის მექვაბე-მშრომელთა არტელი.
6. ბათუმის აჭარის მშრომელთა არტელი.
7. ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოება „შავი ზღვა“. (6, 133).

### § 3. სარწმუნოება

საინტერესოა გამოიკვეთოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ეს არის სარწმუნოება. მას შემდეგ რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და რუსული მმართველობა დამყარდა, ახალი ეტაპი დაიწყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც. ქართული საზოგადოების მოლოდინი, რომ ერთმორწმუნე რუსეთი განსხვავებულ გზას აირჩევდა და საქართველოს მიმართ დამპყრობლურ პოლიტიკას არ განახორციელებდა არ გამართლდა. ასეთივე ვითარება აღმოჩნდა ქრისტიანობასთან მიმართებაშიც. რუსეთმა 1811 წელს გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და სერიოზული რეფორმები განახორციელა, რაც მის რუსიფიკაციას ისახავდა მიზნად. ეკლესიაში რუსი სასულიერო პირების მოყვანის და რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების შემდეგ ხალხში შეირყა რწმენა. ქართველი სამღვდელოება ამ პრობლემის აღმოფხვრას ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად პრესის საშუალებით შეეცადა, რომლის საშუალებითაც ხშირად მოუწოდებდნენ ქრისტიანობის შესანარჩუნებლად.

დისერტაციის მესამე თავში, როდესაც განვიხილავთ სასულიერო წოდება, როგორც სოციალური ფენა უკვე გამოვკვეთე ქრისტიანობის როლი და სამღვდელოების გავლენა საზოგადოებაზე. ამიტომ ნაშრომის ამ ნაწილში მოკლედ განვიხილავთ სარწმუნოების და კონკრეტულად, ქრისტიანობის დამსახურებას ქართველი ერის ისტორიაში.

დღესდღეობით არავისთვის აღარ არის საკამათო, რომ ქრისტიანობა და ქართველობა საუკუნეების მანძილზე ერთიან კონტექსტში მოიაზრებოდა და ქართველებისთვის ქართველობის დაცვა ქრისტიანობის შენარჩუნებას უდრიდა და პირიქით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თვალსაზრისი დიდი ხანია დამკვიდრებულია, ამიტომ საკითხის ამ მიმართულებით შესწავლა სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ, ცალკე საკითხია რა კუთხით განიცდიდა ცვლილებას ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ქართული საზოგადოების, თითოეული სოციალური ფენის თუ ჯგუფის ცნობიერება.

როგორც უკვე აღვნიშნე, შუა საუკუნეებში, როდესაც სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი მოდიოდა საქართველოს დასაპყრობად, მთავარ დარტყმას სწორედ ქრისტიანობისკენ მიმართავდა. 1900-1917 წლებში ქართველების მთავარი მოთხოვნა რელიგიასთან მიმართებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო და არა ბრძოლა ქრისტიანობის დასაცავად. ე. ი. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე ეროვნული ფასეულობებისთვის ბრძოლა გარკვეულ ცვალებადობას განიცდის და ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება ხდება მნიშვნელოვანი. შემთხვევითი არ იყო, რომ გაზეთმა „ივერია“, რომელიც საქართველოში ნაციონალიზმის მთავარი იდეოლოგი იყო სარწმუნოება მეოთხე ადგილზე, ხოლო ტერიტორიის შემდეგ, მეორე და მესამე კრიტერიუმად ქართული ენა და საგანმანათლებლო დაწესებულებები დააყენა.

როგორც ცნობილია, ქართული ენა, ქრისტიანობასთან ერთად ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. 1900-1921 წლებში ქართული ენის შენარჩუნებისთვის ბრძოლა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მისი კოლონიური პოლიტიკა საქართველოში სამი მიმართულებით წარიმართა: პოლიტიკური, ეკონომიკური, და კულტურულ-საგანმანათლებლო. რუსეთი სამივე მიმართულებით იპყრობდა ქვეყანას, პოლიტიკურად – იარაღით, ეკონომიკურად –

წარმოების კონსოლიდაციით და იაფი ნედლეულის გადაზიდვით, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულება კი ძველთაძველი ქართული კულტურის ტრადიციების მოსპობითა და განათლების ახალი კერების რუსიფიკაციით იგეგმებოდა (218, 301).

რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილ ქვეყანას უპირველესად რუსიფიკატორული პოლიტიკით უნდა დაუფლებოდა. იარაღით დაპყრობილი საქართველო ქართველი ხალხის გარუსებით თუ იქცეოდა იმპერიის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად, მხოლოდ გარუსებული ქართველობა თუ იქნებოდა რუსული გუბერნიების მორჩილი მოსახლეობა. ეს მიზანდასახულობა მხოლოდ სკოლებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუკი ამ სკოლებიდან სრულიად განიდევნებოდა მშობლიური ენა და სწავლება რუსულ ენაზე დაწესდებოდა (218, 301).

რაც შეეხება სკოლებს, ეს სრულიად ახალი მოვლენაა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში. მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ღოიადობის ობიექტი მეფე აღარ არსებობდა, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელეობა. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, ბუნებრივია ნაწილობრივ, რადგან რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო გახდა ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას. სკოლა გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნილებებს უყენებდა. 1. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, გლეხებმა მოიპოვეს პირადი თავისუფლება და საჭირო იყო მათი საზოგადოებასთან დაკავშირება. 2. ქართულ ენაზე წარმოებული განათლება. 3. სკოლების საშუალებით უნდა მომხდარიყო ეკონომიკური, სამეურნეო განათლების ამადლება.

სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის ფაქტი, რომ სარწმუნოება დაყენებული იყო მეოთხე ადგილზე. მიუხედავად ამისა, სამღვდელეობა აქტიურ

ნაბიჯებს დგამდა როგორც ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, ისე საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლის წარმოჩენისთვის. ამისთვის მათ ჰქონდათ სხვადასხვა ბეჭდური ორგანო. ქართველი სასულიერო ფენის ინტერესებს გამოხატავდა გაზეთი „შინაური საქმეები“. 1909 წლის №4-ში ვკითხულობთ: „საჭიროა გავაცნოთ ხალხს ჩვენი მშობლიური ეკლესიის ხასიათი, მისი ღვაწლი არა მარტო ქრისტეს ცხოველმყოფელი მოძღვრების გავრცელება-დამკვიდრებაში, არამედ ქართველი ხალხის ეროვნულად გაძლიერების საქმეშიც. მან შეინახა ჩვენი ერი, სარწმუნოება ამხნევებდა მას მრავალ საუკუნეების განმავლობაში აუარებელ მტრებთან ბრძოლის დროს, აძლევდა ძალას გამოსულიყო ამ უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებულად, შეენახა მას თავისი ეროვნება. თვალსაჩინო იყო ძველი საქართველოს კულტურა, რომლის შექმნაში უმთავრესი წილი უდევს ჩვენს მშობლიურ ეკლესიას. ძველი კულტურის დავიწყება კი ხალხისთვის არ არის სახეირო. ის ხალხი, რომელსაც თავის წარსულს ისტორიულ ცხოვრებასთან კავშირი გაუწყვეტია, მომავალში წარმატებას არ უნდა მოელოდეს“ (156, 1). ქრისტიანობასთან დაკავშირებული თითოეული სტატია მიმართული იყო ქართველებში რწმენის ამაღლებასა და ეკლესიის როლის დასაბუთებაზე. „ეკლესია წარსულში დიდი ეროვნული მოვლენა იყო, ეკლესიის გარშემო იყრიდა თავს სახელმწიფოებრივი ენერჯია, იქ იყო ელემენტი – ერის შემაერთებელი და ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული კულტურა უმთავრესად ეკლესია-მონასტრებში გროვდებოდა. ბერ-მონაზონთა კოლეგია იყო მთავარი მატარებელი სულიერი კულტურის და ეს ქმნიდა სამღვდლოების ბატონობას. დღეს სულიერი კულტურის მეთაურობა მათი იმდენად დაკარგულია, რომ წარსულშიც მათი ასეთი როლი ბევრს არა სჯერა. მაგრამ ქონებრივი კულტურა კი დიდია მოგროვილი ეკლესია-მონასტრებში. ეს ქონება ეკუთვნის ერს, მთელ ხალხს და არა ეკლესიის მსახურთ ბერ-მონაზონთ. იგინი დღემდე მხოლოდ მცველია ამ ქონების“ (54, 1).

გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მემუარებში ყურადღებას ამახვილებდა ქრისტიანობის როლზე საქართველოს ისტორიაში. იგი წარსულში ეკლესიის და ქრისტიანობის მნიშვნელობას ეპოქიდან გამომდინარე მიიჩნევდა. „ქართული ეკლესიის ეროვნულ-მოგერიებითი მოღვაწეობა წინა საუკუნეებში, ერთის მხრით, რამდენიმედ გაადვილებული იყო იმით, რომ მაშინ საქრისტიანო საქართველოს საქმე ქონდა ისლამთან, ამ ორი სარწმუნოებას შორის გაუვალი უფსკრული იყო,

მდგომარეობა და ურთიერთობა მეტად ნათელი, მკაფიო და განსაზღვრული, ამიტომ ამ ხანებში შეუძლებელი იყო მტრისათვის ქართულ ეკლესიაში მეგობრისა და ძმის ქურქით შესვლა და მისი შიგნიდან გადაგვარება და მოშლა. ხოლო რუსეთის მფლობელობის დროს ამ მხრით მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ახალი მპყრობელი თვით იყო ქრისტიანი და ისიც მართლმადიდებელი. ამ გარემოებამ მეტად გაუადვილა რუსეთს, საქართველოს ეკლესიასთან ბრძოლა. ანაფორაში გადაცმული რუსული ნაციონალისტური იმპერიალიზმი ერთმორწმუნეობის საბაბითა და ნიღბით ადვილად შეიჭრა ქართულ ეკლესიაში და მის გარუსებას შეუდგა“ (199, 52).

ამდენად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ 1900-1917 წლებში მართლმადიდებელი ეკლესია მართალია უფლებაშუზღუდული აღმოჩნდა, მაგრამ ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია.

#### § 4. ქალის, დედის საკითხი

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აქტუალურია XX საუკუნის I ოცწლეულში არის გენდერული საკითხი. რაც გულისხმობდა ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებას ეროვნული იდეის განვითარებისთვის ერთობლივი ძალებით. როგორც ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენელი ე. სმითი აღნიშნავს: „ყველაზე აშკარა და ფუნდამენტურია გენდერის კატეგორია. გენდერული კლასიფიკაციები უცვლელი თუ არა, უნივერსალური და ყოვლისმომცველია. მათგანვე გამომდინარეობს სხვა განსხვავებანი და დაქვემდებარებანი. სქესია, ცხადად თუ ფარულად ჩვენი განმსაზღვრელი. ის განაპირობებს მეტწილად ჩვენს შესაძლებლობებსა თუ მიღწევებს“ (269, 4).

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ მედიაში ქალის, დედის როლის წარმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი მხრივ, წარმოდგენილია ქართველი დედის დამსახურება წარსულში და, მეორე მხრივ, გაკრიტიკებულია თანამედროვე ქართველი დედა. ძირითადად აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ტრიალებს ყველა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთი და ცდილობს საკუთარი მოწოდებებით ქართველი დედის გამოფხიზლებას. ეს პროცესი გამოწვეულია

იმით, რომ ქალს დიდ აღმზრდელობით მისიას აკისრებდნენ და მოდერნულ ეპოქაში ამ ფუნქციების გადაგვარებას ხედავდნენ: „დაივიწყა ქართველმა დედანა – ეს დედა ძარღვი ეროვნებისა და ეროვნებასაც საფრთხე გაუჩნდა. აკვნიდან, სკოლაში მიბარებამდე ბავშვს უაზროდ ატიპტიკებენ რუსულ ენაზე და ვინიცობაა ქართული წამოსცდა რამე, ყურსაც კი უწევენ. ქართველი დედა ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის უცოდინარობასთან ერთად ის გულიდან თითქო იცილებს სამშობლოს წინაშე მოვალეობასაც და სრულად მისთვის ახალ უცნობ აზრებს ეტანება. ის ებღაუჭება უცხოელებს, მათ ცხოვრებას ზედმიწევნით იცნობს და ის აქებს ნაპოლეონს, პეტრე დიდს და ამავე დროს უყურადღებოდ ტოვებს დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეორეს და გიორგი ბრწყინვალეს“ (81, 3).

ქართველი საზოგადო მოღვაწეები სკოლაზე არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახს, რომელსაც უნდა უზრუნველყო მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა. „მშობლების აღზრდას უფრო მეტი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ბავშვზე, ვიდრე სკოლას, რადგან დედ-მამის აღზრდის მეთოდი უფრო გავლენიანია ჩვილის გონებაზე. ამიტომ გვმართებს ჩვენ, მშობლებს, უფრო კარგს პირობებში აღვზარდოთ ჩვენი შვილები, რომ სწავლის მიღებისთანავე შეექმნათ იგინი განათლებულათაც. ამისი წყარო კი ურთიერთშორის სიყვარულის ჩანერგვაა, წყნარი ქცევა ყველასთან და გარჯა და შრომა ყველას სასარგებლოდ“ (184, 183). მოტანილი მასალა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ინეტლიგენციის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ ყველა იმ მახასიათებელს, რომელიც ეროვნული იდეალების პროპაგანდას შეუწყობდა ხელს. ქართული ოჯახი ერთ-ერთი ის საშუალება იყო, რომელიც მომავალი თაობის აღზრდაში ეროვნულ მუხტს შეიტანდა. „ოჯახია პირველი და საუკეთესო სკოლა, სადაც იბადება და იზრდება ადამიანის ზნე-ხასიათი. ბავშვის სული, გული და გონება პირველად წარმოადგენს დაუწერელს ქალაქს და პირველად ოჯახში დაიწერება მასზე ასეთი თუ ისეთი სათავე ზნეობისა, ხასიათისა, მიმართულებისა და გრძნობიერებისა“ (189, 7). მაგრამ ამის საწინააღმდეგო იკვეთება: „ქართული ოჯახი კარგა ხანია აღარ არსებობს. ოჯახი არ უნერგავს შვილებს სამშობლო ენის სიყვარულს. არ ასწავლის ამ ენას, ამ ენის ნაწარმოებს. შვილი არა ხედავს ოჯახში არანაირ სიმტკიცეს და მთლიანობას, ზნეობრივ პრინციპებს, ეროვნულ თავმოყვარეობას. საკუთარ ოჯახში იგივეა, რაც სხვის, უცხოს სკოლაში, ერთი მეორის გაგრძელებაა და

დამატება. არც სკოლაშია ქართველობა და არც ოჯახში“ (45, 1).

1901 წლის „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: დღევანდელი ჩვენი დაქვეითება, მოქალაქობრივ გრძნობათა უქონლობა, ზნისა და ხასიათის გათახსირება შეკავშირებულია ჩვენის ოჯახის დაქვეითებასთან. დღევანდელი ქართველი დედა, ეს დედა-ბოძი ჩვენი ცხოვრებისა, არ აკმაყოფილებს აწინდელ ცხოვრების მოთხოვნილებას, ეს მზე და მთვარე ჩვენი ცხოვრებისა აღარ იძლევა სხივს, მისგან მივიწყებული ოჯახის კერა ვეღარ ათბობს ჩვენს გულს. ოჯახი გადაგვარებულია და ჩვენც მიგვიცია თავი ცხოვრების ტალღებისათვის და მისი ძალა საითაც უნდა იქით გვისვრის. გაჰქრა ქართველი დედა და მასთან ერთად ჰქრება ჩვენი სასიქადულო ზნე და ჩვეულება, გამსჭვალულობა საზოგადო საქმისადმი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც წინად ამშვენებდა, მნიშვნელობასა და ძალას აძლევდა ჩვენს ოჯახს, გაქრა დედა და მასთან ერთად ქრება ჩვენი ხასიათიც, ჩვენი აღზრდაც და მისწრაფებაც საქვეყნო საქმისადმი“ (165, 1). გაზეთ ივერიის პუბლიცისტს იპოლიტე ვართაგავას კი ქართველების გადაგვარების მიზეზად ასევე ოჯახი მიაჩნია. „ჩვენებური გადაგვარების გზას დამდგარი ოჯახი ვერ აჩვენებს, ვერ აყვარებს მოზარდ თაობას თავისს სამშობლო ენას და სამშობლო ლიტერატურას და ეს იმისთვის, რომ ჩვენ ოჯახებითგან, ჩვენდა სამარცხვინოდ განდევნილია ქართული წიგნი, ქართული ჟურნალ-გაზეთები. ჩვენს ოჯახში ყმაწვილი ძლიერ იშვიათად მოჰკრავს ყურს ჩვენის ცხოვრების ვარამსა, ჩვენებურ საქმეთა ვითარებასა და მწერლობა ლიტერატურაზედ სჯა-ბაასს. ქართველი დედა – ეს ოდესმე ჩვენის ოჯახის შეურყეველი ბურჯი – ამ საუკუნეში დამახინჯდა, დაფუქსავატდა. მას გაუქრა შეგნება თავისის წმინდა მოვალეობა-მოწოდებისა. ქართველ დედას, სავალალოდ „გარდაეცვალა გული ცხოველი“. წინანდელი გმირების აღმზრდელი ქართველი დედები, რომლებსაც ისე უსაზღვროდ უყვარდათ თავიანთი სამშობლო, რომ მისთვის სასიკვდილოდ იმეტებდნენ ერთადერთ შვილსაც, დღეს ეს სასიქადულო დედები, მოკისკისე „ქალბატონებად“ შეიცვალნენ“ (85, 1). ქართველი ქალის მთავარ ნაკლად, როგორც საუკუნალო თუ საგაზეთო პუბლიკაციებიდან ჩანს, ბავშვების არასწორ აღზრდას მიიჩნევდნენ: „დამნაშავეა ქართველი დედა, რომელსაც დაჰვიწყებია თავისი მოვალეობა და თავის სწავლა-ცოდნას უბრალო, უნაყოფო დროს გატარებაში ჰკარგავს, რის გამოც მისი მისწრაფება-ინტერესები სრულიად ეწინააღმდეგება ნამდვილი დედის ინტერესებს... ამნაირად მე იმ აზრის ვარ, რომ

შვილი დედამ უნდა გამოზარდოს და არა „ნიანკებმა“, ელაპარაკოს მშობლიურ ენაზე, რომ შვილმა იცოდეს თავისი ენა, თავისი ვინაობა და სამსახურის გაწევაც ასწავლოს, როგორც თავის მოძმისას, ისე მთელი კაცობრიობისას“ (183, 8).

ქართველი ქალის იდეალიზებული სახე ერთობის ისტორიულ მესხიერებაში ყოველთვის არსებობდა. XX საუკუნის I ოცწლეულში საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართველი ქალის როლი არსებითად გაიზარდა და ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა. ქართული ენისა და ისტორიული წარსულის პროპაგანდა ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მისი ფუნქცია გახდა. თუმცა ბეჭდურ მედიაზე დაკვირვებიდან იკვეთება, რომ ინტელიგენცია თანამედროვე ქართველი ქალით, ქართველი დედით უკმაყოფილოა და მის კრიტიკასაც არ ერიდება: „თანამედროვე ქართველმა ქალმა ბევრში უკან ჩამოიტოვა ძველი ქართველი დედა, მაგრამ ერთში ჩამორჩა: ის გადაგვარდა, მას აღარ ესმის თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ყოველდღიურობამ, პირადმა ცხოვრებამ შთანთქა ის და დაუკარგა იდეალი. სიმები, რომლებითაც ძველი დედის გული შეერთებული იყო თავის ხალხთან, დღევანდელ დედას თითქმის სრულებით დაუწყდა და მშობელი ერის კვნესა და ვარამი იმის გულს აღარა სწვდება. გადაგვარების სენი განსაკუთრებით ინტელიგენციას და მაღალი წრის ქალებს მოედოთ, რაში ეტყობა დღევანდელ ინტელიგენტ ქალს ქართველობა? ერთი უმთავრესი პირობა ქართველობისა – ქართული ენაც კი აღარ შერჩა“ (80, 3).

ელიტის როლი ყოველთვის, ყველა ისტორიულ ეპოქაში სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ნაციონალური იდეალების შენარჩუნებაში დიდი იყო, თუმცა მოდერნულ ეპოქაში მისი გარკვეული ნაწილი თავის მოვალეობებს ვეღარ ასრულებს და ნაციონალური ერთიანობის მთავარი ელემენტი ქართული ენა დავიწყებული აქვს. „სავალალო მდგომარეობაშია ქართული ოჯახი. ბავშვს აღარ ესმის ოჯახში ქართული ენა, ქართული ლაპარაკი, ქართული აღუფხულია სხვა ლაპარაკში, სხვა ენაში. ჩვენი ინტელიგენტი ხუთ წამს ვერ შეძლებს ქართულად ლაპარაკს, წამდაუწუმ წაურუსულებს. ქალები ჩვენი მომავალი დედები ხომ სულ „პარუსკობენ“ (74, 3).

პრობლემის სრულყოფილად გასაშუქებლად პუბლიცისტები ძველი და თანამედროვე დედების შედარებას ახდენდნენ და ამის საშუალებით

ცდილობდნენ ძველი დედების უპირატესობის დამტკიცებას: „შევადართ გადასული დედები დღევანდელ ქალებს. დღევანდელი ქალები უფრო განვითარებულნი არიან და ნასწავლი გადასულებზე. ძველ დედებს მხოლოდ ერთი საფიქრალი და საზრუნავი ქონდათ, სამშობლო. დღევანდელმა ქალებმა კი უცხო ენები იციან, ზედმიწევნით ფიქრობენ ჩაცმა-დახურვაზე და დრო აღარ რჩებათ, რომ კიდევ სამშობლოზეც იფიქრონ. ძველი დრო სულ სხვა იყო მისი მოთხოვნილებით. ძველმა დედებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ. იმ ენაზე ზრდიდნენ შვილებს და იმ ენაზე ადიდებდნენ ღმერთს. დღევანდელი ქალი ისეთივე თვალტანადია, როგორც მისი წინაპარი. უფრო ნასწავლი, ეგებ უფრო მეტსაც შრომობდეს, მაგრამ ჩვენ რა? ქართველი კი აღარ არის. შეხვდებით განათლებულ ქართველ ქალს, რომელიც ქართულს ვეღარ ახერხებს და კიდევ ექადა: რა საჭიროა და რა უნდა გამიკეთოსო“ (73, 1). იმის დასამტკიცებლად, რომ დედაზეა დამოკიდებული ერის განვითარების მრავალი მომენტი, ჟურნალ-გაზეთების პუბლიცისტებს არაერთი ცნობა მოყავდათ. „მოწინავე ერები შეგნებული დედებით იყვნენ და არიან ქებული-ბედნიერი. ეროვნულ სახეს, თავისებურობის შეგნება-თვითცნობიერებას უმთავრესად შეგნებული დედები იცავ-ნახავენ და მით უმზადებენ „მომავალს ხალხს“. შეუგნებლი, მჩატე, არარის მგრძნობი, არარის მცნობი დედები კი ერის დამღუპველნი არიან, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა“ (103, 1).

აღნიშნული პრობლემის აქტუალობა ბეჭდურ მედიაში შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ზემოთ მივუთითებდი, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნაციონალურ კონსოლიდაციისთვის ერთობის წევრების ცნობიერების გაერთგვაროვნებას ცდილობს. სწორად წარმართული აღმზრდელობითი პროცესი, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში კი ამ მდგომარეობის მიღწევის წინაპირობაა.

აღზრდის მიზანს, მის დანიშნულებას და ამოცანებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცნობიერების პირობები, რომლებიც წარმოშობს მისი ინტერესებიდან გამომდინარე და მისთვის სასურველი აღზრდის სისტემას. ამიტომ საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე აღზრდის დანიშნულება გამომდინარეობდა საზოგადოების ყოფიერებისა და მისი მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური მოთხოვნილებებიდან. ამიტომ როცა იცვლება ცხოვრების პირობები, იცვლება აღზრდის მიზანი და დანიშნულებაც (167, 46).

საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე ქართველი ქალის როლი ყოველთვის დიდი იყო ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში. მის მოვალეობას მუდამ შეადგენდა სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდა. აქედან გამომდინარე XX საუკუნის I ოცწლეულში ქართველი დედის მოვალეობების ასეთი გააზრება სიახლეს არ წარმოადგენდა, თუმცა ერთი რამ უდავოდ ეპოქის მოთხოვნილება გახდა – ქართული ენის შენარჩუნების ტვირთი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების შეზღუდვის გამო, ამჯერად ქართველ დედას უნდა აედო.

## § 5. ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკის განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. საუკუნეების მანძილზე ქართველი მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ ეკონომიკური პოლიტიკის ქვეყნისთვის სასიკეთოდ წარმართვას. დღეისათვის საკმაოდ აქტუალურია ამ დარგის განვითარება-აღორძინების საკითხი. ამ ფონზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არსებული ტრადიციების გათვალისწინება და იმის წარმოჩენა თუ როგორ მიმდინარეობდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესი 1900-1921 წლების მაგალითზე, როდესაც ერთი მხრივ, ცვლილებას განიცდის ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ფორმები და მეორე მხრივ, დამკვიდრებას იწყებს ახალი ეკონომიკური სისტემა კაპიტალიზმის სახით და ბუნებრივია საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგება.

XIX საუკუნის II ნახევრიდან არსებითი ცვლილების შედეგად, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთსა და საქართველოში, ქართული ერთობა

ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კაპიტალისტური ურთიერთობის ფართოდ გავრცელებამ სამრეწველო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე, ქართველი ინტელიგენციისთვის ნათელი გახდა, რომ გლეხთა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში აუცილებელი იყო სამეურნეო-ტექნიკური როლის წინა პლანზე წამოწევა და სასწავლო პროგრამაში შეტანა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ქართულმა საზოგადოებამ ვერ გადალახა XIX საუკუნის II ნახევრიდან ქვეყანაში შექმნილი ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები. ერთი მხრივ, გლეხების და ქართული ინტელიგენციის მთავარ სურვილს და მოთხოვნას წარმოადგენდა ბატონყმობის გაუქმება. გლეხისთვის პირადი, იურიდიული, ეკონომიკური თავისუფლების მინიჭება უმთავრესი მოთხოვნა იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, ქართული საზოგადოების მოლოდინი არ გამართლდა. გლეხების განთავისუფლების საკითხი არც ისე ადვილი გადასალახი აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ბატონყმობის გაუქმებას ახალი პრობლემები მოჰყვა. საჭირო გახდა გლეხის, როგორც თავისუფალი სოციალური ფენის საზოგადოებასთან დაკავშირება. ამას თან ერთვოდა ის ფაქტი, რომ საუკუნეების მანძილზე გლეხის ფეოდალურ სისტემაზე მორგებული ცნობიერება ასე ადვილად ვერ შეეგუა კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს. ნებისმიერი სახის გარდაქმნა სახელმწიფოს ცხოვრებაში საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უმტკივნეულოდ არ ხდება და მითუმეტეს გაუნათლებელ, ახალი ეპოქის მიმართ გაუთვითცნობიერებელ ნაწილში. ძველი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შეცვლით ვერ შეიცვალა ხალხის ცნობიერება. ცვლილება განიცადა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოებრივმა წყობამ და ბუნებრივია საზოგადოებისთვის ბევრი რამ გაურკვევლი და მიუღებელი აღმოჩნდა. „ჩვენს ეკონომიურ სისუსტეს მრავალგვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ სათითაოდ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ამ კერძო მიზეზებს ერთი მთავარი, ფართო შინაარსისა და უფრო ზოგადი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს. ეს გარემოება არის შემდეგი: ქართველობა, თავის პრაქტიკულ საქმიანობითა და შინაგანი პსიხიკით, დღესაც ვერ შესწობია და ვერ შეჰგუებია თანამედროვე მოქალაქობრივ ანუ კაპიტალისტურ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა

და ხასიათი პსიხიკისა იმგვარია, რომ სრულებით არ შეესაბამება კაპიტალისტურ დროს არც საქმიანობასა და არც პსიხიკას“ (192, 2). სწორედ ამიტომ იყო, რომ სამოციანელებმა სკოლას და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ისტორიული მისია დააკისრეს. ამ გზის გამგრძელებლები XX საუკუნის დასაწყისშიც ცდილობდნენ საზოგადოების ცნობიერების ფორმირებას და სამეურნეო-ეკონომიკური განათლების დონის ამაღლებას. „ისტორიამ ჩვენს დროს და ჩვენს ქვეყანას მრავალი ახალი პრაქტიკული საქმე დაუსახა თვალწინ. გავრცელება სასკოლო და სკოლის გარეშე განათლებისა მდაბიო ხალხში, რაციონალური აღზრდა ახალი თაობისა, განვითარება მომხმარებლების და მწარმოებლების კოოპერაციებისა, ამაღლება სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა, შერჩენა საქართველოს მკვიდრთა ხელში ამოძრავებულ მიწისა და მრავალი სხვა მსხვილი და წვრილი საქმე ყველა ერთად თხოულობდა გაძღოლას, ასრულებას“ (100, 1).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნათლად აცნობიერებდა ყველა იმ პრობლემას, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წარმოიშვა. მაგრამ, ამავედროულად ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული საზოგადოების გადაყვანისთვის დროის ახალ მოთხოვნებზე. XX საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახერხებს განათლების მიღებას რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. სადაც ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ევროპის მასშტაბით მიმდინარე გარდაქმნებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა ნაწილში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი ძალისხმევით ესწრაფვიან ამ ახალი იდეების დანერგვას. მათ შორის ეკონომიკის სფეროში, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა აზრს კარგავს, თუ ქვეყანას არ გააჩნია სათანადო ეკონომიკური სახსარი და ამასთან არ იცის მისი გამოყენება. ასე რომ, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ეპოქის მთავარი მოთხოვნილება გახდა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც ეროვნული ეკონომიკის საკითხებს არაერთ სტატიას უძღვნიდა, 1909 წლის „საქართველოს მოამბეში“ წერდა: „როგორც ყველამ იცის, ხალხის მთელი ეკონომიკური საქმიანობა სამ მთავარ დარგად განაწილდება. ეს არის: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა. კაპიტალისტურის საზომითა და ანგარიშით, თითოეულ ამ დარგს, როგორც საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას, იმდენად

აქვს ფასი და ღირებულება, რამდენადაც იგი სარგებელს ანუ მოგებას იძლევა. ხოლო ეს მოგება მაშინ ახლავს ეკონომიკურ საქმიანობას, როცა ამ საქმიანობას წარმოების გაუმჯობესებული ტექნიკა უდევს საფუძვლად, როცა შრომა შესაფერის ცოდნითა და ნივთიერის მოწყობილობით არის განაყოფიერებული, როცა წარმოება ბაზრის მოთხოვნილებასთანაა შეთანხმებული. – ამის საწინააღმდეგო კი იკვეთება. „სასოფლო მეურნეობა თითქმის უცვლელად იმ წესით წარმოებს, როგორც ასისა და ორასი წლის წინად: ქართველ სოფელელისთვის თითქო არ არსებობს არც ტექნიკის განვითარება, არც ბაზრის ცვალებადობა, მრეწველობა.“ ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ცვლილებები სხვა ხალხის ისტორიაშიც მომხდარა და ქართველებისგან განსხვავებით ნელნელა შეჰგუებიან ახალ წესს. ქართულ საზოგადოებაში კი ეს პროცესი საერთოდ არ იგრძნობა. (192, 2). ამასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძე წერდა: უმთავრესი მიზეზი, ჩვენ მეურნეობას რომ აფერხებს, ფსიხოლოგიურია: ესაა ჩვენი უმეცრება და მცონარეობა. ამიტომ საჭიროა ჩვენი ეროვნული ფსიხოლოგიის გადაბრუნება, სანამ სამშობლოს ნიადაგს გადავაბრუნებდეთ. კულტუროსანი ერების მეურნეობა დღეს რაციონალურ ცოდნასა და მეცნიერებაზეა დაფუძნებული. ჩვენი მეურნეობა კი პირიქით ტრადიციებსა და ჩვეულებებსზე. დღესაც დაახლოებით ისე ვხნავთ და ისე ვთესავთ, როგორც ჩვენი შორეული წინაპრები ხნავდნენ და თესავდნენ, როცა ისინი ქსენოფონმა აღწერა. მხოლოდ აფრიკაში თუ დარჩენილა ასეთი წესი მუშაობისა“ (144, 3).

სწორედ ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ასე აქტუალური იყო სამრეწველო საგნების სკოლაში სწავლება. ჟურნალი „მოგზაური“ და მისი რედაქტორი ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთი პირველია ვინც აღნიშნულ საკითხებს ერთიან კონტექსტში მოიაზრებს. მისი შეხედულებით, „სკოლა უნდა იძლეოდეს არა მარტო წიგნურ განათლებას, არამედ პრაქტიკულ მომზადებასაც. სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მან უზრუნველყოს მომავალი თაობის დაახლოება ბუნება-ცხოვრებასთან, მათი შეიარაღება ისეთი ცოდნით, რომელიც ცხოვრებაშია საჭირო, გაუადვილებს მათ შრომას, მისცემს საშუალებას რაციონალურად მოაწყოს მეურნეობა და ამით უზრუნველყოს მთელი ქვეყნის ეკონომიკური აყვავება და აღორძინება (177, 685).

1909-1912 წლებში გამოდიოდა ჟურნალი „მოსავალი“, რომლის რედაქტორი

იყო ვ.ი. რცხილაძე. აქ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ყველა იმ საკითხზე, რომელიც დაკავშირებული იყო სამეურნეო ცოდნის და ტექნიკის გავრცელებასთან. 1909 წელს „მოსავალში“ ე. იოსელიანი წერდა: „რათ არის ხალხი ტექნიკას ჩამორჩენილი, მეურნეობა რათა რჩება უკან, ამაზე ჩვენ ეხლა დაწვრილებით არ ვილაპარაკებთ, მხოლოდ იმას კი აღვნიშნავთ, რომ როცა ხალხი მოკლებულია უბრალო წერა-კითხვას, იქ მეურნეობის განვითარების დაპირდაპირება ტექნიკის განვითარებასთან შეუძლებელია“ (185, 5). ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება უშუალო კავშირშია სამეურნეო ტექნოლოგიების ათვისებასთან. საერთო მასობრივ საგანმანათლებლო სისტემაში სამეურნეო საგნების შეტანა ამ პროცესის წარმატებას განაპირობებდა. „ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა შევიგნოთ და ძვალსა და რბილში გავიმდინაროთ იგი აზრი, იგი რწმენა, რომ სასოფლო მეურნეობა და მის მრეწველობა ერთადერთი ბუნებითი და ამიტომ უტყუარი ფაქტორია ადამიანურის ცხოვრება-სიმდიდრისა. დროა შევიგნოთ, რომ ჩვენი ყოველი უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ ჩვენი ხალხი ორ დიდ ჯგუფად არის გაყოფილი: ერთის მხრივ, დგას მუშაობის მცოდნე, მაგრამ განუვითარებელი, უსწავლელი გლეხი და, მეორეს მხრით, – მუშაობის არ მცოდნე ნასწავლი, რომელიც სრულიად მოკლებულია დამოუკიდებელ, თვითმომქმედ მოღვაწეობას მიწაზე და ამიტომ გამოსადეგია მხოლოდ მოხელეობაში, სხვის სამსახურში და იქ ჯამაგირის აღებაში“ (179, 7-8). უცოდინარი მეურნე ყოველთვის პრობლემების წინაშე იქნება და ვერ გადალახავს იმ დაბრკოლებებს რაც აწუხებს. „სანამ მეურნე სწავლით არ შეითვისებს ნამდვილ სამეურნეო ცოდნას, არ შეეჩვევა ვარჯიშობით მამულის, მცენარის და პირუტყვის წესიერად მოვლა-მოშენებას, მანამდის იგი წელში ვერ გამაგრდება და ყოველთვის ხელმოკლე იქნება“ (100, 1).

სამრეწველო-ტექნიკური პროგრესის ფონზე მოძველებული ქართული სამეურნეო სისტემა ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა. „მოგზაური“ გრძნობდა ეპოქის ახალ მოთხოვნილებებს და საზოგადოებას თანამედროვე სისტემაზე გადასვლისკენ მოუწოდებდა: „ეკონომიკურად გაჭირვებული იქნები, სანამ ყოფილი ცხოვრების მოთხოვნილებას არ გაითვალისწინებ, მაშინდელი გაურჯელობის მიზეზს არ გაიცნობ, მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებას დღევანდელ მოთხოვნილებებს არ შეუდარებ და სანამ შენს მაშინდელ შრომა-მუშაობას და შეხედულებას სულ ერთიანად არ გამოსცვლი და დღევანდელი დროის შესაფერად არ გარდაქმნი“ (177, 566).

ახალ დროზე მორგება და ეპოქის მოთხოვნილების ქვეყნის სასარგებლოდ გამოსაყენებლად საჭიროა სასწავლო პროგრამაში თანამედროვე სისტემაზე მორგებული საგნების ჩართვა. საერთო ნაციონალური ცნობიერება განავითარებს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-ეკონომიკურ მდგომარეობას. „სწავლა-განათლებას პირდაპირი გავლენა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, მათ ძლიერებასა და წარმატებაზე. ახლანდელ დროში ყოველგვარი წარმოების წესი მუდმივად იცვლება და უმჯობესდება. ამიტომ წარმოებაში ძველ წესებზე შეჩერება უცხო, მცოდნე ერთაგან გადმოუღებლობას ნიშნავს, უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას. უცხო ხალხთაგან ეკონომიკურად დამოკიდებულებას და ყმათ გახდომას ვერ ავცდებით თუ წარმოებაში ძველი წესის შეცვლა არ მოხერხდა. თუ ხალხი, რომელიც ამ წარმოებას ეწევა უვიცი და გაუნათლებელია, თავის ხელობისათვის განუსწავლელი და მოუმზადებელი“ (223, 120).

„მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემიც“ ეკონომიკური საკითხების გაშუქებას დიდ ადგილს უთმობს. როგორც XX საუკუნის I, ისე II ათწლეულში პრობლემა ერთნაირი სიმწვავეით და აქტუალობით გამოირჩევა: „კარგად მოგეხსენებათ რა კრიზისს განიცდის ჩვენი მეურნეობა, გამოფიტული მიწა, ძველი იარაღები. მამა-პაპური მიწის დამუშავების წესები მშრომელს მოსავალს აღარ აძლევენ. ხარჯები კი წლითიწლობით ემატება მას. როგორ უნდა გავუწიოთ ეკონომიკური მეტოქეობა ჩვენ უძღურმა და დაქვემდებარებულმა ერმა ეკონომიკურად ღონიერ ქვეყნებს და მეზობლებს: საჭიროა ჩვენც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება ისე მოვაწყოთ, როგორც ამას მოითხოვენ თანამედროვე ეკონომიკური პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების ბრძოლაში ჩვენ სრულიად გავისრისებით“ (69, 4).

ქართული ინტელიგენციის მხრიდან მუდმივად იყო მოწოდებები საზოგადოების მისამართით, რომ გამოსულიყო ძველი სისტემიდან და ისევე საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიეღო ახალი გამოწვევები. „ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა, ის ბაღია, რომლის გულის სიღრმეში დამარხულია აუარებელი სიმდიდრე, მხოლოდ უბედურება ის არის, რომ ჩვენს მშრომელ კლასს არა აქვს ცოდნა, რათა ეს სიმდიდრე აღმოფხვრას მიწის გულიდან და რიგიანად მოიხმაროს. რომელ დარგის სამუშაო გინდა აიღო ჩვენში, ყველაფრის დამუშავება-დამზადება ხდება დრო მოჭმული პირველყოფილი სამუშაო იარაღებით“ (161, 3).

ამისათვის კი ზოგად განათლებასთან ერთად სკოლაში სამეურნეო-ტექნიკური საგნების სწავლება აუცილებლად მიიჩნევა: „ხალხის კულტურული და ეკონომიკური განვითარება მარტო წერა-კითხვის ცოდნით და საზოგადო განათლების დონით არ განისაზღვრება. თანამედროვე ტექნიკის განვითარებამ ახალი პირობები შექმნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ახალი საშუალებანი საარსებო ბრძოლისათვის. ხალხისათვის საჭირო შეიქმნა წერა-კითხვისა და საზოგადო განათლების იმისთანა სწავლა-განათლება, რომელიც მას არსებობისათვის ბრძოლას გაუადვილებს“ (77, 1).

გაზეთის პუბლიცისტები სკოლას ეკონომიკის განვითარებაში მთავარ ფუნქციას აკისრებდნენ. „სწავლა განათლება ცუდ მდგომარეობაშია და ჩვენ საზოგადოებას მართებს სიფრთხილით და გონიერად მოქმედება, რომ ქართველ ერს სამსახური გაუწიოს. დიადი ეკონომიკური მნიშვნელობა სკოლისა დღეს ცხადია... თანამედროვე პირობებში სახალხო განათლება არის ერთადერთი ნამდვილი გზა, რომ შედარებითი სიჩქარით გავრცელდეს ხალხში წარმოების საუკეთესო საშუალებანი. ამით განისაზღვრება სახალხო მნიშვნელობა სახალხო სიმდიდრის მოგროვებაში. სწორედ ამ მხრით ქართველი ერი ყველა ერებზე უფრო ჩამორჩენილია, ღარიბია. ამიტომ ნორმალური დაყენება განათლების საქმისა ჩვენში არის ერთი უმთავრესი ადგილი საზოგადოებრივ დაწესებულებათა პროგრამულ მოქმედებაში“ (72, 4).

ეროვნული მრეწველობის ასაღორძინებლად და ეკონომიკის განსავითარებლად ერთ-ერთი მთავარი პირობა საერთო ეროვნული საქმის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა იყო. „ჩვენთვის საჭიროა გლეხთა შორის მუშაობა, რომ ჩვენ გლეხის ამტანობა გვაკლია, ეს მისით შევივსოთ, ხოლო ჩვენი მეტი სწავლა იმავე დროს მას განუზიაროთ... ერთი სიტყვით გეჭიროა სრული გარდაქმნა დღევანდელის ჩვენის ზნისა და ხასიათისა... მთლად ჩვენი ქვეყანა დასახლებული და დაუსახლებელი, შემუშავებული და შეუმუშავებელი, მთა და ბარი, ყველაფერი თხოულობს აუარებელ ფიზიკურ შრომას, რომ ბოლოს დაემსგავსოს კულტურულ მხარეს“ (179, 8).

საზოგადოების გაუნათლებლობა წარმოშობს ჩაკეტილობას და სიახლის-ადმი შეუგუებლობას. საზოგადოებრივი განვითარების ეტაპზე, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებს კი თავისი მოთხოვნები აქვს, რომლებზეც უარის თქმა – ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელია. სწორად წარმართული საგანმანათლებლო სისტემა კი, ჟურნალის პუბლიცისტების აზრით, არა მარტო კულტურულ,

არამედ ეკონომიკურ აღორძინებასაც გამოიწვევს: „წერა-კითხვის მცოდნე უფრო გამოსადეგია მუშაობაში მომეტებულს მიმხვდარობით და გამჭრიახობით, იგი უფრო საზრიანად, ფაქიზად და რიგიანად მუშაობს, მეტს აწარმოებს, უფრო ითვისებს ახალშემოდებას შრომაში და უფრო კეთილსინდისიერად ეპყრობა ნამუშევარს, მას შეუძლია გაიგოს მოხატულობა, გეგმა, სიხალისით ეკიდება ახალ რამეს, მიწის სამუშევარ იარაღებს. იმ დროს, როცა წერა-კითხვის უცოდინარს ყოველივე მიქარვით მიაჩნია, გარდა მამა-პაპურ სახნისისა და ფარცხისა“ (182, 543). ჟურნალი ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებლობას არა მარტო რუსული ხელისუფლების გავლენით ხსნის, არამედ საზოგადოებაში არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულებით: „ჩვენ ვჩივით ჩვენი ოჯახის დაცემას, გათახსირებას... ან კი სხვა რას უნდა გამოელოდოს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერი, ჩვენის უცხო იდეალების პატრონი! ყველაფერს იპოვნით ჩვენში, ყოველ აზრს, ყველაფრისათვის გაცხადებულ ბაასს, ბრძოლას, მეცადინეობას, ვერ იპოვით დიასახლისებს, რომ ნაკვეთურად მიაჩნდეთ თავისი ოჯახის და მამულის მეურნეობის სამაგალითოდ მოწყობა, ვერ იპოვნით მათში უბრალო მოტრფიალეთაც კი“ (179, 5). როგორც ჩანს, XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური საკითხი მეტად აქტუალურია და კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნაციონალური კონსოლიდაციის პირობად ეროვნულ სიმბოლოებთან ერთად ეკონომიკის განვითარებას მიიჩნევს. ამიტომ არსებული ვითარების კრიტიკით ისინი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ: „მთელი ათასი წლებია ამ მიწაზედ ვზივართ, ვხნავთ, ვთესავთ, ვმკით, ვრგავთ, ვკრებთ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით რომ ჩვენ მიწად-მოქმედი ხალხი ვართ, უფრო მართალი იქნება ვთქვათ, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მიწის მფლობელები ვართ. აიხსნება ეს იმით, რომ მიწას ჩვენ მხოლოდ როგორც ჩვენს სამფლობელოს ვუცქერით, მას ჩვენ უფრო როგორც ჩვენს საკუთრებას ვაფასებთ, როგორც ჩვენის თავს შესაფერებელს ბუდეს, მასში მუშაობა-გარჯას ჩვენ ვუყურებთ როგორც სხვათა შორის საქმეს და არა როგორც ჩვენის ცხოვრების უმთავრეს წყაროს“ (179, 4). საზოგადოების არც ერთი ჯგუფი სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში არ ღებულობდა მონაწილეობას, რაც „მოგზაურის“ აზრით, ქვეყნის დაცემას უწყობდა ხელს: „მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა, დიდიდამ პატარამდის, ფრიად მცირე რიცხვის გარდა, სრულად არ მისდევს სასოფლო მეურნეობას, აქტიურს მონაწილეობას არ იღებს მამულის უკეთ და თანამედროვეულად მოწყობაში, არ მუშაობს, საკუთარ ოფლს არ ღვრის მასში!..

ჩვენი თავადაზნაურობის და მრავალი გლეხის შვილებიც კი თვეში ათს და თხუთმეტს მანეთს ჯამაგირს რჩეობენ სადმე სახელმწიფო თუ კერძო სამსახურში, ვიდრე ლაღად და თავისუფლად მამულში ყოფნას, მისთვის თავდადებას“ (179, 4). შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებას გაზეთი მიზანმიმართულ მოქმედებაში ხედავდა და საპროგრამო გეგმას სთავაზობდა საზოგადოებას. „1. საჭიროა დაუუკვირდეთ ჩვენს ბუნებას, ამ ბუნების განსაკუთრებულ თვისებებს, ჩვენს მცენარეულობას, მის გამოყენებას, ჩვენის ქვეყნის თვისებას და ბევრს ამგვარს. 2. საჭიროა მოვიკრიბოთ ძალა და შეერთებულის ძალით ვაკეთოთ ის, რაც განცალკევებულად არ შეგვიძლია. 3. საჭიროა მოვაწესრიგოთ ვაჭრობა და მრეწველობა და გამოვიკვლიოთ რა კვალზე უნდა დავაყენოთ იგი და რა ძალა უნდა ვამუშაოთ, რომ ჩვენი ერი ეკონომიურად გამაგრდეს“ (76, 4).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართული ინტელიგენციის ბრძოლამ შედეგი გამოიღო და XX საუკუნის დასაწყისში, 1905 წლის გურიის გლეხთა გამოსვლის დროს, გლეხებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ კრიმ-გირეის მოსახლეობამ მიმართა: „ჩვენ სწავლა გვინდა. სხვა ქვეყნებში წერა-კითხვის არამცოდნეს ვერ ნახავთ, ჩვენში კი წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებარია, მაშინ, როდესაც სწავლის გადასახადით სულს გვხდინან. სწავლა გვინდა უფასო, საყოველთაო-სავალდებულო 16 წლამდე, ქალებისა და ვაჟების ერთად“ (263, 30).

ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თერგდალეულები ხელმძღვანელობდნენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ფორმით აღმავლობა, განათლების და ეროვნული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევისთან ერთად ეკონომიკის საკითხი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურობდა ბეჭდური მედია, სადაც აქცენტი კეთდებოდა მუდმივად ეკონომიკური განათლების პრობლემებზე. თითქმის ყველა ბეჭდურ ორგანოში იყო მოწოდებები, პრაქტიკული რჩევები იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა აღორძინებულიყო და განვითარებულიყო ეკონომიკა. ზემოთ განხილული მასალები სწორედ ამას მოწმობს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918-1921 წლებში, ბუნებრივია ეროვნული ეკონომიკის საკითხმა ახალი განზოგადება შეიძინა და ეს პრობლემა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა.

ეკონომიკით თანაბრად იყო დაინტერესებული როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სხვა პოლიტიკური პარტიები. ერთი სიტყვით, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მოქმედების განსხვავებულ სისტემაზე გადავიდა, საბოლოო მიზანი კი ერთი იყო: ეროვნული მრეწველობის, ეკონომიკის, მეურნეობის აღორძინება. თუ 1900-1921 წლებში ქართველი ინტელიგენცია ძირითადად იფარგლებოდა მოწოდებებით პრესის მეშვეობით და რუსული ხელისუფლების შიშით აქტიურ ნაბიჯებს ვერ დგამდა. 1918-1921 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველ ღონეს ხმარობს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისთვის. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმებით. 1. გრძელდება წინა წლებში დაწყებული პროცესი სამრეწველო სკოლების გახსნის და სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო საგნების შეტანით. საჭირო იყო ერთი მხრივ, ქართული, ეროვნული მეურნეობის შენარჩუნება და მეორე მხრივ, კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმების შემოტანა-დამკვიდრება. 2. იქმნება სპეციალური პროექტები, სადაც ყურადღება გამახვილებულია ყველა დეტალზე. ბუნებრივია აქ ვერ განვიხილავ ყველა პროექტს და არც შეადგენს ჩემი თემის მიზანს, თუმცა ნაწილობრივ უნდა შევეხო ძირითად საკითხებს, რომლებსაც მთლიანობაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. „სასოფლო მეურნეობის განათლების გავრცელება ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში დღემდის არ სწარმოებდა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, არც სკოლის ტიპების და არც მათი განაწილების მხრივ... ამ საკითხის შემუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულებანი სასოფლო-მეურნეობის უმაღლესის განათლების გავრცელების შესახებ, რომელიც საჭიროა აგრონომიულ მოღვაწეთა მოსამზადებლად, უწყება იმ აზრისაა, რომ ამისთვის საკმარისი არიან განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფნი სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკვე არსებული აგრონომიული ფაკულტეტები. სამინისტრო თავის მხრივ გაუწევს დახმარებას, რათა დასახელებულ სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკული მუშაობა შესაფერისად იყოს მოწყობილი. სასოფლო მეურნეობის საშუალო განათლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი აზრით აგრონომიულ მოღვაწეობის მოსამზადებლად საჭიროა საკმაო ზოგადი განათლება და ბუნების მეტყველების და ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლიანი შესწავლა, რის მიცემაც შეუძლია მხოლოდ უმაღლეს და არა საშუალო სასწავლებელს.“ (20, 5). თუმცა ამისდა მიუხედავად

სახელმწიფო უწყებები მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას და ყველა ტიპის სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების გახსნას. რადგან სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელება აუცილებლობას წარმოადგენდა ქართული ეკონომიკის სამომავლო განვითარებისთვის. „ჩვენ ღარიბნი ვართ არა მარტო იმით, რომ ცოტა მიწები გვაქვს, არამედ იმითაც, რომ არ ვიცით მიწის დამუშავებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის დამუშავების ცოდნას. ავიღოთ მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორც არის გერმანია. აქ უკეთესად არის საქმე დაყენებული და მიწას მეტ ნაყოფს აღებინებენ. ასეთი ცოდნის გავრცელება არის აგრონომიული განყოფილების საგანი“ (12, 4). 3. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ „საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის ბიუჯეტი დასრულდა 260 მილიონი დეფიციტით. თუ მხედველობაში მოვიღებთ პოლიტიკურ მდგომარეობის შესაძლებელ გართულებას, ახალ სამხედრო ოპერაციების საჭიროებას, გადამდებ სენტა გავრცელებას და სიძვირეს, მიმდინარე 1919 წლის საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლებელია 700 მილიონით აღემატოს, რაც წარსული წლის დეფიციტთან შეადგენს ერთ მილიარდ მანეთს. მილიონი დეფიციტით.“ (19, 11). ხელისუფლების წარმომადგენლები აცნობიერებდნენ იმას, რომ საქართველოს უჭირდა საკუთარი სახსრებით ეკონომიკის აღორძინება, ამიტომ მათ მიზანს წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. საინტერესოა იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მხოლოდ სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის გავრცელებით შემოფარგვლა უკვე ვეღარ გასწვდებოდა საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს და განვითარებას. მათი მიზანი იყო საქართველოს ფარგლებში არსებული სასარგებლო წიაღისეულის და საკურორტო ზონების გამოყენება და უცხოელების მოზიდვა თანხის ჩასაღებად. „საჭიროა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი გადაგაქციოთ ექსპლოატაციის საგნად, გადავცეთ ისინი აქციების სახით უცხო კაპიტალის წარმომადგენელთ და გამოვართვათ მათ აქციების ღირებულება საგარეო ვალუტით. სახელმწიფო ამ აქციების განაღდებათ თავიდანვე მიიღებს დიდძალ ფულს, რომელიც შეამსუბუქებს ჩვენს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და შესაძლებელია ამით საშუალება მოგვეცეს შევქმნათ საკუთარი ვალუტაც. ამ მიზნით ჩვენ დაუყონებლივ უნდა შევუდგეთ უცხოელებთან ხელშეკრულებათა დადებას, რომელნიც საშუალებას მისცემენ დააარსონ წარმოებანი ჩვენი უმთავრესი

ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლუატაციოდ. ჩვენი აზრით, უცხოელთათვის ყველაზე უფრო მიმზიდველი დარგი ჩვენი მეურნეობისა იქნება ტყვარჩელის ქვანახშირი, ტყეები და მინერალური წყლები. ტყის მასალის გაზიდვა შეიძლება ზღვით იმ ქვეყნებში, სადაც ის წინადაც ბლომად გაქონდათ. ტყის წარმოების სხვადასხვა დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში შეუძლია ფართო ხასიათი მიიღოს... მთავრობის განკარგულებაში მიღებულ ან მისაღებ წყლებში, ბევრია ისეთი, რომელნიც თავისი სამკურნალო თვისებებით შეიძლება გადაიქცნენ შესანიშნავ კურორტებად, თუ ამისთვის საჭირო თანხა იქნება გადადებული. მეურნეობის ეს დარგი საქმის წესიერი და ფართო დაყენებით გადააქცევს საქართველოს საუცხოვო კურორტის კუთხედ მთელ დედამიწის ზურგზე და მოუტანს დიდ სარგებლობას ხაზინას და ხალხს“ (19, 12). აღნიშნული ნაბიჯებით მთავრობა იმედოვნებდა, რომ მოაგვარებდა ნაწილობრივ იმ პრობლემებს, რაც საქართველოში არსებობდა და მეტნაკლებად შეამსუბუქებდა იმ მდგომარეობას, რომელშიც საზოგადოება იმყოფებოდა. „ამ დასახული ეკონომიური პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ორგანიზულად დაკავშირებულია ჩვენ ფინანსურ პრობლემებთან, და პოლიტიკურ მიზნებთან, აუცილებლად ვთვლით დაარსდეს მთავრობასთან საფინანსო-საეკონომიო საბჭო, მას უნდა დაევალოს: 1. შესწავლა ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეთა, რომელთა დასამუშავებლად მოწვეულ უნდა იქნეს უცხო კაპიტალი და 2. ოპციონების ძირითადი პრინციპების აღნუსხვა იმ პირთათვის, რომელთაც დაევალებათ მოლაპარაკება უცხო კაპიტალისტებთან ზემოაღნიშნულ საფინანსო საეკონომიო მიზანთა მისაღწევად, რომ ამ საბჭომ შესძლოს თავის დანიშნულების შესრულება, მას საშუალება უნდა მიეცეს, სათანადო უწყებათა და სათანადო სპეციალისტების დახმარებით, საფუძვლიანად გაეცნოს ჩვენი მეურნეობის მთავარ დარგებს, შეიმუშავოს სათანადო გეგმა და მოსაზრება, რომელიც სარჩულად უნდა დაედოს უცხოელებთან მოლაპარაკებას და ოპციონებს“. (19, 15. 16). მოტანილი მასალა ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკონომიკის საკითხთან და როგორ მაქსიმალურად ცდილობდნენ საქართველოში არსებული რესურსების გამოყენებას ქვეყნის გასაძლიერებლად და რაც მთავარია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად სადაზღვევო მონოპოლიის შემოღებას აპირებდა და იმედოვნებდა, რომ სიცოცხლის, საქონლის, უძრავი ქონების

დაზღვევით მნიშვნელოვან მოგებას ნახავდა, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის იქნებოდა გამოყენებული.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული საკითხების ერთიან კონტექსტში განხილვა გამომდინარეობდა ეპოქის სულისკვეთებიდან. საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება წარმოადგენდა თავისუფლების მოპოვებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობას. ქართულმა კულტურულმა და პოლიტიკურმა ელიტამ გააცნობიერა, რომ ეროვნული აჯანყების მოწყობა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებას ვერ მოუტანდა. რეალურად არ არსებობდა ის სამხედრო-პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს დახმარებას გაუწევდა. გარდა ამისა, წარუმატებელი აჯანყების შემთხვევაში დაიდუპებოდა ეროვნული მოძრაობის ის მონაპოვარი, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის. XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი პროგრამა შემუშავდა ილიას მეთაურობით, რაც შემდეგს გულისხმობდა: ქართველი ერის კონსოლიდაცია საქართველოს ეკონომიკური აღორძინება და გაძლიერება, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა, ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება (228, 10). ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა აგრძელებდა ამ გზას და ცდილობდა ბოლომდე მიეყვანა ის საქმე, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა და რომლის მთავარი მიზანი საქართველოს აღორძინება და გაძლიერება იყო.

## თავი VI.

### ეროვნული თავისუფლების ფენომენი

თავისუფლების ფენომენის აღქმამ გარკვეული ევოლუცია განვლო. ჯერ კიდევ ბერძენ-რომაელი ფილოსოფოსებიდან მოყოლებული პიროვნული თავისუფლების განსაზღვრების მრავალი მოსაზრება შეიქმნა, თუმცა არანაკლები მნიშვნელობისაა ეროვნული თავისუფლების საკითხი.

თავისუფლების ფენომენის განსაზღვრებამ ახალი აღმავლობა განიცადა საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როდესაც გააქტიურდა ხალხთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, დღის წესრიგში ეროვნული საკითხის კვლევა დადგა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ეროვნული თავისუფლება ნაციათა კვლევის სფეროში განუყრელი ფაქტორი ხდება. თავისუფლების, როგორც ისტორიული კატეგორიის ახსნის მცდელობა დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის და ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს სახელებთან. და რაც მთავარია ზოგადად ეროვნული საკითხის და კონკრეტულად ეროვნული თავისუფლების საკითხის გარკვევას ისინი შეეცადნენ გეოგრაფიული გარემოს, ჰავის, კლიმატის გათვალისწინებით. მართალია, აღნიშნული მიმართულებით აზრის ფორმირება სიახლეს არ წარმოადგენდა და საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცდილობდნენ ხალხთა შორის განმასხვავებელი ნიშნების, ხასიათის ახსნა გეოგრაფიულ გარემოს სხვადასხვაობასთან დაკავშირებინათ, მაგრამ ამ პერიოდში ახალ განზოგადებას იძენს.

ჰეგელის აზრით, „არც ერთი იდეის შესახებ არ ვიცით ისე ზოგადად, რომ იგი განუსაზღვრელია, მრავალმნიშვნელოვანია, მრავალ გაუგებრობათა შესაძლებლობას შეიცავს და ამის გამო მართლაც ვარდება ამ გაუგებრობებში, როგორც თავისუფლების იდეის შესახებ და არც ერთი სხვა იდეა არაა გავრცელებული მისი ესოდენ მცირე გაგება-გაცნობიერების პირობებში, როგორც ეს“ (308, 281). თავისუფლების ცნების განმარტებასთან ერთად ჰეგელი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს „თავისუფლების ისტორიულ მხარეს.“ მისი აზრით, „ყოველი ადამიანი თავისუფალია, მაგრამ ისტორიის ადრეულ ხანაში ეს თავისუფლება მოცემულია როგორც შესაძლებლობა, მოცემულია პოტენციურად.

აღმოსავლეთ ხალხებში თავისუფალია მხოლოდ ერთი ადამიანი-დესპოტი. თავისუფლება ამ დროს გაგებულია როგორც თვითნებობა. დესპოტი აკეთებს იმას, რაც მოესურვება, რაც პასუხობს მის კაპრიზებს. აღმოსავლეთის ხალხებმა არ იციან, რომ თავისუფალია ყოველი ადამიანი, ამიტომ ისინი არც არიან თავისუფალნი. ბერძნებმა და რომაელებმა გადადგეს ერთი ნაბიჯი წინ – მათი აზრით, თავისუფალია არა ერთი, არამედ ზოგიერთი. მაგალითად, ბერძნისთვის თავისუფალია ყოველი ბერძენი, მოქალაქე, მაგრამ არათავისუფალია მონა.“ „რაც შეეხება თავისუფლების ისტორიულ მხარეს, ანტიკური სამყაროს ხალხები – ბერძნები და რომაელები – ვერ იყვნენ ამადლებულნი აბსოლიტური თავისუფლების ცნებამდე, რადგან ვერ შეიცნეს, რომ ადამიანი, როგორც ასეთი, როგორც ეს ზოგადი მე, როგორც გონებითი თვითცნობიერება, უფლებამოსილია ეს თავისუფლება ჰქონდეს. ამ ხალხებში, პირიქით, ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება თავისუფლად, თუ იგი თავისუფლად შობილი იყო. ამგვარად, თავისუფლებას მათში ჯერ კიდევ ბუნებითობის გარკვეულობა ჰქონდა. ამიტომ იყო, მათს თავისუფალ სახელმწიფოებში რომ მონობა არსებობდა და რომში სისხლისმღვრელი ომები ტყდებოდა, რომლებშიც მონები ცდილობდნენ თავისუფალნი გამხდარიყვნენ, თავიანთი მარადიული ადამიანური უფლებების აღიარებისათვის მიეღწიათ“ (309, 281). ჰეგელი აღნიშნავდა, რომ თავისუფლებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ. „ბერძნებს და რომელებს, პლატონსა და არისტოტელეს, აგრეთვე სტოელებს თავისუფლების იდეა არასოდეს ჰქონიათ. მათ, პირუკუ ის იცოდნენ მხოლოდ, რომ ადამიანი ნამდვილად თავისუფალია თავისი წარმომავლობის, ხაისათის სიმტკიცის, განათლების, ფილოსოფიის ძალით.

ეს იდეა თავისუფლება ქვეყნად ქრისტიანობამ მოიტანა, რომლის თანახმადაც ინდივიდს, როგორც ასეთს უსასრულო ღირებულება აქვს, რამდენადაც იგი-ღვთისგან სიყვარულის საგანი და მიზანი – იმისთვისაა მოწოდებული, რომ ღმერთისადმი, როგორც გონისადმი, ეს გონი თავისში აცხოვროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანი თავისთავად უმაღლესი თავისუფლებისათვისაა მოწოდებული (308).

ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე ცნება თავისუფლების უფრო ფართო განმარტებას იძლევა. მან პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებებთან ერთად სამართლებრივი თავისუფლებაც შეისწავლა. ამასთანავე მან როგორც პიროვნული, ასევე ეროვნული თავისუფლების თავისებური ფორმით არსებობის

განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნია კლიმატი, გარემომცველი ბუნება. მაგალითად, აზიის ნაყოფიერი ბუნება დესპოტიზმის არსებობას უწყობს ხელს, ევროპის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე კი კანონების მორჩილებაა, რის გამოც ევროპელთა ფსიქოლოგიაში თავისუფლების განცდა არსებობს. „აზიაში ყოველთვის იყო დიდი იმპერიები. ევროპაში მათ ვერასოდეს ვერ გაძლეს. საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ცნობილ აზიაში უფრო დიდი ვაკეებია, იგი ზღვებით უფრო დიდ ნაწილებად დაყოფილი და, ვინაიდან იგი უფრო სამხრეთითაა, წყალი იქ უფრო ადვილად შრება, მთები ნაკლებად თოვლით დაფარული და მცირეწყლიანი მდინარეები მცირე ბარიერებს ქმნიან. აზიაში ძალაუფლება ყოველთვის დესპოტური იყო, რადგან თუ იქ უკიდურესი მონობა არ იქნებოდა, მოხდებოდა მიწა-წყლის დანაწილება, რასაც ქვეყნის ბუნება ვერ დაუშვებდა.

ევროპაში ბუნებრივი დაყოფა რამდენიმე საშუალო სიდიდის სახელმწიფოს ქმნის, სადაც კანონთა ბატონობა სახელმწიფოს ინტერესებს უთავსდება. უფრო მეტიც, იგი იქ იმდენად ხელსაყრელია ამ მიმართებით, რომ კანონთა გარეშე ეს სახელმწიფო დაეცემოდა და სხვა სახელმწიფოებზე სუსტი გახდებოდა. აი, რამ წარმოშვა თავისუფლების სულისკვეთება, რომლის გამოც ევროპის ყოველი ნაწილი ძალზე ძნელად დასამორჩილებელი და დასამონებელია უცხო ძალისათვის სხვაგვარად, თუ არ კანონების გზით და ურთიერთსარგებლიანობის გამო. აზიაში კი, პირიქით, მონობის სულისკვეთება სუფევს, რომელიც იქ არასოდეს გამქრალა. ამ ქვეყნების მთელს ისტორიაში ვერ ნახავთ ერთ შტრიხსაც კი, რომელიც თავისუფალი სულის გამოხატულება იყოს, აქ მხოლოდ მონობის გამირობას ვხვდებით“ (248, 300). რადგან „ქვეყნის მიწათა ვარგისიანობა ბუნებრივად ადგენს მორჩილების სულისკვეთებას. უნაყოფო მიწები ადამიანებს ქმედებისუნარიანს, თავდაჭერილს, შრომაში გამობრძმედილს, გულადს, ომისუნარიანს ხდიან. იმიტომ რომ, მათ თვითონ უხდებათ თავიანთი თავისათვის იმის მოპოვება, რასაც მიწა არ იძლევა. ქვეყნის ნაყოფიერება სიუხვესთან ერთად მოდუნებულობას და სიცოცხლის შენარჩუნების ერთგვარ სიყვარულს წარმოშობს. ამიტომ თავისუფლება უფრო მთიან და ძნელად გამოსაყენებელ ქვეყნებში მეფობს, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებიც, ალბათ, უფრო კეთილყოფილია ბუნებისაგან“ (248, 302-304).

ეროვნული საკითხის კვლევამ ახალი განზოგადება და დატვირთვა შეიძინა XX საუკუნის პირველ ნახევარში, რაც დაკავშირებულია „ანალების სკოლის“ სახელთან რომლის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ მარკ ბლოკი,

ფერნან ბროდელი და ლუსიენ ფევრი. მათ მიერ შემოტანილი იქნა მენტალობების კვლევა. ისტორიის შესწავლა დაიწყო ახალი კუთხით ფაქტებისადმი კრიტიკული მიდგომით. ისტორიის გაბმული თხრობა შეიცვალა მოვლენების შეფასებით. თანამედროვე პირობებში კი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ნაციის და მისი ჩამოყალიბების კვლევის თემატიკა. ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობები, რომელთა ძირითად პრინციპებს ფაქტებთან ერთად ეტაპობრივად განვაგრძობ.

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდე კონკრეტულად ამ საკითხის განხილვაზე, თავდაპირველად გამოვკვეთავ თავისუფლების მნიშვნელობას. ცნება თავისუფლება არა ერთგზის არის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,“ „ეროვნული თავისუფლება“, „ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისთვის“ და ა. შ. მაგრამ ნაკლებად კეთდება აქცენტი იმაზე, თუ რას ნიშნავდა ქართველი ერის ცნობიერებაში ეროვნული თავისუფლება. როგორ აღიქვავდა თითოეული სოციალური ფენა, თუ სოციალური ჯგუფი თავისუფლებას. რადგან „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წარმატების მისაღწევად მხოლოდ სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება არ კმარა. ცხადია, რომ ბრძოლისათვის, უპირველესად საჭიროა რაციონალურ პოლიტიკაზე აგებული მოქმედებათა კომპლექსი, სადაც ემოციების გამოსატყვას მხოლოდ დამხმარე როლი შეიძლება მიეკუთვნოს“. (277, 72). აკაკი სურგულაძე აღნიშნავდა: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, იმ ერის მოძრაობაა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია და მისი მოპოვებისათვის იბრძვის. ამ მოძრაობას გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რაც მას სხვა ხასიათის მოძრაობათაგან განასხვავებს“. (277, 73). განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმოშობასა და დანიშნულებაზე იგი შემდეგნაირად საუბრობს: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე წარმოიშვა. ეს იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის, მის წიაღში შობილი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების პერიოდი. ევროპის ხალხთა ცხოვრებაში ეს პროცესი როგორც ცნობილია XVII საუკუნეში დაიწყო და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გაძლიერდა. ფეოდალიზმის დამხობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის გაბატონების ეპოქამ წარმოშვა ის დიდი ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელიც ევროპის მაშინდელმა დაპყრობილმა ხალხებმა – გერმანელებმა, იტალიელებმა, ირლანდიელებმა, პოლონელებმა და სხვა გააჩადეს (272). აკაკი სურგულაძის აზრით „ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიაში შემაგალი კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ტენდენცია იყო. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ერთი მხრივ, ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და ეს იყო მისი სოციალური შინაარსი, მეორე მხრივ, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული თვითმყოფადობის მოსაპოვებლად“. (249, 22).

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობამ, მეფობის ინსტიტუტის და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებების გაუქმებამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. ქართული რეალობიდან გამომდინარე მეფობის ინსტიტუტის ლეგიტიმურობა ღვთისგან მომდინარეობდა, ამიტომ ქართული ერთობის ლოიალობის მთავარი ობიექტი იყო მეფე. აღნიშნული მოვლენის რადიკალურად შეცვლამ, ბუნებრივია, დიდი გარდატეხა შეიტანა ქართველი ერის ცნობიერებაში. ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა ქართული კულტურული ელიტის მიერ საერთო ნაციონალური იდეოლოგიის შემუშავება, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა სტანდარტიზებული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის საშუალებით ერთობის წევრების ცნობიერებაში ქართული ენის, ქრისტიანობის, ისტორიული მახსოვრობის ტრადიციების რეკონსტრუქცია, რაც იქნებოდა საფუძველი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. აღნიშნულ ღონისძიებებს სერიოზული საფრთხე შეექმნა XIX საუკუნის 90-იან წლებში. როდესაც რუსეთში გაძლიერდა რეაქცია საქართველო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ პერიოდში დაიწყო საერთოდ დაპყრობილ ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში, რეაქციის ახალი ტალღა. თუ რუსეთში რეაქციამ ინტელიგენციას და მშრომელ ხალხს მიაყენა ზიანი, საქართველოში დევნა და განადგურება მთელ ერს შეეხო. მეფის მოადგილეების და სხვათა მიზანი გახდა ძირფესვიანად აღმოფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერებინათ გამარუხებელი პოლიტიკა (200, 68). მეფის მთავრობამ მთავარი დარტყმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართა. რუსეთის ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა, რათა გაენადგურებინა ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ნაკადი რევოლუციისა, რომლის გამარჯვებაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული მმართველობის დამყარება (210, 262). სწორედ ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ წარმოდგენილი ეროვნული პროგრამა ყველაზე სრულყოფილად დამუშავებული საბრძოლო გეგმა იყო (234, 115).

ამა თუ იმ კონკრეტულ იდეას ყოველთვის დროის მოთხოვნა წარმოშობს ხოლმე, თავად ეს მოთხოვნა კი საზოგადოების სიმწიფის დონით, მისი განვითარების ხარისხითა და ისტორიული აუცილებლობით არის განპირობებული. იდეები თავისი არსით შესაძლოა იყოს ვიწრო ჯგუფური, პარტიული, კლასობრივი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო (303, 22). ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ნებისმიერი ხალხის ბრძოლა ყოველგვარ პირობებში ბუნებრივია და სამართლიანი მოძრაობაა, მაგრამ კაცობრიული განვითარების შესაბამისად იცვლება ამ მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი. ფეოდალიზმის ძირითადი მიზანია უცხოელ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლება. ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკურთან ერთად იძენს სოციალურ-შინაარსსაც (216, 4).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი. განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ სტადიაზე გადადის. მართალია, ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეული ფორმირება განიცადა, მაგრამ იდეა უცვლელი დარჩა. როგორც XIX საუკუნის II ნახევარში, ისე XX საუკუნის I ოცწლეულში ქართული კულტურული ელიტა მთლიანად ორიენტირებულია ნაციონალური ღირებულებების, სიმბოლოების აღორძინება-პროპაგანდაზე საზოგადოების ყველა ფენაში, მნიშვნელოვანწილად სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში. როგორც ე. სმითი აღნიშნავს: „გარკვეულ ტერიტორიასთან ან მისსავე ფარგლებში რომელიმე ადგილთან მიმართებას შეიძლება ჰქონდეს მითიური ან სუბიექტური ხასიათი. სწორედ ეს კავშირები და ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი განკარგვა. ეს ის ადგილია, რომელსაც მივეკუთვნებით.

სწორედ ეს არის საკრალური მიწა, ჩვენ მამა-პაპათა, რჯულმდებელთა, მეფეთა, ბრძენკაცთა, პოეტთა და მღვდელმსახურთა მიწა და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთვით მას, როგორც ის ჩვენ გვეკუთვნის. გარდა ამისა, სამშობლოს საკრალური ცენტრი თავს უყრის ეთნის წევრებს“ (269, 29). ერთიანობის განცდას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ნაციონალური კონსოლიდაციისთვის ერთიანობის ნაციონალისტური იდეალი მრავალისმომცველია. ნაციონალისტურ ენაზე „ერთობა“ ნიშნავს სოციალურ ერთსულოვნებას, ნაციის ყველა წევრის „ძმობას“. ერთობის ნაციონალისტურმა იდეამ შორს მიმავალი შედეგები გამოიღო. მან ბიძგი მისცა ნაციის განუყოფელობის იდეას და კულტურული და პოლიტიკური ჰომოგენურობის ინტერესებიდან გამომდინარე გამართლება მოუნახა ყველა შუალედური რგოლისა და ლოკალური თავისებურებების ამოძირკვას, ხშირად ძალის გამოყენებითაც კი“ (269, 94).

ერთიანობის იდეის აქტუალობა-საჭიროებაზე 1900-1917 წლებში უკვე ვისაუბრე წინა თავებში. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებ 1918-1921 წლებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაზე. განსხვავებით 1900-1917 წლებისგან, დროის ამ მონაკვეთში ქართული ერთობა ნაციონალური კონსოლიდაციის განვითარების ახალ ფაზაში შედის და მთავარი ორიენტირი კოლექტიური კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი თავისუფლების იდეალი ხდება. საქმე ისაა, რომ ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელ მთავარ ორიენტირებს შორის, როგორცაა ენა, რელიგია, ისტორიული მეხსიერება, თავისუფლების იდეალს მთავარი ადგილი უკავია: „თავისუფლების იდეალმა დასაბამი მისცა ნაციონალურ თვითგამორკვევას და ერთობლივ ბრძოლას ნაციონალური ნების რეალიზაციისათვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებდა საზოგადოება საკუთარი „შინაგანი რიტმის“ აყოლას, თავისი „შინაგანი ხმის“ გაგონებას და წმინდა და პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნებას. ავთენტური საზოგადოება და ავთენტური გამოცდილება არის სრული ავტონომიის წინაპირობა, რადგან მხოლოდ ავტონომიას შეუძლია საშუალება მისცეს ნაციას და მის წევრებს, თავისი თავი ავთენტური სახით განახორციელონ. აუცილებელია, რომ ყოველ ნაციას სრული თვითგამოხატვის საშუალება და ავტონომიურობა ჰქონდეს. ავტონომიის ნაციონალურ იდეალს აქვს რამდენიმე ასპექტი. ზოგადად, ეტიმოლოგიურად ავტონომიურობა ნიშნავს თვითმმართველობას, შიდა კანონების ან რიტმების ქონას, საკუთარი შინაგანი ხმისთვის ყურის მიგდებას, გარედან რაიმე შევიწროების არარსებობას. ამას

მიყვაროთ კოლექტიური ნების და ინდივიდუალობის რეალიზების მაძიებელი, საკუთარი კოლექტიური „მე“-ს ცნებასთან“ (269, 95).

სწორედ ამიტომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველა ერის მთავარ მიზანს თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. „ჯერ კიდევ კაცობრიობის არსებობის სიმწიფის ხანაში ოცნებობდნენ თავისუფლებაზე ღმერთის მფარველობით. ამ თავისუფლების საწინდარი კი მუდამ სუვერენული სახელმწიფო იყო“ (208, 5). საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების პირობებში თავისუფლების იდეალისკენ სწრაფვამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. „თავისუფლების იდეალის ეროვნულმა პერცეფციამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ამის შედეგად თავისუფლების იდეალმა დასაბამი მისცა ნაციონალურ თვითგამორკვევას და ერთობლივ ბრძოლას. ავთენტური ნაციონალური ნების რეალიზაციისათვის“ (269, 95).

რაც შეეხება საქართველოს, თავისუფლების იდეალის აღქმამ ახალი დატვირთვა შეიძინა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ქართული კულტურული ელიტა თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ ყოველთვის მოუწოდებდა პირდაპირ თუ ირიბად ქართველ საზოგადოებას. XIX საუკუნის I ნახევარში ეროვნული აჯანყების კრახით დასრულების შემდეგ, XIX საუკუნის II ნახევრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ ფაზაში შედის. ეს დაკავშირებულია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფასთან და საზოგადოების ყველა ფენაში გავრცელება-დამკვიდრებასთან. ქართული კულტურული ელიტა ორიენტირებულია ქართული ერთობის ნაციონალურ კონსოლიდაციაზე, რაც საერთო, ეროვნული პროგრამით უნდა განხორციელდებულყო. ამავდროულად ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი თავისუფლების იდეის ფართო პროპაგანდას იწყებს. აღნიშნულ მოვლენას უკავშირდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ლიდერის ილია ჭავჭავაძის ფრაზა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდუნეს“. საინტერესოა, ასევე აღინიშნოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი თავისუფლების იდეალზე: „იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედა-ენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ

უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი. როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება. აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა და უკეთუ ვითმენ ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა, იქნება მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმაღავ, მაშინ ვარ ლაჩარი, საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდე მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვეკვდები, ან ვძლეე ჩემს მტანჯველთ!...“ (231, 410. 411).

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში თავისუფლების ფენომენმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რამაც ევოლუციის გარკვეული გზა განვლო ქართველი ერის ცნობიერებაში. ქართულმა პოლიტიკურმა და კულტურულმა ელიტამ გააცნობიერა, რომ თავისუფლების ბრძოლისთვის ხალხის მასების მობილიზებას მხოლოდ ლოზუნგები ვერ მოაგვარებდა და არც გაუთავებელ შეიარაღებულ, უსისტემო გამოსვლებს მოყვებოდა შედეგი. საჭირო იყო ხალხთან რაც შეიძლება მეტი კონტაქტი და მათთვის გასაგებ ენაზე საუბარი. გარდა იმისა, რომ ქართველებს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის უნდა ებრძოლათ, მათ, აგრეთვე უხდებოდათ ყოველდღიური ბრძოლა იმ ცვლილებებთან, რაც რუსეთის ხელისუფლებამ მოიტანა საქართველოში. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახალი გამოწვევების მიღება და მასში ჩართულობა. ეს იქნებოდა ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო. „XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართული საზოგადოების ნაწილი ქართული სკოლისა და ქართული ენის უფლებებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ სახელმწიფოს, ქართული სახელმწიფოს აღდგენის ფართო პროგრამა მათ არ ჰქონდათ. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა არსებული ვითარების გამო შეუძლებელი იყო. XIX საუკუნის II ნახევარში ისე მომძლავრდა ჩვენში რუსული მმართველობა, რომ სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნებით გამოსვლა შეუძლებელი იყო. თავისუფლებისათვის ამ ბრძოლას თან სდევდა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა“ (204, 125).

1900-1917 წლებში საქართველოში საკმაოდ აქტუალური იყო თავისუფლების საკითხი. მართალია, ქართველი კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

ბის აღდგენა იმ ეტაპზე შეუძლებლად ესახებოდათ, მაგრამ განსხვავებულ ბრძოლის მეთოდებიდან, რომელთაც თითოეული პოლიტიკური პარტია სთავაზობდა ქართველ საზოგადოებას ეროვნული თავისუფლების ღოზუნგს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამას მოწმობს ის მრავალრიცხოვანი საგაზეთო პუბლიკაციები, რომელიც ამჟერად ჩემი განხილვის ობიექტს წარმოადგენს. „გადის აგერ სამი წელიწადი განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურად დაწყებიდან და ბრძოლას, გამარჯვებას ბოლო არ უჩანს. და ეს მიტომ რომ ხალხი ჯერ კიდევ უვიცია და უვიცობა კი თავისუფლების მოსისხლე მტერია. უვიცი და განუვითარებელი ხალხი ვერ არის კარგი მეზობლი: მის ბრძოლას არ მოაქვს შესაფერი ნაყოფი. თავისუფლება მარტო ფიზიკური ბრძოლით, მარტო იარაღით ჯერ არავის მოუპოვებია არსად; მის მოპოვებას უპირველესად ყოვლისა განვითარება, ცოდნა, მომზადება და შეგნება უნდა... ვინც ხალხის, მასის განვითარების და გათვითცნობიერების საქმეს ემსახურება, იმან მას უნდა მიაწოდოს, სიტყვით თუ წერით, სისტემატიურად დაწყობილი, ხალხური ენით მკაფიოდ და მოკლედ გამოთქმული ცოდნა ამა თუ იმ მეცნიერებიდან“ (173, 14). შემთხვევითი არ არის, რომ გათვითცნობიერებას და ცოდნას დიდ დატვირთვას ანიჭებს პუბლიცისტი, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა 1900-1917 წლების საქართველოში მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით არ გამოიხატებოდა, ეს ფაქტი ვლინდება კულტურული და პოლიტიკური ელიტის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში. დისერტაციის წინა თავებში განხილული საკითხები სწორედ აღნიშნულის გამოსატყულებას წარმოადგენს. განათლებული და საკუთარი ნაციონალური სიმბოლოების მნიშვნელობას მიხვედრილი ქართველი უფრო მეტი შემართებით დაიცავდა სამშობლოს. გაზეთი „ივერია“ 1909 წელს წერდა: „თავისუფლება ყოველთვის და ყველგან სანატრელია, ვინაიდან თავისუფლება თვითონ არის უზენაესი ბედნიერება, მაგრამ ეროვნული თავისუფლება ყველგან შესაძლებელი კი არ არის. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომლებიც აუცილებელი არიან ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს პირობები მხოლოდ ორია: ერთეულობა ეროვნული და ტერიტორიული. ორივე ეს პირობა საქართველოში ნათლად არის დაცული. ქართველი ერი ერთია: კახელი, ქართლელი, ფშავ-ხევსური, მთიული, ჯავახელი, იმერელი, აჭარელი, მეგრელი, გურული და სვანი, ყველა ქართველია, ყველას უდის ქართული სისხლი, ყველა დაპარაკობს ქართულ ენაზე, ყველას ერთად გამოუვლია წარსულ საუკუნეებში ერთი და იგივე სიხარული და უბედურება, დღეს ყველა ერთ ტაფაში იწვის და

ყველას უღვივის ან უნდა უღვიოდეს გულში ერთნაირი მისწრაფება – კულტურული თავისუფლება.“ (96, 2). ეროვნული თავისუფლების საკითხი უკავშირდებოდა ასევე ავტონომიას. „საქართველოს ავტონომია ნიშნავს საქართველოს თავისუფლებას თავისი შინაურ საქმეების მოწყობაში. ქართველი ხალხი ცხოვრობს განსაზღვრულ მიწა-წყალზე, ანუ ტერიტორიაზე. მთელს იმ მიწა-წყალს, იმ ტერიტორიას, რომელზედაც ქართველი ხალხი ცხოვრობს, საქართველო ქვია. ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავეთი, აჭარა-ქობულეთი, ყველა ეს ადგილები ერთად შეადგენენ ერთს ქვეყანას, - საქართველოს, რომელიც დასახლებულია ან ქრისტიანი ან მაჰმადიანი ქართველებით. ეს არის ჩვენი სამშობლო-საქართველო, რომელსაც უნდა მიენიჭოს უფლება, თავის შინაურ საქმეებს თვითონ გაუძღვეს“ (264, 5).

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში ეროვნული თავისუფლების საკითხის განსაზღვრა არც ისე მარტივია, გამომდინარე იქიდან, რომ თავისუფლებისთვის ყველა სოციალური ფენა თუ ჯგუფი განსხვავებული გზით იბრძოდა. ეროვნულ თავისუფლებაში ისინი სხვადასხვა რამეს გულ-ისხმობდნენ. „დღეს ქართველებში ორნაირი მოთხოვნილებაა წამოყენებული: ერთი თხოულობს ისეთ ურთიერთობის დამყარებას სახელმწიფოს და ერს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალური კულტურის განვითარებას, მეორე თხოულობს ისეთ ურთიერთობას, რომელიც შექმნის საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს, ავტონომიურ მართვა-გამგეობას. პირველის პირდაპირი მიზანია ნაციონალური კულტურა, მეორის პირდაპირი მიზანია ნაციონალური მთავრობა. ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს ებრძვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ და იპყრობს საერთო ყურადღებას. პირველი გაგრძელებაა მესამოცე წლების პირველი მეოთხედისაკენ, როცა ავტონომიური მთავრობა ბრძოლის ღოზუნგით გამოცხადდა“ (1-39). ამის პარალელურად არსებობდა პოლიტიკური თავისუფლების საკითხი. „სხვადასხვა კლასებს პოლიტიკური თავისუფლება სხვადასხვა მიზნისათვის სჭირიათ. გაბატონებულ კლასებს თავისუფლება იმიტომ უნდათ, რომ გააუმჯობესონ და სამუდამო ბატონობა მოუპოვონ კაპიტალისტურ წესწყობილებას. შეგნებული მუშები კი იმიტომ იბრძვიან პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ იმის საშუალებით მალე დაამხონ ეს წესწყობილება და განახორციელონ სოციალიზმი“ (40, 3).

სოციალ-დემოკრატებისთვის ეს საკითხი ასე მოიაზრებოდა: „პოლიტიკური

თავისუფლება მუშებს უნდა არა თავის თავად, არამედ როგორც საშუალება უფრო ფართე მიზნისათვის. დაქირავებული შრომის მოსახსობად და მუშათა ხელში ყველა საზოგადოებრივი სიმდიდრისა და საწარმოო საშუალებათა შესარჩენად. თავისუფლება ჩვენ გვინდა სოციალიზმისათვის საბრძოლველად, რადგან მხოლოდ სოციალიზმი განათავისუფლებს მილიონ მუშებს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად კაპიტალისტებისაგან. ხოლო სოციალიზმისათვის საბრძოლველად ჩვენთვის საჭიროა ყოველად სრული პოლიტიკური თავისუფლება, ე.ი. თანასწორობა არა მარტო სასამართლოს წინაშე, რომელსაც მოგვცემენ ჩვენ ლიბერალები, არამედ სრული თანასწორობა ყველასი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში. ამას კი ჩვენ ნებით არავინ მოგვცემს, ეს ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ“ (39, 3). ფაქტობრივად, აქ იკვეთება თავისუფლებისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული გზა, რომელსაც პოლიტიკური ელიტა სთავაზობს ქართულ საზოგადოებას. სოციალ-დემოკრატებისთვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოიაზრებოდა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლება, ეროვნული მიმართულების პარტიებისათვის (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) კი – ეროვნული თავისუფლებისათვის. „რა თავისუფლებისთვის კვდებოდნენ? სრული თავისუფლებისთვის! ისეთი თავისუფლებისთვის, რომლის შემდეგ არ იქნებოდა მტარვალობა ერთი მეორის ცარცვა-გლეჯა წარმოების მიზეზით, არ იქნებოდნენ ბატონები, მონები, არამედ თანასწორუფლებიანი-თანასწორად თავისუფალი ადამიანები, არ იქნებოდნენ ჯაშუშები, ჟანდარმები, არ იქმნებოდა ძმების და მეგობრების მკვლელი მხედრობა, არ იქნებოდა საპყრობილებები, ჯალათები, მდიდრები, ღარიბები“ (112, 1). გაზეთი „მეგობარი“ 1906 წელს წერს, რომ აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება პოლიტიკურთან ერთად. „დღევანდელი კაპიტალისტური წეს-წყობილების დამახასიათებელი თვისება, სხვათა შორის ის არის, რომ მან წამოაყენა ახალი კლასები – ბურჟუაზია ეკონომიურად გაბატონდა, იგი ბატონი შეიქნება პოლიტიკურადაც. ამრიგად, ეკონომიურ მონობიდან, იურიდიულად თავისუფალი პროლეტარი, პოლიტიკურ მონობაშიაც გადადის. თავისთავად ცხადია, რომ ამ მონობიდან პროლეტარი მანამდე ვერ განთავისუფლდება, სანამ ბურჟუაზიისაგან ქონებრივად დამოუკიდებელი არ გახდება, ე.ი. სანამ არ მოახდენს სოციალურ რევოლუციას, რომელიც ერთ-ერთი თავდება სრული თავისუფლებისა და თანასწორობისა“ (107, 2). პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლა ღენინს ასე ესახებოდა: პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს ხალხის

უფლებას აირჩიოს თავისი ხმოსნები სახელმწიფო სათათბიროში. მხოლოდ ეს, თვით ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფო სათათბირო უნდა განიხილავდეს და სცემდეს ყველა კანონს, აწესებდეს ყველა გადასახადსა და ხარკს. პოლიტიკური თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ხალხს უფლება ჰქონდეს თვითონ აირჩიოს თავისი მოხელეები, მოაწყოს ყოველგვარი კრება ყველა სახელმწიფოებრივ საქმეთა განსახილველად, გამოსცეს ყოველგვარი ნებართვის გარეშე, წიგნები და გაზეთები თავისი სურვილის მიხედვით“ (241, 14).

თავისუფლების იდეის პროპაგანდის სფეროშიც იკვეთება ნაციონალისტების და სოციალიზმის მომხრეების ბრძოლა. ქართველი ნაციონალისტები, რომლებიც მთლიანად მიმართული იყვნენ ეროვნული ცნობიერების ამაღლები-საკენ და ქართული, ნაციონალური ფასეულობების დაცვისაკენ, თავისუფლების ბრძოლის ღოზუნგად პირველ რიგში ეროვნული თავისუფლების მოპოვებას აყენებდნენ. მათი მთავარი მიზანი ქართული ენის, ქრისტიანობის, ისტორიული წარსულის შენარჩუნება იყო, რაც სკოლის და პრესის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ამასთან ბეჭდურ მედიას და სასწავლო დაწესებულებებს ხელი უნდა შეეწყო ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებისათვის, რომლის საბოლოო გამოხატულება იყო თავისუფლება – დამოუკიდებელი საქართველო. „დღეს ქართველებში ორნაირი მოთხოვნილებაა წამოყენებული: ერთი თხოულობს ისეთ ურთიერთობის დამყარებას სახელმწიფოს და ერს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალური კულტურის განვითარებას, მეორე თხოულობს ისეთ ურთიერთობას, რომელიც შექმნის საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს, ავტონომიურ მართვა-გამგეობას. პირველის პირდაპირი მიზანია ნაციონალური კულტურა, მეორის პირდაპირი მიზანია ნაციონალური მთავრობა. ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს ებრძვის სამკედრო-სახიცოცხლოდ და იპყრობს საერთო ყურადღებას. პირველი გაგრძელებაა მესამოცე წლების მიმართულების, მეორე დაბრუნებაა მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედისაკენ, როცა ავტონომიური მთავრობა ბრძოლის ღოზუნგით გამოცხადდა“ (40, 2).

ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა ხალხის ფართო ფენების პოლიტიკური შეგნების ამაღლებას. მათ ჩართულობას პოლიტიკურ მოვლენებში, რასაც შედეგად სოციალიზმის განხორციელება უნდა მოყოლოდა. სადაც ყველა თანასწორი იქნებოდა და არ იარსებებდა კლასთა შორის განსხვავება. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ ვკითხულობთ:

„თავისუფლება ჩვენ გვინდა სოციალიზმისათვის საბრძოლველად, რადგან მხოლოდ სოციალიზმი განათავისუფლებს მილიონ მუშებს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად კაპიტალისტებისაგან. ხოლო სოციალიზმისათვის საბრძოლველად ჩვენთვის საჭიროა ყოველად სრული პოლიტიკური თავისუფლება, ე.ი. თანასწორობა არა მარტო სასამართლოს წინაშე, რომელსაც მოგვცემენ ჩვენ ლიბერალები, არამედ სრული თანასწორობა ყველასი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში. ამას კი ჩვენ ნებით არავინ მოგვცემს, ეს ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. ჩვენთვის საჭიროა, რომ კანონების გამოცემა და სახელმწიფო საქმეების დამქაშებისაგან გადავიდეს არა მარტო ერთ მისგან ამორჩეულ მემამულეთა და საზოგადოდ „ხაზენების“ ხელში, არამედ წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად. ყოველი მოქალაქე თანასწორად უნდა ღებულობდეს მონაწილეობას მთავრობისა და კანონმდებლობის არჩევაში—და აი, სწორედ ამას ქვია დემოკრატიული წეს-წყობილება“ (39, 3).

ყველა სოციალურ ფენას თავისუფლების მოპოვება საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის სჭირდება. „სხვადასხვა კლასებს პოლიტიკური თავისუფლება სხვადასხვა მიზნისათვის სჭირიათ. გაბატონებულ კლასებს თავისუფლება იმიტომ უნდათ, რომ გააუმჯობესონ და სამუდამო ბატონობა მოუპოვონ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას. შეგნებული მუშები კი იმიტომ იბრძვიან პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ იმის საშუალებით მალე დაამხონ ეს წეს-წყობილება და განახორციელონ სოციალიზმი“ (292, 6).

როგორც უკვე აღვნიშნე, თავისუფლებისთვის ბრძოლა ხალხის ცნობიერებაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენათა ხშირო ცვალებადობით. ამასთან, ხალხის პოლიტიკური და ეროვნული შეგნების დონე განვითარებას განიცდიდა. 1910 წელს „ახალი სხივი“ წერდა: „1904-1905 წლების განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთშიაც და ჩვენშიაც ერთი და იგივე ღოზუნგი წამოაყენა: მიწა და თავისუფლება. მიწის მოთხოვნილება თვით ხალხის სულის და გულის სიღრმიდან იყო ამოსროლილი. საუბედუროდ, თავისუფლების აუცილებლობას პირველი მოთხოვნილების მისაღწევად თანაბრად ყველგან რუსეთში ვერ გრძნობდნენ და ამიტომაც ეს მოთხოვნილება ძვალსა და რბილში გამჯდარი არ ქონიათ“ (34, 1).

სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა ერის ცნობიერების ამაღლებას და

ეროვნული თავისუფლების ბრძოლის საჭიროების დამტკიცებას. მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეროვნული ძალების აქტიურობისა სოციალ-დემოკრატიული პარტია სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა ხალხში და მრავალრიცხოვან მომხრეებს იძენდა. ეს გარემოება შემთხვევითი არ იყო, სოციალ-დემოკრატები ყოველმხრივ აქტიურობდნენ საკუთარი გეგმების რეალიზაციისთვის. ამასთან ისინი აქცენტს აკეთებდნენ სოციალური უთანასწორობის მოსპობაზე, რაც ხალხის ფართო მასების სიმპატიას იმსახურებდა. როგორც ცნობილია, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალიზმის განხორციელებისთვის იბრძოდა. ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა: ნამდვილი თავისუფლება როგორც პიროვნების, ისე ერის, შესაძლებელია მომავალ საზოგადოებაში, სადაც კლასთა ბრძოლა აღარ იქნება და მის ალაგს დაიჭერს ბრძოლა ბუნებასთან ადამიანის კეთილდღეობის უკეთ მოსაწყობად. დღეს კი ჩვენ ვიბრძვით ისეთი ნაციონალური თუ პოლიტიკური ურთიერთობისათვის, სადაც შესუსტდება ჩაგვრა, როგორც ერის, ისე პიროვნების“ (256, 17).

1917 წლიდან ქართული ერთობის კონსოლიდაციის ახალი პერიოდი იწყება. ქართულ ცნობიერებაში თავისუფლების იდეალმა აქტუალობა შეიძინა პირველი მსოფლიო ომისა (1914-1918) და 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და ასევე მისი დასრულების შემდეგ ქართულ ბეჭდურ მედიაში გაჩნდა მოწოდებები ეროვნული ერთიანობის აუცილებლობაზე: „საერთაშორისო ომმა წამოაყენა ბევრი ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა უქადის კაცობრიობას მომავალში სრულ მშვიდობიანობას. ერთი ამ საკითხთაგანი გახლავთ პატარა ერების ინტერესების წინ წამოყენება (თემი 1914თ: 1). “ჩვენი ძალა კულტურულ შემოქმედებაშია და იმის შეგნების მოახლოებაში, რაც პირდაპირ გვიანდერძა დღევანდელმა ომმა. ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული ერთიანობა უნდა გახდეს ჩვენი მოქმედების ქვაკუთხედად, რომელზედაც უნდა აშენდეს მთავარი კედლები მთლიანი ეროვნული ცხოვრებისა. ამას გვეუბნება ჩვენი დღევანდელი ომი. ამას ასწავლის განსაკუთრებით წვრილი ერების დღევანდელი საშინელი სისხლისღვრა განათლებულ და კულტურულ კაცობრიობისა (82, 2).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი ინტელიგენცია საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მოწყობის შესახებ მეტი აქტიურობით

ფიქრობდა და წერდა პრესაში. იქნებოდა ის ავტონომიური რუსეთის შემადგენლობაში თუ არა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ავტონომიური უფლებები და რა სამართლებრივი საფუძველი ექნებოდა მას. ინტელიგენციის ნაწილს მიაჩნდა, რომ ავტონომიის ძირითადი საფუძველი 1783 წლის ტრაქტატი უნდა ყოფილიყო (300, 239). „რა დიდი ცოდვა იქნება, რომ განახლებულმა რუსეთმა ადადგინოს ძველი მთავრობის მიერ დარღვეული ხელშეკრულება და დაუბრუნოს საქართველოს 1783 წლის ტრაქტატით განსაზღვრული ავტონომიური თვითმმართველობა, რომელიც სრულიადაც არ აღემატება თავისი გარეშე შემცველობით ფინლანდიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სხვა ავტონომიების უფლებათ“ (121, 2).

ბეჭდური მედია, რომელმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, დიდ ადგილს უთმობს მოწოდებებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის. ბეჭდური მედიის საშუალებით ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ თავისუფლების იდეალის პროპაგანდა შემთხვევითი არ იყო. 117 წლის მანძილზე რუსულ გაგლენაში მყოფი ქართველი ხალხის ცნობიერება გარკვეულწილად შეიცვალა, ამავდროულად საქართველოში არსებულ ყველა სოციალურ ფენას გააჩნდა განსხვავებული ფსიქოლოგია. გლეხობაში დაბალი იყო პატრიოტული, მოქალაქეობრივი შემართება, შესაბამისად დაბალი იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. მის შეგნებაში მიწა და თავისუფლება შედუღებული იყო. გლეხი თავისუფლებას მიწის მოსაპოვებლად იყენებდა (285, 72). რაც შეეხება მუშებს, მათი დიდი ნაწილი კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი და ეროვნულ ცნობიერებას წარსულის მავნე გადმონაშთად თვლიდა. მუშების უმრავლესობას გლეხების მსგავსად არ გააჩნდა პატრიოტული, მოქალაქეობრივი შეგნება. მუშები თავის მისიას კლასობრივი ცნობიერებით შეპყრობილი პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერაში ხედავდნენ და არა სახელმწიფოს ერთგულებაში (226, 26).

საგლეხო რეფორმისა და ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში ჩნდება ახალი სოციალური ფენა ბურჟუაზია, რომელიც ძირითადად არაქართველებით იყო წარმოდგენილი. საზოგადოდ ბურჟუაზიას თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა და ეროვნული საკითხით ნაკლებად იყო დაინტერესებული. ამ შემთხვევაშიც ბურჟუაზია სახელმწიფოებრივი შეგნების განმტკიცებისათვის ბრძოლაში არ

მონაწილეობს.

ერთადერთი ნაწილი ქართული საზოგადოებისა, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებდა საქართველოს განთავისუფლებისათვის და გაცნობიერებული ჰქონდა პრობლემის არსი იყო სამღვდლოება და კულტურული და პოლიტიკური ელიტა. სწორედ ისინი შეეცადნენ საერთო ნაციონალური იდეოლოგიის საფუძველზე ჩვენ-ჯგუფის წევრებს შორის ერთიანობის განცდა ჩაენერგათ. რაც არც ისე ადვილი იყო. როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „ორიოდ კაცის გარდა, ძველებსა და ახლებს ვერ წარმოუდგენიათ ურუსოთ ქართული თავისუფლება“ (297, 21). როგორც ცნობილია, საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ ქართული, ეროვნული ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა. სხვადასხვა სოციალური ფენა განსხვავებულად აფასებდა რუსულ მმართველობას. ერთი ნაწილისთვის რუსეთი განმათავისუფლებელი იყო, მეორისთვის – დამპყრობელი. მთლიანობაში კი საუკუნის განმავლობაში რუსულმა გავლენამ თავისი დადი დაასვა ქართულ სულს. ეროვნული თავისუფლების მოპოვების ბრძოლის გასაღვივებლად კი საჭირო იყო არა მარტო აჯანყებები, არამედ მტკიცედ შემუშავებული ეროვნული იდეოლოგია. როგორც მიხაკო წერეთელი წერს: „ბევრი არ არის ისეთი, რომ თავის სამშობლოდ გულწრფელად მთელს საქართველოს თვლიდეს, არამედ მისთვის სამშობლო ან კახეთია, ან ქართლი, ან იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა. ჩვენში ჯერ არ არის მაშასადამე დამთავრებული სრული კოჰეზია ერისა, მაგრამ ამ მხრით დიდი ეროვნული მუშაობა სწარმოებს ამჟამად ჩვენ შორის. და როდესაც ჩვენი ეროვნული ერთობის შეგნება იქნება განხორციელებული და არა მხოლოდ სასურველი იდეა, ჩვენი ბედიც სხვანაირად დატრიალდება“ (297, 110).

მიხაკო წერეთლის მსჯელობანი ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობს და პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს უკავშირდება. „უეჭველ ფაქტად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ერს არავითარი სერიოზული, შინაგანი სოციალური პროგრესის განხორციელება არ შეუძლია, თუ გარეგნულად არ არის განთავისუფლებული (297, 198). იდეალი კაცობრიობისა – ყოველმხრივი თავისუფლება უნდა იყოს. თავისუფლება და თანასწორობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული როგორც ინდივიდს საზოგადოებაში, ისე სოციალურ ინდივიდს, – ერს საზოგადოებათა საზოგადოებაში, „კაცობრიობაში“ (297, 241).

მისი მოსაზრებები ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით მიმართულია როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაზე. „თავისუფალი ერი კი ყოველთვის უფრო შემომქმედია, ისე როგორც მონაზედ მეტად თავისუფალი პიროვნება იჩენს ინიციატივას და შემოქმედებას. როგორც პიროვნებასა აქვს გრძნობა და ინსტინქტი, სურვილი და შეუხერხებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელს ერს აქვს ესევე ინსტინქტი და სურვილი და ამით აიხსნება, რომ მიუხედავად მოპირდაპირე კლასთა ნივთიერ ინტერესთა წინააღმდეგობისა, მთელი ერი, განურჩევლად წოდებისა და კლასისა, იბრძვის გარეგან თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ უფრო მტკიცედ დადგეს პროგრესის გზაზე“ (297, 43). მისი აზრით, ეროვნული თავისუფლება ერის არსებობის აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი არსებობის უფლებას და ფუნქციას კარგავს. „თავისუფლების მოპოვება დაჩაგრული, დამონებული ერის უპირველესი უფლებათაგანი გახლავთ. ამასთანავე ეს თავისუფლება უნდა იყოს სრული, დამოუკიდებელი სახელმწიფოთი და არა ავტონომიის ფორმით დიდი სახელმწიფოს ფარგლებში (297, 337). ძირითადად, როგორც ქართულ ასევე, ევროპულ აზროვნებაში პიროვნული თავისუფლების არსებობის შემდეგ მიიჩნევენ ეროვნული თავისუფლების მოპოვების აუცილებლობას. მთავარი სიახლე რაც ეკუთვნის მიხაკო წერეთელს, მდგომარეობს შემდეგში. მისი აზრით, „ადამიანის თავისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს ერის თავისუფლების ნიადაგზე“ (297, 7).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებიდან გამორჩეულია ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, მწერალი და იურისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი და დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტიური მონაწილე – გიორგი გვაზავა. მისი პუბლიკაციები ქართულ პრესაში მთელი სიმწვავეით პასუხობდა საქართველოსათვის სასიცოცხლო ინტერესებს, ებრძოდა ანტიქართულ ძალებს, იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქართული კულტურისა და ლიტერატურის ტრადიციებს (300, 255).

გიორგი გვაზავას ნაშრომები თუ საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციები ძირითადად ეხებოდა ეროვნულ პრობლემატიკას, მათ შორის ეროვნული თავისუფლების საკითხს. მან გამოყო გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, სამართლებრივი, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ თავისუფლებას და თითოეულ საკითხს ამ

პრობლემის იდეის ირგვლივ განიხილავს. მისი აზრით, „თავისუფლების განხორციელება წარსულში კი არ უნდა ვეძიოთ. თავისუფლება იდეალია და როგორც იდეალი, ანათებს მხოლოდ კაცობრიობის მომავალ შარას“ (225, 81). იგი შემდეგნაირად განმარტავს თავისუფლებას. „რა არის თავისუფლება? ქართული ტერმინი ამ მხრივ მეტად მეტყველია და განსაკუთრებით იურიდიული. თავისუფალია ის, ვინც თავისთავის უფალია, ვისაც არ ჰყავს სხვა უფალი, სხვა ბატონი, გარდა თავისივე თავისა. ეს სრულებით უბრალო და მარტივი ახსნა ერთბაშად აყენებს საკითხს თავის ბუნებრივ, განსაკუთრებით უფლებრივ კალაპოტში და სულ არ შეეხება თავისუფლებას, როგორც ფილოსოფიურ შემეცნებას“ (225, 81). თავისუფლების იდეის აღმავლობას იგი საფრანგეთის რევოლუციას უკავშირებს. საერთოდ XIX-XX საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზროვნებაში საფრანგეთის რევოლუციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების ახალ ეტაპად მიიჩნევენ. ეროვნული თავისუფლების მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელ პირობად გიორგი გვაზავა მიხაკო წერეთლის მსგავსად საერთო ნაციონალური იდეის არსებობას მიიჩნევდა. „თუ ცალკე პირი ვერა გრძნობს, რომ იგი ნაწილია ერისა, რომ მისი ბედნიერება დამოკიდებულია, თუ მატერიალურად არა, სულიერად მაინც მთელი ერის ბედნიერებაზე, რა თქმა უნდა, ყოველი ეროვნული ხასიათის შრომაც შეუძლებელია, რამდენადაც ადამიანი გონებით დაბლა დგას, იმდენად იგი წარმოადგენს უბრალო მასსას, მისი გარდაქმნა და გადაკეთება უფრო ადვილია“ (224, 33). ეროვნული გამოღვიძების მთავარი მოტივი კი მისი აზრით ინტელიგენციის და სამხედრო ძალის შექმნაა. ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის, რადგანაც ნაციონალური დადგინების სტადიაზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძლიერი კულტურული და პოლიტიკური ელიტის არსებობა. XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთავარი ორიენტირი აღნიშნული საკითხის მოგვარება იყო. XX საუკუნის დასაწყისში ეს იდეები ახალ აქტუალობას იძენს და როგორც მიხაკო წერეთელი, ასევე გიორგი გვაზავა სწორედ ამ გზის გამგრძელებლები არიან. „ყოველი ძალ-ღონე შეგნებულ და განვითარებულ პირებისა უნდა იყოს მიქცეული ამ ეროვნული გამოღვიძებისაკენ. ჯერ საჭიროა თვით ამ პირების შეერთება. ამ შეერთებამ უნდა შექმნას თავისებური იდეური კერა, უნდა წამოანთოს თავისებური ცეცხლი და მოჰფინოს ნათელი ირგვლივ. ამიტომ სულ პირველი ნაბიჯი გახლავთ ინტელიგენციის

შექმნა. უფრო საჭიროა ადგილობრივი ბრძოლა, მუშაობა თვით ერის წიაღში და მომზადება მისი კულტურული და სამხედრო ძალ-ღონისა“ (224, 33-34). თავისუფლებას გიორგი გვაზავა მიხაკო წერეთლის მსგავსად ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. „ეს ღირებულება, ეს დიადი მიზანი, რომლისკენ მიიღტვის მთელი კაცობრიობა და რომელიც შეადგენს შინაგან აზრს მთელი ისტორიული პროცესისა, არის თავისუფლება. გამოაცალეთ ეს იდეა საერთაშორისო ომებს, კლასობრივ ბრძოლას, ინდივიდუალურ შრომას და თავგანწირულებას და თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ უაზრობა ისტორიული პროცესისა“ (225, 81). მისი მსჯელობანი XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი მოვლენების გამოძახილია და პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია და რუსული გავლენის წინააღმდეგ არის მიმართული. „იდეა თავისუფლებისა მოითხოვს, რომ ადამიანის ენერჯია, მისი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალა არ იყოს ხელოვნურად შეზღუდული. მაშინ ადამიანი გაიშლება და განვითარდება მთელი სისრულით, შეიქმს მეტს სიმდიდრეს, მეტს ღირებულებებს, როგორც მატერიალურს, ისე გონებრივს და ზნეობრივს“ (225, 81).

ნოე უორდანიას თავის მემუარებში წერს: „როცა წამოვაყენე დებულება საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობისა, ერთი გლეხი ადგა და მომახალა – აწი ჩვენ ტყვედ სყიდვას ვერ დავუბრუნდებითო! (204, 15).

საზოგადოების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში რუსეთის ხელშეკრულება მათ უსაფრთხოებას ნიშნავდა და ამიტომ არსებული ვითარების შეცვლით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით მათი მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვლებოდა, იაკობ მანსვეტაშვილი მემუარებში იგონებს ილიასა და გლეხების საუბარს. ეს უკანასკნელნი სწორედ რუსული ხელისუფლების მხარდაჭერას გამოხატავდნენ. „ადრე გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შეველა არსაიდამ იყო. ი, დალოცა ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავს, აი, ქალაქშიც ჩამოვდივართ სამუშაოდ. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს ხელს ვმართავთ. გზაში ხელს ვერავინ გვახლებს“ (202, 125).

ქართველებში ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანობის განცდა. „გურულებისთვის საქართველო – ქართლელს, ხანდახან – კახელსაც. ერთი მთლიანი ქართველი ერის, ერთი მთლიანი საქართველო მის წარმოდგენაში

სრულებით არ არსებობდა. ის მუდამ ფიქრობდა თავის დაცვაზე თათრებისაგან“ (204, 15).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებთან ერთად ქართულ საზოგადოებაში საწინააღმდეგო თვალსაზრისები არსებობდა. როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი შალვა ქარუმიძე წერდა: „საქართველოში იყო ხალხი, რომელთათვისაც რუსეთის ერთგულება სამშობლოს დალატი იყო და რომელთა აზრით სამშობლოს ბედნიერება და მომავალი მხოლოდ რუსეთის ნანგრევებზე აშენდებოდა... ამ ხალხის თვალში რუსეთი და საქართველო ერთად ვერ თავსდებოდა და ქართველი კაცის წინაშე საკითხი ამნაირად ისმებოდა – ან სამსახური რუსეთს და დალატი საქართველოს, ანდა დალატი რუსეთს და განწირვა მშობელი ერისათვის“ (303, 226).

რუსული მმართველობის წინააღმდეგ ქართველების ერთი ნაწილის პროტესტი ბუნებრივია იმ ნაციონალური იდეოლოგიის შედეგი იყო, რომელიც კულტურულმა ელიტამ შეიმუშავა. ქართული პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის არჩილ ჯორჯაძის აზრით: „ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ხოლმე ყველას, ვისაც კი მისი პოლიტიკური დამონავება სურდა. რით აიხსნება ამგვარი გარემოება? ხალხი შევიწროვებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარაშს, ხელს აძლევდა თავის მხაგვრელს (ფეოდალს – ნ. ს.) და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნივთიერი უთანასწორობისა, ქართველი გლეხი რაღაცით დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა, გარეშე ძალის მონობას. ეს „რაღაც“ იყო – ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია. მაშასადამე, ქართველები იცავდნენ თავის მიწას, ენას და სარწმუნოებას. ყველა ამისი დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და გარეშე მტერს ისე უყურებდა, როგორც იმის სიცოცხლეს და თავისუფლების დამამხობელს“ (306, 315).

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გიორგი კვინიტაძე მოგონებებში წერს: „უბრალო ხალხსაც დაატყო კვალი ისტორიულმა წარსულმა და მათ სულსა და გონებასაც აფორიაქებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი იმის მიუხედავად, რომ რუსთა ხელისუფლების ბატონობა უკვე საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, არც საზოგადოებასა და

არც ხალხში არ იგრძნობოდა რუსული კულტურისკენ სწრაფვა, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტად უცხოობდნენ ამ კულტურასაც და, ბუნებრივია, მის შემოქმედს რუს ხალხსაც“ (198, 17).

დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლის მზადებას ღრმა საფუძველი ჰქონდა სწორად შემუშავებული ნაციონალური იდეოლოგიის წყალობით. „ხალხი ამასობაში თანდათანობით ძალას იკრებდა და უკვე კარგა ხანია, შესაფერის დროს ელოდა თავისი შელახული უფლებების ხმამაღლა დასაცავად. იმ მსხვერპლის მიუხედავად, რომელიც პრივილიგირებულ კლასს უნდა გაეღო, ყველანაირი შევიწროების, დევნის და მკვლევლობების მიუხედავად, რომელიც ბუნებრივი შედეგია რევოლუციისა და ახალი წეს-წყობილებისა, ყველამ თავადაზნაურობამ, მოსამსახურებმა, რომელთა მთავარ ნაწილს სამხედროები შეადგენდნენ, ვაჭრებმა, მეწარმეებმა, მუშებმა, ხალხმა – ახალი ლიდერების გარშემო მოიყარა თავი. მუშები თავიანთ სოციალისტურ ბელადებს უჭერდნენ მხარს, გლეხობა, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა მათ მოწოდებებს“ (198, 18).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, ქართველების ასეთი ერთიანობა ისტორიული წარსულით იყო განპირობებული, რადგან საქართველოს ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა. „ქართველი ხალხი ერთი უძველესი და კულტურული ხალხია. მან ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სკოლა გაიარა, სანამ მიაღწევდა თავის ოქროს ხანას თამარის ეპოქაში. ქართველმა გაიარა მაღალი სახელმწიფოებრივი სკოლა ქრისტიანული ორგანიზაციისა და მონარქიული ცენტრალიზმისა. მასში დაგროვილი იყო და არის მრავალ საუკუნეთა ეროვნული განცდა, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება. ქართველი ხალხის ეს შინაგანი გაძლიერება – განძი ისტორიის გრძელ შარა გზაზე ხან ინაცრებოდა და იჩრდილებოდა გარეშე ძალების ძალმომრეობის გამო და ხან კი დიდის ბრწყინვალეობითა და სიძლიერით ჩნდებოდა ხოლმე. მაგრამ თვით ხალხში განუწყვეტლივ, თვით უსაშინლეს სახელმწიფოებრივ დაქსაქსვისა და გაპარტახების დროსაც კი ღვიოდა ეს ხანგრძლივ პოლიტიკური გამოცდილების განძი, შინაგანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოტენცია“ (199, 36).

1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ბეჭდური მედია სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობს

დამოუკიდებლობის აღდგენის საჭიროებაზე. „ავტონომია – აი ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც ეხლა ელვასავით გადადის მთელ საქართველოზე და აუცილებლად მოაქცევს თავის ცეცხლის რკალში ყველა მამულიშივლს, მას წინ, ვნახოთ თუ ვინმე აღუდგება“ (121, 2).

რევოლუციის შემდეგ ინტელიგენცია წარსულის იდეალიზებით ქართული ერთობის წევრებში ბრძოლის ჟინის გაღვივებას ცდილობს. „იფეთქა რევოლუციამ, დაემხვნენ ძირს პორფირმოსილნი მტარვალნი და ჯალათები. წამებულ ხალხს მოევლინა სანატრელი თავისუფლება. დღეს დაჰკრა ქართველი ერისთვის საბედისწერო ჟამმა, დღეს ეჭირვება მას ჭკუა-ფხიზელი, მაღალნიჭიერი, ძლიერი ნების, მამაცი და სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული ბელადები, რომლებმაც უნდა აღძრან ერის სული აამოქმედონ და აქციონ უძლეველ ლომად. გვწამს, რომ ასეთი გმირები მალე გამოჩნდებიან“ (124, 2).

საქართველოს რთული ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა თუ ტერიტორიული შევიწროების დროს ქვეყნის ძლიერება „დიდებულ გმირებს“ გადაურჩენიათ: „თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში საქართველოს ბევრჯერ განუცდია საშინელი წამები, ხშირად ყოფილა მის წინ აღმართული ყოფნა-არყოფნის საბედისწერო საკითხი, მაგრამ ერის გენიალობას წარმოუშვია ამ დროს დიდებული გმირები და მათი მეოხებით ქვეყანა გადარჩენია დაღუპვას. მესხეთი, კოლხეთი და ივერია კვლავ შესდგომიან თავის კულტურულ მოღვაწეობას. ასეთი ტრაგიკული წამები ჩვენი ერის წარსულში იყო ხშირი“ (124, 2).

კულტურული და პოლიტიკური ელიტა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფლების იდეის პროპაგანდის მიზნით ხშირ შემთხვევაში წარსულის იდეალიზებას ცდილობდა: „ბევრჯერ მიუყვანია უღმობელ ისტორიულ ქარტეხილს ჩვენი ხალხი შავი ჯურღმულის პირად, ბევრჯერ, ბევრჯერ დაუსვამს მას ცვალებად ცხოვრებას მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი, მაგრამ, საბედნიეროდ, სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებისა ყოველთვის თვალსაჩინო ყოფილა. ამ ერის ცხოვრებაში. საგანი – თავისუფლება, რისთვისაც ეს ერთი მუჭა ხალხი ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას. რისთვისაც ის ვაჟაკურად უმკლავდებოდა კარზე მომდგარ უბედურებას – ყოველთვის ხატად და ჯვარად ჰქონია ქართველ ერს და ამით უნდა აისხნას ის გარემოება, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხიც ამ ერის სასარგებლოდ იჭრებოდა – თავდებოდა. ფიზიკური შენარჩუნების აღდგომა ხომ

თვით უდიდეს კრიტიკულ წუთებშიც ჩამოუყვია თავი ქართველების ცხოვრებაში და მოუწოდებია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებისაკენ“ (126, 4). გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტების აზრით ყოველთვის არსებობდა ქართული ერთობის წევრების გაერთიანების მთავარი საფუძველი – საქართველო. „ეროვნული საფრთხის წინაშე ეროვნულ ძალთა გაერთიანება-შეკავშირებას, მრავალჯერ დაუხსნია ჩვენი სამშობლო და დაუცავს ქართველი ერის არსებობა და თავისუფლება. ქართველ ერს დღეს ასეთი საფრთხე და განსაცდელი მოელის და როგორც მრავალჯერ ძველად, ისე ეხლაც, მას მხოლოდ ეროვნული მთლიანობა, ეროვნულ ძალთა გაერთიანება იხსნის გასაჭირისგან. პატარა ერი ძლიერია, როდესაც ის თავის არსებობას იცავს, მაგრამ სუსტი და უმწეოა, თუ მან ყველა თავისი ძალები ვერ გააერთიანა ამ არსებობისათვის ბრძოლაში. საქართველო კუთხეებად, ოლქებად და მაზრებად არის დაყოფილი. ქართველი ერი კლასებისა, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პარტიებისაგან შედგება. მაგრამ საქართველო ერთია და ერთ მთლიან ეროვნულ არსს წარმოადგენს“ (127, 1).

1900-1917 წლებში ქართული ერთობის იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი იყო ისტორიული მეხსიერება, ტრადიციები, ენა, ქრისტიანობა. 1918 წლიდან აღნიშნულ ნაციონალურ სიმბოლოებს ემატება თავისუფლების იდეალი. „ბაზალეთის ტბას თავისუფლების ნიავექარმა დაჰბერა და მისი აქამდე უძრავი, შეტბორებული ზედაპირი აამოძრავა, დაჰქროლა, ხავსი აჰყარა და ყოველს ქართველის ჭეშმარიტ გულში იმის მოვლინების შუქმფენი იმედი და სასოება გამოჰკვანდა, ვისიც ილიას თქმის არ იყოს:

„ვისიც არ ითქმის სახელი,

ვისაც დღე და ღამ ნატრულობს

ჩუმის ნატვრითა ქართველი“ (122, 3).

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როგორც კულტურული, აგრეთვე პოლიტიკური ელიტა ზემოთ აღნიშნული ნაციონალური სიმბოლოების დაცვა-შენარჩუნებასთან ერთად იწყებს მუშაობას დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტების შემუშავებას. როგორც ბრიტანელი მეცნიერი ე. სმითი აღნიშნავს: „ეს იდეები – დამოუკიდებლობა, იდენტობა, ავთენტურობა, ერთობა აყალიბებს შინაგან

კავშირში მყოფ ენასა თუ დისკურსს, რომლის გამოხატვის საშუალებაც არის ცერემონიები და სიმბოლოები. მათში მოიაზრება ნაციების აშკარა ატრიბუტები – დროშა, ჰიმნი, აღლუმი, ფულის ნიშნები, დედა ქალაქები, ფოლკლორის მუზეუმები, საბრძოლო მემორიალები და სხვა, ანუ ყველა ის განსხვავებული წეს-ჩვეულება, ღირებულება, სტილის, მოქმედებისა და გრძობების თავისებურება, რომელიც აერთიანებს ისტორიული კულტურის მქონე საზოგადოების წევრებს“ (269, 96).

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საზოგადოებას დამოუკიდებლობის აღდგენას მიიხნევდა ახალი ეპოქის დაწყებად საქართველოს ისტორიაში და ამიტომ საქართველოს სრულყოფილებიან ქვეყნად დამკვიდრებისათვის საერთაშორისო სარბიელზე საჭიროდ თვლიდა იმ რეფორმების და ღონისძიებების გატარებას, რაც ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებითი და გადამწყვეტი იქნებოდა: „აღიარებული დამოუკიდებლობა საქართველოსი არის პირველი გვერდი საქართველოს ახალი ისტორიისა. თუ ეს არის დასაწყისი საქართველოს აღორძინებისა, ამავე დროს ეს იქნება ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის მაჩვენებელი მომავალში. დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ჩვენი გაძლიერება ჩვენს ხელთ არის, ჩვენს მუშაობაზედ არის დამოკიდებული. თუ გვინდა შევინარჩუნოთ საპატიო ადგილი კულტურულ სახელმწიფოთა შორის, ჩვენ უნდა შევქმნათ საკუთარი მრეწველობა, საკუთარი ჯარი“ (132, 4).

სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად როგორც კულტურული, ასევე პოლიტიკური ელიტა მთელი ძალისხმევით ცდილობს საზოგადოების უმრავლესობაში იმ დამახინჯებული ცნობიერების შეცვლას, რისი კვალიც რუსულმა გავლენამ დაატყო. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ საჭირო იყო თანმიმდევრული ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს პროცესი არც ისე ადვილი იყო. ქართული ერთობის წევრების უმრავლესობას არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისუფლების არსი. ბეჭდურმა მედიამ და საერთო საგანმანათლებლო სისტემამ ვერ შეძლო პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა. „არა მარტო მოპოვებული თავისუფლება, საქართველოს მიწა-წყალი და დოვლათი, არამედ თვით ერის არსებობა, მისი ფიზიკური არსებობა განიცდის განსაცდელს და მოითხოვს დაცვას. საჭიროა ქართველი ერის ყველა ძალ-ღონის შემოკრება და მობილიზაცია“ (126, 1). ამასთან ერთად

აუცილებლობას წარმოადგენდა ერთობის წევრებში სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცების და თავისუფლების დაცვისთვის ბრძოლაში ყველა სოციალური ფენის ჩართვა. „შევძლებთ პირადი ანგარიშების დავიწყებას და ერთ დროშის ქვეშ გაერთიანებას: რატომ არის ეს საეჭვო? იმიტომ რომ არც ისე ძვირად გვხვდება მაგალითები ჩვენი ფსიქიკის მოწამლისა და სულიერი „მე“-ს დაწვრილმანებისა. და ესეა როცა საქმე და მდგომარეობა მოითხოვს ყველაფრის გადალახვას, შეერთების ყიჟინას გავცემთ შესაფერ პასუხს და გაეზნდებით იქ, სადაც მოგვთხოვს მოქალაქეობრივი მოვალეობა და გაგანაღლებთ სამშობლოს იმედებს“. აი, რა კითხვები იბადება ჩვენს ცხოვრებაში! აი, რას მოგვთხოვს ჩვენ მომავალი და თუ უმტყუნეთ ჩვენ მას, თუ ჩვენში რაინდუღმა სულმა ვერ გაიღვიძა, მაშინ ისევ უიმედობის ბურუსი დაჰფარავს ჩვენს სამშობლოს და მისს ცხოვრებას და ვინ იცის, ეგებ კიდევ ჩაგვიქრეს მზე დიდებისა“ (123, 4). ასეთ პირობებში გაზეთის პუბლიცისტების აზრით, ძლიერი ლიდერების ირგვლივ გაერთიანება შეაძლებინებდა საზოგადოებას სწორი გზით სიარულს „ვიწრო კლასობრივი, პროლეტარული რწმენა ვერ აღძრავს ერში მაღალ პატრიოტულ გრძნობას, ვერ აქცევს ქართველს ძველებურ ლომთას! საქართველოს დღეს ეჭირვება სულ სხვა ბელადნი. მას უნდა დღეს ქუჯი და ფარნაოზი, ივანე მარუშიძე და გიორგი სააკაძე. მას ეჭირვება დღეს ეროვნული გრძნობით ზარხოზნი, გმირნი მამულიშილნი, რომ აღძრან ერის სული, აუხილონ თვალი და დააყენონ ისტორიის სწორ გზაზე“ (124, 2).

გაზეთი „საქართველო“, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების იყო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკუთარი გზები გააჩნდა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებას მთავრობის ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. „მხოლოდ ეროვნულ მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა მთელ ქართველ ერს, შეუძლია მოიპოვოს ის ძალა და ავტორიტეტი, ურომლისოდ არ დამყარდება ჩვენში წესრიგი, მშვიდობიანობა და პიროვნების ხელუხლებლობა და თავისუფლება. საქართველოს, ქართველ ერს და ყველა მის ჯგუფებს და წევრებს მხოლოდ სულიერი გაერთიანება და შეკავშირება, სულიერი აღფრთოვანება, სიმტკიცე და თავგანწირულება იხსნის“ (125, 1).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების მოწესრიგება და

გაუმჯობესება. „ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საკმარისი არ არის ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება: საჭიროა მისი განმტკიცება შიგნიდან და გარედან, შინაგანი განმტკიცებისათვის საჭიროა, რომ დამოუკიდებელი ერის ცხოვრება სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოყალიბდეს და სამართალს დაექვემდებაროს. გარეგანი სიმტკიცე კი იმაში მდგომარეობს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მისი დამოუკიდებლობა იცნან, ორივე ეს მეტად ძნელი განსახორციელებელია ყოველგვარ პირობებში, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენი დამოუკიდებლობა წარმოიშვა.“ (51, 1). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცნობიერებდა რა როგორც საგარეო მდგომარეობის სირთულეს, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებასაც, რაც გამოიხატებოდა მთავრობის მოწინააღმდეგე ძალების აქტიურობით ჩაერთოთ საზოგადოების ფართო ფენები ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვებში. მაქსიმალურად ცდილობდა ორიენტაცია აეღო დაბალი ფენის წარმომადგენლებზე, გლეხებზე, მუშებზე. აქცენტი გაეკეთებინა მათთვის საჭირო საკითხებზე და საკუთარი დასაყრდენი გამხდარიყო. „ჩვენი რესპუბლიკის მთელი მომავალი, ჩვენი ხსნა და ჩვენი დაღუპვა ჩვენი მშრომელი ხალხის ხელშია. მე მივმართავ ჩვენს მშრომელ ხალხს და განსაკუთრებით იმის ღირსეულ მედროშეს – პროლეტარიატს, მუშებს: საქართველო თქვენ გაანთავისუფლეთ. თქვენ გადააქციეთ ის საკუთარ სამშობლოდ და თქვენ იცავთ მას სხვადასხვა მტრისაგან. ბევრი აგიტანიათ, კიდევ ბევრი უნდა აიტანოთ, მაგრამ მტერს როდის შეშინებიახართ, რომ ახლა შეუშინდეთ?“ (56, 2).

ბეჭდური მედია, რომელმაც მოდერნული ქართული ნაციის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, არა მარტო კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეათა რეალიზატორია, არამედ თვალსაჩინოდ გამოხატავს მთელი საზოგადოების სახეს, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებას. ბეჭდურ მედიაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული რუსეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო, როგორც მის გავლენაში მყოფი ქვეყანა 1900-1917 წლებში, და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ქართული ერთობის ცნობიერება გარკვეულ ზეწოლას განიცდის. ქართველების უმრავლესობაში, კერძოდ, სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში გაურკვევლობასაც აქვს ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებას ცდილობდა, არ ჰქონდათ შემუშავებული საერთო, ეროვნული პროგრამა და მათი უმრავლესობა რუსული იდეების გავლენას განიცდიდა. გიორგი გვაზავა თავის წერილში „ერი და თავისუფლება“ ქართული ერის ასეთ მდგომარეობას რუსული გავლენიდან გამომდინარე ხსნის. „ასი წლის მონობამ მოადუნა ქართველი ერის სხეული და შეხუთა კუნთები, უკიდურესმა კლასობრივ ბრძოლის მოძღვრებამ მის გონებას გადაუბნია ისეთი ბურუსი, რომ ამ ბურუსში კინადამ ჩაიმარხა უადრესი ღირებულება – ეროვნული თავისუფლება“ (127, 1). საქართველოში შექმნილ ვითარებას იგი არა მარტო რუსული გავლენით, არამედ ქართველების მოქმედებითაც ხსნის. „სიბნელეს მიჩვეული თვალი სინათლეს ვერ იტანს, მონობას მიჩვეულ ადამიანს ერთხანს რჩება მონური მიდრეკილება, იგი ბატონს ეძებს, იმას უბატონოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. იგი დარწმუნებულია, რომ ბატონი უსათუოდ მოვა, მხოლოდ არ იცის ვინ იქნება ის ბატონი: რუსი, თურქი, ინგლისელი თუ გერმანელი“. ამ სამარცხვინო ფსიქოლოგიის შექმნაში ჩვენც დიდი ბრალი მიგვიძღვის. თუ ყველა არა, ერთი ნაწილი ჩვენი მოღვაწეებისა სულ იმის ქადაგებაში იყო, რომ სამშობლო არ არის, რომ იგი მოგონილია მხოლოდ ბურჟუაზიის და აზნაურების მიერ. ჩვენ ამოგვხიკეთ ხალხის გულიდან მამულის სიყვარული და გმირების ქვეყანა გადავაქციეთ მონების ქვეყნად (127, 1).

ერთი რამ ფაქტი იყო, რომ ქართულ საზოგადოებაში თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღქმა არ არსებობდა. „უნდა გავაგებინოთ ხალხს, რომ შიმშილი და წყურვილი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზით, რომ ეს შედეგია არა პოლიტიკური თავისუფლებისა, პირიქით, სწორედ იმისა, რომ ეს თავისუფლება ჯერ არ არის სრულიად დამყარებული და გატარებული ცხოვრებაში და საერთაშორისო განყოფილებაში. არ არის თავისუფლება მომავლის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის და სხვა. შინ ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ავტორიტეტი ჩვენი მთავრობისა, იმის მოქმედებას ჯერ კიდევ წინ ედობება სხვადასხვა მოწინააღმდეგე ელემენტები. ჯერ კიდევ არა ვართ ყველასაგან ცნობილი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ როგორც შინ, ისე საერთაშორისო არეში არეულია და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური და კულტურული ძალები. თავისუფლება სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ბოლო მოედოს ამისთანა მდგომარეობას“ (127, 2).

გვაზავა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საფუძვლად რეალურ და

აქტიურ ნაბიჯებს მიიჩნევდა. „მარტო ქაღალდს არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ქაღალდზე ჩამოყალიბება ეროვნული ცხოვრების პრინციპისა კიდევ არ მოასწავებს ამ ცხოვრების რეალურ განხორციელებას. ეროვნული ცხოვრების გამოჭედვას უნდა დიდი დრო, დიდი ბრძოლა და მუშაობა“ (128, 2).

1919 წლიდან გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე უკვე შეინიშნება ნაციონალური კონსოლიდაციის გაძლიერება სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში: „ხალხში დიდი სულიერი გარდატეხა ხდება, რევოლუციური პსიხოზით შეპყრობილი, ნგრევა-დაქცევის იდეოლოგიით გატაცებული, ის ბუნებრივ გამოძიებების გზას დაადგა. ეს ხდება ბუნებრივად, თავისთავად. ეს პროცესი საერთო მოვლენაა საქართველოში, ხოლო ზოგან უფრო გამოაშკარავებულია და თვალსაჩინო“ (129, 1). გაზეთის პუბლიცისტები ამ მოვლენას იმედით უყურებდნენ და დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. „თუ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ნებისყოფა ქართველ ხალხში გაიზარდა ისეთი პროპორციით, როგორც ამდენ ხანს, მაშინ არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მკვიდრ ნიადაგზე დადგება და რაც უნდა პარტიული შემადგენლობის არ იყოს მთავრობა, ამას ანგარიშს გაუწევს და ჭკუაში ჩახედება“ (საქართველო 1920ა: 1). გაზეთი ეროვნული თავისუფლების მოპოვების და შენარჩუნების მთავარ ობიექტად ინტელიგენციას მიიჩნევს. „ინტელიგენციამ არ დაზოგა არც საკუთარი სისხლი, არც თავისი არსებობა და შეიძლება ითქვას, რომ მან მიიყვანა საქართველო დღევანდელ თავისუფლებამდე. ის დღესაც ასეთ როლს თამაშობს და ალბათ ყოველთვის ითამაშებს“ (149, 2).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მართლმადიდებელ ეკლესიას თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევდა და მისი უფლებები შეკვეცილი იყო, ეროვნულ-დემოკრატები ეკლესიის როლის წინა-პლანზე წამოწევას ცდილობენ და მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემების გაშუქებას დიდ ადგილს უთმობენ. „ჩვენი ეკლესია ფრიად დამსახურებული, მსცოვანი დაწესებულებაა ჩვენს სამშობლოში. ის ასაზრდოებდა ქართველ ერს სულიერად, ზნეობრივად, გონებრივად და წვრთნიდა მის მამულიშვილურ შემეცნებასაც. ჩვენი ეკლესია საქართველოში ასრულებდა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეს, აფხიზლებდა ერს ისტორიული განსაცდელის ხანაში, იცავდა მას გადარჯულებისაგან. მრავალჯერ პოლიტიკურად უფლება-აყრილი და დამონებული საქართველო არსებობდა

ეკლესიურად, სარწმუნოებრივად შეკავშირებული მტკიცე საფუძვლით“ (134, 4).

დამოუკიდებლობის ხანაშიც, საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე ნაციონალური სიმბოლოების პროპაგანდას ისევ აქტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრებას საერთო ეროვნული ფასეულობებით ჰომოგენიზირებული ქართული ერთობა თუ შეძლებდა. ნაციონალურ-კონსოლიდაციაში კი ქრისტიანობას დიდი როლი ენიჭებოდა. „ჩვენ ვხედავთ, რომ კულტურულ კაცობრიობას და თუნდაც არა კულტურულ კაცობრიობას იმდენად აინტერესებს რუსის ხალხი, რამდენადაც იგი ფიზიკურ საფრთხეს წარმოადგენს ძველსა და ახალ კულტურისათვის, ხოლო ახლად განთავისუფლებული ერები იმდენად შეადგენენ ინტერესს კაცობრიობისას, რამდენადაც ამ ერებს ახალი მოტივი და ახალი გამართლება შეაქვთ კაცობრიობის ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით საქართველო ყველაზე უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც იგი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, მტკიცე იქნება ქართველი ხალხი ნაციონალურად, მით უფრო ყურადღებით მოეპყრობიან მას მეზობელი და შორეული სახელმწიფოები – თანაც საქართველო ჯერ კიდევ იმდენად არ გამაგრებულა ეროვნულად და სახელმწიფოებრივად, რომ შეიძლებოდეს ეროვნულ ბრძოლაზე ხელის აღება“ (134, 2).

ამდენად, თავისუფლების იდეალისთვის ბრძოლა ქართული ერთობის ცნობიერებაში ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ქართული ენის, ქრისტიანობის, ტრადიციის შენარჩუნებასთან იგივედებოდა. თავისუფლების იდეალის ამ სახით პროპაგანდის მთავარი მესვეური იყო კულტურული და პოლიტიკური ელიტა.

## დასკვნა

დისერტაციაში შესწავლილია ქართული იდენტობის ისტორია 1900-1921 წლებში სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროთა კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ყველა ის მოვლენა, რომელიც ეპოქის გამოწვევას წარმოადგენდა განხილულია მთლიანობაში და წარმოდგენილია განსხვავებული კუთხით.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩამოყალიბებული ანტიქართული პოლიტიკის და მიუხედავად კულტურული და პოლიტიკური ელიტის აქტიური მოღვაწეობის შედეგად, ქართული საზოგადოების გაერთიანების პროცესი განვითარების ახალ ფაზაში შედის. როგორც დისერტაციაში განხილული მასალა მოწმობს, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ეს გამოწვეული იყო იმ სოციალური თუ ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებით, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა. როგორც არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, მტრის შემოსევის შემთხვევაში ქართველი გლეხი ივიწყებდა მებატონის მიმართ პირად წყენას და მის მხარდამხარ გამოდიოდა დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს გამოწვეული და განპირობებული იყო საუკუნეების მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბებული სისტემიდან. საზოგადოების ფართო ფენები მიჩვეული და შეგუებული იყო პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ამ ფორმას.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველი ერი მუდმივად ახალი სიახლეების თუ ცვლილებების წინაშე იდგა. გარდა იმისა, რომ მონარქიული სისტემა აღარ არსებობდა და საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა რუსეთის ქვეშევრდომობაში, ქართველ ერს რუსეთის საიმპერატორო კარი იმ ეროვნულ ფასეულობებსაც უსპობდა, რაც საუკუნეების მანძილზე ნებისმიერი მტრის შემოსევის შემთხვევაში გადარჩენის მთავარი საშუალება იყო. ეს არის: ქრისტიანობა და ქართული ენა. მართალია საქართველოსთვის სიახლეს არ წარმოადგენდა ახალი დამპყრობლის გამოჩენა და მის დაქვემდებარებაში გადასვლა, თუმცა ნამდვილად ახალი იყო ქრისტიანული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ის ქმედებები, რასაც ასევე მართლმადიდებელი საქართველოს მიმართ იხენდა. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები

გამოიწვია სოციალური სისტემაში. ჩამოყალიბდა ახალი სოციალური კლასები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტიურად გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. შეეზღუდა გლეხებს ფუნქციები, განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდა. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ძლიერი ძალა იყო, ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის ინტერესებით, პროლეტარიატი კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენით საწყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდა ქართველობა. დისერტაციაში განხილული და შესწავლილი საკითხები სწორედ აღნიშნულის გამოხატულებაა და ნათლად მოწმობს ქართველი ერის ცნობიერების ცვალებადობას და მათ ეტაპობრივ გარდასახვას ახალი დროის შესაბამისად ქართული, ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებითა და განათლებული, ორგანიზებული, შეკავშირებული საზოგადოების ჩამოყალიბებით, რომლის მთავარი იდეალი ეროვნული თავისუფლება უნდა გამხდარიყო.

ამგვარად, წინამდებარე გამოკვლევა ქართველი ერის იდენტობის შესწავლის ცდას წარმოადგენს. დეტალურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვირგვინებით კულტურული და პოლიტიკური ელიტის დვაწლს, აგრეთვე მთელი საზოგადოების აღქმებს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის განვითარების ისეთი მახასიათებლების მეშვეობით როგორცაა ისტორიული წარსული და ტრადიციები, ქართული ენა და ეროვნული თავისუფლება; გაგვეანალიზებინა ეპოქის ახალი მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის საჭიროება არამარტო, როგორც მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების, არამედ მთლიანად ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების მთავარი საშუალება. 1901-1917 წწ. და 1918-1921 წწ. ქართული ერთობის იდენტობის შედარებითი შესწავლის საფუძველზე თვალსაჩინო გახდა, რომ პირველ პერიოდში ანუ 1901-1917 წწ. დიდი საზოგადოებრივი წონის მქონე და საგანგებო განხილვის საგანი იყო შემდეგი საკითხები:

ერთიანი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც საზოგადოების ჰომოგენიზების და სოციალური ტიხრების მოშლის საფუძველი. ეკონომიკა, როგორც ქართველი ერის არსებობის და გადარჩენის წინაპირობა.

ისტორიული მესხიერება და ტრადიციები, ნაციონალური სიმბოლოები. ამავდროულად მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმე სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების შესწავლას ეპოქის შესაბამისად, ცენტრისა და პერიფერიის როლის შეფასებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მეორე პერიოდში ანუ 1918-1921 წლებში პრიორიტეტული გახდა ნაციონალურ კონსოლიდაციაში თავისუფლების ფენომენი და მისით საზოგადოების ფართო ფენების გამსჭვალვა.

დისერტაციაში განხილული საკითხებიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

1. უარყოფილია XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბების მარქსისტული მოსაზრება და დასაბუთებულია საწინააღმდეგო თვალსაზრისი.

2. XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული გარემოს სრულად აღსადგენად შესწავლილია რეგიონალური იდენტობის საკითხი, ნაჩვენებია რა როლი ითამაშა ცენტრმა და პერიფერიამ ქართული ერთობის კონსოლიდაციის პროცესში.

3. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული გამოკვლევებისგან განსხვავებებით გაანალიზებულია სოციალური ფენების თუ ჯგუფების ცნობიერების განვითარება-ცვალება დობა ეპოქის შესაბამისად და ნაჩვენებია ქართული ერთობის კონსოლიდაციის პროცესში თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა.

4. შესწავლილია ისტორიული მესხიერების და ტრადიციების, ასევე ნაციონალური სიმბოლოების დატვირთვა და გავლენა მოდერნული პერიოდის ქართული ერთობის ცნობიერებაზე.

5. ერთიან კონტექსტშია განხილული ხშირ შემთხვევაში ცალკეულ საკითხებად შესწავლილი პრობლემები, როგორცაა: სამშობლო, ქართული ენა და განათლება, სარწმუნოება, ქართველი დედის როლი, ეკონომიკა, როგორც საზოგადოების ჰომოგენიზების საფუძველი.

6. გააზრებულია ეროვნული თავისუფლების ფენომენი და მისი აღქმა ქართული ერთობის წევრების მიერ.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

### საარქივო მასალები:

1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (შემდგომში სცსა), ფ. 83, აღწერა 1, საქ. № 2.
2. სცსა, ფ. 83, საქ. № 46.
3. სცსა, ფ. 153, საქ. № 178.
4. სცსა, ფ. 153, საქ. № 361<sup>5</sup>.
5. სცსა, ფ. 153, საქ. № 2306.
6. სცსა, ფ. 153, საქ. № 1924<sup>1</sup>.
7. სცსა, ფ. 153, საქ. № 1782.
8. სცსა, ფ. 156, საქ. № 4.
9. სცსა, ფ. 1825, საქ. №13.
10. სცსა, ფ. 1825, საქ. №17.
11. სცსა, ფ. 1830, საქ. №9.
12. სცსა, ფ. 1830, საქ. №21.
13. სცსა, ფ. 1833, საქ. №970.
14. სცსა, ფ. 1836, საქ. № 12.
15. სცსა, ფ. 1836, საქ. № 18.
16. სცსა, ფ. 1836, საქ. № 75.
17. სცსა, ფ. 1836, საქ. № 77.
18. სცსა, ფ. 1836, № 418.
19. სცსა, ფ. 1861, № 418.
20. სცსა, ფ. 1861, საქ. № 533.
21. სცსა, ფ. 1863, საქ. № 9.
22. სცსა, ფ. 1863, საქ. № 319.
23. სცსა, ფ. 1833, საქ. № 1072.
24. სცსა, ფ. 1935, საქ. № 20.
25. სცსა, ფ. 1935, საქ. № 249.
26. სცსა, ფ. 1935, საქ. № 318.
27. სცსა, ფ. 1935, საქ. № 453.
28. სცსა, ფ. 1935, საქ. № 658.
29. სცსა, ფ. 1935, საქ. №1166.

### გაზეთები:

30. ამირანი, 1909, №25.
31. ამხანაგი, 1917, №3.
32. ახალი კვალი, 1915, №8.
33. ახალი საქართველო, 1919, №1.
34. ახალი სხივი, 1910, №33.
35. ახალი ცხოვრება, 1906, №2.
36. ბათუმის გაზეთი, 1911, №111.
37. ბათუმის გაზეთი, 1912, №67.
38. ბათუმის გაზეთი, 1914, №24.
39. ბრძოლა, 1901, №1.
40. განთიადი, 1913, №19.
41. გლეხი, 1906, №1.
42. გლეხი, 1906, №5.
43. დროება, 1976, №102.
44. დროება, 1909, №167.
45. დროება, 1909, №44.
46. ელვა, 1906, №148.
47. ერთობა, 1917, №12.
48. ერთობა, 1917, №70.
49. ერთობა, 1918, №78.
50. ერთობა, 1919, №10.
51. ერთობა, 1919, №17.
52. ერთობა, 1919, №47.
53. ერთობა, 1920, № 155.
54. ერთობა, 1920, №158.
55. ზვირთი, 1915, №2.
56. თავისუფალი გზა, 1919, №1.
57. თავისუფალი საქართველო, 1913, №1.
58. თანამედროვე აზრი, 1914, №12.
59. თანამედროვე აზრი, 1914, №91.

60. თანამედროვე აზრი, 1915, №222.
61. თანამედროვე აზრი, 1916, №1.
62. თანამედროვე აზრი, 1916, №121.
63. თანამედროვე აზრი, 1916, №125.
64. თემი, 1911, №1.
65. თემი, 1911, №2.
66. თემი, 1911, №4.
67. თემი 1911, №6.
68. თემი, 1911, №8.
69. თემი, 1911, №10.
70. თემი, 1911, №29.
71. თემი, 1911, №33.
72. თემი, 1912, №54.
73. თემი, 1912, №64.
74. თემი, 1912, №83.
75. თემი, 1912, №86.
76. თემი, 1912, №93.
77. თემი, 1913, №118.
78. თემი, 1913, №146.
79. თემი, 1914, №157.
80. თემი, 1914, №160.
81. თემი, 1914, №164.
82. თემი, 1915, №203.
83. ივერია, 1901, №116.
84. ივერია, 1901, №117.
85. ივერია, 1901, №128
86. ივერია, 1901, №257.
87. ივერია, 1901, №267.
88. ივერია, 1902, №2.
89. ივერია, 1902, №26.
90. ივერია, 1902, №220.
91. ივერია, 1902, №252.
92. ივერია, 1903, №38.

93. ივერია, 1905, №8.
94. ივერია, 1905, №148.
95. ივერია, 1905, №162.
96. ივერია, 1909, №2.
97. იმერეთი, 1912, №28.
98. იმერეთი, 1912, №38.
99. ისარი, 1907, №116.
100. ისარი, 1908, №39.
101. კვალი, 1901, №25.
102. კვალი, 1901, №36.
103. კოლხიდა, 1911, №80.
104. კოლხიდა, 1911, №82.
105. კოლხიდა, 1912, №15.
106. მებრძოლთა ხმა, 1917, №40.
107. მეგობარი, 1906, №3.
108. მერცხალი, 1908, №1.
109. მიწა, 1906, №5.
110. მიწა, 1907, №7.
111. მნათობი, 1911, №1.
112. მეშა, 1906, №13.
113. მეშა, 1906, №30.
114. ნაპერწკალი, 1906, №4.
115. პროლეტარიატის ბრძოლა, 1904, №7.
116. სამშობლო, 1915, №246.
117. სამშობლო, 1916, №256.
118. სამშობლო, 1916, №384.
119. საქართველო, 1903, №2.
120. საქართველო, 1903, №4.
121. საქართველო, 1917, №37.
122. საქართველო, 1918, №3.
123. საქართველო, 1918, №4.
124. საქართველო, 1918, №7.
125. საქართველო, 1918, №15.

126. საქართველო, 1918, №43.
127. საქართველო, 1918, №45.
128. საქართველო, 1919, №107.
129. საქართველო, 1919, №233.
130. საქართველო, 1920, №1.
131. საქართველო, 1920, №3.
132. საქართველო, 1920, №40.
133. საქართველო, 1920, №49.
134. საქართველო, 1920, №62.
135. საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №41.
136. სახალხო გაზეთი, 1910, №184.
137. სახალხო საქმე, 1917, №33.
138. სახალხო საქმე, 1917, №456.
139. სახალხო საქმე, 1918, №158.
140. სახალხო საქმე, 1918, №351.
141. სახალხო საქმე, 1919, №463.
142. სახალხო საქმე, 1920, №814
143. სახალხო საქმე, 1920, №860.
144. სახალხო ფურცელი, 1915, №241.
145. სახალხო ფურცელი, 1916, №461.
146. სახალხო ფურცელი, 1916, №491.
147. სიტყვა, 1906, №1.
148. სოციალ-დემოკრატი, 1905, №1.
149. სოციალ-დემოკრატიული ფურცელი, 1905, №5.
150. სხივი, 1905, №5.
151. ტაღლა, 1906, №2.
152. ქართლი, 1912, №68.
153. ქართველი სტუდენტი, 1920, №1.
154. ქართული გაზეთი, 1916, №6.
155. შინაური საქმეები, 1909, №4.
156. შინაური საქმეები, 1912, №30-31.
157. შრომა, 1906, №11.
158. ჩვენი აზრი, 1909, №5.

159. ჩვენი გზა, 1920, №4.
160. ჩვენი დროება, 1913, №30.
161. ჩვენი მეგობარი, 1916, №123.
162. ჩვენი რესპუბლიკა, 1918, №42.
163. ცისკარი, 1908, №1.
164. ცისკარი, 1908, №11.
165. ცნობის ფურცელი, 1902, №1697.
166. ცნობის ფურცელი, 1902, №1884.
167. ცნობის ფურცელი, 1903, №2154.
168. ცნობის ფურცელი, 1905, №2945.
169. ხმა კახეთისა, 1912, №100.
170. ჯარისკაცი, 1917, №2.

#### **ჟურნალები:**

171. განათლება, 1908, №1
172. განათლება, 1917, №6-7.
173. ეკალი, 1907, №2.
174. კლდე, 1915, №1.
175. მოამბე, 1904, №6.
176. მოგზაური, 1901, №1.
177. მოგზაური, 1902, №2-3.
178. მოგზაური, 1902, №6-7.
179. მოგზაური, 1903, №1-2.
180. მოგზაური, 1903, №7-8
181. მოგზაური, 1903, №9-10.
182. მოგზაური, 1903, №11-12.
183. მოგზაური, 1904, №1-2.
184. მოგზაური, 1904, №3-4.
185. მოგზაური, 1905, №15.
186. მოგზაური, 1905, №35.

187. მოსავალი, 1909, №1.
188. მოსავალი, 1911, №1.
189. მწეემსი, 1900, №15.
190. მწეემსი, 1906, №3-4.
191. რესპუბლიკის ჯარი, 1918 №1.
192. საქართველოს მოამბე, 1909, №4.
193. ჯვარი ვახისა, 1906, №6.

#### **ისტორიოგრაფიული წყაროები:**

194. ბაგრატიონი, ვ. ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი და გამოცემული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
195. შარდენი, ჟან. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1975.

#### **მემუარული ლიტერატურა:**

196. გარიყული, მ. მოგონებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962.
197. დადიანი, შ. რაც გამახსენდა. თბილისი: ხელოვნება, 1959.
198. კვინიტაძე, გ. მოგონებები. ტ. I. თბილისი: ლომისი, 1998.
199. ლორთქიფანიძე, გ. ფიქრები საქართველოზე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
200. ლასხიშვილი, გ. მემუარები. თბილისი: საქართველო, 1992.
201. მაზნიაშვილი, გ. მოგონებები, 1917-1925, ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1990.
202. მანსვეტაშვილი, ი. მოგონებები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985.

203. პონტოელი (ილია ჩიქოვანი), მოგონებები. თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1958.
204. უორდანი, ნ. ჩემი წარსული. თბილისი: სარანგი, 1990.
205. ფირცხალავა, ს. მოგონებათა ფურცლები, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1988.
206. ცინცაძე, კ. ჩემი მოგონებებიდან. თბილისი: ციციანთელა, 2001.

### ლიტერატურა:

207. ალასანია, გ. თვითდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში (მთელისა და ნაწილის ურთიერთობა). კრებული, „ქართველური მემკვიდრეობა“. VIII. ქუთაისი: ენა და კულტურა, 2003.
208. ანდერსონი, ბ. წარმოსახვითი საზოგადოებები. თბილისი: ენა და კულტურა, 2003.
209. ართმელაძე, ტ. ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ შეცდომა-ნაკლოვანებებთან. თბილისი, 1904.
210. ახოზაძე, ე. ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917). თბილისი: მეცნიერება, 1965.
211. ახოზაძე, ე. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში: 1900-1907. თბილისი: მეცნიერება, 1977.
212. ახოზაძე, მ. გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.
213. ბაკურაძე, ო. თავისუფლება და აუცილებლობა. თბილისი, 1964.
214. ბენდიანიშვილი, ა. აგრარული ურთიერთობები საქართველოში 1890-1917. თბილისი: მეცნიერება, 1965.
215. ბენდიანიშვილი, ა. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1989.
216. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-11921. თბილისი: მეცნიერება, 1980.

217. ბენდიანიშვილი, ალ. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი: მემატიანე, 2001.
218. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, ალ. სამსონაძე, მ. ჭუმბურიძე, დ. ჯანელიძე, ო. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილისი: უნივერსალი, 2008.
219. ბოლქვაძე, თ. იდეოლოგიზირებული ღირებულებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
220. ბოლქვაძე, თ. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“. თბილისი: უნივერსალი, 2010.
221. ბოცვაძე, ლ. სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, საპედაგოგიო წერილი. ტფილისი, 1917.
222. გოგებაშვილი, ი. რჩეული ნაწერები. ტ. 2. თბილისი: სახელგამი, 1940.
223. გოგიჩაიშვილი, ფ. რჩეული ნაწერები, ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974.
224. გვაზავა, გ. ჩეხია: (სოციოგრაფიული მიმოხილვა). თბილისი, 1919.
225. გიორგი გვაზავა. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა. თბილისი (1920)
226. გურული, ვ. ეროვნული ცნობიერება-სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია. თბილისი: უნივერსალი, 2008.
227. გურული, ვ. ილიადან ილიამდე. თბილისი: უნივერსალი, 2006.
228. გურული, ვ. სილაგაძე, ა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918). თბილისი: ინტელექტი, 1998.
229. დოლიძე, კ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხისათვის. ბათუმი: სახელგამი, 1959.
230. ებრაელიძე, ა. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ: 1903-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1968.
231. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. IX. თბილისი, 1964.
232. თაბუაშვილი, ა. შუქუნაშვილი, გ. „საქართველო და იმერეთი“ იოსებ შაგუბატოვის 1819 წლის აღწერის მიხედვით. მოხსენება წაკითხული საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე (2011).

233. კანდელაკი, კ. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. ტ. I. პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935.
234. კაშია, ჯ. გველის-მჭამელი, გაგების ცდა. პარიზი, 1989.
235. კაჭარავა. ი. ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966.
236. კიკვიძე, ზ. ენა, გენდერი და ნაციონალიზმი. თბილისი: უნივერსალი, 2010.
237. კიკნაძე, ზ. ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები. თბილისი: კავკასიური სახლი, 2009.
238. კუპრაშვილი, ჰ. „დიდი რუსიანობა საქართველოში: (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: უნივერსალი, 2011.
239. კუპრაშვილი, ჰ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 1999.
240. ლენინი, ვ. კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე. თბილისი, 1954
241. ლენინი, ვ. რუსეთის რევოლუცია და პროლეტარიატის ამოცანები. თბილისი: სახელგამი, 1940.
242. მაისურაძე, დ. რუსეთის პირველი რევოლუცია. თბილისი, 1955.
243. მაღაზონია, დ. ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის II ნახევარში. თბილისი: ქრონოგრაფი, 2001.
244. მარგიანი, გრ. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1968.
245. მარგიანი, გრ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წლებში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976.
246. მირცხულავა. ი. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წ.წ. ტ. I. თბილისი, 1964.
247. მიქელაძე, ნ. ქართული სოციალისტ-ფედერალისტური პრესა (1906-1908). თბილისი: უნივერსალი, 2008.
248. მონტესკიე, შ. ლ. კანონთა გონი. თბილისი, 1994.
249. ნარიძე. ნაციონალური კითხვა ჩვენში. ქუთაისი, 1913.
250. ნაციონალიზმი და დემოკრატიული ინტერესები. თბილისი.

251. ონიანი, ვ. დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958.
252. პაპავა, ნ. სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში (1864-1900). თბილისი, 1963.
253. პატარიძე, ლ. პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII საუკუნეების ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების სამყარო“. თბილისი: კავკასიური სახლი, 2009.
254. პლექხანოვი, გ. პატრიოტიზმი და სოციალიზმი. თარგმანი მიშა დავიდოვისა. თბილისი, 1917.
255. პოსსე, ვ. ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია. თბილისი, 1907.
256. უორდანი, ნ. ეროვნული კითხვა. თბილისი, 1922.
257. უორდანი, ნ. საფრანგეთის რევოლუცია 1848. თბილისი, 1917.
258. უორდანი, ნ. ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, თბილისი, 1908.
259. უორდანი, ნ. ქართული პრესა ( გუშინ და დღეს). თბილისი, 1990.
260. უორდანი, ნ. ძველი და ახალი. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო მერაბ ვაჩნაძემ. თბილისი, 1998.
261. რა ესაჭიროება მუშა ხალხს ? (სოციალისტ-ფედერალისტური პარტია). ქართლი, 1917.
262. სარიშვილი, ტ. სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში. თბილისი, 1986.
263. სარიშვილი, ტ. სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში (1901-1921). თბილისი, 1956.
264. საქართველოს ავტონომია. ბათუმი, 1917.
265. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თბილისი, 2003.
266. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები, (1906-1921). კრ. I. თბილისი: ახალი აზრი, 2008.
267. სიგუა, ს. ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1959.
268. სმითი. ე. ნაციონალიზმი – თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი, 2004
269. სმითი. ე. ნაციონალური იდენტობა. ინგლისურიდან თარგმნა ლელა პატარიძემ. თბილისი: ლოგოს-პრესი, 2008.

270. სონღულაშვილი, ა. საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა ისტორია. თბილისი: მეცნიერება, 1997.
271. სონღულაშვილი, ა. ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში (თბილისის საგარეუბნო ზონის მაგალითზე). თბილისი: მეცნიერება, 1992.
272. სონღულაშვილი, ნ. ქართული ერთობა და მისი იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში (პრესის მასალების მიხედვით). თბილისი : უნივერსალი, 2010.
273. სოციალიზმი და ეროვნული საკითხი. (სოციალისტ-ფედერალისტები). თბილისი, 1905.
274. სტალინი, ი. თხზულებანი. ტ. II. თბილისი: სახელგამი, 1947.
275. სტალინი, ი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თბილისი, 1934.
276. სტალინი, ი. ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. თბილისი: სახელგამი, 1951.
277. სურგულაძე, ა. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.
278. სურგულაძე, ა. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900-1921). თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986.
279. სურგულაძე, ა. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი: მეცნიერება, 1954.
280. სურგულაძე, ა. ნარკვევები ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება, 1980.
281. ტაბიძე, მ. ეროვნული სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბილისი: ქართული ენა, 2005.
282. ტატიშვილი, ი. მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960.
283. ფარსადანაშვილი, ა. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1854-1917. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976.
284. ქართველი ერის დაბადება. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
285. ქიქოძე, გ. ეროვნული ენერგია. თბილისი, 1919.
286. ქიქოძე, გ. პატარა ერის ხვედრი. თბილისი, 2003.

287. ყორანაშვილი, გ. ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები. თბილისი: მეცნიერება, 1983.
288. ყორანაშვილი, გ. ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები. თბილისი, 1984.
289. ყორანაშვილი, გ. ეროვნული საკითხი. თბილისი: მეცნიერება, 1997.
290. შენგელია, გ. ასე ირიურაჟა... საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. თბილისი. 1989.
291. შენგელია, გ. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917). თბილისი, 1991.
292. ჩვენნი მოთხოვნები. თბილისი.
293. ჩიქოვანი, ლ. გაზეთ „თბილისის მოამბის“ სოციალურ-პოლიტიკური პროფილი. თბილისი, 1966.
294. ჩხარტიშვილი, მ. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული. თბილისი, 2007.
295. ჩხარტიშვილი, მ. ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი: კავკასიური სახლი, 2009.
296. ჩხარტიშვილი, მ. მანია, ქ. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: ივერია და მისი მკითხველი საქართველო. თბილისი: უნივერსალი, 2011.
297. წერეთელი, მ. ერი და კაცობრიობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
298. ჭავჭავაძე, ი. თხზულებანი ოც ტომად. ტ. V. თბილისი: მეცნიერება, 1991.
299. ჭავჭავაძე, ი. თხზულებანი ოც ტომად. ტ. I. თბილისი: მეცნიერება, 1987.
300. ჭუმბურიძე, დ. ისტორიული პორტრეტები. დასაწყისი XX საუკუნისა. თბილისი: უნივერსალი, 2008.
301. ხოშტარია, ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება. თბილისი: მეცნიერება, 1966.
302. ჯანელიძე, ო. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ. თბილისი, 1990.

303. ჯანელიძე, ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება, 2002.
304. ჯიჯეიშვილი, მ. მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: მეცნიერება, 1965.
305. ჯორჯაძე, ა. თხზულებები, ტ. 3. თბილისი, 1911.
306. ჯორჯაძე, ა. სამშობლო და მამულიშვილობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
307. ჯონსი, ს. სოციალიზმი ქართულ ფერებში. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.
308. ჰეგელი, გ. ვ. ფ. გონის ფილოსოფია. თარგმანი ნოდარ ნათაძის. თბილისი: მეცნიერება, 1990.
309. ჰეგელი, გ. ვ. ფ. ისტორიის ფილოსოფია. თარგმანი ნოდარ ნათაძის. თბილისი, 2001